კვირის პალიტრა

ალბა

N41 (435) 9/X-15/XI

1168
2008

ილბალი

მუქნებლობისას ნაპოვნი 1000 ოქრის თუმნიანი

როგორ მოვი პოვოთ ეჯახში სიყვარული, ილბალი და ბარაქა

გადაიზრდება თუ არა მათი მეგობრობა ძლიერ გრძნობაში

ცნობილი ჟურნალისტის უცნობი პორტრეტი

ჯონდი ბალათურიას მიერ შეგბმული ჟურნალისტი და მათი სულიერი სიახლოვე

მეტამორფოზები

„ჩემი ცხვირი ჩემს ნასიათს განასახიერებს“...

რეპორტაჟი გუდამაყრიდან

სტუმრად გოდერძი ჩოხელის სამყაროში

ISSN 1987 - 502

სასურველ მამაკაცს რომ მისთხოვდეთ...

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№41 (435)
9 - 15 ოქტომბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი



„ქართველთა ქრისტიანული ცხოვრება სვეტიცხოველთან ერთად იშვა“...

„ტაძრის ასაგებად უფლის კვართზე ამოზრდილი საკვირველი კედარი – ნაძვი მოჭრეს და მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი სვეტი აღმართეს, მაგრამ მეშვიდე სვეტი, რომელიც ტაძრის შუაგულში უნდა აღემართათ, ვერაფრით დაძრეს ადგილიდან“.

67

სტუმრად გოდერძი ჩოხელის სამყაროში



„არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ბუნება ისე მსუყედ უყვარდეს, როგორც გოდერძის უყვარდა გაბაფხულზე იები და ენძელები რომ ამოდიოდა, დასაკრეფად ვერ იმეგებდა“.

68

„ამ მრეწველობამ ღიღი მოთმინება მასწავლა“



უნებისყოფის შედეგი

ფეხვნილები

ცაკოცავ თვალმი ყველა ლამია.

სიყვარულის ამბავი

ამერიკის ხმა
ეკა

პროვოკატორი
რუსული ჩექმის ბოლო დღე საქართველოში ანუ „ნადით, ნადიიი

ადამიანი

გულისჯიბეში შენახული ნატვრის თვალი და პრეზიდენტისგან მიღებული საჩუქარი 26

თემა

ქილა ოქრო, ლატარიის სასიკეთილო ბილეთი და ნითელას გამო დაკარგული იღბალი 28

ჯანმრთელობა

როგორ ვუმკურნალოთ ბრონქიტს 32

ქურნალი ქურნალში

✓ ცხოვრება 35

✓ გზავნილები 51

ტაქარი

„ქართველთა ქრისტიანული ცხოვრება სვეტიცხოველთან ერთად იშვა"... 67

ქვალი

„აქედან ქარგად ჩანს საქართველო"... 68

რომანი

სვეტა კვარაცხელია. მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 70

გაიმ-აუტი 74

საკითხავი ქალებისთვის

✓ სასურველ მამაკაცს რომ მისთხოვდეთ... 76

✓ რამდენიმე წესი თმის ფერის შეცლის მსურველთათვის 77

ისტორიული რომანი

გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 78

ვარსკვლავები 82

თინეიჯერული პონტები

✓ მშობლებით ქმაყოფილი და უქმაყოფილო შვილები 84

✓ „შეიყვარე ისეთი ადამიანი, ვისაც შენი შვილიც ეყვარება" 86

საზოგადოება

განქორწინება

„პატარა სახელმწიფოს" ნგრევა 88

დაიჯესტი 91

ასპარეზი

მალხაზ ასათიანის ახალი შანსი

— კიევის „დინამო" 93

■ ავტო 95

■ სპანეორდი 96

■ ტესტი 97

■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა"
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქუჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში": 37-78-07; 38-78-70.

ჯიბეში შენახული ნატვრის თვალი

„დიდი ყვითელი ავტობუსის მძღოლი მინდა გავხდე. აი ისეთი ავტობუსის, თბილისიდან ლილოს დასახლებამდე რომ დადის. ზოგჯერ წარმოვიდგენ კიდეც, რომ ავტობუსის საჭესთან ვზიარ, უკან უამრავი მგზავრი ზის, მე კი ხურდა ფულს დიდ მაგნიტზე ვაწებებ".

26

სასურველ მამაკაცს რომ მისთხოვდეთ...

მამაკაცს თავი ისე უნდა შეაჩვიოთ, რომ ვერასოდეს დაგივიწყოთ: თქვენ მისთვის ერთადერთი და განუმეორებელი, ამქვეყნად ყველაზე სასურველი და მშვენიერი უნდა იყოთ.

76

თბილისში გატარებული თაფლობის თვე

„მიუხედავად იმისა, რომ ფშავი და თიანეთი ძალიან მომწონს, დასასვენებლად ვერ მივდივარ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ იქ ინტერნეტი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები არ არის. ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ამ საკითხზე. მთები შვეიცარიელებსაც აქვთ, მაგრამ მათ კომუნიკაციის საკითხი ძალიან კარგად აქვთ მოგვარებული".

24

ძრიელის ნიშანი

— ე-ეჰ, დაბერდი, ჩემო ირაკლი, დაბერდი უკვე. ადრე უფრო ფრთხილი იყავი. როგორც ვატყობ, ამ ბავშვმა მთლად აგიბნია თავგზა. იმ მხრივ როგორაა საქმე? — გამომცდელად შეხედა დეტექტივმა.

ირაკლი წამოჭარხლდა.

— აჰა, გასაგებია... იცის, ორსულად რომ არის?

— არა, რას ამბობ.

— მერე? რას აპირებ?

— არაფერს. როცა მიხვდება, იფიქრებს, რომ ჩემგან არის და მორჩა.

70

რუსული ჩექმის ბოლო დღე საქართველოში

ანუ „წადით, წადიიიიიიიიიიიიიიით!..”

გარეშე მტერი რომ მოგვაშორებინა და ცოტათი საშინაო საქმეებიც მოგვაგვარებინა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა! ეს მთავრობაც დაიღალა:

გარეთ რუსეთი არ ასვენებს, შიგნით — ოპოზიცია. შარზე რომ იქნები კაცი, თორემ რაღა მაინცდამაინც ის მეხუთე პუნქტი არ მოეწონათ სტრასბურგის დოკუმენტში?! სხვა დასაწუნი არაფერი წერია?! ჩვენმა ახალმა დელეგაციამ რაც მოახერხა, ისიც მიკვირს: პირველად იყვნენ ჩასულები და იმის შიშიც მქონდა, საერთოდ არ დაიკარგონმეთქი — თქვენ მეხუთე პუნქტს დაეძებთ?!.

თუ არ მოგწონთ, „შატალოზე“ გაპარული მოსწავლეებივით რომ დგახართ ქუჩაში და პარლამენტში შესულებს „დედიკოს ბიჭებს“ ეძახით, არ დაგეხიათ ის მანდატები და იქნებ, სტრასბურგშიც თქვენ წასულიყავით! ხო-ხო, მერე მენახა ის მეხუთე პუნქტი, სულ პუტინის დედის გინებით რომ იქნებოდა გაჯერებული! ამხელა არზაში სულ რუსეთის კრიტიკაა, მაროდიორობით დაწყებული და დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმების მოთხოვნით დამთავრებული და ერთ პუნქტში შენც წაგისაყვედურონ პატარა, ისიც აღარ გინდა?!



26014

დიდია ეს რუსეთი, დიდი და მთვრალი და ხომ ვიცით, რომ ეგეთების გაბრაზებას ერიდებიან ხოლმე. ქალბატონი მერკელიც ბევრს დარბოდა ზაფხულში, მხარსაც თამამად გვიჭერდა, მაგრამ პატარა აცივდა თუ არა, გაახსენდა რუსული გაზის საჭიროება და საქართველო „მაპისთვის“ ჯერ მზად არ არისო, უცებ „ამღერდა“. ან კი რა გახსენება უნდოდა, როცა სტრასბურგის სამიტის დღეებში მთელ ევროპას შეუწყდა რუსეთიდან გაზის მიწოდება, რა თქმა უნდა — „სარემონტო სამუშაოების“ გამო. ადექი ახლა და იძახე, — მეხუთე პუნქტი არ მომწონსო!..

რაც მთავარია, ერთი დღეღა დარჩა დაპირებულ 10 ოქტომბრამდე და ხომ იცით, მედვედევი რომ იტყვის, იმას წყალი არ გაუვა. ანუ ხვალ რუსი ჯარისკაცები დაახვევენ „თავიანთ“ ლეიბებს, ტანსაცმელებს, მავთულხლართებს და სამუდამოდ, იმედია, თვითონაც დაახვევენ საქართველოდან. ისე შევუყვარდით ამ ორ თვეში, რომ ძალიან სწყდებათ გული, მაგრამ ეს მედვედევი ისეთი მორიდებულია, სულ ძალად მიათრევს, — ნუ შეაწუხეთ ეს ადამიანები, დაძინებას აპირებენ, გვიანიაო...

სამახსოვროდ, უამრავი ისეთი „პროდუქტი“ მიაქვთ, რომელიც რუსეთში არ ხარობს: წალენჯიხის „ნასკები“, სენაკის ჩანგალი, უნიკალური ჯიშის, ფოთის „სუბტროპიკული“ უნიტაზი და კიდევ ბევრი რამ. წაიღონ, უჭირთ ახლა მაგათ, საშინელი ეკონომიკური კრიზისი აქვთ ქვეყანაში და პუტინს უთხოვია, „ნასკები“ თითებზე გამომეხა, იქნებ, რაიმე მიშოვოთო. რაც შეეხება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის გადაწყვეტილებებს, — რა თქმა უნდა, დმიტრი პუტინის ძე მედვედევი არ ეთანხმება, მაგრამ მფლად იგნორირებასაც ვერ „ქაჩავს“: დამკვირვებლებზეც ბევრი ახურა, არ შემოვუშვებთო, მაგრამ შევიდნენ და აკვირდებიან, როგორ იჩიჩქნებიან მიწაში და როგორ ნაღმავენ სოფლებს. არა, ხელს კი ვერ უშლიან, მაგრამ ხომ აკვირდებიან — ეს ცოტას ნიშნავს?! ასევე მოუწევთ რუსულჩექმიან „სალდათებს“, მიუხედავად მათი ნებისა, საქართველოსთან დამშვიდობება და ისეთივე „ბომჟური“ ცხოვრება ყაზარმებში, როგორითაც აქამდე ცხოვრობდნენ. მკაცრი რუსული ზამთარიც ისე შეაწუხებს, რომ მოპარული წინდებიც ვერ გაათბობს, რადგან მათ პრეზიდენტს ყაზარმების გასათბობ გაზი უკვე გაყიდული აქვს.

მოკლედ, ხვალ დიდი დღეა, ხალხო, უკანასკნელ გზაზე ვაციცებთ მეზობელ ოკუპანტებს. ვერ გაამართლა გამოთქმამ — შორეულ ნათესავს ახლო მეზობელი სჯობიაო, — ამიტომ მთელი რიგი ღონისძიებებია ჩასატარებელი მათ გასაცილებლად: პირველ რიგში, კარალეთში ვხსნით მოძმარებულ ოციანს, ყველა ოკუპირებული სოფლიდან კოლოებივით მოიყრიან თავს ერთ ადგილას და თვრებიან; მერე ვამღერებთ აჩი მეფარიძეს — „მშვიდობით, უკან მოხედვა ძნელია“: მაინც დროული კაცია და არაფერს ეტყვიან; ამასობაში ის 20 ლიტრი ძმარი თავისას შვრება და ეწყებათ „იუოგა“; გულძმარვით დატანჯულებს შუაში ვუგდებთ ერთ ბოთლ „ნაბეღლავს“ და ხოცავენ ერთმანეთს. მერე ყველაფერი უფრო მარტივია: ჯერ გაგვაქვს ყვავილები და ა.შ.

არსებობს მეორე, უფრო ჰუმანური გეგმაც: ვხსნით მოძმარებულ ოციანს — ეს ორივე შემთხვევაში აუცილებელია, აბა, სად წავიღო ამდენი ძმარი, ხომ არ გადავლვრი?!. ვასმევთ და ვურთავთ დავით აქუბარდიას გადაცემას. გაგებით კი ვერაფერს გაიგებენ, — ეგენი კი არა, ჩვენ ვერ ვიგებთ, — მაგრამ როგორც იცით, მთქნარება გადამდებია და რუსებიც იძინებენ. მერე ვხდით ტანსაცმელს და რომ გაიღვიძებენ შიშვლები, შერცხვებათ და გაიქცევიან. მაინც, გაქცევის გარანტიისთვის, „ჯეოსტარის“ კასტინგზე დაწუნებული, სამი-ოთხი მოხალისეც რომ ვიყოლიოთ, არ იქნება ურიგო. ასე ორი საქმე გაკეთდება: რუსებიც გავლენ და ჩემი ძმარიც გასაღდება ფრიად პატრიოტული მიზნით...

პროვოკატორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„რატომ არ ემორჩილება რუსეთის ხელისუფლება მათსავე პატრიარქს?!.“

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად ჩვენს მოქალაქეებს, რუსი ოკუპანტების საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა მიაჩნიათ. ყველა მათგანი მოხარულია, რომ რუსების საგუშაგოების დემონტაჟი დაიწყო, თუმცა რუსების საქციელი ხალხს კვლავ აღიზიანებს. გარდა ამისა, საზოგადოების ერთი ნაწილის ყურადღება ჯაბა ბოჯგუას დაპატიმრების ფაქტმა და ცალკეული ქართველი ფეხბურთელების წარმატებამაც მიიპყრო...

„...მათ შემყურეს, სიცოცხლე მიხარია“

ნათია ქივიძე

ანზორ ჩიქოვანი, *პენსიონერი, 72 წლის:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი, რუსი ოკუპანტების გასვლაა. ძალიან მიხარია, გამგზავრება რომ გადაწყვიტეს და კარალეთსა და სამეგრელოშიც თავიანთ საგუშაგოებს შლიან. ძალიან კარგი იქნებოდა, ერედვიც და თამარაშენიც დაეტოვებინათ და მართლა, 7 აგვისტოს პოზიციებს დაჰბრუნებოდნენ, თუმცა ამ ეტაპზე ეს ალბათ შეუძლებელია. გამაღიზიანებელი კი ის არის, რომ მიუხედავად გასვლისა, თავისას მაინც განაგრძობენ — თავხედურად იქცევიან, მოსახლეობას კვლავ სასმელს სთხოვენ და წალენჯიხის რაიონში, სოფელ სიდაში 13 წლის ბიჭიც მოკლეს. ჩემი აზრით, ის ჯარისკაცები, რომლებმაც ეს უმსგავსო საქციელი ჩაიდინეს, სასტიკად უნდა დაისაჯონ, მაგრამ ვინ გააკეთებს ამას?! ქართველებს მათი დაპატიმრების უფლებას არ მისცემენ, პუტინი და მედვედევი კი ასეთი ცუდი საქციელის გამო, მათ ალბათ დააჯილდოებენ კიდეც. მოკლედ, ახლა ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს ლოთი ოკუპანტები ჩვენს ტერიტორიებს ტოვებენ და ხალხი შვებით ამოისუნთქავს. დანარჩენ ჩვენს პრობლემებს კი მომავალში მოევლება...

ნანა აბესაძე, *ეკონომისტი, 52 წლის:*

— საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, რასაკვირველია, კვლავ რუს ოკუპანტებს უკავშირდება. როგორც იქნა, მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება და ჩვენს ტერიტორიებს ტოვებენ, თუმცა პროკლამაციებს ავრცელებენ და იმუქრებიან, რომ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას მაინც დაამხობენ. სააკაშვილი კარგია თუ — ცუდი, ეს ჩვენი, ქართველების გადასაწყვეტია და არა — პუტინისა და მედვედევის. შესაძლოა, ჩვენც არ მოგვწონდეს და ვიბრძოლოთ მის გადასაყენებლად, მაგრამ რუსეთს რა უფლება აქვს, რომ პრეზიდენტები შეგვირჩიოს?!. მიუხედავად იმისა, რომ მეეჭვება, რომელიმე ქართველს, თუნდაც ხელისუფლების წარმომადგენელს, მათი პუტინი, მედვედევი ან ჟირინოვსკი მოსწონდეს, მათ პოლიტიკაში მაინც არ ვერევით და არ ვკარნახობთ, თუ ვინ უნდა აირჩიონ პრეზიდენტად. ნინო ბურჯანაძეზე ძალიან კარგი წარმოდგენა მქონდა და არ მესიამოვნა, რუსებმა ქართველ ხალხს მომავალ არჩევნებში სწორედ ბურჯანაძის არჩევა რომ „დაავალეს“. შესაძლოა, ეს პროვოკაციაა, მაგრამ ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ბურჯანაძეს მათთან რაიმე კავშირი ჰქონდეს? რა გასაკვირი იქნება?!. უკრაინის პრემიერ-მინისტრი, იულია ტიმოშენკო ხომ ღალატობს თავის ერს და პუტინს შეეკრა!.. მოკლედ, არ ვიცი, მომავალში რა იქნება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება. რუსეთს თავის ადგილას „მოვსვამთ“, საქართველო ნატოს წევრი გახდება და ჩვენი პრეზიდენტი, სააკაშვილი და ბურჯანაძე კი არა, ვინმე უფრო ღირსეული ადამიანი იქნება...

დავით ბარბაქაძე, *ბიზნესმენი, 36 წლის:*

— ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რუსების ჯარს უკავშირდება. კარგია, ჩვენს ტერიტორიებს რომ ტოვებენ, მაგრამ ძალიან ცუდია, კვლავ რომ გვემუქრებიან და წასვლის წინ მაინც ცუდად იქცევიან. ამდენ ხანს საქართველოში იცხოვრეს, ქართველი ხალხის საჭმლითა და სასმლით იკვებებოდნენ, აქედან წაღებულ ქონებაზე ხომ აღარაფერს ვამბობ, — ერთი უნიტაზიც არ დატოვეს და მაინც, კიდევ გვემუქრებიან, მოსახლეობისგან კვლავ სასმელს ითხოვენ, მთვრალები დაეხეტებიან და სამეგრელოში ბავშვის სიცოცხლეც კი შეიწირეს. საზიზღარი პუტინი კი ამ დროს, საკუთარ დაბადების დღეს გრანდიოზულად აღნიშნავს... როგორც გაირკვა, რუსეთის საპატრიარქო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. ოდითგანვე ცნობილი იყო, რომ მეფეებზე მეტი ძალაუფლება პატრიარქებს ჰქონდათ. რატომ არ ემორჩილება რუსეთის ხელისუფლება მათსავე პატრიარქს?!. თუმცა ამაში გასაკვირი არც არაფერია: რუსი ხალხი მორწმუნე რომ ყოფილიყო, ქართულ ეკლესია-მონასტრებს კი არ დაარბევდა... კვირის მნიშვნელოვან მოვლენებს შორის, ჯაბა ბოჯგუას დაპატიმრების ფაქტსაც დავასახელებ. ისე კი, ჩემი აზრით, ბოჯგუა კი არა, ის ადამიანია დასაპატიმრებელი, ვისაც ეგ ფულს სძალავდა. თან, ჩემი აზრით, ეს ფაქტი ტელევიზიით არც უნდა გაეშუქებინათ. რა დამსახურების მიხედვით სარგებლობს ჯაბა ბოჯგუა პოპულარობით?.. უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო, ისეა ჩვენი საქმე...

ავთო ლეჟავა, *პროგრამისტი, 25 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა — ქართველი ფეხბურთელის წარმატება გახლდათ. ლევან მჭედლიძე ჯერ მხოლოდ 17 წლის გახლავთ და უკვე მსოფლიომ გაიცნო. იგი იტალიურ გუნდ „პალერმოში“ თამაშობს და რამდენიმე დღის წინ „იუვენტუსთან“ თამაშის დროს, გადამწყვეტი გოლი გაიტანა! მისი და ლევან ყენიას შემყურეს, სიცოცხლე მიხარია. იმედი მომეცა — იქნებ, ქართულ ფეხბურთს ამ ახალმა თაობამ მაინც უშველოს და საქართველოს ნაკრებმა ძველი დიდება დაიბრუნოს, თორემ ძველი თაობის ფეხბურთელები — მაგალითად, კახა კალაძე — ფულისა და ბიზნესის გარდა, აღარაფერზე ფიქრობენ. იმის გამო, რომ საქართველოში ბევრ ფულს არ უხდიან, ფეხის განძრევა ეზარებათ და მონდომებით არ თამაშობენ. სხვა ქვეყნების გუნდებში კი ბადალი არ ჰყავთ, ყველა მათზე ლაპარაკობს. ეს როგორ შეიძლება?! ფულის გამო, სამშობლოს გვერდში დგომაზე უარს ამბობენ?!.

ელისო ჟყოიძე, *დიასახლისი, 47 წლის:*

— იმაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო რა უნდა იყოს, რუსები საქართველოს ტერიტორიას რომ ტოვებენ?! ძალიან მახარებს ეს ფაქტი, თუმცა ვწუხვარ, რომ გარკვეულ ტერიტორიებს მაინც ვერ დავიბრუნებთ. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი თავგამოდებით იფიცება, აფხაზეთიდან დევნილებსაც და ახალ ლტოლვილებსაც სულ მალე საკუთარ სახლებში დავაბრუნებთო, ხომ ხედავთ, რა ხდება?! რუსები კვლავ გვემუქრებიან და ამბობენ, — ერთი წლის განმავლობაში თქვენს ხელისუფლებას მაინც დავამხობთო. იმასაც დასძენენ, ლტოლვილები აფხაზეთში ვერასოდეს დაბრუნდებიანო. რასაკვირველია, ვერც ლიახვის ხეობის დევნილები დაუბრუნდებიან საკუთარ სახლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი მათთვის ახალი სახლების მშენებლობას არ წამოიწყებდა. ისე, სააკაშვილი ბევრ რამეში ტყუის, მაგრამ ამ შემთხვევაში, ლტოლვილების პოზიცია უფრო არ მომწონს. მთელი ქვეყანა ფეხზე დგას, რომ მათ დაეხმაროს; სად აღარ წამოიწყეს მშენებლობა, რომ მათ ღამის გათენება ზამთარში ქუჩაში არ მოუხდეთ, ისინი კი სახლებს იწუნებენ: ჩვენს სოფელში უკეთესი პირობები გვქონდა და ასეთ, გომურივით სახლებში ვერ ვიცხოვრებთო, — აცხადებენ. ჩემი აზრით, ასეთი ლტოლვილი საერთოდ, არ არის სახლის ღირსი და სულ ქუჩაში უნდა დატოვონ. გასაგებია, რომ უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ ის სახლები ქართველებმა დაუნგრიეს?! სააკაშვილი მათზე ზრუნავს, ისინი კი ცხვირს იბზუებენ და უკეთესის მოლოდინში, კვლავ საბავშვო ბაღებში ცხოვრობენ. გასაგებია, რომ იქ ცხოვრება არსებულმა პირობებმა აიძულა, მაგრამ რა ქნან ჩვენმა შვილებმა, ბაღები რომ აღარ აქვთ და იძულებული არიან, სულ შინ იყვნენ?!. ■

„აფხაზები ჩვენზე უარეს დღეში იმყოფებიან“...

„რუსეთმა ჩვენივე თოკით გაგვკოჭა“...

რუსეთის მიერ ახალაღიარებულ, „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში ახალ მოსახლეებს ელოდებიან. ადგილობრივთა ინფორმაციით, იქ 2011 წლამდე, 150 ათასი რუსის ჩასახლება იგეგმება. მართალია, რუსეთი და ბაღაფშის ხელისუფლება გალის რაიონის „სრული ათვისებით“ არიან დაინტერესებული და ახალ მოსახლეთა უმეტესი ნაწილი სწორედ ამ რაიონში, ქართველების მიერ დატოვებულ სახლებში დაბინავდებიან, მაგრამ გარკვეული ნაწილი სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაშიც მიიღებს საცხოვრებელს.

ლალი პაპასკირი

ზღვისპირეთში ცხოვრების პატივი ძირითადად, რუსი სამხედროების ოჯახებს ექნებათ. მათ ამ ქალაქების ეკონომიკური რეაბილიტაციაც დაევალებათ. აღნიშნულმა გეგმამ, როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვია. ადამიანები შიშობენ, რომ ეს უკვე, მეგობარი რუსეთის „მეგობრული ჯუსტი“ არ არის და ყველაფერი მათი ასიმილაციით დასრულდება. გალის რაიონის მკვიდრი ქართველი, რომელსაც ქართველებსა და აფხაზებს შორის შუამავლის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ამბობს, რომ ეს ნაბიჯი რეალურად, რუსეთისთვის აფხაზეთის მიერთებას ნიშნავს. ამდენი წლის განმავლობაში პირველად, ამაზე აფხაზებიც დაუფარავად ლაპარაკობენ და აფხაზეთში სამოქალაქო ომსაც არ გამორიცხავენ.

ნუგზარ გაბისკირია, *58 წლის, გალის მკვიდრი:*

— თუ რუსეთმა აფხაზეთის ხელმძღვანელობა რუსების ჩამოსახლებაზე დაიყოლია, სულ რამდენიმე წელიწადში ეს რეგიონი საქართველოსი კი არა, რუსეთის იქნება და უკვე კანონიერად. ამას აფხაზებიც კარგად ხვდებიან. თუ რუსეთმა ადგილობრივი ხელისუფლება ამაზე დაითანხმა, აფხაზეთში სამოქალაქო ომი გარდაუვალია, რადგან არიან ძალები, რომლებიც გენოფონდის გადასარჩენად ამ გზას აირჩევენ. თუ ეს არ მოხდა და რუსეთმა და ბაღაფშის ხელისუფლებამ ყველაფერი ჩანასახშივე ჩაახშო, გალსა და დანარჩენ აფხაზეთსაც რუსეთი მიიერთებს. რაც შეეხება გალის რაიონს, ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ რუსების ჩასახლების შემთხვევაში, აქ არც ერთი ქართველი არ დარჩება. ყველამ კარგად იცის, რომ აფხაზეთში მოსკოველ რუსებს არ ჩამოიყვანენ. ეს ხალხი ძირითადად, შორეული ციმბირიდან, იაკუტიიდან, ბაშკირეთიდან და სხვა მსგავსი ავტონომიებიდან იქნებიან. ლაპარაკია კაზაკებისა და ჩეჩნების ჩამოსახლებაზეც... ქართველების საცხოვრებლად უვარგისი სახლების შეკეთება ადგილობრივი ხეტყის გამოყენებით მოხდება, ცარიელ ადგილებზე კი ბარაკის ტიპის სახლების ჩადგმას გეგმავენ, რაც ცხადია, ხეტყის არალეგალურ ბიზნესს გააორმაგებს. ერთი სიტყვით, ბოლო დროს აფხაზეთში განვითარებული მოვლენებიდან კარგად ჩანს, რომ ჟირინოვსკის სულაც არ უხუმრია, როცა თქვა, — ჩვენ ტერიტორიები გვჭირდება, თორემ აფხაზებსა და ოსებს მოსამსახურეებად დავიყენებთო... აქაურებმა კარგად დაინახეს, რასაც ნიშნავს რუსის გვერდით ცხოვრება. მე 17 აფხაზი ნათლული მყავს. ამ ხალხთან კარგი ურთიერთობა მქონდა და დღემდე შემომრჩა. ჩემები ცერად მიყურებდნენ, აფხაზებთან მეგობრობო!.. ასეა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მათ პოზიციას ვეთანხმები და ვამართლებ. მათი ცუდი ყოფა ნამდვილად არ გამახარებს, მაგრამ გაქრობის საშიშროებამ, რუსეთის გააქტიურებამ მათ რეალობა დაანახვა და ვაღიარებ, რომ ეს მსიამოვნებს. მთელმა აფხაზეთმა ნახა, რისთვის დაგვახოცვინეს ქართველებსა და აფხაზებს რუსებმა ერთმანეთი. არადა, რუსს ქართველიც და აფხაზიც ბრიყვს უწოდებდა, ასეა დღემდე... ომის წლებშიც ვეუბნებოდი ჩემს მოყვრებს, — თუ რუსებს დაუჯერებთ, ყველაზე კარგი გვარის აფხაზი (ისინი გვარიშვილობას დღემდე დიდ ყურადღებას აქცევენ) რუსეთის ხელის მოსამსახურე იქნება-მეთქი და ახლა ამას ყოველდღე ვახსენებ. თავის მხრივ, ისინიც მაყვედრიან, — აქ მყოფი ქართველები ჩვენი მფარველობის ქვეშ ხართ და თუ პრობლემები შეგვექმნა, თქვენც ცუდად იქნებითო. ამ 15 წლის განმავლობაში რაღაცნაირად ვინარჩუნებდი სახლ-კარს, მაგრამ როგორც კი ერთი რუსი შემოვა აფხაზეთში, იმ დღესვე დავტოვებ აქაურობას. არ მინდა, ჩემი შვილები მათ გვერდით იზრდებოდნენ...

— აფხაზებიც ამ აზრის არიან?

— ისინი ჩვენზე უარეს დღეში იმყოფებიან. უკვე რამდენიმეს წამოსცდა, — თქვენ წასასვლელი მაინც გაქვთ, ჩვენ ვიკითხოთ, ან ტყეში მოგვიწევს ცხოვრება, ან გავრუსდებითო... ხელისუფლების თქმით, ეს გადაწყვეტილება ხალხის საკეთილდღეოდ მიიღეს, რადგან საფრთხის შემთხვევაში, მტრის

„როშ-დიაგნოსტიკის“ და „მიკროლაიფის“
ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში
გთავაზობთ შვეიცარული წარმოების:
-სისხლში გლუკოზის რაოდენობის
მზომ აპარატებს არჩევანით.
-სისხლის წნევის მზომ აპარატებს,
არჩევანით და ორწლიანი გარანტიით.

გთავაზობთ აპარატებზე უფასო
ტექნიკურ მომსახურებას
შპს „მირკოსთან„ არსებულ
სადიაგნოსტიკო ცენტრში.
მის: თბილისი; პეკინის 15-ის მიდამოები ტერიტორია. აფთიაქი „მირკო“; ტელ: 37-98-73 (24 სთ)

ამდენი წლის განმავლობაში პირველად წამოსცდათ, — თუ უნდათ ქართველებს ჩვენთან ცხოვრება, ახლა უნდა გვიშველონ, რადგან დღეს აფხაზური ეთნოსის გადარჩენის საკითხი დგება

— ამდენი წლის განმავლობაში პირველად წამოსცდათ, — თუ უნდათ ქართველებს ჩვენთან ცხოვრება, ახლა უნდა გვიშველონ, რადგან დღეს აფხაზური ეთნოსის გადარჩენის საკითხი დგება და ქართველებს თავიანთი დანაშაულის გამოსყიდვის ბოლო შანსი ეძლევათო... ფაქტია, რომ ახალ თაობაში გარუსების რეალური საფრთხე არსებობს. რაც უნდა ჭკვიანი და ნიჭიერი იყოს ახალგაზრდა, მას აფხაზეთში პერსპექტივა არა აქვს და ცდილობს, რუსეთში წავიდეს. წარმატების მიღწევის შანსი იქ მეტია. იქ წასული კი უკან აღარ ბრუნდება. მეტიც — ცდილობს, ოჯახიც თან წაიყვანოს. ბევრი წავიდა, სახლი ჯერ გააქირავა, მერე კი — გაყიდა... ამას წინათ ჩემი აფხაზი მეზობლები, კოზმავები წავიდნენ. მთელი წელი ცდილობდნენ სახლის გაყიდვას, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ გააყიდვინა. პირდაპირ არ უთქვამთ, ჩვენ გვინდაო, მაგრამ როგორც ამბობენ, ყიდვის მსურველები გააფრთხილეს... თუ ადრე ბაღაფშის ხელისუფლება აცხადებდა, ქართველები მობრძანდნენ და იცხოვრონ თავიანთ სახლებშიო, ახლა ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. აფხაზები ქართველების სახლებს შლიან და იქიდან წამოღებული მასალით ენგურზე ე.წ. კედელს აშენებენ, თუმცა უკვე თვითონაც ხვდებიან, რომ ძალიან მალე საკუთარი ხელით მოუწევთ ამ კედლის დანგრევა.

ჩვენი რესპონდენტის დახმარებით, უბრალო აფხაზების პოზიციასაც გავეცანი. ამდენი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა აფხაზი რუსეთის ზრახვებსა და ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს არ ეთანხმება.

ოთარ ჯვიტინა, *64 წლის:*

— 150 ათასი რუსის ჩამოსახლება, პრაქტიკულად, ჩვენი ერის ასიმილაციას ნიშნავს და ჩვენ ამას არ მოვითმენთ... წლების განმავლობაში მათთან ახლო ურთიერთობამ ბევრი რამ გვასწავლა. კარგად ვიცი, თუ რა სწრაფად მრავლდებიან. მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ ალბათ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე უნდა გამომეცადა, ქართველსა და რუსს შორის შედარება რომ გამეკეთებინა... სულ გვეუბნებოდნენ, — ქართველები, თქვენთან შედარებით, მათხოვრებივით ცხოვრობენ, თორემ აქაური ქართველობა აფხაზეთში აღარ გაჩერდებოდაო. მართლა ასე მეგონა, მაგრამ მერე, ომის დროს, ზუგდიდში ვიყავი ჩასული და ჩემი თვალით ვნახე ქუჩები, სახლები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები... ჩვენ კი იმ დონეზე დავრჩით, რომელზეც საბჭოთა საქართველოს დროს ვცხოვრობდით. რუსეთს არ უნდა, ცხოვრების უკეთესი პირობები გვქონდეს. იციან, რომ სხვისი ხელის შემყურე და მათზე დამოკიდებულები, უფრო ადვილი სამართავები ვართ. უცოდინარობამ და გამოუცდელობამ მიგვიყვანა აქამდე. ქართველებსა და აფხაზებს ჭკვიანი ხალხი რომ გვყოლოდა სათავეში, ომი არ მოხდებოდა. ვნანობ ყველაფერს, მაგრამ არ ვიცი, რამდენად დროულია ჩემი სინანული. რუსეთმა ჩვენივე თოკით გაგვკოჭა.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ახლა ამაზე ლაპარაკი ძნელია. ვერ გეტყვით, საქართველოში დაბრუნებაზე ვოცნებობ-მეთქი... ქართულმა მხარემ ჩვენი დაბრუნების შანსი უკვე დაკარგა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვენს ხალხთან ლაპარაკი შეიძლებოდა. ახლა ჩვენს დასაბრუნებლად, ერთი გზა არსებობს — ქართული და აფხაზური ხელისუფლების შეცვლა. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ კარგად ნახა, თუ რა მოუტანა მას ეთნიკური უმცირესობის გათამამებამ და ამ შეცდომას სხვა დროს აღარ გაიმეორებს...

— გამოდის, მაშინდელი პირობებით უკმაყოფილო არ ყოფილხართ...

— დღევანდელობასთან შედარებით — კი... როგორც ვიცი, აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას აპირებენ. მე ვესაუბრე სერგეი ბაღაფშის ოპოზიციას და ისინი შეძრულნი იყვნენ პრეზიდენტის მოღალატეობრივი პოლიტიკით. კონსტიტუციის თანახმად, ყველას უფლება დაცულია, ეთნიკურად აფხაზის გარდა. ჩვენ ისედაც უმცირესობაში ვართ და ამ მუხლების ამოქმედების შემდეგ, საერთოდ დავიკარგებით... როცა რუსეთი საქართველოს ბომბავდა, მთელი მსოფლიო დაგიდგათ გვერდში, მაგრამ ჩვენ თითო-თითოდ რომ გავწყდეთ, ხმის ამომღები არავინ არის.

— არც ისე დიდი ხნის წინ თქვენი ხელისუფლება აცხადებდა, — აფხაზმა ერმა არჩევანი გააკეთა და ის რუსეთის არჩევანია...

— დიახ, არც მაშინ გვქონია დიდი არჩევანი, თან ეს, ხალხის კი არა, ხელისუფლების არჩევანი იყო... აფხაზი ახლა ისეთი დაჩაჩანაკებულია, როგორც არასდროს. ადამიანს, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია, ყოველდღიური სოციალური პირობები მოუგვარებელი აქვს, ეროვნულ ფასეულობებს ვერ მოსთხოვ... ბოლო დროს აფხაზეთში ყველაფერი თავდაყირა დადგა. ის „გადატენილია“ რუსული სამხედრო ბაზებით. ამბობენ, ქართველებისგან გიცავთო და შემოგვისახლეს. ყოველი მეორე, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობს, გაეროს თანამშრომლებთან შეკრული არიან და აქაურობა კრიმინალების ბუდედ აქციეს... ყველა ცდილობს, შვილი აქაურობას გაარიდოს, რადგან ან ნარკომანი იქნება, ან — კრიმინალი. ჩვენს საჭმელს ჭამენ, თან დაგვცინიან კიდეც, — დიდი ვერაფერი სამზარეულო გაქვთო... ახლა გვეუბნებიან, — ქართველების ნასახლარებზე ჩვენს ხალხს ჩაგისახლებთ, ასე უფრო მშვიდად იქნებითო. ჯერ სამხედროებით გვაიმედებდნენ, — ესენი თქვენს დასაქმებაზე იზრუნებენო... 90-იან წლებში სანათესავოს მესამედი დამეხოცა. ისინი დამოუკიდებელი აფხაზეთისთვის იბრძოდნენ და მაშინ ყველას ბრმად გვჯეროდა, რომ მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა. ჩვენს ხალხს უფლება არა აქვს, მათ სულებს პატივი არ სცეს. იმათ რუსეთის კეთილდღეობისთვის არ უბრძოლიათ... ამას წინათ გვითხრეს, — ოღონდ თქვენ მოინდომეთ და საქართველოს საზღვარზე ასაშენებელი კედლის მასალას ერთ საათში შემოვიტანთო. მერე გადაიფიქრეს, — დაშალეთ ქართველების სახლები და იმ მასალით ააშენეთ, თორემ საერთაშორისო საზოგადოება და ქართული მხარე ყიჟინას დასცემენ, — არიქა, რუსული მასალით შენდება კედელიო!.. თუ ეს დანაშაულია, მაშინ მთელ აფხაზეთში სამხედრო ბაზების მშენებლობა რაღა არის?.. ■

„ამჟამად ჩვენ წაგებული ვართ... ამ ეტაპზე, მოვლენების გააზრების სტადიაა...“

სტრასბურგში ევროპის საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია ხელისუფლებასა და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის ახალი დაპირისპირების საგნად იქცა. „რესპუბლიკელებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს ამ დოკუმენტის მე-5 პუნქტზე, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველო ე.წ. სამხრეთ ოსეთს გაუფრთხილებლად დაესხა თავს. რეზოლუციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ რუსეთმა განახორციელა კონტრშეტევა. რატომ მივიღეთ ფაქტების ასეთი კონსტატაცია და შეიძლებოდა თუ არა საქართველოსათვის უკეთესი შედეგის მიღწევა? — ამ და სხვა კითხვებს ევროპასაბჭოში საქართველოს დელეგაციის წევრი, ელენე თევდორაძე და „მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი, მანანა ნაჭყებია უპასუხებენ.

ხათუნა ბახტურიძე

— ქალბატონო ელენე, რატომ ვერ შეძლო ქართულმა დელეგაციამ იმის დამტკიცება, რომ რუსეთის კონტრშეტევა კი არ განუხორციელებია, არამედ საქართველოს მაშინ დაესხა თავს, როდესაც ჩვენი ხელისუფლება ოსური ბანდფორმირებებისგან საკუთარ მოქალაქეებს იცავდა?

— მომხსენებელი, მათიას იორში ამბობდა, რომ ომი 7 აგვისტოს არ დაწყებულა და მოითხოვდა იმ მოვლენების გაანალიზებას, რომლებიც აპრილში დაიწყო, მაგრამ აუცილებელი იყო კონსენსუსის მიღწევა. ამ მიზეზით დაფიქსირდა დოკუმენტში, რომ რუსეთმა კონტრშეტევა განახორციელა. იქვე ჩაიწერა: ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ვერ ვთანხმდებით და ომის წამოწყებას ერთმანეთს ვაბრალებთ, ამიტომ ეს ყველაფერი საგამოძიებო კომისიამ უნდა გამოიკვლიოსო.

— რეზოლუციაში კასეტური ბომბების გამოყენებაში მხოლოდ ქართული მხარეა დადანაშაულებული. რატომ არ არის აღნიშნული, რომ ასეთივე ბომბები რუსეთმაც გამოიყენა?

— ჩვენ ვაღიარეთ, რუსეთმა კი — არა.

ავტოსკოლა „ნიკე“ ვაკეში

DRIVING SCHOOL „NIKKE+“

მის: ბარნოვის ქ. №73
(I სადარბაზო, ხიდთან)

☎22-79-53; 899-133-444
22-62-24 (საღამოს)

— ეს ქართული დელეგაციის არაკვალიფიკაციური მუშაობის შედეგი ხომ არ არის?

— სიმართლე რომ გითხრათ, არც საქართველოს და არც რუსეთის მონაწილეობა არ მიუღიათ ჟენევის მოლაპარაკებებში, რომელზეც კასეტური ბომბების გამოყენება აიკრძალა. ამიტომ ამ ბომბების გამოყენებით, ჩვენ კონვენცია არ დაგვირღვევია. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი პირადი შეხედულებით, ეს არაჰუმანური საქციელი იყო.

— მაშინ, რუსეთს რისთვის დასჭირდა ამ ფაქტის უარყოფა?

— ევროსაბჭოს სხდომაზე რუსეთის წარმომადგენლები არაადეკვატურები იყვნენ. ზიუგანოვმა ისიც კი განაცხადა, რომ საქართველომ რუსეთის ტერიტორიაზე დაიწყო ომი. მარკოვის აზრით, ახლა აფხაზეთსა და ცხინვალში ქართველი კრიმინალები დათარეშობენ.

— თქვენ ამ რეზოლუციით კმაყოფილი ხართ?

— ვერ გეტყვით, რომ აღფთოვანებული ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ სხვა პროექტებთან შედარებით, საუკეთესოა. ჩემი პირველი ვარიანტი მაშინ წავიკითხე, როდესაც ჯერ კიდევ მონიტორინგის კომიტეტის წევრის სტატუსით, 11 სექტემბერს პარიზში ჩავედი. დოკუმენტი მართლაც, არაობიექტური იყო და დღევანდელი ვარიანტისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ძალიან მიკვირს, რომ ლევან ბერძენიშვილი გვაკრიტიკებს, ის 4 წლის განმავლობაში იყო ევროპული საბჭოს დეპუტატი და ყველაზე კარგად იცის, თუ როგორ ხდება ასეთი დოკუმენტების მიღება. იმასაც შეგახსენებთ, რომ რუსეთის დელეგაცია ითვლის 20 ადამიანს, ჩვენი კი — 5-ს და რუსებს ჩვენზე მეტი გავლენა აქვთ ევროსაბჭოს დეპუტატებზე (ოღონდ არა ქვეყნებზე), რომლებსაც თავიანთი ბიზნესინტერესები აქვთ რუსეთში. გაოცებული ვარ ოპოზიციის დამოკიდებულებით, როდესაც ისინი ამ რეზოლუციის მხარდაჭერას შეცდომად გვითვლიან. დოკუმენტში რამდენიმე ისეთი პუნქტი ჩაიწერა, რომელიც საქართველოს სასარგებლოდ იმუშავებს. რაც მთავარია, იქ წერია, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე.

— ლავროვის უწყებამ უკვე განაცხადა, რომ აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას არ შეცვლის.

— რა თქმა უნდა, არ შეცვლის. მოსკოვი არც მედვედევი-სარკოზის ხელშეკრულებას შეასრულებს და 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებსაც არ დაუბრუნდება.

— მაშინ, რატომ ხართ კმაყოფილი?

— იმიტომ, რომ მომავალი წლის იანვარში, როდესაც ევროსაბჭო შეიკრიბება და უკვე მიღებული რეზოლუციების საკითხს განიხილავს, აღმოჩნდება, რომ საქართველომ ყველა მითითება შეასრულა, რუსეთმა კი — არც ერთი. ამის შედეგად რუსეთს სანქციებს დაუწესებენ.

— იანვარში ევროპელი დეპუტატების ბიზნესინტერესები და რუსი დეპუტატების გავლენა აღარ იმოქმედებს?

— იმოქმედებს, მაგრამ მაინც უმცირესობაში იქნებიან. იმედი მაქვს, რომ ამერიკა და ევროპა საქართველოს, არსებული პრობლემების წინაშე მარტო აღარ დატოვებს.

— ქალბატონო მანანა, თქვენი აზრით, ამ რეზოლუციისთვის საქართველოს დელეგაციას მხარი არ უნდა დაეჭირა?

— არა, ასე არ ვფიქრობ. ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე შეიძლებოდა. მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს რეზოლუცია ხელისუფლებისათვის განაჩენის გამომტანი იყო...

— რას გულისხმობთ?

— ამ რეზოლუციის მხარდაჭერით, ხელისუფლებამ აღიარა ის, რაშიც ჩვენ 9 სექტემბერს დავადანაშაულეთ — ანუ სააკაშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც ცხინვალის შტურმით აღება გადაწყვიტა. რაც შეეხება სხვა საკითხებს: რეზოლუციის ზოგიერთ პუნქტში რუსეთი მართლაც, მწვავედ არის გაკრიტიკებული, მაგრამ ამავე დოკუმენტში რუსეთთან ერთად, საქართველოც არის დადანაშაულებული ომის წამოწყებაში.

— ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეები ბანდფორმირებებისგან არ უნდა დაეცვა?

— ყურით მოთრეული მიზეზია, თითქოს ჩვენმა ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი საკუთარი მოქალაქეების დასაცავად გადადგა. თუ სააკაშვილს ამ პრობლემის მოგვარება მართლაც უნდოდა, ცხინვალის რეგიონიდან ქართველების ევაკუაცია უნდა მოეხდინა და მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ რუსეთი ოსების ხელით ახორციელებს აგრესიას. სამწუხაროდ, ჩვენს პრეზიდენტს ცხინვალის დაბრუნება მხოლოდ პიარ-კამპანიისთვის სჭირდებოდა. მის გაუთვლელ ნაბიჯებსა და ამბიციებს კოდორისა და ახალგორის დაკარგვა მოჰყვა. რაც ყველაზე სამწუხაროა, ქართველების სისხლი დაიღვარა. ხელისუფლება, რომელიც თავის ქვეყანას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, უნდა გადადგეს. ბოლო პერიოდში, ვინც საქართველოში ჩამოდის, ხავიერ სოლანას ჩათვლით, ყველა აცხადებს, დემოკრატიის დამკვიდრებაზე უნდა იზრუნოთო. ეს იმიტომ, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ყოველთვის პროგნოზირებადია. საქართველოსგან მსოფლიომ, აგვისტოს მოვლენების დროს, სიუპრიზი სწორედ იმიტომ მიიღო, რომ სააკაშვილის სახით, გვყავს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც არც პარლამენტს ეკითხება რამეს და არც სხვის აზრს ითვალისწინებს. თუ ასე გაგრძელდა, მსოფლიოს მხარდაჭერას დავკარგავთ. კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც ძალინ გვჭირდებოდა გონივრული გადაწყვეტილებების მიღება, ხელისუფლებამ ყველაზე დიდი შეცდომები დაუშვა.

— „ახალი მემარჯვენეები" კრიზისის დასაძლევად, რა ნაბიჯებს გადადგამდნენ?

— „ახალ მემარჯვენეებს" პრორუსულობას ვერავინ დაგვწამებს, მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთის ფაქტორის უგულვებელყოფამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ახლა მაინც უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან საერთო ენა გამოვნახოთ და ჩვენი პრობლემები, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, მოვაგვაროთ.

პოლიტოლოგმა, რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა **ზურაბ აბაშიძემ** *ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია მნიშვნელოვან დოკუმენტად შეაფასა. მისი აზრით, დეპუტატებმა საქართველოსაც მიუთითეს სერიოზულ შეცდომებზე, მაგრამ ძირითადი აქცენტი რუსეთის უკანონო ქმედებებზე გააკეთეს. გარდა ამისა, რუსეთს, ვითარების გამოსასწორებლად, კიდევ ერთი შანსი მისცეს.*

— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ რუსები აცხადებენ, საქართველოზე კონტრშეტევა განახორციელეთო, და იმას, რომ კასეტური ბომბების გამოყენებას უარყოფენ?

— რუსები ადრე იმასაც უარყოფდნენ, რომ ჩვენს ტერიტორიას ბომბავდნენ. ეს მათთვის ჩვეულებრივი ამბავია. რაც შეეხება კონტრშეტევას, — ბუშიც იმას ამბობდა, — მოსკოვის ქმედება „გადაჭარბებული პასუხი" იყოო. სიტყვა „პასუხის" ამ კონტექსტში მოხსენება, იურიდიული თვალსაზრისით, იმას ნიშნავს, რომ არსებულ კონფლიქტში ნაწილობრივი პასუხისმგებლობა ჩვენც გვეკისრება.

— როგორ ფიქრობთ — ასეთი რეზოლუცია გარკვეულწილად, ჩვენი დელეგაციის არაეფექტური მუშაობის შედეგიც ხომ არ არის?

— სამზარეულოს არ ვიცნობ, ამიტომ დელეგაციის მუშაობას ვერ შევაფასებ, მაგრამ რეზოლუცია ცუდი არ არის. ჩვენ შეიძლება, მეტი გვინდოდეს, მაგრამ ევროპას თავისი პრობლემები აქვს და ამ საკითხს უფრო გლობალურ ჭრილში განიხილავს. ვერა და ვერ გამოვედით ინფანტილიზმიდან: სულ საოცრებას ველით; გვინდა, რომ ერთი ხელის მოსმით, ყველა ჩვენი პრობლემა გადაწყდეს. ჯერ შარში გავებმებით და მერე პრობლემების მოგვარებას ერთ დღეში ველით...

— თქვენი აზრით, 8 აგვისტოს ქართულ მხარეს უნდა წამოეწყო თუ არა სამხედრო ოპერაცია, ცხინვალის რეგიონში ქართული მოსახლეობის დასაცავად?

— სოლიდურმა და დამოუკიდებელმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ ვინ დაიწყო სამარი მოქმედება. რამდენადაც ვიცი, ქართულ მხარეს აქვს მონაცემები, რომ რუსებმა ჯარი იქ ჯერ კიდევ 7 აგვისტომდე შეიყვანეს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, საომარი მოქმედებების წარმოებასთან დაკავშირებით, ბევრი სერიოზული კითხვა ჩნდება და ეს კითხვები პასუხებს ითხოვს. ჩემი აზრით, მთავარი კითხვაა — რატომ მივიყვანეთ რუსეთთან ურთიერთობები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დონემდე? რატომ ვერ გავითვალისწინეთ ეს საფრთხე? რუსეთთან, ჩინეთთან ან ამერიკასთან საომარი დაპირისპირების შემთხვევაში, ჩვენ ყოველთვის წაგებული დავრჩებით — ეს აქსიომაა. აქამდე არ უნდა მივიყვანოთ საქმე.

— ოპოზიცია აცხადებს, რომ შესაძლოა, საქართველოს მხარდამჭერთა რიცხვი თანდათან შემცირდეს. თუ იზიარებთ ასეთ ვარაუდს?

— ამაში ოპოზიციას ნამდვილად ვერ დავეთანხმები. მართალია, დასავლეთი ჩვენც გვაკრიტიკებს, მაგრამ იმავდროულად, ძალზე სერიოზულ დასკვნებს აკეთებს რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით, რადგან ასე ვთქვათ, გეოსტრატეგიულ ჭრილში, რუსეთი მთავარი დამნაშავეა ამ კონფლიქტში. რუსეთს კი ნიკარაგუის, „ჰამასისა" და „ჰეზბოლის" გარდა, მხარდამჭერი არ ჰყავს. მაგრამ დასავლეთის მიერ ჩვენი მხარდაჭერა არ არის უპირობოდ მარადიული. თუ შეცდომებს ვერ გამოვასწორებთ, ეს დახმარებაც გაქრება და მაშინ გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიის გაძლიერების პრობლემას უნდა მივხედოთ. ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად იცის, თუ რა მოეთხოვება მას.

— თქვენი აზრით, თუ ევროსაბჭოს მითითებები რუსეთმა ისევ არ შეასრულა, მოვლენები როგორ განვითარდება?

— გარწმუნებთ, რომ არ შეასრულებს. რუსეთი აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ჯარს ჯერჯერობით არ გაიყვანს. არც სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებაზე შეცვლის გადაწყვეტილებას.

— არც კოდორიდან და ახალგორიდან გავა?

— ძალიან არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ ახლო მომავალში არ გავა. ჩინელები ამბობენ: დათვი პირში რამეს რომ ჩაიდებს, მერე უკან აღარ აგდებსო. ურთულესი დიპლომატიური სამუშაო გვექნება შესასრულებელი, რომ ეს ტერიტორიები დავიბრუნოთ. ვითარება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე 8 აგვისტომდე იყო.

— ასეთ შემთხვევაში, ევროსაბჭოს პასუხი როგორი იქნება?

— ევროსაბჭოს ჯარი არ ჰყავს, რუსეთს თავს ვერ დაუსხმება. მაგრამ რაც შეუძლია, იმის მაქსიმუმს გააკეთებს, ზეწოლის ყველა იმ ფორმას გამოიყენებს, რომელიც მის არსენალშია. ახლა მთელ დასავლეთში — ამერიკაში, ევროკავშირისა და ნატოს წვერ ქვეყნებში, უმსხვილეს საექსპერტო ცენტრებში აანალიზებენ მოვლენებს და ფიქრობენ, რა მექანიზმები აამოქმედონ რუსეთზე გავლენის განსახორციელებლად. ამ ეტაპზე, მოვლენების გააზრების სტადიაა, ახალი პროგრამა და ახალი გეგმა ჯერ არ არსებობს. ამიტომ ჩვენი იმედი, რომ ევროპის საბჭო სასწაულს მოახდენს, რუსებს მათ ტანკებში ჩასვამს და აფხაზეთს ან ცხინვალს დააბრუნებინებს, არარეალურია. ამ კონფლიქტის ირგვლივ დიდი, მასშტაბური ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება, თუმცა ამჟამად ჩვენ წაგებული ვართ. მაგრამ ჩემი აზრით, რაღაც ეტაპზე, რუსეთს მაინც მოუწევს უკან დახევა. თუ როდის და რის შედეგად მოხდება ეს, ამის თქმა ჯერჯერობით რთულია.

ღალუპულთა ოჯახების დასახმარებლად...

Донецкое областное общество грузин «Руставели»

Донецьке обласне товариство грузин «Руставелі»

Украина, 83014, г. Донецк-14, пр. Дзержинского, 45/12

Тел. (095) 208-10-80
Тел./факс (0622) 334-35-45

от 29.09.2008 г. № 35

на № _____ от _____

Журнал «Гза»
главному редактору
г-ну З. Абашидзе

Господин Зураб!

Донецким областным обществом грузин «Руставели» принято решение (постановление №2 от 26.08.08г.) оказать помощь семьям, пострадавшим в российско-грузинском конфликте в Южной Осетии.

Из Вашего журнала №38 (статья «Погиб от снайперской пули единственный сын») нам стало известно, что защитник Родину погиб 31-летний Кахи Тавгорошвили, отец троих детей.

При возможности просим Вас переслать наше глубокое соболезнование семье погибшего и просим Вас сообщить адрес семьи Тавгорошвили (индекс, адрес, Ф.И.О. одного из членов семьи, контактный телефон), для которой общество грузин «Руставели» адресно направит денежную помощь.

Мы будем благодарны Вам и за другую информацию о семьях погибших в российско-грузинском конфликте (индекс, адрес, Ф.И.О. одного из членов семьи, контактный телефон).

С уважением,

президент Донецкого областного общества грузин «Руставели», заслуженный работник физической культуры и спорта Украины

И.А. Мачавариани

ამ დღეებში „გზის“ ელექტრონულ ფოსტაზე მოვიდა წერილი უკრაინაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისგან, რომლებიც გვწერენ:

„დონეცკელ ქართველთა საოლქო საზოგადოებას – „რუსთაველი“ – გადანყვეტილი აქვს, დახმარება გაუნიოს იმ ოჯახებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაზარალდნენ.

თქვენი ჟურნალის №38-ში გამოქვეყნებული ნერილიდან („სნაიპერის ტყვიით განგმირული დეედისერთა ბიჭი...“) შევიტყვეთ, რომ სამშობლოს დაუვისას, სამი შვილის მამა, 31 ნლის კახა თავგორაშვილი დაიღუპა.

გთხოვთ, შესაძლებლობისთანავე, გადასცეთ დაღუპულის ოჯახს ჩვენი ღრმა სამძიმარი და შეგვატყობინოთ თავგორაშვილების მისამართი (საფოსტო ინდექსი, ოჯახის ერთ-ერთი ნევრის გვარ-სახელი, ტელეფონის ნომერი), რათა ქართველთა საზოგადოება „რუსთაველს“ მიეცეს საშუალება, გაუგზავნოს მათ მიზნობრივი ფულადი დახმარება.

ასევე მადლიერი ვიქნებით, თუ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს დაღუპული სხვა ადამიანების შესახებაც მოგვანვდით ინფორმაციას (ინდექსი, მისამართი, ოჯახის ნევრის გვარ-სახელი, საკონტაქტო ტელეფონი).

პატივისცემით – დონეცკელ ქართველთა საოლქო საზოგადოება „რუსთაველის“ პრეზიდენტი ი. მაჭავარიანი“.

ბუნებრივია, ჩვენ უმალ შევეხმიანეთ ჩვენს თანამემამულეებს, მადლობაც მოვახსენეთ და მათი თხოვნაც შევასრულეთ.

„ჩემმა მეგობარმა, „ჯარისკაცმა“ ქალებმა ბრძოლაში თავი გამოიჩინეს“

ჯულიეტა გოგიძე

ლტოლვილად ქცეული ჯულიეტა გოგიძე ინტერვიუზე ძლივს დავითანხმე. მეუბნებოდა — შენ მე სამსახურს დამაკარგვინებო! ბოლოს, როგორც იქნა, დავარწმუნე, რომ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებას არ ვთხოვდი... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გაგიმხელთ: ჯულიეტა „ჯარისკაცი“ ქალი გახლავთ და აგვისტოში, გორის საინჟინრო ბრიგადის ტაქტიკურ განყოფილებაში, საიდუმლო საქმის მწარმოებლის მოვალეობას ასრულებდა...

ეთო ყორღანაშვილი

— 10 წელი სანქტ-პეტერბურგში ვიცხოვრე. იქ 7 წლის მანძილზე, გალელი მეგრელების მაღაზიაში ადმინისტრატორად ვმუშაობდი. პარალელურად, მეორე სამსახურიც მქონდა — მარნეულელი აზერბაიჯანელების — სულიმანოვების კაფეშიც ადმინისტრატორის ფუნქციას ვასრულებდი. გარდა ამისა, საღამოობით ნამცხვრებს ვაცხობდი და მაღაზიებში ვაბარებდი... თავდაუზოგავად ვშრომობდი, რადგან ჩემს ოჯახს ასე სჭირდებოდა — დედ-მამა ავად მყავდა... საქართველოში 4 წლის წინ, საპატრულო პოლიციაში მუშაობის დაწყების შანსი მქონდა, მაგრამ მშობლიურ კუთხეში შექმნილმა სიტუაციამ ხელი შემიშალა — დიდი ლიახვის ხეობა იბომბებოდა (მაშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრი — ირაკლი ოქრუაშვილი იყო). ჩემი სოფლიდან, ძარწემიდან ქალები და ბავშვები სამშვიდობოს გაჰყავდათ. 1 თვის მანძილზე ლტოლვილი ვიყავი. იმ დროს საპატრულო პოლიციაში 2 გამოცდა უკვე ჩაბარებული მქონდა, შემდეგ კი, როგორც გითხარი, ყველაფერი აირია: საბუთები სახლში დამრჩა, დიდი ლიახვის ხეობაში შესვლას ველარ ვახერხებდი; მამაჩემს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა; ამას დედის ავადმყოფობაც დაერთო — ოპერაცია გაუკეთეს და ქვედა ქუთუთო მოჰკვეთეს... ჩემთვის მშობლების სიცოცხლე, ყველასა და ყველაფერზე ძვირფასი იყო, ამიტომაც, მესამე გამოცდაზე აღარ გავსულვარ. ამ გამოცდაზე ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება უნდა გამევლო, მე კი ისეთ დღეში ვიყავი, რომ 5 მეტრის გარბენის თავიც აღარ მქონდა... სამწუხაროდ, მამა ცოცხალი აღარ მყავს. ის არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ლექსებს წერდა. ვახუშტი კოტეტიშვილთან, ლეილა აბაშიძესთან და ბევრ სხვა ცნობილ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა. საოცრად მორწმუნე კაცი გახლდათ. აღდგომის დღესასწაულზე გარდაიცვალა. ამაღლების დღეს მისი ორმოცი იყო, გიორგობას კი — წლისთავი..

— გორის საინჟინო ბრიგადაში როგორ მოხვდით?

— ბავშვობიდან ბიჭებთან ვმეგობრობ, დაქალი არასდროს მყოლია. ზოგიერთი გოგონასგან განსხვავებით, დაქალის ღალატი არასდროს განმიცდია. სამაგიეროდ, კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს ძმაკაცობა! შესაძლოა, ბევრი, ქალისა და მამაკაცის მეგობრობას ეჭვის თვალით უყურებს, მაგრამ მე უამრავი ძმაკაცი მყავს... თავდაპირველად, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ იმ პერიოდში, 1989 წელს, ქალს სამხედრო ფორმა რომ ჩაეცვა, ცუდ ტონად ჩაუთვლიდნენ. ხალხს ჯარში და მილიციაში მომსახურე ქალებზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდა, მე კი ყოველთვის მინდოდა, რომ დაზარალებულს დავხმარებოდი, დამნაშავე — სამართალდამცველებისთვის ჩამებარებინა... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხედრო სამსახურს აზრი არც ჰქონდა — საშინელი განუკითხაობა იყო!.. ვიფიქრე კიდეც, — კიდევ კარგი, სამხედრო სამსახური არ ავირჩიე-მეთქი... და მაინც, ჩემში ვაუკაცურ თვისებებს უფრო ვხედავდი, ვიდრე ნაზი ქალისას. შარშან ნათლულისგან შევიტყვე, რომ ოცნების ახდენის შანსი მეძლეოდა — მან პეტერბურგში დამირეკა და მახარა: სასწრაფოდ საქართველოში დაბრუნდი, ჯარში მიღება გამოცხადდა — გორის საინჟინრო ბატალიონი ყალიბდებაო! 8 ნოემბერს გორის, ამჟამად უკვე საინჟინრო ბრიგადაში, ბატალიონის მეთაურთან — ბატონ დავითთან მივედი, თან ჩემი დიპლომები მივიტანე.

ჩემი თანამშრომლები ოჯახის წევრებივით მიყვარს

— რა განათლება გაქვთ მიღებული?

— გავლილი მაქვს „წითელი ჯვრის“ ერთწლიანი სამედიცინო კურსები; წითელ დიპლომზე დავამთავრე ქურთის სამედიცინო-სახალხო უნივერსიტეტი; ვსწავლობდი ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, საბუღალტრო განხრით, ასევე — ცხინვალის სახელმწიფო-პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ლენინგრადის ინსტიტუტშიც ვსწავლობდი, მაგრამ რომ დავამთავრე, უკვე სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი ერქვა... კიდევ, მასაჟისტის კურსებიც გავიარე და კომპიუტერსაც კარგად ვფლობ (*იცინის*)... ბატონმა დავითმა ოჯახური მდგომარეობის შესახებ რომ მკითხა, ვუპასუხე: არ ვიცი, როგორ ამბობენ — შინაბერა თუ „სტარაი სტერვა“-მეთქი (*იცინის*)... მითხრა: ოჯახის შექმნა როდისღა უნდა მოგესწრო? ამდენი დიპლომი შეგიგროვებიაო!.. მაინც ვფიქრობდი, რომ სამხედრო სამსახურში არ მიმიღებდნენ, რადგან ქართული იერი სულ დაკარგული მქონდა: თმა — წითელ-ყვითელ ფერებში შეღებილი, ფრჩხილები — გაკეთებული... თან ძალიან თეთრი ვიყავი — პეტერბურგში მზეს თვეობით ვერ ვხედავდი... მოგვიანებით, ოსიაურის საწვრთნელ ბაზაზე გამგზავნეს, ჩვენი ბატალიონი დაიშალა და ხელვაჩაურის ბრიგადას შევუერთდი, რომელიც მე-5 ქვეით ბრიგადად გადაკეთდა. იქიდან გორის საინჟინრო-ტაქტიკურ ბატალიონში მოვხვდი. საშინელებას, რომელსაც ომი ჰქვია, ოსიაურის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდი. თავდაპირველად, არ მეგონა, საქმე თუ ასე სერიოზულად იყო — განგაში წინათაც ყოფილა, მაგრამ... ვერ წარმოვიდგენდი, თუ რუსეთი ასე გაგვწირავდა!

— ბრძოლის ველზე თქვენც იყავით?

— გული დამწყდა, რომ არ ვიბრძოდი, მაგრამ სამხედრო ბაზაზე ჩემი ყოფნა აუცილებელი იყო. ასეულის მეთაური, ასეულის მეთაურის მოადგილე, სერჟანტი და საქმის მწარმოებლები — სახლის ოთხი კუთხესავითაა. თუ ეს „ოთხი კუთხე“ კარგად დგას, „ზნაჩიტ“, ასეულს ყველაფერი კარგად აქვს!..

მე საიდუმლო საქმის მწარმოებლის ფუნქციას ვასრულებდი. წარმოიდგინე, ჟურნალისტი და ოპერატორი: ჟურნალისტი კადრში ჩანს, ამ დროს კი შესაძლოა, ოპერატორი უფრო დიდი რისკის ქვეშ იდგეს. დაახლოებით, მეც ოპერატორის როლი მაქვს ჯარში. ომის დროს ჩემს საქმეს ვაკეთებდი, რაც სამხედრო საიდუმლოებაა. ამიტომ, უნდა მაპატიო — ვერაფერს გეტყვი...

— რუსმა ოკუპანტებმა სამხედრო ბაზების დაბომბვა რომ დაიწყეს, სად იმყოფებოდით?

— მათთვის წინააღმდეგობის გაწევასა და თავის გაწირვას აზრი აღარ ჰქონდა. იძულებული გავხდით, დავფანტულიყავით. წამითაც არ მიგრძნია შიში!.. ჯარში ქალი და კაცი არ არსებობს, ჯარში ყველა — კაცია! ჩემს ძმაკაცებზე უფრო ვზრუნავდი, რომ მათი შვილები, დედები უპატრონოდ არ დარჩენილიყვნენ... ჩემი თანამშრომლები ოჯახის წევრებივით მიყვარს. ჩემს მობილურ ტელეფონს რომ გადახედო, ნახავ, თანამშრომლების სახელები როგორ მიწერია: ბახვა-ძმა, ქორიძე-ძმისგული, დიმა-ძმა (*იცინის*)... რუსების არასდროს შემშინებია და სამშობლოს დასაცავად, ყოველთვის მზად ვარ! ჩემი თვალით ვიხილე, როგორ ჩამოყარა რუსულმა თვითმფრინავმა ბომბები ქარელში, შემდეგ — წედისში. მერე წედისს წრე შემოარტყა და ბომბი გორიჯვარში ჩამოაგდო. ეს ყველაფერი ისე მკაფიოდ დავინახე, როგორც ახლა შენ გხედავ!.. ხაშურში გავიქეცით, რადგან გორისკენ გზა ჩაიკეტა. ხაშურში სრულიად უცნობმა ოჯახებმა — ხაჩიძეებმა და ღამბაშიძეებმა შეგვიფარეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი! რუსებმა მძიმე ტექნიკა რომ შემოიყვანეს, მეგონა, ხაშურიც იმ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, როგორშიც ბორჯომის გზა: ბორჯომთან 6 ტანკი იდგა. რუსები მოპარული ქართული ფულის „პაჩკებით" მაღაზიებში შედიოდნენ, არყის ფასი არ იცოდნენ და გამყიდველებს 50-ლარიანებს აწვდიდნენ. ყველაფერს „კეთილსინდისიერად" ყიდულობდნენ... მშვიდობიან მოსახლეობას აფრთხილებდნენ, — თუ არ გსურთ, თქვენთან მოვიდეთ და საჭმელი გთხოვოთ, კარგად იცით, სადაც ვდგავართ, მოდით და საკვები თავად მოგვიტანეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს თავს თვითონ მიეხედავთო!.. რუსი ოკუპანტები ახალგაზრდა ბიჭებს ამოწმებდნენ, სხეულზე ავტომატის ან ზურგჩანთის გადანაკიდი ხომ არ ეტყობოდათ... ტყვიაგაუმტარი ჟილეტიც თავის კვალს ტოვებს სხეულზე. რუსები აქტიურად ეძებდნენ ქართველ სამხედროებს. ამიტომაც გამოვედით იმ სახლიდან, სადაც შეგვიფარეს და კარგად მიგვიღეს — შესაძლებელი იყო, ჩვენთვის მოეგნოთ და მასპინძელი ოჯახებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ... ხაშურიდან „მარშრუტკით" გამოვემგზავრე. ტყეებთან ახლოს მოვდიოდით. ალბათ გახსოვს, ტელევიზიით რომ აჩვენეს, როგორ ჩაიყვანეს „მარშრუტკიდან" ახალგაზრდა გოგონა რუსებმა... სიმართლე გითხრა, ცოტა შეშინდი — ლამის თავ-პირი „გავიმაზე", რათა როგორც ქალი, „არაფრის მაქნისი" გამოვჩენილიყავი (*იცინის*)... რას ვიზამთ, რუსებს უაზრო ფიქრი მოსდით ხოლმე თავში...

— თქვენი ოჯახის წევრები სად იმყოფებოდნენ?

— დედა და ძმა გორში იყვნენ. ვიდრე ყოფილი ტყვეები არ გამოამგზავრეს, გორიდან გამოსვლა ვერ მოახერხეს. ძარწემიდან ცხრაში გამოიქცნენ. მათი ადგილსამყოფლის შესახებ ნათესავმა შემატყობინა, მაგრამ არ დავუჯერე — ემოციებს ვიყავი აყოლილი და ვიფიქრე, რომ ჩემს დასამშვიდებლად, ტყუილს ამბობდა... დედას რომ დავურეკე — ეს მისი დაბადების დღეს, 16 აგვისტოს დაემთხვა, — ხმაზე ვერ ვიცანი, ვერც მან მიცნო... მერე კი, რომ მივხვდით, ერთმანეთი ვიპოვეთ, დედას ხმა ჩაუწყდა სიხარულისგან და ტელეფონი ჩემს ძმას მიაწოდა... ახლა ყველანი ლტოლვილები ვართ და სკოლაში ვცხოვრობთ. მე სამხედრო სამსახურს ვუბრუნდები — ჩემი საბუთები დაბომბვისას განადგურდა, მაგრამ უკვე ყველაფერი აღვადგინე. ყოველ 45 წუთში სკოლის ზარის ხმის მოსმენას მირჩევნია, მოვისმინო: „სმენა!"; „დასტოვე ლაპარაკი!.." ომის ტკივილი ყველაზე მეტად მე განვიცადე — მე ხომ დიდი ლიახვის ხეობაში ვცხოვრობდი!.. ეს იყო გარდაუვალი ომი, რომელსაც რუსეთი დიდი ხნის წინ გეგმავდა. ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ნატოში არ შევსულიყავით... მოსახლეობას წლებია, ძალას გვატანდნენ, რომ რუსული პასპორტები აგვღო. ცხინვალის სოფლებში კოკოითის ხელისუფლების წარმომადგენლები შემოდიოდნენ და რუსული პასპორტების აღებას გვაძალებდნენ. რა თქმა უნდა, „ტუფტა" პასპორტები იყო: წარმოიდგინე, 10 წელი რუსეთში ვიცხოვრე და მე ვერ ავიღე (არც სურვილი მქონდა) რუსული პასპორტი და ცხინვალის სოფლებში ამის გაკეთება ასე იოლია?!. რომ მეთქვა, ცხინვალის მცხოვრები ვარ-მეთქი, თვით კრემლში დაბეჭდილ პასპორტს მომცემდნენ!.. ივლისში გერმანიიდან ნათესავმა ტანსაცმელი გამომიგზავნა. დედამ გამაფრთხილა (ცოტა ვულგარულად ნათქვამი კი გამოუვიდა): წუხელ ტანკებიდან „დაგვაყარეს", შენი ტანსაცმელი წაიღე — არ „აგვახვევინონ" აქედან და სულ ისე არ დავრჩეთო.. ეჰ, დღესაც ვერ წარმომიდგენია, რომ დიდი ლიახვის ხეობა დავ... არა, არა, მჯერა, რომ ის ხეობა არ დაგვიკარგავს! ღმერთმა ნუ ქნას, ხელი ჩავიქნიო და მომავლის იმედი დავკარგო. მჯერა, ჩემს სოფელში დავბრუნდები და მამაჩემის საფლავს დამტირებელი ეყოლება. მამის საფლავი წმინდა გიორგის ახალელობის ეკლესიასთან ახლოსაა. გავიგე, რუსები საფლავებსაც დაერივნენო, მაგრამ არა მგონია, ისე გადაჯიშდნენ, რომ ეკლესიებიც დაგვინგრიონ... პრინციპში, რა ვიცი. აღარაფერი მიკვირს. ჩვენს სოფელში არის სპარსეთის წმინდა გიორგის ეკლესია — ასე ჰევია, — სადაც სასწაულმოქმედი ხატია დაბრძანებული. მჯერა, უფალი ამ ეკლესიის მრევლს უკან, თავის სახლებში დააბრუნებს!.. ჩემს ძმას ჯარისკაცობაზე არასოდეს უფიქრია, ოაგრამ ცხინვალში ისეთი არეული სიტუაცია იყო, 17 წლის მანძილზე იარაღი არ დაუგდია. ახლა დაქორწინებას აპირებდა და უსახლკაროდ დავრჩით.

— ჯულიეტა, თქვენ არ აპირებთ გათხოვებას? შეყვარებული არ გყავთ?

— ეჰ, მე რომ ოთარა მიყვარდა, ისე ვის ჰყვარებია?! რომ არ მყვარებოდა, 40 წლამდე რა ჭირი დამტოვებდა ასე (*იცინის*)?!. ჩემზე „დამწვარი" ადამიანი მეორე არ მეგულება... იმ არეულობაში იმ ბიჭის დედას გადავაწყდი. მითხრა: ჯული, ძალიან მინდოდა, რომ შენ და ჩემი შვილი ერთად ყოფილიყავით, მაგრამ ერთმანეთის ბედი არ ყოფილხართო... ერთმანეთი რომ შეგვიყვარდა, 18 წლის ვიყავი. დიდი არაფერი, ცოტა ნიკაპი ჰქონდა წინ წამონეული. ჩემი ძმა მეღადავებოდა ხოლმე — წვიმაში „ზონტიკი" არ დაგჭირდება, მაგის ნიკაპის ქვეშ დადექი (*იცინის*). ძალიან პატრიოტი ვინმე იყო. სულ მეუბნებოდა: მეტყველებისას რუსულ სიტყვებს ნუ იყენებ, მათი ქართული შესატყვისი ხომ არსებობსო! ზვიად გამსახურდიას დაცვაში მსახურობდა. გვარად ლაცაბიძეა, სახელს საიდუმლოდ დავტოვებ.

— მისი სახელი წეღან წამოგცდათ...

ჩემს ძმაკაცებზე უფრო ვზრუნავდი, რომ მათი შვილები, დედები უპატრონოდ არ დარჩენილიყვნენ...

— (*იცინის*) გამსახურდიას დალუპვის შემდეგ, შევარდნაძის მთავრობა დასდევდა. იძულებული გახდა, გაქცეულიყო და კრასნოიარსკში ამოყო თავი. მერე ვიღაც რუსი ქალი გაიცნო... აღარ მიყვარს, მაგრამ ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, ისევ მას ავირჩევდი...

— ოჯახის შექმნას არ აპირებთ?

— ვაპირებ. სამხედრო ფორმიანზე ვთხოვდები — მაინც ერთი ბედის ხალხი ვართ და ერთმანეთსაც უკეთ გავუგებთ... რამდენი საიდუმლო მათქმევინე?!.

— კიდევ რამის დამატება ხომ არ გინდათ?

— მინდა აღვნიშნო, რომ ჩემმა მეგობარმა, „ჯარისკაცმა" ქალებმა რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს. ნაზი, სუსტი აღნაგობის გოგონები არიან და თურმე რა ძლიერები ყოფილან!.. ერთმა ჯარისკაცმა მითხრა: სწორედ „ჯარისკაცმა" ქალებმა გადამარჩინესო. თვალზე ცრემლი მომადგა: 40-კილოგრამიანმა გოგონებმა იმხელა კაცი როგორ ატარეს?!. ვერ ვიფიქრებდი, რუსები ასე თუ გაგვიმეტებდნენ. ჩვენი ბრიგადიდან 2 მეომარი დაილუპა... ქართული ჯარი ის ჯარი აღარაა, რაც 15 წლის წინ იყო: თვითონ რუსებიც გაოცებული იყვნენ ჩვენი ჯარისკაცებით! ჩვენ ომი არ წაგვიგია! იმედია, საქართველოს გამთლიანების საქმეში ჩემს წვლილს შევიტანთ... აი, ნახავ, ფსოუს წყალზე რომ დავიბანთ სამხედრო ჩექმას... ■

სოფო ჭონიშვილი

ჯონდი ბაღათურიას მიერ შებღალული ჟურნალისტი

ქურნალისტი – ჯონდი ბაღათურია
რესპონდენტი – ნათია მიქიაშვილი

როგორც უკვე იცით, ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილმა ჟურნალისტმა — ნათია მიქიაშვილმა პოლიტიკაში გადაბარგება გადაწყვიტა. პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზად მან ჯონდი ბაღათურიას პარტია — „ქართული დასი“ აირჩია. ორივე მათგანი ახლა ჩვენი რუბრიკის სტუმარია. თუ რატომ გადაწყვიტა ჟურნალისტმა პოლიტიკოსობა და გარდა პოლიტიკური საქმიანობისა, რა აკავშირებს ყოფილ ჟურნალისტს „ქართული დასის“ ლიდერთან, ამას მათი ინტერვიუდან შეიტყობთ.

და მათი სულიერი სიახლოვე

— ნათია, მიიღე გადაწყვეტილება, რომ აქტიურ პოლიტიკაში ჩაება, შენ უკვე ჩვენი პარტიის სახე და ერთ-ერთი ლიდერი ხარ; ამრიგად, მოგეცა საშუალება, ჩვენი პარტიის „სამზარეულოში“ ჩაიხედო. ხომ არ ნანობ, ეს ნაბიჯი რომ გადადგი?

— არაფერს ვნანობ. მიმაჩნია, რომ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი. პოლიტიკური საქმიანობა, იმაზე რთული ყოფილა, ვიდრე მეგონა. ჟურნალისტისთვის, რესპონდენტის როლში ყოფნაც ძალზე რთულია. თითოეულ სიტყვას ვაანალიზებ. საერთოდ, პოლიტიკოსობა დიდი პასუხისმგებლობაა. ყველაფერი შედარებით იოლია მაშინ, როცა რადიკალურ ოპოზიციას წარმოადგენ ანუ არაფერი მოგწონს, ყველაფერს აკრიტიკებ. განსაკუთრებით რთული კი სიტუაციის ანალიზი, კარგის და ცუდის გარჩევაა. რადიკალური ოპოზიციონერობა, ხშირ შემთხვევაში, არ ამართლებს.

— გეთანხმები, რადიკალიზმს, ქვეყანა ჩიხში შეჰყავს. რამდენიმე დღეა, უკვე ჩვენს პარტიულ საქმიანობას ეცნობი, აკვირდები... ჩვენი საქმიანობა სიბინძურედ აღიქვი თუ საინტერესოდ მოგეჩვენა?

— სიბინძურეა-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი.

— თუმცა დამეთანხმე, რომ რაღაც დონით პოლიტიკაში სიბინძურე ნამდვილად არის.

— ...მომავალი ერთი წელი, ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი აღმოჩნდება. ამ ყველაფერში აკუთარი წვლილის შეტანა ჩემთვის სასიამოვნო იქნება.

— გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჟურნალისტიკა დაგეტოვებინა და პოლიტიკაში მოსულიყავი, დამოუკიდებლად მიიღე? თუ დაგეხმარა ვინმე?

— პირდაპირი გაგებით, პოლიტიკაში შენ ჩამითრიე, შემაბი (*იცინის*)...

— აქვე გეტყვი, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა აქტიურ ჟურნალისტიკაში იყავი, შენში იმ მონაცემებს ვამჩნევდი, რაც პოლიტიკოსს სჭირდება. როგორც ვიცი, შემოთავაზებები სხვა პარტიებისგანაც გქონდა?

— დიახ. შემოთავაზებები სხვადასხვა პარტიიდანაც მქონდა, გადაწყვეტილების მიღება ძალიან მიჭირდა, რადგან რთულია, უარი თქვა საკუთარ პროფესიაზე და სხვა სფეროში გადაინაცვლო. მაგრამ გავმხდარიყავი შენი პარტიის წევრი, რატომღაც უფრო გამიიოლდა. ამას ხელი იმ ფაქტმა შეუწყო, რომ მე და შენ, ერთი ტაძრის მრევლი ვართ... ჩვენ შორის სულიერი სიახლოვეა. ამიტომ, სხვა პარტიებს კატეგორიული უარ ი ვუთხარი... თავისუფლებას შეჩვეული ადამიანისთვის, ჩარჩოში ჩასმა საშინელებაა. ვნერვიულობდი იმაზეც, რომ საზოგადოება ჩემს გადაწყვეტილებას არასწორად აღიქვამდა. ამიტომ, ბევრი ფიქრის შემდეგ გახსოვს ალბათ, დაგიმესიჯე კიდეც, რომ გადაწყვეტილების მიღება ძალიან მიჭირს-მეთქი. შენმა პასუხმა კიდევ უფრო მეტად ჩამაფიქრა.

— რა გიპასუხე?

— (*იცინის*) თუ ხვდები, რომ შენთვის დრო გაჩერდა, გადაუსვი ყველაფერს ხაზი და ახალი ცხოვრება დაიწყეო. ამ სიტყვების შემდეგ, კიდევ ერთხელ დავფიქრდი, მივხვდი, რომ 7 ნოემბრის მერე, ჩემი აქტიური ცხოვრება მართლაც შეჩერდა. როცა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, ოჯახის წევრებს გავუმხილე, მათ რეაქცია არ ჰქონიათ. ისიც კი ერ მითხრეს, ცუდი გადაწყვეტილება მივიღე თუ — კარგი.

— ნათია, მიმაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი გადადგი... როგორ გგონია, ჟურნალისტის პროფესია უფრო თავისუფალია თუ პოლიტიკოსის? თუმცა ბოლომდე თავისუფალი გიუიაო, — ამასაც ამბობენ. ვოლტერი კი ბრძანებს: „შენი ხელის თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც სხვისი ცხვირი იწყება“.

— რემარკი კიდევ ასე ამბობს: „ჟურნალისტიკა, ყველაზე საინტერესო და თავისუფალი პროფესიაა“. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტობაზე „მაგარი“ პროფესია არ არსებობს! ეს ყველაზე საინტერესო სფეროა, რომელშიც შეიძლება, ადამიანმა იმუშაოს. მაგრამ როდესაც ჟურნალისტს თავისუფლებას ართმევენ, მაშინ ყველაფერი ინტერესს კარგავს.

— გული ხომ არ გწყდება, შენს პროფესიას რომ ულალატე?

— გული მართლა მწყდება, ჩემს კოლეგებს მიკროფონებითა და კამერებით რომ ვხედავ, ცოტათი ვფორიაქობ. ცუდია, რომ იმ პროფესიაზე მომიწია უარის თქმამ, რომლითაც ვცხოვრობდი. სამწუხაროა, ასევე ის, რომ არ არსებობს ტელევიზია, რომელიც თავისუფალი და მიუკერძოებელია!

— 7 ნოემბრის შემდეგ, როცა ტელეკომპანია „იმედი“ დაარბიეს, სამსახურის გარეშე დარჩი. რომელიმე ტელეკომპანიიდან შემოთავაზება ხომ არ გქონია?

— არა, ერთადერთი დავით აქუბარდიამ შემომთავაზა, რომ მის ტელევი-

ზიაში მემუშავა.

— ჟურნალისტიკაში მოღვაწეობის პერიოდში თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩემზე კრიტიკული სიუჟეტი მოგემზადებინოს? ამაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი გავიხსენე, შენ თუ გახსოვს?

— (*ფიქრობს*) არა, ასეთი რამ არ მომხდარა...

— აქვე გაგიმხელ იმას, რომ ჩემს ნათქვამს, ყოველთვის ზუსტად ისე იგებდი, როგორც ვამბობდი... ახლა მთელ დღეს აქ, პარლამენტში ატარებ, შვილი, რომელიც სულ ახლახან მოევლინა ქვეყანას, ძიძასთან გყავს მიბარებული?

— შვილის გაძიძავება ძალიან გამიჭირდა. კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკაში გადმონაცვლებაზე თავს ვიკავებდი, ჩემი შვილი გახლდათ. არ მინდოდა, რომ ძიძა ამეყვანა. მინდოდა, თვითონ გამეზარდა... როცა სახლში გვიან ვბრუნდები, მას უკვე სძინავს, იმდენად მენატრება, რომ ვაღვიძებ და ვეფერები.

— თუ შეგიძლია, ორი სიტყვით შემაფასო, არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც უფროსი მეგობარი?

— პოლიტიკური პარტნიორობა, ჩვენმა მეგობრობამ განაპირობა. როგორც ხელმძღვანელს, ისე არ გიყურებ. შემიძლია, ნებისმიერ თემაზე გესაუბრო, საკუთარი პრობლემა გაგიზიარო და ა.შ. ჩემთვის ადამიანთან, რომელსაც არ ვენდობი, რომელთანაც თავს კომფორტულად არ ვგრძნობ, მუშაობა წარმოუდგენელია.

— იგივე შემიძლია შენზეც ვთქვა. მიუხედავად ჩვენი მეგობრობისა, ერთი კვირა მაინც დამჭირდა, რომ „დამებოლებინე". ბოლოს, როგორც იქნა, შეგაბი და ჩემს პარტიაში მოგიყვანე. მთლიანად გადმოგაბარე ის საქმე, რასაც მე ვაკეთებდი. ხომ არ დაილალე?

— არა, სიამოვნებით ვმუშაობ. საერთოდ, აზარტული ადამიანი ვარ და რა საქმესაც მოვკიდებ ხელს, შემდეგ აზარტში გადამდის... ასე რომ, ახლა აზარტში ვარ შესული...

ჟურნალისტი – ნათია მიქიაშვილი
რესპონდენტი – ჯონდი ბაღათურია

— გასული ზამთრის აქციების შემდეგ, ხშირად ვფიქრობ ამ საკითხზე: 300000-იანი აქცია ასე უშედეგო რატომ აღმოჩნდა?

— მიმაჩნია, რომ ამ აქციების უშედეგობას, ერთი გარკვეული მიზეზი არ ჰქონია. აღნიშნულმა აქციებმა გარკვეულ დროს, ხელისუფლებაში ერთგვარი დესტაბილიზაცია შეიტანა, მაგრამ საკაშვილმა მიზიდულობის შენარჩუნება და საკუთარი გუნდის შეკვრა შეძლო.

— მიუხედავად კულუარებში გავრცელებული ინფორმაციებისა, თითქოს „ნაციონალურ მოძრაობაში" განხეთქილებაა. ამის შესახებ ისინი ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, განსხვავებით ოპოზიციისგან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, საჯაროდ არ ერიდებიან იმის გაცხადებას, რომ ვიღაც დიქტატორია, ვიღაც — მოღალატე...

— ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი — პოლიტიკური უმწიფრობა, მეორე — ის, რომ ოპოზიციაში არ არსებობდა ლიდერი. მიშა თავის გუნდში გამოკვეთილი ლიდერია. ამიტომ, მას მიზიდულობის საოცარი ძალა აქვს. ჯგუფური დაპირისპირება ყველა პარტიაშია. მიშას აქვს უნარი, რომ მსგავსი რაღაცები ჩაახშოს.

— ეი. გაერთიანებული ოპოზიციის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მას ლიდერი არ ჰყავდა?

— შეიძლება ითქვას. გადაწყვეტილებების მიღება ამიტომაც გაჭირდა.

— „ნაციონალური მოძრაობისგან" განსხვავებით, გაერთიანებულ ოპოზიციაში პოლიტიკაში „ჭიპმოჭრილი" ადამიანები იყვნენ, რომლებიც ამ სფეროში დიდი ხანია, მოღვაწეობენ. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის გუნდი ასეთი ადამიანების დეფიციტსაც კი განიცდის.

— სწორედ ამ ფაქტორის გამო, მიხეილ სააკაშვილი ერთპიროვნულ და სწრაფ გადაწყვეტილებებს იღებდა, რაც ზოგჯერ ეფექტიანი და ოპერატიული იყო. რაც შეეხება გაერთიანებულ ოპოზიციას, რომელსაც საკუთარ გამოცდილებასა და ინტელექტზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, ერთი საკითხის გადაჭრაზე დიდხანს ფიქრობდა. თუმცა მიზეზი ეს არ იყო. ჩვენ საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად და გასაძლიერებლად ვიბრძოდით, სამოქალაქო დაპირისპირებით კი არაფერი გამოვიდოდა ან სისხლი უნდა დაღვრილიყო, ან... შეიძლებოდა, ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც ამ დაპირისპირებას გამორიცხავდა, რაზეც გუნდში ერთიანი აზრი არ არსებობდა.

— თქვენ ძალიან მალე, საზოგადოების ნდობა დაკარგეთ, რატომ?

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ერთიანობა დაირღვა. ერთიანობის დარღვევის მიზეზი კი ვიწრო პარტიული ეგოიზმი იყო და კიდევ... ჩვენი გუნდის ზოგიერთმა წევრმა შეცდომა დაუშვა. ჩვენთან შეუთანხმებლად ხელისუფლებასთან დიალოგი გამართა. ამან კი ეჭვები გააჩინა, რამაც გუნდში არასტაბილურობა გამოიწვია.

— როგორც ვიცი, „ქართულ დასში" ჩემ გარდა, კიდევ არიან ახალი სახეები.

— ჯერ იმას გეტყვი, რომ შენი ჩემს პარტიაში გაწევრება დიდი პატივია. იცი, რომ ამ ყველაფერს ჩვენთან, ტაძრის მრევლშიც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. არც ერთ ჩემს ინიციატივას, მრევლში ასეთი ხმაურითა და ხალისით არ შეხვედრიან. როცა ჩვენს მოძღვარს ამის შესახებ ვუთხარი, მასაც გაუხარდა... ჩემს პარტიაში ბევრი ახალი სახეა. მიხარია, რომ „ქართულ დასში" ასეთი მაგარი გუნდი იკრიბება. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი წარმატებული მუშაობის საწინდარია!

— „ქართულ დასს" წინსვლას ვუსურვებ.

— შენც წარმატებებს გისურვებ, შენ ხომ „ქართული დასის" კანდიდატი ხარ, რომელიც ჩუღურეთის რაიონში იყრის კენჭს... ■

სპანიეტო რესტორან „ბაგრატიონს" ესაჭიროება

ახალგაზრდები 19-დან 25 წლამდე, რომლებიც ადგილზე გაივლიან ევროპული სტანდარტების მიხედვით მომზადებულ მიმტანების 1 თვიან კურსს, შემდგომში რესტორანში დასაქმების პერსპექტივით.

სწავლება უფასოა.

მიღების საათები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 12 სთ-15 სთ.

მისამართი: სს ბაგრატიონი 1882 სარაჯიშვილის გამზ. 12 (*მეტრო სარაჯიშვილთან*)

გთხოვთ მოსვლისას თან გქონდეთ: CV სურათით და პირადობის მოწმობა

ტელეფონი 895 90 44 97 ალექსანდრე

ცნობილი ჟურნალისტის უცნობი პორტრეტი

მასთან მეგობრობენ ან საერთო ენას ვერ პოულობენ, პატივს სცემენ ან მისი არ სჯერათ, ემლიქვნელებიან ან ეიმედებათ მისი, საკუთარი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ ან მთელი გულით უყვართ და თანაც სწორედ ისეთი, როგორიც სინამდვილეშია... საინტერესოა, რას ფიქრობს შეუნიღბავი და გულწრფელი, საკუთარი თავის პირისპირ მდგომი? ვინ არის, რისთვის ცხოვრობს და რა უნდა?.. დღეს ერთი ქალბატონის პორტრეტს წარმოგიდგენთ. თქვენ მას დიდი ხანია, იცნობთ ან იქნებ, არც იცნობთ. ის გულახდილად საუბრობს და ზოგიერთ თემაზე საუბარს თავს არიდებს. ეს მისი პრინციპია და ვერ დავაძალებთ... „გზა" პოპულარულ ტელე და რადიოწამყვანის, ჟურნალისტის, ახალშექმნილი რადიო „პალიტრის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის — ქალბატონ თამარ ცაგარეიშვილის მინიპორტრეტს გთავაზობთ.

„მაქსიმალისტი... აბსოლუტურად უკომპრომისო ვარ..."

ირმა ხარშილაძე

— მიამბეთ თქვენზე — ვინ ბრძანდებით?

— დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი. ასპირანტურაში ჩაბარება მსურდა, მაგრამ რამდენიმე ღირსეული ჩარიცხულ. და ადგილები აღარ დარჩა. ტელევიზიაში სამუშაოდ მივედი, თუმცა ვფიქრობდი, რომ ეს დროებითი სამსახური იყო, მაგრამ... ტელევიზია ნარკოტიკივით აღმოჩნდა — გემოს რომ გაუსინჯავ და თავს ვერ ანებებ. სამეცნიერო გადაცემათა რედაქციაში რედაქტორად დავიწყე მუშაობა. თავდაპირველად ვრედაქტორობდი, შემდეგ კი მიწყავდა გადაცემათა ციკლი — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს". არაჩვეულებრივ ადამიანებთან მომიწია მუშაობამ, მათგან ბევრი რამ ვისწავლე. ეს 80-იან წლებში იყო. შემდეგ, კომუნისტური ეპოქის დემონტაჟი დაიწყო და მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ვინც ეროვნულ მოძრაობას თანაუგრძნობდა. უფრო მოგვიანებით, ტელევიზიის კიბეზე ავმოვჩნდი, მეამბოხე ჟურნალისტთა შორის. ეს ჩემს ცხოვრებაში ძალზე სერიოზული ეტაპი იყო. ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი. არა მარტო მე — მთელი პოლიტიკური სპექტრი. მარტივი არ იყო პროტესტის გამოსახატავად, ქუჩაში გამოსვლა. ეს არც გართობა იყო და არც ფარსი. მინდოდა, პასუხი მქონოდა ჩემი ორი ქალიშვილისათვის, პირნათელი ვყოფილიყავი ჩემს თავთან და მათთან. ასეთი, სრულიად გულწრფელი, ძალიან რომანტიკულად აღტკინებული ვიყავი მაშინ. ახლა რომ ვუყურებ იმ კადრებს, ვხვდები, რომ ქ. იყო ნაბიჯი საკუთარი თავის მაძიებელი ადამიანისა, რომელსაც არჩევანის გაკეთების თავისუფლება მისცეს, თუმცა რომ გითხრათ, — ჩემი გადაცემების მომზადებისას ტელევიზიაში ვინმე მზღუდავდა-მეთქი, — ტყუილი იქნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად სხვა სივრცეში ვცხოვრობდით...

— და თვითცენზურაც არსებობდა, არა?

— იცით, თვითცენზურა რას ნიშნავს, საერთოდ, არ მესმის. ადამიანს აქვს სინდისი, მორალი, რომელიც იმ ფასეულობათა სისტემას ემყარება, რაც მისთვის ძვირფასი და ღირებულია. ამას მე ცენზურას ვერ ვუწოდებ. ამ ფასეულობებით და პრინციპებით ვცდილობდი და მინდოდა ცხოვრება. ახლაც ამავეს ვცდილობ.

— და არასდროს გიღალატია თათვის?

— ძალიან ვცდილობდი, მაგრამ ხანდახან კომპრომისზე წასვლაც მიწევდა და შეცდომასაც ვუშვებდი. ისეც მომხდარა, რომ ჩემი საქციელი, გაანალიზებისას, მინანია. ადამიანი იზრდება, ვითარდება და წლებთან ერთად, მოდის გამოცდილება, სიბრძნე. ბოლოს და ბოლოს, საკუთარ შეცდომაზე სწავლობ. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტიკაში ჩემი ძირითადი პრინციპისთვის — არ მემსახურა არავისთვის, თუნდაც კარგი გასამრჯელოსთვის, არასდროს მიღალატია, არც ჟურნალისტური ეთიკა დამირღვევია. ვერავინ მეტყვის, რომ „მასზე" ვმუშაობდი. მართალია, ყველა, ვინც იმ ეპოქაში ვცხოვრობდით და ტელევიზიაში ვმუშაობდით, მერე დაგვადანაშაულეს, თითქოს კომუნისტური ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები ვიყავით, მაგრამ ასე არ იყო. მე საინფორმაციო პოლიტიკას არ წარვმართავდი, მაგრამ ასე მგონია, ჩემი გადაცემებით — „რეტროპერსპექტივა", შემდეგ კი — „100 გრადუსი ცელსიუსით" და „ალიონი" — საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს ვემსახურებოდი. 1992 წლიდან მოყოლებული, „ალიონზე" ომის ხაზი გადიოდა — ეს პირველი ღია ეთერი იყო ტელესივრცეში. ჩვენ ვიყავით ერთი ოჯახის წევრები და საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, ხალხის ყოფის შემსუბუქებას ვცდილობდით. სახელმწიფოს და ხელისუფლების სამსახური სხვადასხვა რამ არის... საერთოდ, საქმიანობის ყველა ეტაპი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. რესპონდენტებადაც და გადაცემის გმირებადაც, თუნდაც მოგვიანებით, პუბლიცისტური და დოკუმენტური ფილმების მსგავსი გადაცემებისთვის — „მიამბეთ თქვენზე" და „მათი შვილები" — ყოველთვის იმ ადამიანებს ვარჩევდი, ვისიც მჯეროდა და ვისაც პატივს ვცემდი. ტელევიზიაში ამ არჩევანის გაკეთების საშუალებას ნამდვილად მაძლევდნენ. ეს არის ჩემი ცხოვრება — ვაკეთო საქმე, რომელიც მიყვარდა და მიყვარს. ამას ნურც ხმამაღალ ნათქვამად ჩამითვლით და ნურც კეკლუცობად. საკმაოდ მძიმე ხასიათი მაქვს, ხარისხიანად ვერ ვაკეთებ იმას, რაც არ მიყვარს, ვერ ვამყარებ კონტაქტს ადამიანებთან, რომლებსაც პატივს არ ვცემ, არ მომწონს.

— თქვენ ხომ მარტო არ ქმნიდით ამ პროექტებს?

— რა თქმა უნდა, ტელევიზიასა თუ რადიოში მუშაობა კოლექტიურ საქმიანობას გულისხმობს და მათ პასტერნაკის სიტყვებს ვეტყვი: „Всем им, мимо прошедшим, спасибо, перед ними всеми я — в долгу..." ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ჩემს ცხოვრებაში ჩემს მოსწავლეებს უკავიათ. ჯერ ტელერადიოინსტიტუტში ვასწავლიდი, მაგრამ იქიდან, ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო წამოვედი, დღემდე კი ზურაბ ოშხნელთან, ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სატელევიზიო ცენტრის ჟურნალისტიკის სახელოსნოს ხელმძღვანელობ. ვფიქრობ, თუკი ადამიანს შეუძლია, რომ ვინმეს გამოცდილება გაუზიაროს, ვიღაცას რაღაც ასწავლოს, მით უმეტეს — ჟურნალისტიკაში, რომელიც მარტო 4-5 კითხვის დასმა კი არა, პიროვნული, ზნეობრივი, მოქალაქეობრივი და კიდევ უამრავი ფასეულობის ნაკრებია, ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს. 30 წელია, ამ საქმეს ვემსახურები და სწორედ ამ საქმემ გადამარჩინა, როდესაც 24-წლიანი მუშაობის შემდეგ, ტელევიზიიდან წამოსვლა მომიხდა, როდესაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, „კორესპონდენტ თამარ ცაგარეიშვილს" შეუწყვიტეს კონტრაქტი, ამას დეპრესიაში არ ჩავუგდივარ, თუმცა ჩემთვის დიდი დარტყმა იყო. მას მერე დავიწყე მუშაობა გოგი ხარაბაძის აუდიოპროექტებზე — შეიქმნა „ქართული საგანძურის აუდიოანთოლოგია": „სახარე-

ბა“, „ბიბლია“. ეს ჩემთვის გადარჩენის ტოლფასი იყო.

— ამჟამად რადიო „პალიტრა-ში“ ხართ და არა მარტო ტოქ-შოუს წამყვანი ბრძანდებით...

— აგვისტოს იმ მძიმე დღეებში დაიბადა ახალი რადიო. დღეს მისი ფეხზე დაყენების პროცესი მიმდინარეობს, აგურ-აგურ... მეც ვმონაწილეობ ამ პროცესში. მიმყავს ტოქშოუ „ჩვენ“, სადაც ვსაუბრობთ იმაზე, ყველამ ერთად როგორ უნდა განვაგრძოთ ცხოვრება ახალ რეალობაში.

— ქალბატონო თამარ, ამდენ ადამიანთან ურთიერთობის შემდეგ, ასეთი გამოცდილების მიღების შემდეგ, რისი აღარ გჯერათ ან, პირიქით, რისი ირწმუნეთ?

— რისადმიც არ შემიცვლია დამოკიდებულება, ეს სოკრატეს სენტენციაა: „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“. ღირებულებათა სისტემა არ შემცვლია. ერთადერთი — ისტორიის მიმართ შემეცვალა დამოკიდებულება: ადრე მეგონა, რასაც მასწავლიდნენ ან წერდნენ — ფაქტობრივ მასალას და ეპოქების ანალიზს ვგულისხმობ, — სიმართლე იყო და ყველაფერზე პასუხს აგებდნენ ის ადამიანები, ვინც ამას ამბობდა ან წერდა. ახლა მივხვდი, რომ ასე არ არის: შესაძლებელია, დაწერო რაღაცის გამო რაღაც, დაამახინჯო რეალობა და პასუხი არ აგო... ზოგადად კი, რა გითხრათ?.. მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანის დღემდე მჯერა. ახლაც რომანტიკოსი ვარ და აწი აღარაფერი მეშველება (*იცინის*).

— რას ითხოვთ ადამიანებისგან?

— ძალიან მომთხოვნი ვარ. სხვადასხვა მოედანზე სხვადასხვაგვარი მოთხოვნა მაქვს.

— ოჯახის წევრებისგან?

— რომ გითხრათ — „საჩუქარი“ ვარ-მეთქი, მოგატყუებთ.

— ასე გაფასებენ თუ თქვენ ფიქრობთ?

— მე მაქსიმალისტი ვარ. მაქსიმალურად შემიძლია, ადამიანებისთვის რაღაც გავიღო და მათგანაც იმავეს ვითხოვ. არაჩვეულებრივი მეგობრები მყავს, ძალიან გამიმართლა და მათდამიც მომთხოვნი ვარ. სამსახურშიც, რა თქმა უნდა. აბსოლუტურად უკომპრომისო ვარ. ადამიანი, რომელიც თავის მოვალეობას არ ასრულებს, ჩემთვის, არ არსებობს. სტუდენტებთანაც ასეთი ვარ — მათთან მისვლამდე, მე თავად, სტუდენტივით ვმეცადინეობ, რადგან ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ამიტომ ვერ ვაპატიებ მათ მოუმზადებლად ლექციაზე მოსვლას. ეს მათ იციან.

— ოჯახზეც გვიამბეთ.

— ...

ქალბატონმა თამარმა არც ახლა უღალატა პრინციპს და ოჯახზე საუბარი ამით ამოწურა. ამიტომ, მხოლოდ მწირ ცნობებს გაგაცნობთ: ჰყავს მეუღლე — ოთარ შამათავა, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური პროდიუსერი გახლავთ; ორი ქალიშვილი — თინათინი და ანა, ორი სიძე და ორი შვილიშვილი — თამრო და თომა იაშვილები — და დედა. — ავტ.).

— ამ ხნის განმავლობაში რას მიაღწიეთ?

— მიღწევებზე ლაპარაკი ყველაზე გაუგებრად მიმაჩნია. ვინც საკუთარ მიღწევებზე საუბრობს, მათი არასოდეს მესმოდა. არც მათი, სხვათა შორის, ვინც საკუთარი მიღწევებით კმაყოფილია... ერთადერთი, ძალიან მინდა, რომ ჩემმა სტუდენტებმა და შვილიშვილებმა გაიგონ — დრო ფუჭად არ უნდა დაკარგონ.

— თქვენ დაკარგეთ დრო?

— სულ ვმუშაობდი, თან შვილებს ვზრდიდი, მაგრამ ვფიქრობ, მაინც ბევრი დრო დავკარგე. ამიტომ მინდა, რომ ეს ბავშვები, რომლებსაც საოცრად ნათელი გონება აქვთ, დროს მეტად გაუფრთხილდნენ. მგონი, იგებენ, რასაც ვეუბნები.

— თქვენ პოპულარული ტელეწამყვანი იყავით, დღეს, რადიოეთერის მეშვეობით ეკონტაქტებით ადამიანებს. რომელს აქვს მეტი ხიბლი — ტელევიზიას თუ რადიოს?

— ჩემთვის ტელევიზია ყველაფერია, მაგრამ რადიოსაც განუმეორებელი ხიბლი აქვს. მე ხომ „მწვანე ტალღაზეც“ ვმუშაობდი და ეს კარგად ვიცი. ახლა, პრაქტიკულად, თავისუფალი სივრცე არის პრესა და რადიო. დღეს არსებულ ტელევიზიებში ჩემს ადგილს ვერ ვხედავ...

26014
საქართველოს პარლამენტის ეროვნული

კახა მიქიაშვილი: „თიკა იმ დღის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა“...

მომღერალმა თიკა ჯამბურიამ და მსახიობმა კახა მიქიაშვილმა ერთმანეთი „თავისუფალ თეატრში“ გაიცნეს და დამეგობრდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კახა თიკაზე ასაკით უფროსია, მათ შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ. მათი აზრით, მეგობრობისთვის ასაკსა და სქესს მნიშვნელობა არა აქვს.

მარეხ ჭონიშვილი

კახა:

— მეგობრობა ჩემთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც სიყვარული.

თიკა:

— მეგობრობა — ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა და ერთგულებაა. მე და კახა ხშირად ვერ ვნახულობთ ერთმანეთს, მაგრამ ვიცი, თუ მისი დახმარება დამჭირდა, აუცილებლად დამეხმარება.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

კახა:

— თიკას დეიდა „თავისუფალ თეატრში“ მუშაობს. მან ერთხელ თიკა რეპეტიციაზე მოიყვანა. მანამდე შორიდან ვიცნობდი, სიმღერები კი მოსმენილი მქონდა. ამიტომ მისი გაცნობა ძალიან გამიხარდა.

თიკა:

— „თავისუფალი თეატრის“ იუბილეზე, იმ სცენაზე, სადაც მე და კახამ ერთმანეთი გავიცანით, მერე ჩემი სიმღერა ვიმღერეთ.

კახა:

— თიკა რომ გავიცანი, ის დღე კარგად მახსოვს. რეპეტიციაზე ერთ-ერთ მსახიობს თმის ჟელე დასჭირდა და თქვა, უნდა ვიყიდოო. თიკა ჩვენი საუბრისას მოულოდნელად წამოდგა და გავიდა. გვეგონა, წავიდა. უკან მალევე დაბრუნდა და თმის ჟელე მოიტანა. მისი საქციელით ყველანი გაოცებულები დავრჩით. ამის შემდეგ იგი კიდევ უფრო შემიყვარდა.

— როგორ დამეგობრდით?

კახა:

— ჩვენი დამეგობრება თავისთავად მოხდა. გაცნობის შემდეგ, კონცერტებზე ხშირად გვიწევდა ერთმანეთის ნახვა. თიკა ჩვენი თეატრის აქტიური მაყურებელია, თუმცა ბოლო დროს ისე ხშირად აღარ დადის. ახლა დამპირდა, ვივლიო და იმედი მაქვს, დანაპირებს შეასრულებს.

თიკა:

— მე და კახას საერთო სამეგობრო წრე და ერთი მოძღვარი გვყავს.

— ერთმანეთს რჩევებს თუ აძლევთ?

— „იმედის ტალღაში“ მე და კახა ვმონაწილეობდით, თუმცა სხვადასხვა პარტნიორი გვყავდა. ყველას არ ვენდობოდი, ამიტომ თუკი რამე დამჭირდებოდა, კახას ვეკითხებოდი და ისიც ყოველთვის მეხმარებოდა. კარგი იყო, „იმედის ტალღის“ რეპეტიციებზე კარგად ვერთობოდით.

კახა:

— თიკას სიმღერას რომ ვასრულებდი, მისგან ვიღებდი რჩევას და ვითვალისწინებდი. უნდა გითხრათ, რომ თიკასთან ერთად სიმღერა სასიამოვნოა.

— პირად საკითხებში თუ აძლევთ რჩევებს ერთმანეთს?

თიკა:

— კახას მე ამ მიმართულებით ვერაფერს ვურჩევ, რადგანაც ის ასაკით ჩემზე უფროსია.

კახა:



გაცნობის შემდეგ, კონცერტებზე ხშირად გვიწევდა ერთმანეთის ნახვა

— პირად საკითხებში ერთმანეთის რჩევა ჯერ არ დაგვჭირვებია, მაგრამ თუ დაგვჭირდა, ერთმანეთს აუცილებლად დავეხმარებით.

— ერთმანეთის შემოქმედებით ცხოვრებას თუ ადევნებთ თვალყურს?

— ყოველთვის მისი თაყვანისმცემელი ვიყავი. თიკა კარგი მომღერალია და ძალიან უხდება სცენას. პოპულარობა ბავშვობიდან მოიპოვა, მაგრამ როგორც ვატყობ, თავში არ ავარდნია.

თიკა:

— „თავისუფალ თეატრში“ ხშირად დავდივარ. თითქმის კახას ყველა სპექტაკლი ნანახი მაქვს. განსაკუთრებით სპექტაკლში — „ძმები“ მომწონს, კარგად თამაშობს. მახსოვს, ეს სპექტაკლი პირველად რომ ვნახე, ბევრი ვიტირე.

— მეგობრებში კამათიც მოდის. თქვენ თუ კამათობთ ხოლმე?

— არა, არასოდეს გვიკამათია.

კახა:

— ღმერთმა დაგვიფაროს! საკამათო და საჩხუბარი რა გვაქვს?! საერთოდ, ჩხუბსა და კამათს ყოველთვის ვერიდები, თუ რაღაც განსაკუთრებული არ მოხდა.

— როგორ დაისვენეთ ამ ზაფხულს?

თიკა:

— საბერძნეთში ჩემს მეგობრებთან ერთად ვიყავი და კარგად გავერთე.

კახა:

— სამწუხაროდ, ვერსად წავედი. არადა, სერიოზული გეგმები მქონდა: თეატრიდან გასტროლებზე უნდა წავსულიყავით, ამის შემდეგ კი ეგვიპტესა და სირიაში დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ სამწუხაროდ, თბილისს ვერ გავცდი. ერთადერთი, ბათუმში „მის საქართველოს“ კონკურსზე გახლდით, მაგრამ ეს ხომ დასვენება არ არის, რადგან ამ კონკურსის წამყვანი ვიყავი და მუშაო-

ბა მიწევდა. მთელი ზაფხული თბილისში გავატარე და აქტიურად დავდიოდი ქვეყნის მხარდასაჭერ აქციებზე.

თიკა:

— ომი რომ დაიწყო, სამეგრელოში ვიყავი. ძალიან შემეშინდა. კარგია, რომ ყველაფერი დამთავრდა, ცოცხალ ჯაჭვში სამეგრელოში ვიდექი.

— როგორი დასვენება გიყვართ — პასიური თუ აქტიური?

— დასვენების დროს, არ შემიძლია, დავჯდე და წიგნი ვიკითხო. ყოველთვის აქტიურად ვისვენებ.

კახა:

— პენსიონერივით დასვენება არც მე მიყვარს. თიკას ასაკში რომ ვიყავი, უფრო აქტიურად ვერთობოდი. ახლა ვცდილობ, არ დავიღალო. რაჭველი ვარ და ძალიან მიყვარს რაჭაში ყოფნა. იქ, თითქმის ყოველ ზაფხულს დავდივარ.

— დასასვენებლად ერთად თუ ყოფილხართ?

— დასასვენებლად ერთად არასდროს წავსულვართ. ერთხელ, ბათუმში შემთხვევით, პლაჟზე ვნახე და ერთად გავირუჯეთ. თუმცა ხშირად ერთსა და იმავე სიტუაციაში ვხვდებით და კარგად ვერთობით.

თიკა:

— მახსოვს, ბათუმში რომ გნახე, იმ დღეს ტელეფონი მომპარეს და ცუდ ხასიათზე ვიყავი.

კახა:

— შენ და — ცუდი ხასიათი?!. იტყუები. მე თიკა მოწყენილი არასოდეს მინახავს. არ გაგრძნობინებს, რომ რაიმე პრობლემა აქვს. სულ კარგ ხასიათზეა, იღიმება, რაც ძალიან უხდება.

თიკა:

— დიდი მადლობა.

— დასვენებისას თავს გადახდენილ რაიმე ამბავს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— საბერძნეთში კარგად დავისვენე. თუმცა პირველი დღე ცუდად დაიწყო. როგორც კი ჩავედით, ჩემოდნები დავკარგეთ და 5 დღის შემდეგ ძლივს ვიპოვეთ. იქ ბევრი ბავშვი გავიცანი და დღემდე მაქვს მათთან ურთიერთობა. საქართველოში ომი რომ დაიწყო, ყველა მირეკავდა და მთხოვდა, რომ მასთან ჩავსულიყავი. ჩემზე ღელავდნენ. სპექტაკლშიც მივიღე მონაწილეობა. ბერძნულ ენაზე ბოროტი დედინაცვლის როლი ვითამაშე.

კახა:

— ეს კეთილი ფერია, ბავშვი გაგაბოროტეს, ხომ (*იცინიან*)?!. თიკა, ნიჭიერი ყოფილხარ. ხომ არ გინდა, „თავისუფალ თეატრში" რაიმე როლი შემოგთავაზონ (*იცინიან*)?

თიკა:

— თეატრი მართლა ძალიან მიყვარს. ერთი პერიოდი მსახიობობაც კი მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე. ისე, ახლა შენი ჯერია და აბა, რას გაიხსენებ?

კახა:

— ბათუმში „მის საქართველოს" კონკურსზე კარგად გავერთეთ. გოგოებს 11 საათზე უნდა დაეძინათ, მაგრამ ოთახიდან იპარებოდნენ და გასართობად მივდიოდით. განსაკუთრებით კარგი — ბოლო დღე იყო, ბევრი ვიგიჟეთ... რამდენიმე წლის წინ, თურქეთში სპექტაკლი მქონდა წაღებული, სადაც მამლის როლს ვთამაშობდი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ მომიწია თურქეთში ჩასვლამ. ფულის გადასახურდავებელ პუნქტში მივედი. იქ გოგო დამხვდა, რომელიც მიცინოდა. ვიფიქრე, თავაზიანი გოგოა და ამიტომ მიცინის-მეთქი. მაგრამ ფული რომ დამიბრუნა და მამლის იმიტაცია გააკეთა, მივხვდი, რომ ჩემი სპექტაკლი ჰქონდა ნანახი. ძალიან მესიამოვნა, რომ მიცნო...

— როგორ ფიქრობთ — ქალსა და მამაკაცს შორის გულწრფელი მეგობრობა შესაძლებელია?

— მთავარი ურთიერთგაგებაა. ბევრი მეგობარი გოგო მყავს. ერთ-ერთი — თიკაა. თუმცა ბევრჯერ გამიგონია, რომ მეგობარ ბიჭსა და გოგოს ერთმანეთი შეჰყვარებიათ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

თიკა:

— მეც ძალიან ბევრი მეგობარი ბიჭი მყავს, რომელთაც თვალდახუჭული ვენდობი. მთავარია, მეგობარმა არ გიღალატოს, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, გოგოა თუ ბიჭი?! ღალატი ყველა შემთხვევაში, მტკივნეულია! ჩემთვის გული ბევრს უტკენია...

კახა:

— ახლახან სპექტაკლის — „კავკასიური ცარცის წრე" — პრემიერა შედგა, რომელშიც ვმონაწილეობ. დილიდან საღამომდე თეატრში ვარ და ვმუშაობ. საპრემიერო ციებ-ცხელება რომ ჩაივლის, მერე ფილმის — „იდიოკრატია" პრემიერა გაიმართება. კინოვერსია უკვე გავაკეთეთ.

თიკა:

— ჩემს შემოქმედებაში ახალი არაფერია. ამჟამად, მხოლოდ სწავლაზე ვფიქრობ. გამოცდებისთვის ვემზადები. მინდა, სტუდენტი გავხდე.

კახა:

— თიკა ახლაც მასწავლებლისგან მოვიდა. მინდა ვუსურვო, რომ ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბაროს და ყოველთვის ისეთი ლაღი და ღიმილიანი იყოს, როგორიც ახლაა.

თიკა:

— მე კი საინტერესო როლებს და დიდ სიყვარულს გისურვებ.

— რას უსურვებთ მეგობრებს?

კახა:

— იყვნენ ერთგულნი და მიუტევონ ერთმანეთს. იმიტომ, რომ ცხოვრებაში ყველა რაღაც შეცდომას ვუშვებთ.

თიკა:

— მეგობარი მიიღონ და შეიყვარონ ისეთი, როგორიც არის და ნუ შეხედავენ ერთმანეთს კრიტიკული თვალით.



ცნობილი ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **ნიკო ორველაშვილი** *„ერუდიტში“ ჩასაწერად რედაქციაში გვესტუმრა. ის პროფესიით ეკონომისტი და სამართალმცოდნე გახლავთ. ამბობს, რომ ყველაზე დიდ სიამოვნებას კლასიკური ლიტერატურის კითხვა ანიჭებს, მაგრამ წუხს, რომ ბოლო წლებში საამისოდ დრო ნაკლებად რჩება.*

„ქვეყანა საგიჟეთს დაემსგავსა“

— ანუ ეკონომიკური ექსპერტის პოლიტინტელექტუალური დონე...

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ბატონო ნიკო, რას იტყვით სტრასბურგში მიღებულ დოკუმენტზე?

— არაფერს, მაგრამ სჯობს, ამით თავს ნუ მოვიტყუებთ. არ არის გამორიცხული, რუსეთმა ამ დოკუმენტსაც იგნორირება გაუკეთოს, მაშინ მას გახვრეტილი გროშის ფასიც აღარ ექნება. 3 წლის წინ, ევროსაბჭოს თავად სააკაშვილიც აბუჩად იგდებდა. დღეს ამ დოკუმენტს რუსეთის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი რა მნიშვნელობას მიანიჭებენ, თავად განსაჯეთ.

— ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა, გამოსავალს რაში ხედავთ?

— პირველ რიგში, რეალობა უნდა გავაცნობიეროთ და გამოსავლის ძებნა მერე დავიწყოთ. მეუბნებით, რომ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ როცა შოთა მალაშხიას ვუსმენ, ასეთი შთაბეჭდილება არ მრჩება.

— მიგაჩნიათ, რომ რეალობა მოსახლეობას არა აქვს გაცნობიერებული?

— მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არაობიექტურ და ცალმხრივ ინფორმაციას იღებს. მათ ეუბნებიან, რომ ომი მოვიგეთ და აგრესორი რუსეთი დავამარცხეთო. ამ ყალბი განცხადებებით ჭუშმარიტ გამარჯვებას ვერასდროს მივაღწევთ. ქვეყანა საგიჟეთს დაემსგავსა.

— დედამიწაზე არის ყველაზე ცივი, ყველაზე ცხელი, ყველაზე უწყლო, მაღალი და დაბალი კონტინენტები. თურმე არსებობს მეცნიერთა და მკვლევართა კონტინენტიც. რომელია ეს კონტინენტი?

— უნდა გამოვიცნო (*ფიქრობს*).

— მიგანიშნებთ, ის ყველაზე სამხრეთით მდებარე კონტინენტია, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო სადგურებია განთავსებული.

— ვერ გიპასუხებთ.

— ანტარქტიდა.

— მაშინ ასე უნდა გეთქვათ: მეცნიერთა, მკვლევართა და პინგვინების კონტინენტი (*იცინის*).

— აშშ-ის სასამართლოში ვის გამოაქვს ვერდიქტი განსასჯელის დამნაშავეობაზე ან უდანაშაულობაზე?

— ნაფიც მსაჯულებს.

— რომელი ესპანური საფეხბურთო კლუბის სტადიონია „ნოუკამპი“?

— „ბარსელონის“.

— ვინ იყო თეთრი სახლის პირველი მკვიდრი პრეზიდენტი?

— ვაშინგტონი არ იყო. ვინ იყო? შემახსენე.

— ჯონ ადამსი. რომელ საუკუნეში დაეცა დასავლეთ რომის იმპერია?

— თარიღი ზუსტად არ მახსოვს.

— V საუკუნეში. ვისი სახელობისაა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი?

— მიხეილ მესხის.

— რომელ სახელმწიფოშია ალტამირის მღვიმე — ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში თუ პორტუგალიაში?

— ესპანეთში.

— რამდენი რაიონის ტერიტორიას მოიცავს რაჭა?

— 2-ის, ონის და ამბროლაურის.

— „აი, რა მზის სიზმარია, აირევი ივერია, აი, დროშა აშორდია, აერების სიბერეა“. ვის ეკუთვნის ეს პალინდრომი ანუ ლექსი, რომლის თითოეული სტრიქონი ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება?

— გალაკტიონს.

— სადაური იყო რობინზონ კრუზო?

— (*ფიქრობს*) ინგლისელი.

— რა არის პერ-ლაშეზი პარიზში — სასაფლაო, მუზეუმი თუ ციხე?

— არ ვიცი.

— სასაფლაო. ნათლობის გარდა, კიდევ როდის სცხებენ ადამიანს მირონს?

— ჯვრისწერის დროს, არა?

— ცდებით.

— (*ფიქრობს*) გამახსენდა, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვა, ინაუგურაციის დღეს ანუ მეფედ კურთხევისას.

— ვინ დააარსა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი?

— ნაპოლეონმა.

— რომელ ქვეყანაშია თაგვის საჭერი ხაფანგების მუზეუმი — ინგლისში, ჰოლანდიაში, გერმანიაში თუ ნორვეგიაში?

— ხაფანგების მუზეუმი? პირველად მესმის.

— დიახ, ასეთი მუზეუმი გერმანიაშია. რომელი უღელტეხილით უკავშირდება იმერეთი რაჭას?

— ეს ვიცი და უნდა გიპასუხო (*ფიქრობს*). სახელს ვერ ვიხსენებ, იგი რაჭის ქედზე მდებარეობს. მასზე ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზა გადის, რომელიც მუდამ ნისლიანია.

— ზამთარში თოვლის ნამქერიც იცის.

— (*იცინის*) კარგი მინიშნებაა. ნაქერალის უღელტეხილი. როგორც იქნა, მათქმევინე.

— ამ გენიალურ ნაწარმოებს, რომლის მიხედვითაც ქართული კინოს ერთ-ერთი შედევრი შეიქმნა, თავდაპირველად, „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“ ეწოდებოდა. რომელი ნაწარმოებია ეს და ვინ არის მისი ავტორი?

— ქართული კინოს შედევრი (*ფიქრობს*)?

— მიგანიშნებთ, ამ ფილმის რეჟისორი თენგიზ აბულაძეა.

— მგონი, გამოვიცანი. გოგლა ლეონიძის „ნატვრის ხე“, არა?

— დიახ. ეს ქვეყანა ყველაზე დიდ ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მის ტერიტორიაზე არც ერთი მნიშვნელოვანი მდინარე არ მიედინება. დაასახელეთ ეს ქვეყანა? ის ნავთობით მდიდარია.

— საუდის არაბეთი.

— აზიის რომელი ქვეყანაა ნეიტრალური სახელმ-

წიფო?

— (*ფიქრობს*) თურქმენეთი.

— სად მდებარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდი?

— ვაშინგტონში.

— საქართველოს რომელი მხარე გამოირჩევა ქაობის დიდი მასივებით?

— კოლხეთის დაბლობი.

— დემეტრე I, ალექსანდრე I (დიდი), თეიმურაზ I, ერეკლე II: ამ ქართველ მეფეთაგან რომელი არ აღიკვეცა ბერად?

— ერეკლე II.

— 1626 წელს, ერთმანეთს ორი ლაშქარი დაუპირისპირდა, ერთს გიორგი სააკაძე მეთაურობდა, მეორეს — თეიმურაზ I. სად გაიმართა ეს ბრძოლა?

— ბაზალეთის ტბასთან, ეს ჩვენი დიდი სირცხვილი იყო.

— ხელოვნების რომელი სტილით არის აგებული ზამთრის სასახლე სანქტ-პეტერბურგში?

— ბაროკოს.

— რომელი ცხოველის ბეწვისგან შეკერილი ქუდები ახურავთ თავზე ბრიტანეთის მეფის გვარდიელებს?

— მელიის ბეწვისგან შეკერილი ქუდები.

— ცდებით, სწორი პასუხია — დათვის ბეწვისგან. რომელი ოკეანე აკრავს კუნძულ მადაგასკარს?

— ინდოეთის.

— რომელ ქვეყანაში მოკლეს ჯონ ლენონი?

— აშშ-ში.

— მირიან III, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დემეტრე II: ჩამოთვლილთაგან რომელი ქართველი მეფე არ იყო ქრისტიანი?

— ფარნავაზი.

— 1608 წლიდან გიორგი სააკაძე უკვე თბილისის მოურავია, შემდეგ კი — დვალეთის და... კიდევ რომელი რეგიონის მოურავი გახდა იგი?

— არ ვიცი.

— ცხინვალის. „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა"... ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ილია ჭავჭავაძეს.

— ვინ არის სოფოკლესა და ჟან ანუის შემოქმედების საერთო პერსონაჟი?

— ანტიგონე.

— საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რომელი მხარის ეკლესია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას 1814 წლამდე?

— არ ვიცი.

— აფხაზეთის საკათალიკოსო. რომელ საუკუნეში დაიყვნენ ქრისტიანები მართლმადიდებლებად და კათოლიკეებად?

— თარიღი ზუსტად არ მახსოვს.

— 1054 წელს. რომელი რაიონის ტერიტორიაზეა კურორტი ბახმარო?

— ჩოხატაურის.

— რით აჯილდოებენ სან-სებასტიანის კინოფესტივალზე გამარჯვებულებს?

— არ ვიცი, ჩავიჭერი.

— ოქროს ნიჟარით. რომელი მდინარე ასაზრდოებს წალკის წყალსაცავს?

— მდინარე ქცია.

— რომელი ქვეყანაა მიჩნეული ატმის სამშობლოდ?

— ჩინეთი.

— ვისთან ერთად გადაილო გიგა ლორთქიფანიძემ „დათა თუთაშხია"?

— გიზო გაბისკირიასთან ერთად, ეს ადამიანი ჩემი მეგობარია.

— ვინ არის ავტორი ლექსისა — „გოგოვ, გნახე ფეხშიშველი"?

— (*ფიქრობს*) მურმან ლებანიძე.

— ცდებით, ვაჟა-ფშაველა. არაბეთის ზღვა, ტასმანის ზღვა, ტიმორის ზღვა — ჩამოთვლილთაგან რომელი ზღვა არ ესაზღვრება ავსტრალიას?

— არაბეთის ზღვა.

— რომელი საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ სამეგრელოს მთავრები?

— დადიანის.

— რუსეთის იმპერიაში რომელი სოციალური ფენის გაერთიანება იყო გილდია — ვაჭრების, ხელოსნების, ინტელიგენციის თუ ჩინოვნიკების?

— ვაჭრების.

— სად მდებარეობს ძველი ქალაქ-სახელმწიფო კართაგენი?

— ვერ გეტყვი.

— აფრიკაში. გაიუს მარიუსი, იულიუს კეისარი, პომპეუსი, მარკუს კრასუსი — ამ რომაელი სარდლებიდან რომელმა დალაშქრა საქართველო?

— პომპეუსმა.

— რა ფერები აიღო სტენდალმა თავისი ცნობილი რომანის სათაურისთვის?

— „წითელი და შავი".

— ყაზბეგი, უშგული, დუშეთი, შოვი: ამ დასახლებული პუნქტებიდან, რომელი მდებარეობს ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა?

— უშგული.

— რომელი მომღერლის ნამდვილი სახელია — რეჯინალდ კენეტ დუაიტ — სტინგის, ელტონ ჯონის თუ პოლ მაკარტნის?

— პოლ მაკარტნის და ელტონ ჯონს გამოვრიცხავ. სწორი პასუხია სტინგი.

— ცდებით, რეჯინალდ კენეტ დუაიტი — ელტონ ჯონი გახლავთ.

— (*იცინის*) ეგ ადამიანი, რა ყველაფერში უკუღმართია.

— ჭიდაობის რომელ სახეობას უწოდებენ კლასიკურს?

— ბერძნულ-რომაულს.

— რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი?

— რუმინეთში.

— სადაური იყო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი, დავით გარეჯელი?

— ასურელი.

— რა ერქვა ხელმწიფეს „სიბრძნე-სიცრუეში"?

— (*ფიქრობს*) ვა! მეფის გარდა ყველას სახელი მახსოვს.

— მეფეს ფინეზი ერქვა. ვის ეკუთვნის პოემა „დიმიტრი თავდადებული"?

— ილია ჭავჭავაძეს.

— დაასრულეთ შტეტენჰეიმის გამონათქვამი: „მამაკაცი, რომელსაც დედაკაცი თავს გაუვა, თავი..."

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მიახლოებით გეტყვით, თავის თავს კარგი რამ არ უნდა დამართოს.

— „...თავი არ ჰქონია". ■

ერუდიტი +

სპილოს ერთი ეშვისგან როიალის 15 კლავიში მზადდება.

დედამიწა ყველაზე სწრაფად აგვისტოში ბრუნავს, ყველაზე ნელა — მარტსა და აპრილში.

ავსტრალიელი პიანისტი სკოტი — ყველაზე დიდხანს უკრავდა ფორტეპიანოზე — შეუსვენებლად 50 დღე და 15 წუთი.

პირველად სახლების ნუმერაცია გაჩნდა პარიზში 1463 წელს.

ყველაზე დიდი რიგითი ნომერი — 2679 აქვს ლონდონში, სტრატფორდროუდის ქუჩაზე მდებარე სახლს.

ერთი კილოგრამი თაფლის დასამზადებლად, ფუტკარი დაახლოებით 1000000 ყვავილისგან იღებს ნექტარს.

„მეონია, რომ ჩემი ოჯახი ცხიერი ჩემს ხასიათთან ძალზე ახლოსაა“

საზოგადოებისთვის ცნობილი და საყვარელი ავტორ-შემსრულებელი — ნატო გელაშვილი ბავშვობაში თურმე დიდი ანტაგონისტი ყოფილა. „წლების მატებისას, გარეგნობასთან ერთად, ადამიანებს გემოვნებაც გვეცვლება. ამიტომ, ძველი ფოტოების დათვალიერებისას დიდად ვხალისობ, ზოგ ფოტოზე არ მომწონს საკუთარი ჩაცმულობა, ზოგზე — ვარცხნილობა“, — მითხრა ქალბატონმა ნატომ, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან საკუთარ თავს ძალზე აკრიტიკებს.

ნატო გელაშვილი და მისი სადა იმიჯი

სოფო ჭონიშვილი

— პრანჭიაობა და კოკეტობა სკოლის ასაკში დავიწყე, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ალბათ, ასე — მე-5 კლასიდან. ცოტა პრეტენზიული ვიყავი. არ ვიცვამდი იმას, რასაც დედა მირჩევდა. მსგავს რაღაცას დღეს ჩემი შვილებიც აკეთებენ.

— სკოლაში, თანატოლებში თავს რითი იწონებდით?

— როგორც ამბობენ, ძალიან უცნაური ბავშვი ვყოფილვარ. ჩემი უცნაურობა რაში გამოიხატებოდა, ზუსტად არ მახსოვს, ალბათ, იმაში, რომ ძალიან ახტაჯანა ვიყავი. მაშინ სკოლაში ჩაცმით თავს მაინცდამაინც ვერ მოიწონებდი, რადგან ყველას სტანდარტული ფორმები გვეცვა. შეიძლება, რომელიმეს ცოტა უკეთესი ხარისხის ქსოვილისგან შეკერილი ჰქონოდა ან ლამაზი თმის სამაგრი (იცინის), რითაც ხშირად თავს ვიწონებდი. საერთოდ, ძალიან კომუნიკაბელური, აქტიური ბავშვი ვიყავი. ვმღეროდი, სპორტზე დავდიოდი, ჩემი ძმის მეგობრებთან ვმეგობრობდი.

— ბაფთები გეკეთათ?

— სკოლის ასაკში გრძელი თმა არასოდეს მქონია, შესაბამისად, ბაფთასაც არ ვიკეთებდი. სამაგიეროდ, პიონერის ყელსახვევი და კომკავშირის ნიშანი მეკეთა.

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ალბათ იმიჯი შეიცვალეთ, არა?

— სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, გამოსაშვები საღამო ჩვენც გვქონდა. ახლა იმ ფოტოებს რომ ვათვალიერებ, სიცილით ვკვდები. ბანკეტის დღეს, ძვირად ღირებული კაბა მეცვა, რომელზეც „ლიპებიც“ მეკეთა, მაშინ მოდაში იყო. მოკლედ, საშინელი სურათია. ახლა იმ სურათს რომ ვუყურებ, თავი კუზიანი მგონია. ისე, ძველი ფოტოსურათების დათვალიერებისას ბევრჯერ მიტირია კიდეც.

— პირველად მაკიაჟი როდის გაიკეთეთ?

— მაკიაჟის გაკეთება არასოდეს მიყვარდა. ერთადერთი, პომადას ვისვამდი. დღესაც მხოლოდ პომადას ვხმარობ. თუ კარგად დააკვირდებით, მაკიაჟი თითქმის არც ერთ ფოტოზე არ მაქვს. მამაჩემს არ უყვარდა მაკიაჟი, სულ მეუბნებოდა, — ბუნებრიობა არ დაკარგოო. მამა იმდენად მიყვარდა და მიყვარს, რომ მის სურვილს ყოველთვის პატივს ვცემდი. ყურებიც სკოლის დამთავრების შემდეგ გავიხვრიტე. საერთოდ, უპირატესობას სისადავეს ვანიჭებ.

კოკეტობა სკოლის ასაკში დავიწყე

ახლა იმ ფოტოებს რომ ვათვალიერებ, სიცილით ვკვდები

მაკიაჟის გაკეთება არასოდეს მიყვარდა

— ფოტოებიდან კი ჩანს, რომ თმის ფერს ხშირად იცვლიდით?

— თმა პირველად ბორდოსფერად რომ შევიღებე, უკვე შვილი მყავდა. იმ პერიოდში, ყველა მეუბნებოდა, რომ მიხდებოდა. მერე ერთ დღესაც გადავწყვიტე, რომ თმის ფერი შემეცვალა, რადგან ბორდოსფერი მომბეზრდა და შავად გადავიღებე. მიხვდი, რომ შავი ფერის თმა განსაკუთრებულად მიხდება.

— ბორდოსფერი თმა დახვეულიც გქონიათ...

— გარკვეული პერიოდი თმა დახვეულიც მქონდა, მაგრამ როცა მომბეზრდა, ისევ გავისწორე.

— სტუდენტობის პერიოდში ჩაცმის სტილი არ შეგიცვლიათ?

— ჩაცმის სტილი განსაკუთრებულად არ შეიცვლია. შარვალი ყოველთვის მიყვარდა და სტუდენტობის პერიოდშიც სულ ჯინსი მეცვა. ყოველთვის თავისუფალი სტილით ჩაცმა მიყვარდა. ჩემი სტუდენტობის დროს, მოდაში ფართხუნა შარვლები იყო. ზედ სპორტულ მაისურს ვიცვამდი და ასე დავდიოდი. უპირატესობას სპორტულ სტილს ვანიჭებდი. კაბას მაშინ ვიცვამდი და ვიპრანჭებოდი, როცა განსაკუთრებულ ადგილზე მივდიოდი.

— როდის სიმღერა დაიწყეთ და

თმა პირველად ბორდოსფერად შეიღებე

მეუღლესთან ერთად

სცენაზე გამოჩნდით, მაშინ რაიმე ცვლილება თუ შეიტანეთ საკუთარ გარეგნობაში?

— რა თქმა უნდა, სასცენო კოსტიუმები სწორედ იმ პერიოდში შევიძინე. იმას ვახერხებდი, რომ კოსტიუმი, რომელსაც სცენაზე ვიცვამდი, ყოფილიყო სცენურიც და ჩემეულიც ანუ რაც მე შემეფერებოდა. საბოლოო ჯამში კი წლებმა და გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ჩემი სტილი არის ბუნებრიობა. არ მიხდება ოფიციალური ვარცხნილობები. სამაგრით აკეცილ თმას უფრო ვიხდენ.

— როდესაც სცენაზე პირველად ახვედით, რა სიძლერა იძლერეთ და როგორ გამოიყურებოდით?

— პირველი საღამო თბილისში, ერთერთ კლუბში მქონდა. მახსოვს, შავი, სადა კაბა მეცვა და „კარე" მქონდა შეჭრილი. ვიცი, რომ სხვადასხვაგვარი აქსესუარი სცენას უხდება, მაგრამ მე ის დისკომფორტს მიქმნის, ამიტომ არაფერს ვიკეთებ. შეიძლება, მხოლოდ საყურე გავიკეთო და ისიც სცენიდან გასვლისთანავე მოვიხსნა.

— ფოტოების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ წარბების კორექციაც ძალიან გვიან დაგიწყიათ.

— ფოტოებზეც მეტყობა, არა? კორექცია კი გავიკეთე, მაგრამ წარბებისთვის ბუნებრივი ფორმა არ შეიცვლია. დაწვრილებული წარბები არ მომწონს.

— რადგან უპირატესობას ბუნებრიობას ანიჭებთ, ალბათ სილამაზის სალონს ხშირად არ აკითხავთ, არა?

— სილამაზის სალონში მანიკიურისა და პედიკიურის გასაკეთებლად მივდივარ. რაც შეეხება თმას, ყოველდღიურად საკუთარი ხელით ვიკეთებ. თუ კონცერტი მაქვს ან წვეულებაზე მივდივარ, მაშინ სალონს ვსტუმრობ.

— როგორც ჩანს, ჭამა გიყვართ... ფორმას როგორ ინარჩუნებთ?

— მთელი ბავშვობა და სტუდენტობის პერიოდი საშინლად გამხდარი ვიყავი. გათხოვების შემდეგ 40 კგ მოვიმატე. ამ 40 კილოს იმდენ ხანს ვებრძოლე, რომ... ამ ეტაპზე მგონი, არა მიშავს და უკვე ორი წელია, წონას სტაბილურად ვინარჩუნებ. დიეტა არ მჭირდება. თუმცა 6 საათის შემდეგ, აღარ ვჭამ. სწორად ვიკვებები ანუ დილას ჰერკულესის ფაფით ვიწყებ...

— პლასტიკური ოპერაციის გაკეთებასა და სხეულის რომელიმე ნაწილის შეცვლაზე ხომ არ გიფიქრია?

— საერთოდ, პლასტიკური ოპერაციების გაკეთებას არ ვეწინააღმდეგები. საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი ვარ და არასოდეს მქონია იმის კომპლექსი, რომ მაგალითად, კეხიანი ცხვირი მაქვს. ჩემი ცხვირი ჩემს ხასიათთან ძალზე ახლოსაა. ახლა უცებ „კურნოსა" ცხვირით რომ გამოვჩნდე, მგონია, ხასიათიც შემეცვლება. ამიტომ გარეგნობის რადიკალური შეცვლის სურვილი არასოდეს გამჩენია.

— მშვენიერი სახის კანი გაქვთ.

— ყოველთვის მეკითხებიან, თუ რომელ კოსმეტოლოგთან დავდივარ, ჩემი სახის კანი ძალიან მოსწონთ. ეს ყველაფერი გენეტიკურად მაქვს. კოსმეტოლოგთან არასოდეს ვყოფილვარ.

— ვის რჩევას ითვალისწინებთ?

— მყავს ორი ისეთი მეგობარი, რომელიც ვიცი, რომ ზუსტად მეტყვის, კარგად გამოვიყურები თუ ცუდად. ამიტომ მიყვარს ფოტოების დათვალიერება. თუმცა გადაღება ძალიან მეზარება. რაც დრო გადის, უფრო კრიტიკულად და რეალურად ვაფასებ თავს. შეიძლება, ფოტოალბომების დათვალიერებას მთელი დღე დავუთმო. ბავშვობაში, როცა ბებიის ალბომს ვათვალიერებდი, ვფიქრობდი, — ახალგაზრდობაში რა ლამაზი ქალი ყოფილა-მეთქი!.. ცოტა ხანში, ჩემი შვილიშვილებიც ასე იტყვიან ჩემზე *(იცინის)*. ■

შვილთან ერთად

ჩემი სტილი არის ბუნებრიობა

დაწვრილებული წარბები არ მომწონს

საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი ვარ

ყოველთვის მეკითხებიან, თუ რომელ კოსმეტოლოგთან დავდივარ

სილამაზის სალონში მანიკიურისა და პედიკიურის გასაკეთებლად მივდივარ

„ნულვარსკვლავიანი" სასტუმრო ბერლინში, ნორჩი აფრიკელი ყაჩაღები და თბილისში გატარებული თაფლობის თვე

ქართველი პოლიტიკოსებიდან, თუ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს არ ჩავთვლით, უცხოეთში ყველაზე ხშირად ლევან ბერძენიშვილი დადის. მან ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული მოიარა. სტუდენტებისას პოსტსაბჭოთა სივრცე თავიდან ბოლომდე დაათვალიერა, შემდეგ უცხო ქვეყნების ნახვის სურვილიც გაუჩნდა, მაგრამ ვიდრე საბჭოთა კავშირის ნგრევა არ დაიწყო, ოცნება ვერ აისრულა. „რკინის ფარდა" გაიხსნა თუ არა, მაშინვე საბერძნეთს ეწვია. შემდეგ კი სამსახურებრივი მივლინებებით თუ დასვენების მიზნით, თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. სწორედ ამიტომ, ბატონ ლევანს, პარტიულ ოფისში, მოგზაურობისა და დასვენების თემაზე სალაპარაკოდ ვეწვიე. როგორც ყოველთვის, ის ამჯერადაც საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა.

კოპაკაბანაში მე და გოგა ხაინდრავას დანებით დაგვესხნენ თავს და გაგვძარცვეს

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ლევან, როგორც ვიცი, ხშირად მოგზაურობთ. ყველაზე კარგად თავს რომელ ქვეყანაში გრძნობთ?

— ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტი ვარ, ამიტომ თავს ყველაზე კარგად საბერძნეთში ვგრძნობ. ამ ქვეყნის კულტურა ჩემთვის ნაცნობი და ახლობელია. საფრანგეთიც მომწონს. იქ თავაზიანობით გამორჩეული ხალხი ცხოვრობს, რაც ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, საფრანგეთში ცისფერი და საოცრად ლამაზი ზღვა არის. თურქეთის სანაპიროები საერთოდ არ მიზიდავს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იქ ხელოვნური სანაპირო ხუთვარსკვლავიან სასტურმოში ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის პართენონის მსგავსი ნაგებობების ნახვაა.

— ესე იგი, თქვენთვის კომფორტი მნიშვნელოვანი არ არის.

— როგორ არა. ხუთვარსკვლავიანი სასტურმოდან თუ გადმოვიხედავ და პართენონს დავინახავ, ძალზე ბედნიერი ვიქნები. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ხუთვარსკვლავიანიდან დაწყებული, „ნულვარსკვლავიანით" დამთავრებული, ყველანაირ სასტუმროში მიცხოვრია.

— „ნულვარსკვლავიანი" სასტუმრო როგორია, ბატონო ლევან?

— ნომერში საწოლის მეტი არაფერი დგას, არც ტელეფონია და არც საპირფარეშო. ბერლინში ყოფნის დროს, სწორედ ასეთ პირობებში ვცხოვრობდი, მაგრამ ისეთ სასტუმროშიც ვყოფილვარ, ენით რომ ვერ აღგიწერთ, მაგალითად, ინდოეთში. მეგონა, რომ ზღაპარულ სამყაროში ვიყავი.

— სასტუმროს გარდა, ინდოეთში რამ დაგაინტერესათ?

— ძალიან აღმაფრთოვანა ტაჯ-მაჰალმა, მაგრამ ასევე ძალიან დამთრგუნა სილატაკემ. ქართველებს შორის ყველაზე ღარიბს ინდოეთი რომ აჩვენო, თავის გაჭირვებაზე, ცხოვრებაში აღარ დაიწუწუნებს. ინდოეთში მეორედ აღარ წავალ. როდესაც მილიონობით ღატაკი ადამიანის საცოდაობას ვუყურებდი, მრცხვენოდა, ცოცხალი რომ ვიყავი.

— პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თუ გიმოგზაურიათ?

— აბსოლუტურად ყველგან ვარ ნამყოფი. სხვებსაც ვეუბნებოდი — წამოდით, მერე ვიზები დაგჭირდებათ-მეთქი, მაგრამ არ მიჯერებდნენ.

— საუბრისას აღნიშნეთ, რომ მთიანი ადგილები გიყვართ. საქართველოს მთებში თუ წასულხართ დასასვენებლად?

— მიუხედავად იმისა, რომ ფშავი და თიანეთი ძალიან მომწონს, დასასვენებლად ვერ მივდივარ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ იქ ინტერნეტი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები არ არის. ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ამ საკითხზე. მთები შვეიცარიელებსაც აქვთ, მაგრამ მათ კომუნიკაციის საკითხი ძალიან კარგად აქვთ მოგვარებული.

— მოგზაურობის დროს ადამიანების ჩვეულებსა და ხასიათს თუ აკვირდებით?

— სადაც უნდა წავიდე, ადამიანების წეს-ჩვეულებას, ხასიათს, მათ ჩაცმულობას და მეტყველების ფორმას ყველგან ვაკვირდები. ჩემი აზრით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე წყნარები ესტონელები არიან. ხმაურიანები კი — კავკასიელები. ლიტველები ყველაზე არასტუმართმოყვარეები არიან. მათ შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ მოეწონოთ ვინმე, რომ რუსულად ლაპარაკობს. ბოლო დროს შევამჩნიე, რომ ესპანელები ძალიან ტანმორჩილები არიან.

— ესპანელებს ხშირად ქართველებსაც ამსგავსებენ.

— მე არ ვამსგავსებ. ჩვენსავით ტემპერამენტიანები ნამდვილად არ არიან. რაც ყველაზე მთავარია, პატიოსნები არიან და ქართველებივით, უცხოელებს არ ატუებენ. სხვათა შორის, იტალიელები ჩვენზე მაგარი მატყუარები ყოფილან. ერთი შეხედვით დარბაისელი, ჰალსტუხიანი იტალიელი, ისე მშვიდად და აუღელვებლად მოგატყუებს, რომ წარბიც არ აუტოკდება.

— როგორც თქვით, სხვადასხვა ქვეყანაში ჩაცმის სტილსაც აკვირდებოდით. რა დასკვნები გააკეთეთ?

— ფრანგები ძალიან ლამაზად, დახვეწილად და სადად იცვამენ. ჩვენთან გოგონები ძალიან გამომწვევ ტანსაცმელს ატარებენ. ასეთი სამოსით იქ მხოლოდ მეძავები დადიან.

— საკვებზე რას იტყვით?

— ოო, მოგზაურობის დროს, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ყველას სამზარეულოს პატივს ვცემ, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც შეიძლება, მშიერიც დავრჩე. მაგალითად, იტალიაში.

— როგორ, იტალიური პიცა არ მოგწონთ?

— პიცა შეიძლება ერთხელ ან ორჯერ შევჭამო, მაგრამ ბოლოს ძალიან რომ მომშივდება, რა ვქნა? პიცა და მაკარონი, ჩემთვის, როგორც ქართველი კაცისათვის, საჭმელი არ არის. მთელ მსოფლიოში ჩემი მხსნელები, ჩინელები არიან. ისე, ამ მხრივ ყველაზე კარგი ქვეყანა გერმანიაა. დიდ შემწვარ „ვულსტს" ყველგან ნახავთ. დალოცვილი ქვეყანაა, საჭმელიც საუკეთესო აქვთ და სასმელიც. გერმანული ლუდი ძალიან მიყვარს.

— დიეტას აღარ იცავთ?

— ადრე დიეტას მხოლოდ თბილისში ყოფნის დროს ვიცავდი, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ უცხოეთში უფრო ხშირად მიწევს ყოფნა და გადავწყვიტე, დიეტა ყველგან დავიცვა.

— ხშირად პოლიტიკოსებთან ერთადაც გიწევთ მოგზაურობა. ასეთ დროს კოლეგები ერთმანეთს ოინებს თუ უწყობთ?

— კი როგორ არა. ერთხელ, ჩეხეთში მოგზაურობისას, ჩემმა საუკეთესო მეგობარმა მთელი გზა მწყურვალი მამყოფა?

— რატომ?

— ოინი იყო. (*იცინის*) ორივეს ერთი და იმავე რაოდენობის წყალი მოგვცეს. მე მთელი მარაგი მაშინვე „გამოვყლურწე", მეგობარმა კი თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის მომიზეზებით, ერთი ყლუპიც აღარ დამალევინა.

— უცხოეთში ყოფნისას ხიფათს თუ გადაჰყრიხართ?

— სადაც წავედი, ყველგან ხიფათს არ გადავეყარე? კოპაკაბანაში მე და გოგა ხაინდრავას დანებით დაგვესხნენ თავს და გაგვძარცვეს. ეს კიდევ არაფერი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ქალაქის ცენტრში, პოლიციის შენობის წინ დამაყაჩაღეს.

— როგორ მოახერხეს?

— სხვათა შორის, ქურდების მოხერხებით ადგილობრივი პოლიციაც აღფრთოვანებული იყო. მათ ყაჩაღობას, სანახაობრივი და თეატრალური ელფერი დაჰკრავს: მოდის ბავშვი და მანჭვა-გრეხით რაღაცას გთხოვს. შენ ხვდები, რომ ფული უნდა და ხელი საფულისაკენ მიგაქვს, ამ დროს ორი შავგვრემანი ახალგაზრდა მეტეორივით ჩამოგიქროლებს და თვალსა და ხელს შუა გაგიქრობს ყველაფერს, რაც გაგაჩნია, მათ შორის ტელეფონსაც. პოლიციის უფროსი კი გეუბნება — ხომ ხედავ, რა მაგრები არიანო. იმის მერე ისე შევშინდი, რომ ყველგან ტაქსით დავდიოდი, ხუთასი მეტრიც აღარ გამივლია ფეხით. ძალზე გასაკვირია, რომ 2010 წელს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი იქ უნდა ჩატარდეს. წინასწარ ვიცი, რაც მოხდება — ადგილობრივები, ვისზეც ხელი მიუწვდებათ, ყველას გაძარცვავენ. ძალიან ოსტატურად დამაყაჩაღეს ბრაზილიაშიც. სან-პაულოს შუაგულში, ერთი ახალგაზრდა მომვარდა და მთელი ჩემი ფული, ჯიბიანად მომგლიჯა. იმ ადგილს ბრაზილიურ სერიალებში ძალიან ხშირად აჩვენებენ. როგორც ჩანს, მსუქანი რომ ვარ, ხალხს მდიდარი ვგონივარ. ყოველ შემთხვევაში, სამი კაციდან მაინცდამაინც მე ამომირჩიეს.

— წელს დასასვენებლად თუ იყავით სადმე?

ესპანეთში ვიყავი და ძალიან ვისიამოვნე

— ესპანეთში ვიყავი და ძალიან ვისიამოვნე, იმიტომ რომ მადრიდი და პრადოს მუზეუმი ვნახე. გარდა ამისა, თავს მშვიდად ვგძნობდი — იქ არც არავის კლავდნენ და არც ცილს სწამებდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის, ესპანეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს.

— თუ მოინახულეთ ისინი?

— უცხო ქვეყანაში ქართველების ნახვა და დასვენება ორი სხვადასხვა რამეა. იქ ჩვენს თანამემამულეებს შორის მშრომელებსაც ნახავთ და ისეთებსაც, რომელთა გამო სირცხვილის გრძნობა დაგეუფლებათ. პირველები მოვინახულე, მეორეებს თავი ავარიდე.

— ესპანეთში მარტო იყავით?

— მარტო დასვენებას რა აზრი აქვს? ყველაზე კარგად მაშინ ვგრძნობ თავს, როდესაც მეუღლე მახლავს.

— როგორც ვიცი, მეუღლე მოგზაურობის დროს გაიცანით.

— მოგზაურობის დროს კი არა, ექსკურსიაზე ყოფნის დროს გავიცანი.

დედაჩემი ისტორიის მასწავლებელი იყო, და მისი წყალობით საქართველოს მთელი ისტორიული ადგილები ათვისებული გვქონდა. ერთხელაც დედამ აღმოაჩინა, რომ საქართველოს გარეთ, დღევანდელ ჩრდილო-ოსეთის ტერიტორიაზე, მოზდოკის რაიონის სოფელ „ნოვო ივანოვკაში" ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებიც, 1918 წელს, მაშინდელი ხელისუფლების ტერორს გაჰქცევიან. წავიღეთ ქართული ფილმები, წიგნები და გავუყევით გზას. ჩვენთან ერთად მოგზაურობდა ჩემი მომავალი მეუღლე, რომელიც მაშინ დედაჩემის მოწაფე იყო. იმის მერე ერთად მოგზაურობა დაგვებედა. ახლა, სადაც უნდა წავიდე, ყველგან თან დამყავს.

— საქორწინო მოგზაურობაში სად იყავით?

— თბილისში.

— ?

— (*იცინის*) მაშინ არ იყო იმის საშუალება, რომ თაფლობის თვე რომელიმე ფეშენებელურ კურორტზე გაგვეტარებინა, ამიტომ ბათუმიდან თბილისში ვიმოგზაურეთ.

— ბატონო ლევან, ძალიან ბევრი რამ გვიამბეთ, მაგრამ ამერიკა ერთხელაც არ გიხსენებიათ. ამ ქვეყანამ თქვენზე შთაბეჭდილება არ მოახდინა?

— როგორ არა, ჩემი მეგობრებისაგან განსხვავებით, ამერიკული ცხოვრების წესი, ძალიან მომწონს. თავისუფლად შემიძლია ასეთ ქვეყანაში ცხოვრება. თან იქ საკვების პრობლემაც არ მექნება. მართალია, ეროვნული კერძი არ აქვთ, მაგრამ ჩინურიდან დაწყებული, ქართულით დამთავრებული, ნებისმიერ კერძს ნახავთ. ძალიან მომწონს, რომ ამერიკის ზოგიერთ ქალაქში ქუჩებს ტროტუარები არ აქვს და ხალხი ვერ სეირნობს. ისიც მომწონს, რომ ქალაქის ცენტრში ცხოვრება გოიმობად ითვლება და საცხოვრებელი სახლები ძირითადად გარეუბნებშია განლაგებული.

— გარეუბანში ცხოვრებაზე გამახსენდა: ბათუმში დაბადებულ და გაზრდილ კაცს თბილისში ცხოვრება არ გაგიჭირდათ?

— პირიქით, ბათუმში უფრო მიჭირს ყოფნა, იმიტომ რომ ტენიან ჰავას ვერ ვიტან. თბილისში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ზღვა დიდად არ მიყვარს, მთის კაცი ვარ. ფული რომ მქონდეს, სადმე მთიან ადგილზე აგარაკს ავიშენებდი.

ეროვნული კითხვა

— თქვენი აზრით, გააუქმებს თუ არა რუსეთი 10 ოქტომბრამდე, საქართველოს ტერიტორიაზე, აგვისტოში შეძენილ ყველა ბლოკპოსტს?

გია თორთლაძე:

— ნათელმხილველი უნდა ვიყო, ამ კითხვაზე სწორი პასუხი რომ გაგცეთ. არსებობს მოლაპარაკებები, ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზე, რუსის ჯარმა საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვოს, რაზეც რუსეთს ხელიც აქვს მოწერილი. დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სავარაუდოდ, მათ დიდი სანქციები ელოდებათ.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ლეკალიჩ
უბის წიგნაკიდან:

1. ალექსანდრე ყაზბეგი კლეპტომანიით იყო დაავადებული.

2. რუსეთში სამხედრო საქმე კონსერვატორიებშიც კი ისწავლება.

3. საფრანგეთის მეფე ანრი IV-მ ექვსჯერ შეიცვალა სარწმუნოება.

4. მთვარე დედამიწას ყოველ წელიწადს 3,8 სანტიმეტრით შორდება.

5. იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს უფლისწულობაში დავითი ერქვა.

6. გია ბაღაშვილი მეორე დანისა და შავი ქამრის მფლობელია კარატეში.

7. იტალიური პოეზიისა და ლიტერატურის ფუძემდებლად დანტე ალიგიერია აღიარებული.

8. „ნაჰდა" არაბულ ლიტერატურაში ევროპული რენესანსის ანალოგია და „გამოფხიზლებას" ნიშნავს.

9. დიდ, სწრაფმავალ ჯავშნოსან გემს, რომელიც მძლავრი, შორსმსროლელი ქვემეხებით არის აღჭურვილი, დრედნოუტი ჰქვია.

10. ევროპაში 1260 წლამდე სანოტო ნიშნები შედარებით მარტივად გამოისახებოდა — მათში არ იყო მინიშნებული ბგერის ხანგრძლივობა.

11. სესხის მაქსიმალური წლიური პროცენტი — 8% რომაელებმა ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში დაადგინეს.

12. „დედაჩემი ერთი უბრალო ქალი იყო, მაგრამ მან გერმანიას უდიდესი შვილი აჩუქა", — წერდა ადოლფ ჰიტლერი „მაინ კამპფში".

13. წვრილად დაკეპილ, მოხარშულ, მარილითა და სიმუავით შენელებულ ცხვრის შიგნეულს ხარხუში ჰქვია. მას საინგილოში ხინკლის შიგთავსად ხმარობენ.

14. ვეფხვისებური ზვიგენი სიგრძეში 5 მეტრამდე იზრდება და 600 კილოგრამს იწონის. მას ზღვის სანიტარს ეძახიან, რადგან ფაქტობრივად, ყველაფერს მირთმევს. მის კუჭში ადამიანებს აღმოუჩენიათ პლასტიკური ბოთლები, ავტომობილის საბურავები და ავტომობილის ნომრები. იყო შემთხვევა, როცა ვეფხვისებური ზვიგენის მუცლიდან აბჯრის სრული კომპლექტი ამოუღიათ.

15. გეგმის მიხედვით, 1945 წლის 9 აგვისტოს ამერიკელებს მეორე ატომური ბომბი ქალაქ კოკურაში უნდა ჩამოეგდოთ, მაგრამ ძლიერი ღრუბლიანობის გამო, თვითმფრინავმა გეზი ნაგასაკისკენ იცვალა და ბომბიც იქ ჩამოაგდო.

16. ყურანისა და ისლამური ცივილიზაციის შექმნამდე პერიოდს მუსლიმანები ჯაჰილიას ანუ „უცოდინარობის პერიოდს" უწოდებენ.

მუცლის ჯიბეში შენახული ნაცვრის თვალი და პრეზიდენტისგან მილებული საჩუქარი

ჯერ მხოლოდ თერთმეტის არის, მაგრამ მისი ცხოვრება სხვა ბავშვებისას არ ჰგავს. სასტიკი რეალობა პატარა ბიჭს ოჯახის რჩენას აიძულებს, ოჯახის, რომელიც მხოლოდ ორი წევრისგან შედგება — თვითონ მისი და პენსიონერი ბებიისგან. იცის, რომ ფრაზა — „დამეხმარეთ, მშია!" ადამიანებს გულს უჩუყებს, მაგრამ ხშირად პატარა მათხოვარს მართლაც შია, შია მის ბებია ნინასაც, რომელიც გიორგის შინ ელოდება. ასეთ ყოფაშიც კი, ბავშვი კეთილი მომავლის იმედს არ კარგავს. გულის ჯიბით დაატარებს „ნაცვრის თვალს", თეთრი ფერის გამჭვირვალე ქვას, რომელიც მისთვის ვილაც უცნობს უჩუქებია და „ყოვლისშემძლე" ქვას, დროდადრო პატარა გულით ნაკარნახევ ერთადერთ სურვილს ასრულებს — დედასთან უნდა!

ემა ტუხიაშვილი

პატარა მათხოვარი ბიჭი, რამდენიმე თვის წინ, ქუჩაში გავიცანი. მე შვილებთან ერთად ვსეირნობდი, ის კი გამოწვდილი ხელით მოწყალებას ითხოვდა. რა თქმა უნდა, ჩვენთანაც მოირბინა და ჩემდა გასაოცრად, ხურდა ფულის ნაცვლად, მთხოვა, უფლება მიმეცა, რომ ჩემი შვილის ეტლი ეტარებინა. თავიდან ვიყოყმანე, რადგან ქუჩის ბავშვების სისასტიკეზე ბევრი მსმენია, მაგრამ ბიჭს ისეთი კეთილი თვალები ჰქონდა, რომ გადავწყვიტე, მისი თხოვნა შემესრულებინა. ამ რამდენიმეწუთიანი ნაცნობობის დროს, მივხვდი, რომ პატარა მათხოვარს, დედობრივი ალერსი და ოჯახური სითბო აკლდა, და უნდოდა ეს ცოტა ხნით მაინც, ჩემი და ჩემი შვილების გვერდით შეეგრძნო. რამდენიმე დღის შემდეგ, პატარა გიორგი პუშკინის სკვერში დავინახე, დამსვენებლებს მოწყალებას სთხოვდა. მანაც დამინახა, გამიკვირდა და უნდა ვაღიარო, ცოტათი მეწყინა კიდეც, რომ ჩვენი ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ თბილი ურთიერთობის შემდეგ, უმალ არ მოირბინა ჩემთან. ვხედავდი, რომ გიორგიმ ჯიბიდან მათხოვრობით შეგროვებული ხურდა ფული ამოიღო, ხელისგულზე დაიყარა და რამდენიმე წუთის განმავლობაში გულმოდგინედ ითვლიდა. შემდეგ სადღაც გაიქცა. ვიფიქრე: ალბათ შია საცოდავს-მეთქი, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, გიორგი დაბრუნდა, ჩემკენ მოემართებოდა, მიღიმოდა და ზურგს უკან რაღაცას მალავდა. პატარა მათხოვარმა, მოწყალებით ნაშოვნი ფულით ნაყიდი ულამაზესი ვარდი მომართვა. ეს იყო მადლიერება, რამდენიმე წუთით „ნაჩუქარი დედობის" სანაცვლოდ. პატარა მოთხუპნილი მათხოვარი შვილივით ჩავიკარი გულში და ხმამაღლა ავქვითინდი. ბავშვმა არაფერი იცოდა, მაგრამ იმ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო...

მას შემდეგ, გიორგი ჩემი ოჯახის ხშირი სტუმარია. მისი ცხოვრების შესახებ ბევრი რამ შევიტყვე და მინდა, თქვენც გიამბოთ. არ მინდა, მის ფაქიზ სულს ქუჩის სისასტიკემ თავისი დაღი დაასვას. გიორგისა და მისნაირების აღზრდაში საზოგადოება აქტიურად უნდა ჩაერთოს. ნუ გგონიათ, რომ ხურდა ფულით გაღებული მოწყალებით, თქვენი ვალი მოხდილია.

გიორგი აბილაძე:

— დედასთან ერთად რუსთავში ვცხოვრობდი. უმცროსი ძმაც მყავს, დათო ჰქვია, 8 წლისაა. დათო სმენადაქვეითებულია, ლაპარაკითაც ცოტას ლაპარაკობს, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცის. დედამ მითხრა: ფული არ მაქვს, რომ გარჩინოო. ძალიან მშიოდა ხოლმე, ამიტომ ბებიასთან, ლილოს დასახლებაში ჩამოვედი. ბებიაც არ მუშაობს, პენსია აქვს მხოლოდ და წამლების საყიდლადაც არ ჰყოფნის. როგორლაც თავი ხომ უნდა მერჩინა? თანაც ბებომ სკოლაში მიმიყვანა. ყველას უკვირს, თერთმეტი წლის ვარ და ჯერ მხოლოდ მეორე კლასში ვსწავლობ, მაგრამ რა ჩემი ბრალია, დედამ რომ თავის დროზე არ შემიყვანა სკოლაში. სკოლაში რომ მევლო, ჩასაცმელი და წიგნები უნდა მქონოდა, ამისთვის კი ფულია საჭირო და მეც მათხოვრობა დავიწყე. ქურდობას ეს მირჩევნია. მივდივარ და ალალად ვეუბნები ადამიანებს, რომ ათი-ოცი თეთრით დამეხმარონ. ხალხი მოწყალეა, ზოგი ლარსაც კი მაძლევს, ამიტომ ზოგჯერ ბებოსთან ათი ლარიც კი მიმაქვს. ცუდ ამინდში, რა თქმა უნდა, ხალხი ქუჩაში ნაკლებად მოძრობს და ასეთ დროს სამ ლარზე მეტს ვერ ვშოულობ. ზოგს რომ ვეუბნები: მშია-მეთქი, რაც შინ მიაქვთ, იქიდან მინაწილებენ. დიდ ქალაქში თავის რჩენა უფრო იოლია. ხშირად, ვმათხოვრობ ავტობუსის გაჩერებასთან, კოლმეურნეობის მოედანზე.

ავტობუსის მძღოლებიც მიცნობენ და მეხმარებიან. როდესაც ფული მაქვს, ჩემი ძმის სანახავადაც ჩავდივარ რუსთავში. დათოსთვის ტკბილეული და სათამაშოები მიმაქვს ხოლმე და ძალიან უხარია.

— გიორგი, მამა თუ გყავს?

— კი, მამაჩემი მანქანების ხელოსანია. ის დედასთან არ ცხოვრობს, სხვა ცოლი ჰყავს. რამდენჯერმე ვიყავი მასთან, მაგრამ სულ სადღაც გარბის, სადღაც ეჩქარება. მეორე მამაც მყავს, რომელიც დედასთან და ჩემს ძმასთან ერთად ცხოვრობს.

— მოწყალების სათხოვნელად ლილოს დასახლებიდან თბილისის ცენტრალურ უბნებში ჩამოდიხარ და გვიან ღამემდე ფულის შოვნით ხარ დაკავებული, სწავლას როდისღა ასწრებ, თუ გაკვეთილებს არც ამზადებ?

— როგორ არა, 168-ე საჯარო სკოლაში ვსწავლობ და შეგიძლიათ იკითხოთ, ვესწრები თუ არა გაკვეთილებს. მართალია, სახლში გვიან ღამით ვბრუნდები და დაღლილ-დაქნცულს მეცადინეობის თავი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ დილით ადრე, ხუთ საათზე ვდგები და გაკვეთილებს მაშინ ვამზადებ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ წერა-კითხვა ცოტა მიჭირს, რადგან სკოლაში მთელი ოთხი-ხუთი წლის დაგვიანებით მივედი. სამაგიეროდ, კარგად ვართმევ თავს მათემატიკას და რამდენიმე დღის წინ, ათი ქულაც კი მივიღე. ვიდრე სკოლაში გაკვეთილები დაიწყება, ლილოს ბაზრობაზე გასვლასაც ვასწრებ. ორი წლის წინ, მათხოვრობა სწორედ ამ ბაზრობიდან დავიწყე. იქ ყველა მიცნობს, ზოგი ფულს



მაძლევს, ზოგიც სამოსს მჩუქნის. გაკვეთილების შემდეგ კი №1 ავტობუსში ვჯდები და თბილისის ქუჩებში სამათხოვროდ დავდივარ.

— პატარა ბიჭისთვის ქუჩაში გვიან ღამემდე ყოფნა სახიფათო არ არის?!

— ვიცი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მაქვს. ერთხელ, ბოშა მათხოვრები დამხვდნენ, მთელი დღის განმავლობაში ნაშოვნი ფული წამართვეს და უმოწყალოდ მცემეს. კიდევ კარგი, რომ საპატრულო პოლიცია გამოჩნდა და სიკვდილს გადამარჩინეს. ბოშა მათხოვრები ქურდები არიან, მე კი არასდროს მოვიპარავ. ავტობუსის გაჩერებაზე, მზესუმზირის გამყიდველები ხშირად დახლის საყარაულოდ მტოვებენ, იციან, რომ რაც უნდა მშიოდეს, მათი ნებართვის გარეშე ერთ მარცვალსაც არ ავიღებ. ალბათ ამის გამო ღმერთიც მწყალობს და ქუჩაში ფულიც ხშირად მიპოვია. ერთხელ კიდევ, რუსთაველზე, პრეზიდენტმა მიშამ 100 ლარი მაჩუქა.

— გიორგი, რაღაცას ხომ არ მატყუებ, ტყუილიც ისეთივე ცოდვაა, როგორიც ქურდობა.

— ჩემს ძმას, დათოს გეფიცებით, ნამდვილად ასე იყო. ამ ქვეყანაზე, დათო და დედაჩემი ყველაზე მეტად მიყვარს და ტყუილად მათ თავს ნამდვილად არ დავიფიცებ.

— ამას ყველა ბავშვს ეკითხებიან და მინდა შენც გკითხო, რომ გაიზრდები, რა გინდა გამოხვიდე?

— დიდი ყვითელი ავტობუსის მძღოლი მინდა გავხდე. აი ისეთი ავტობუსის, თბილისიდან ლილოს დასახლებამდე რომ დადის. ზოგჯერ წარმოვიდგენ ხოლმე კიდეც, რომ ავტობუსის საჭესთან ვზივარ, უკან უამრავი მგზავრი ზის, მე კი ხურდა ფულს დიდ მაგნიტზე ვაწებებ. მანამდე კი ველოსიპედის მართვა მინდა ვისწავლო, მაგრამ არ მყავს. ქუჩაში რამდენჯერმე მითხოვია ბავშვებისთვის, რომ ცოტა ხნით მაინც დავესვი ჩემი ოცნების ორთვალას საჭესთან, მაგრამ მათხოვრებთან ურთიერთობას ყველა უფრთხის.

— გახსოვს, ყვავილი რომ მაჩუქე? ეს რატომ გააკეთე? დარწმუნებული ვარ, იმ ყვავილში იმ დღეს ნაშოვნი მთელი ფული თუ არა, დიდი ნაწილი გადაიხადე, არა?

— მე არასდროს მქონია იმის ბედნიერება, რომ დედასთან და ძმასთან ერთად ქუჩაში მესეირნა. ზოგი ბავშვისთვის ეს ჩვეულებრივი რამაა, ჩემთვის კი სანატრელია. ბავშვის ეტლით ტარების უფლება სხვებისთვის მანამდეც მითხოვია, მაგრამ საპასუხოდ, მხოლოდ დატუქსვა მიმიღია. თქვენ კი თქვენი შვილი მანდეთ და არც ჩემთან ერთად სეირნობა ითაკილეთ. იმ წუთებში ძალზე ბედნიერი ვიყავი, მეც სხვა ბავშვებივით „ოჯახთან" ერთად ვსეირნობდი, არ მახსოვდა, რომ მათხოვარი ვიყავი და თითქოს ბავშვობაში დავბრუნდი. ის ყვავილიც იმიტომ მოგართვით, რომ მინდოდა, მადლიერება გამომეხატა და რა მნიშვნელობა ჰქონდა, მასში რამდენ ფულს გადავიხდიდი.

— ვიცი, რომ გულის ჯიბით „ნატვრის თვალს" დაატარებ, ძალიან უფრთხილდები, რომ არ დაკარგო. ალბათ რაღაც განსაკუთრებულს სთხოვ არა?

— შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ბევრი ფული ან მანქანა მინდა, მაგრამ „ნატვრის თვალს" მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვ — დედასთან მინდა!

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

ნობის წიგნაკიდან:

17. 1914-1920 წლებში ნობელის პრემია ძირითადად სკანდინავიელ მწერლებს გადაეცემოდათ. ამის მიზეზი ის იყო, რომ შვედეთის აკადემიამ, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატებს არჩევს, გადაწყვიტა, ეს ჯილდო ომში მონაწილე არც ერთი ქვეყნის მოქალაქისთვის არ მიენიჭებინა.

18. რუს მწერალსა და დისიდენტს, ალექსანდრე სოლჟენიცინს 1945 წელს სტალინის კრიტიკისათვის კატორღა მიუსაჯეს. 1970 წელს, მას ლიტერატურაში ნობელის პრემია მიენიჭა, მაგრამ რუსეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ, ბრეჟნევის მეთაურობით, სოლჟენიცინს უარი განუცხადა ვიზის მიცემაზე, რის გამოც მწერალი ვერ გაემგზავრა პრემიის მისაღებად.

19. თამაზ კვაჭანტირაძე ერთი პერიოდი ალკაბაძის ფსევდონიმით წერდა. ალექსანდრა დედამისის სახელი გახლდათ, მამისა — კასიანე, გამზრდელი ბებიისა — ბაბილინა. ბატონმა თამაზმა, ამ სახელთა თავკიდურა მარცვლები გააერთიანა და საკუთარ ფსევდონიმად აქცია.



20. რეპეტიციებზე რობიკო სტურუას მიერ მსახიობებისადმი გამოჩენილი სიმკაცრის გამო, გურამ საღარაძემ, სამი ტირანის სახელი შეაერთა და რეჟისორს მეტსახელად ადოლფ ვისარიონოვიჩ ბერია შეარქვა.

21. 1937 წლის 22 ივლისს, პაოლო იაშვილმა მწერალთა კავშირის შენობაში მოიკლა თავი. კავშირის სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პოეტის საქციელი ანტისაბჭოთა პროვოკაციად იქნა შეფასებული. მიხეილ ჯავახიშვილი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც პოეტის „ანტისაბჭოური" საქციელი არ დაუგმია. ოთხ დღეში, 26 ივლისს, კავშირის პრეზიდიუმმა კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება: „მიხეილ ჯავახიშვილი, ჯაშუში და დივერსანტი, განდევნილ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს". მისი მეგობრები და კოლეგები, მათ შორის ციხეში მყოფნიც, აიძულეს, ელიარებინათ ჯავახიშვილი, როგორც კონტრრევოლუციონერი ტერორისტი. მხოლოდ კრიტიკოსმა გერონტი ქიქოძემ დატოვა კავშირის სხდომა პროტესტის ნიშნად. მწერალი 1937 წლის 14 აგვისტოს დააპატიმრეს, ბერიას თანდასწრებით წამებით აიძულეს, ხელი მოეწერა „აღიარებაზე" და დახვრეტა მიუსაჯეს. იმავე წლის 30 სექტემბერს, სასჯელი სისრულეში მოიყვანეს. მწერლის არქივი განადგურდა, მის ქონებას კი კონფისკაცია გაუკეთეს. მოგვიანებით ჯავახიშვილის ძმაც დახვრიტეს, მეუღლე კი გადაასახლეს.

ქილა ოქრო, ლატარიის სასიკვდილო ბილეთი

და წითელას მამო დაკარგული ილბალი

ნათქვამია: ბედი მომეცი და სანაგვეზე გადამაგდეო, მაგრამ ისიც ხომ უთქვამთ: ილბალი ისეთი რამაა, თუ არ შეუღიტინე, სიცილს არ დაიწყებსო... ზუსტად არავინ იცის, რა არის ილბალი, რა ფერია, ან რა ფორმისაა, მაგრამ ვისთვის ის ბევრ ფულთან ასოცირდება, ვისთვის — გამართლებულ სიყვარულთან და ვისთვის კიდევ — ლატარიის მომგებიან ბილეთთან. ჩემი რესპონდენტებიც სწორედ ილბლიანობის ნიშნით შევარჩიე, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც თქვენზეა, მკითხველო. თავად განსაჯეთ, ჩემი რესპონდენტებიდან ვინ ილბლიანია და ვინ — უილბლო.



ემა ტუხიაშვილი

ქილა ოქრო

ბაბილი, *72 წლის:*

— დიდ სიღარიბეში გავიზარდე. ახლა რომ მახსენდება, მე და ჩემს და-ძმას, როგორ გვშიოდა და გვციოდა, ტანში უსიამოვნო ჟრუანტელი დამივლის ხოლმე. დაფლეთილ-დაგლეჯილი სამოსით გავიზარდეთ და ამის გამო სკოლას ხშირად ვაცდენდით, ამიტომ ბავშვები ვერც აკადემიური მოსწრებით დავიკვეხნიდით. ამის მიუხედავად, საცოდავი დედაჩემი სულ მიმეორებდა: გენაცვალოს დედა, ქუდბედიანი დაიბადე და ვიცი, შენი ილბალი სადღაც აუცილებლად გელოდება, ადრე თუ გვიან, მაინც გესტუმრებაო. დედაჩემის სიტყვები, მართალია მომავლის იმედს მაძლევდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, საპირისპიროში ვრწმუნდებოდი. საცოდავი მამაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ ერთი ბებერი ვირისა და მასში შებმული ურმის გარდა, არაფერი დაუტოვებია. საკუთარი სახლიც კი არ გვქონდა. კოლმეურნეობის კუთვნილ შენობაში, პატარა ბანიან სახლში ვცხოვრობდით, რომელიც სულის შებერვაზე წაიქცეოდა. ერთი პატარა ნაკვეთის გარდა, არც სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწა გვქონდა, რომ თავი მიწაზე მუშაობით მაინც გვერჩინა. მოკლედ, ვიყავით ასე, სოფლის ანაბარა, ზოგი სამადლოდ პურს გვაძლევდა, ზოგიც — რძეს და ზოგიც — შეშა-ფიჩხს. სიყვარულმა სიღარიბე რომ არ იცის, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც სკოლის დამთავრების შემდეგ, ცოლად ჩემი თანაკლასელი გოგონა, ულამაზესი თამრიკო შევირთე. ხალხი ამბობდა: ეტყობა, ეგ არის მაგის ილბალი, დედამისი რომ გაიძახოდაო. მართლაც, ილბალი და სიყვარული რომ არა, ვინ მარგუნებდა ამისთანა ბადრი მთვარესავით ქალს. ერთხანს, მშობლებმაც კი მოიძულეს თამრიკო ამის გამო და სათოფეზე არ იკარებდნენ: რამ დაგიბრმავა თვალები, მაგ უქონელს რომ გაჰყევიო. მეგონა, ილბალთან ერთად, ღმერთიც დამცინოდა, როდესაც ჩემმა ცოლმა, ერთმანეთის მოყოლებით სამი ვაჟი გამიჩინა. ხომ იცით, ქართული წესი და ადათი, ვაჟებს დასახლება და დაბინავება უნდა, მე კი საკუთარი ჭერიც კი არ მქონდა. ასეთ ყოფაში შევეცოდე ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და სოფლის სასაწყობე მეურნეობაში, სადაც უწინ მუხრანბატონის ბეღლები იყო, ერთი პატარა საკარმიდამო ნაკვეთი მომიჭრა. დავიწყე საძირკვლის გაჭრა, საშენი მასალა რომ არ მქონდა, ქსნის ხეობიდან ქვებს ვეზიდებოდი, სახლის კედლები ქვებით რომ ამომეყვანა. ამგვარ ყოფაში, ვინ იცის, რამდენჯერ მიტირია სიმწრით და ჩემი ილბალიც დამიწყევლია. ერთხელაც სასწაული მოხდა... საძირკველს ერთიორ მტკაველ სიგრძეს კიდევ ვამატებდი, რომ ბარის პირით რაღაც თიხის ჭურჭელს წავაწყდი. ის ადგილი ფრთხილად გამოვთხარე და თიხის მოზრდილი ქილა მიწისგან გავასუფთავეშიგ რომ ჩავიხედე, ბედნიერებისგან ლამის გული გამიჩერდა — ქილა ოქროს მონეტებით იყო სავსე. მაშინ მივხვდი, რომ საცოდავი დედაჩემი არ ცდებოდა და გადავწყვიტე, ილბალს აღარასოდეს დავმდურებოდი. „ოქროს ქილის“ ამბავი პირველ ხანს ცოლსაც კი არ გავუმხილე. ოქროს მონეტებს ნელ-ნელა ვყიდდი. მოკრძალებული სახლის ნაცვლად, კოლმეურნეობისგან სამადლოდ ნაჩუქარ მიწაზე უზარმაზარი სასახლე წამოვჭიმე, მეტიც — ორი ასეთი სახლი შუათანა და უფროს ვაჟებსაც ავუშენე. ბიჭები რომ წამოიზარდნენ, ყველას ახალთახალი „გაზ-24“ მარკის ავტომობილი ვუყიდე. თანასოფლელები ჩემმა მოულოდნელმა გამდიდრებამ საგონებელში ჩააგდო, ვერაფრით გაეგოთ, საიდან ვშოულობდი ამდენ ფულს. ხან საიდან მივლიდნენ, რაიმე რომ დამცდენოდა და ხანაც — საიდან. შვილები რომ დაცოლშვილდნენ, სამივეს თბილისში ბინები შევუძინე. ამან კი საბოლოოდ გაუწყვიტა მოთმინების ძაფი თანასოფლელებს და სიმართლის გასაგებად ჩემ წინააღმდეგ მზაკვრული გეგმა შეიმუშავეს. ერთ-ერთი თანასოფლელის ოჯახში სუფრა გაშალეს და მეც დამპატიჟეს. ძალდატანებით სულ განსხვავებული სასმისებით მასვეს ღვინო და რომ შემატყვეს, უკვე კარგად გამოვთვერი, გამოკითხვა დამიწყეს: აბა, მოჰყევი, შამილ, ასე მოულოდნელად როგორ გამდიდრდიო? მახსოვს, ენა და მთლიანად სხეული სიმთვრალისგან გაბუჟებული მქონდა, მაგრამ გონებას სიფხიზლე არ დაუკარგავს. ამიტომ გადავწყვიტე, თანასოფლელების მზაკვრობაზე ეშმაკობით მეპასუხა და დავიწყე თავს გადახდენილი ამბის მოყოლა. ათობით ადამიანის გაოცებული თვალი მომჩერებოდა, როდესაც თიხის ქილის პოვნის ამბავი მოვყევი. მაგრამ ცნობისმოყვარე მეზობლებს იმედები გავუცრუე და ვუთხარი, რომ ქილა ნახერხით იყომეთქი სავსე. ასე პირში ჩალაგამოვლებული დავტოვე ცნობისმოყვარე თანასოფლელები და ენაზე კბილის დაჭერით, გვიან მოსული ილბალიც შევინარჩუნე.

„სპორტსმენს თუ სპორტული იღბალი არ აქვს, ძალიან ძნელია წარმატების მიღწევა. 2004 წელს, ოლიმპიადაზე მესამე შეხვედრა კორეელთან მქონდა და ვაგებდი, მაგრამ მოხდა ისე, რომ 15 წამში ეს შეხვედრა მოვიგე. ეს იღბალია,“ — ამბობს საბერძნეთში მოღვაწე ქართველი სპორტსმენი **ჯარვი ზვიადაური.**

იღბლიან-უიღბლო ბილეთი

ნელი, *45 წლის:*

— რაც თავი მახსოვს, მამაჩემი სულ თავის ბედ-იღბალს წყევლიდა: ეს რა უიღბლო დღეს გამაჩინა ღმერთმა, რატომ არ დაიქცა ის დღე და დაიწვა ჩემი იღბალიო. დღედაღამ იმას ნატრობდა: ნეტავ, ციდან ფულით სავსე ტომარა ჩამოვარდებოდეს და თავში დამეცემოდესო. საწყალი მამა, იმდენს ფიქრობდა იღბლიან შემთხვევაზე, რომ ღამე სიზმარშიც იმას ხედავდა, თითქოს ქუჩაში ფულით სავსე სკივრი, ან ოქრო და ბრილიანტები იპოვა. არადა, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს ოჯახს ძალიან უჭირდა. დედა და მამა თბილისის საკოლმეურნეო ბაზარში მწნილით ვაჭრობდნენ. ზაფხულში, მამის ავტომობილით სოფლებში დადიოდნენ, გლეხებისგან იაფად ბოსტნეულს ყიდულობდნენ, ამწნილებდნენ და ზამთარში ყიდდნენ. ჩვენი საკმარისი საჭმელი, სასმელი და სამოსი ყოველთვის გვქონდა, მაგრამ მამას გაცილებით მეტი უნდოდა. ყოველთვის სხვას შენატროდა, სხვისი ბედისა და იღბლის შურდა. დედა ეტყოდა ხოლმე: არ შეიძლება ასე ცხოვრება, ამდენი ბოღმა და შური ბოლოს მოგიღებს, ყველას თავისი იღბალი დაბადებიდან დაჰყვებაო, — მაგრამ მამას ვერაფერი შეასმინა. თავისი საქციელით მამა შვილებსაც გვთრგუნავდა, როდესაც მოჰყვებოდა წუწუნს: იმის შვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, იმის შვილი მილიონერს გაჰყვა ცოლად და მე ვინ მომცა ამის ბედიო. ამ ყველაფერთან ერთად, მამა ისეთი მომჭირნე იყო, ტყუილად კაპიკს ვერ გააგდებინებდი. არ მახსოვს, რომ ოდესმე ფული უშურველად დაეხარჯოს. ესეც ალბათ მისი იღბალი იყო. ერთადერთხელ ცხოვრებაში, ბაზართან, სადაც დედა და მამა ვაჭრობდნენ, მამამ ჯიხურში ლატარიის ბილეთი იყიდა. როგორც იმ ჯიხურის გამყიდველი შემდეგ გვიყვებოდა, ამ ბილეთის ყიდვა კაცს ხურდის სანაცვლოდ თავად აიძულა. იმ ერთადერთი ბილეთით, მამამ ავტომანქანა მოიგო, მაგრამ მოულოდნელად თავს დამტყდარ იღბალს მისმა გულმა ვერ გაუძლო და მომგებიანი ბილეთით ხელში, იქვე ჯიხურთან გარდაიცვალა.

ესეც იღბალი

ამ ამბავმა მთელი მსოფლიო მოიარა. 1979 წელს, ვაშინგტონის ერთ-ერთ აეროპორტში, ფრანგული ავიაკომპანიის „ეარ ფრანსის“ ლაინერს

„კონკორდს“ აფრენისას ბორბალი გაუსკდა. რეზინის ნაფლეთებმა საწვავის ავზი დააზიანა და თვითმფრინავმა იძულებითი დაშვება განახორციელა. ამ შემთხვევის შემდეგ, ავიაკომპანიამ თვითმფრინავის მწარმოებლისგან ლაინერის ახლით შეცვლა მოითხოვა. მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ახლა უკვე 2000 წლის 25 ივლისს, პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტიდან ახალი „კონკორდი“ აფრინდა. ავიალაინერს ისევ გაუსკდა ბორბალი, მისი ნაფლეთები ისევ საწვავის ავზს მოხვდა, დაზიანებული ავზიდან საწვავმა გაჟონა და თვითმფრინავი ცეცხლის ალში გაეხვია. ცეცხლმოკიდებული ავიალინერი სასტუმროს შენობას შეეჯახა და მისი ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა.

ჩემი იღბალი – ჩემთან...

ნათელა, *60 წლის:*

— ბავშვობიდანვე იღბლიანს მეძახდნენ. ერთხელ, სოფელში ორსართულიანი სახლის აივნიდან გადმოვვარ-

პროფესიული განათლების პროფკავშირი
და საერთაშორისო ორგანიზაცია
"JOINT"-ი 18-35 წლის ასაკის
მსურველთათვის ა.წ. 15 ოქტომბრიდან
ატარებს უფასო კურსებს სპეციალობებში:
სარეკლამო აგენტი, სადაზღვევო აგენტი,
ტანსაცმლის მოდელირება-კონსტრუირება-
კერვა, მზარეული, სასტუმროს
ადმინისტრატორი, მოლარე-გამყიდველი.
სწავლება იწარმოებს 15-18 საათზე.
მისამართზე უზნაძის ქ.№68.
კურსდამთავრებულები დასაქმდებიან,
მათზე გაიცემა სერტიფიკატი.

საკონტაქტო ტელეფონი:
951849; 32-35-64; 899899 57- 20-55, 877 72-27-09.
E-MAIL: Dan.prof@yahoo.com; siyb_kab_geo@mail.ru

დი — აივნის ძელზე გადმოკიდებულ ყურძნის მტევანს ვუპირებდი მოწყვეტას და, ძირს გავადინე ზღართანი. დაუჯერებელია, მაგრამ მოტეხილობა კი არა, პატარა ნაკაწრიც კი არსად მქონდა. ერთხელ კი მდინარის დინებამ წამიღო, არ ვიცი, რა მეშველებოდა, კაბა ხის ტოტს რომ არ გამოსდებოდა. სკოლაშიც ძალზე იღბლიანი ვიყავი. გარეგნობით არც ახლა ვბრწყინავ და არც სკოლაში ვიყავი დიდი „კრასავიცა", მაგრამ სკოლის ყველა წარმოსადეგ ყმაწვილს, რატომღაც მე მოვწონდი. გოგონები შურით სკდებოდნენ ხოლმე: რა ბედი აქვს ნათელასო. ის კი არა და, გამოცდებზე რომელ ბილეთსაც ვისწავლიდი, სწორედ ის ბილეთი მხვდებოდა. მე ერთი ბილეთის სწავლაში ფრიადს ვიღებდი და ჩემი მეგობარი გოგონები კი, ღამეებს რომ ათევდნენ, ოთხიანს სჯერდებოდნენ. სიყვარულშიც იღბლიანი აღმოვჩნდი. მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი ნინელი ჯერ იყო და, საბავშო ბაღში დავდიოდით ერთად, შემდეგ მშობლებმა სკოლაშიც ერთად შეგვიყვანეს. ისე მოხდა, რომ ინსტიტუტშიც ერთ კურსზე მოვხვდით. ისეთი გოგო იყო ნინელი, ავ თვალს არ ენახვებოდა: მაღალი, ნატიფი ტანის, ქერა კულულებითა და ლამაზი თაფლისფერი თვალებით. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნინელიმ ბიჭი გაიცნო ტელეფონით და შეუყვარდა. საათობით ელაპარაკებოდა წყვილი ერთმანეთს ტელეფონით ისე, რომ ერთმანეთი არც კი ენახათ. მე, როგორც ნინელის ერთგულმა მეგობარმა, მათი ურთიერთობის ყველა დეტალი ვიცოდი. ნოდარი ნინელის შეხვედრას სთხოვდა, ის კი ხან რას და ხან რას იმიზეზდა, თავს იკავებდა. ბევრჯერ დაუთქვა ყმაწვილს პაემანი და მისვლა ვერ გაბედა. მოკლედ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ახალგაზრდა კაცმა ნინელის ულტიმატუმი წაუყენა: ან შემხვდები, ან არა და, შენთან ურთიერთობას ვწყვეტო. დათქვეს შეხვედრის დღე და საათი, მაგრამ იღბალი არ გინდა?! ნინელის წითელა ბატონები შეეყარა. ასეთ მდგომარეობაში საყვარელ კაცს როგორ ეჩვენებოდა. დარწმუნებული იყო, ამდენი „გადაგდების" შემდეგ მისი გულის სწორი ავადმყოფობის მიზეზს არ დაიჯერებდა, ამიტომ გადაწყვიტა, მის ნაცვლად პაემანზე მე გავეგზავნე. ბევრი ვიუარე: სად შენ და სად მემეთქი, მაგრამ მუხლებში ჩამივარდა: თუ ნოდარს ნამდვილად ვუყვარვარ, „შენნაირსაც" შემიყვარებსო. ისე მოხდა, რომ ნოდარმა მე შემიყვარა და ნინელისთან შეხვედრის სურვილი აღარ ჰქონია. უკვე 30 წელია, მე და ნოდარი ცოლ-ქმარი ვართ. ბევრჯერ მომისმენია: რა შეუფერებელი წყვილია, ქმარი ცოლს გაცილებით სჯობიაო, მაგრამ ნოდარზე ერთგული ქმარი არსად მეგულება. ეს ჰაერზე ნათქვამი სიტყვები არ გეგონოთ, ნოდარმა ამ წლების განმავლობაში თავის ერთგულებაში მრავალჯერ დამარწმუნა. ასე რომ, მის გვერდით უბედნიერესი ქალი ვარ. რაც შეეხება ნინელის, ის დღესაც გაუთხოვარია. ასეთია იღბალი, ხომ გაგიგონიათ: სადაც არის ბედი შენიო...

ბიზნესიღბალი

ბამუკა, *36 წლის:*

— ბიზნესში შრომისმოყვარეობასთან ერთად, კაცს ცოტა იღბალიც თუ არ გაქვს, არაფერი გამოგივა. თხუთმეტი წლის წინ, ჩემი ბიზნესი, ბენზინის ოცლიტრიანი ავზით დავიწყე. საწვავს ქალაქში, ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე ვყიდულობდი და შემდეგ თბილისის შემოსასვლელთან ვყიდდი. შემდეგ ავზების რაოდენობა ნელ-ნელა გაიზარდა და დღეს თბილისში რამდენიმე ათეული ბენზინგასამართი სადგურის მფლობელი ვარ. ვაჭრობაში იღბალს ყისმათსაც უწოდებენ. ხომ შეიძლებოდა, მაშინ მუშტარი არ გამომჩენოდა და ჩემგან საწვავი არავის ეყიდა? საოცრად იღბლიანი მეგობარი მყავს. უკვე ორი წელია, გერმანიაში დადის და მეორადი ავტომობილები ჩამოჰყავს. ამ ორი წლის განმავლობაში, ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თუ არ ჩავთვლით, თვეში ორჯერ მიემგზავრება გერმანიაში. გერმანიიდან ავტომობილის ჩამოყვანას დაახლოებით ორი კვირა სჭირდება და როგორც კი მანქანა ავტობაზრობაზე გაჰყავს, იმ დღესვე ყიდის. ზუსტად ისეთი ავტომობილები, გაცილებით იაფად, უამრავი დგას ბაზრობაზე თვეობით, ამისი კი მაშინვე იყიდება. იღბალია ეს, აბა, რა არის?!

დაუჯერებელი ამბავი

ეს ამბავი ერთ პატარა, ლამაზ და თბილ ქალაქში მოხდა. ერთ დილით, ერთმა ქალმა თავის სახლთან სამი უცნობი მოხუცი დაინახა. „მე თქვენ არ გიცნობთ, მაგრამ მობრძანდით, დაღლილი იქნებით, დაისვენეთ და ჩვენთან ერთად ისაუზმეთ," — უთხრა ქალმა. „თქვენი მეუღლე სახლშია?" — ჰკითხეს მათ. „არა, — უპასუხა ქალმა, — ის შინ არ გახლავთ". „მაშინ ჩვენ ვერ შემოვალთ," — იუარეს მოხუცებმა. ქალმა შემთხვევის შესახებ, სახლში საღამოს დაბრუნებულ მეუღლეს უამბო. „უთხარი მათ, რომ მე დავბრუნდი და კიდევ ერთხელ შესთავაზე, დაგვწვიონ," — სთხოვა ქმარმა. ქალი ასეც მოიქცა. „ჩვენ სამივეს ერთად შემოსვლა არ შეგვიძლია," — ისევ იუარეს მოხუცებმა. „რატომ?" — გაუკვირდა ქალს. მაშინ ერთ-ერთმა მოხუცმა აუხსნა მას: „ხედავ, ჩემს მეგობარს? მას სიმდიდრე ჰქვია, ხოლო მეორეს — იღბალი. ჩემი სახელი კი სიყვარულია. ახლა მიდი, შენს მეუღლესთან და ერთად მოიფიქრეთ, რომელი ჩვენგანის სტუმრობა გირჩევნიათ." ქმარს ძალიან გაუხარდა, როდესაც მეუღლის მონაყოლი მოისმინა. „რადგან ასარჩევად გვაქვს საქმე, მოდი, სიმდიდრე მოვიწვიოთ," — თქვა მან. „არა, მგონი, იღბალი უფრო გვჭირდება," — არ დაეთანხმა ცოლი. ამ დროს, საუბარში მათი პატარა გოგონა ჩაერთო, რომელიც აქამდე თავისთვის კუთხეში თამაშობდა — „როგორ ვერ ხვდებით, ყველაფერს სჯობია, სიყვარული მოვიწვიოთ." „მოდი, დავუჯეროთ პატარას. წადი, სთხოვე სიყვარულს, გვსტუმროს," — უთხრა ქმარმა ქალს. ქალიც გარეთ გავიდა და სთხოვა სიყვარულს, მათი სტუმარი ყოფილიყო. როგორც კი სიყვარულმა მათი სახლისკენ ნაბიჯი გადადგა, დანარჩენმა ორმა მოხუცმაც მას მიჰბაძა. „მაგრამ თქვენ ხომ ერთად შემოსვლა არ შეგეძლოთ?" — გაუკვირდა ქალს. „შენ რომ სიმდიდრე ან იღბალი მოგეწვია, დანარჩენი ორი გარეთ დავრჩებოდით, მაგრამ რადგან სიყვარული მიიწვიე, ჩვენც მას მოვყვებით," — უპასუხეს მოხუცებმა. ■

ერთი კითხვა

— თქვენი აზრით, გააუქმებს თუ არა რუსეთი 10 ოქტომბრამდე, საქართველოს ტერიტორიაზე აგვისტოში შექმნილ ყველა ბლოკპოსტს?

გივი სიხარულიძე:

— გარდა ახალგორისა, რუსეთი, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ ყველა ბლოკპოსტს გააუქმებს. რუსები მიხვდნენ, რომ მათ ასეთი არასერიოზული თამაში აღარ გამოადგებათ; თუ არა და, ამ ქმედების გამო, კაცობრიობისგან არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დაისჯებიან. მოკვდა ის დრო, როცა რუსები მსოფლიოში ბატონობდნენ! აქვე გეტყვით, ჩემს გამონათქვამს: „ბრძენის ვამკითხავად ბრიყვი დაუყენებიათ, ბრიყვის გამკითხავი, თვითონ განუკითხავთ". ჩემი აზრით, განუკითხაობის დრო წავიდა... ■

სიკეთის კეთება "ავერსის" კრედოა



ფარმაცევტული კომპანია "ავერსისთვის" სიკეთის კეთება, ქველმოქმედება ჩვეული საქმეა. თავისი არსებობის მანძილზე კომპანიამ ასობით და ათასობით გაჭირვებულ მოქალაქესა თუ ოჯახს გაუწოდა დახმარების ხელი, ამის დასტური ის საქველმოქმედო პროექტები გახლავთ, რომელსაც კომპანია სისტემატურად ახორციელებს. თავისი ქვეყნის მოქალაქეები "ავერსმა" არც აგვისტოს მძიმე მოვლენების დროს მიატოვა. სწორედ ფარმაცევტული კომპანია "ავერსი" ამარაგებდა წამლებით და შესახვევი საშუალებებით გორის ჰოსპიტალს ომის პერიოდში, იმ დროს, როცა დაჭრილებს, ჯარისკაცებსა თუ მშვიდობიან მოსახლეობას ყველაზე მეტად უჭირდათ. როცა ქალაქი იბომბებოდა და ტყვიების ზუზუნში არცერთი დაწესებულება არ ფუნქციონირებდა "ავერსის" აფთიაქს მუშაობა არ შეუწყვეტია. ომის დროს არ გაჩერებულა არც სოფელ თამარაშენში მდებარე აფთიაქი (თუმცა ამ ეტაპზე სამწუხაროდ ეს აფთიაქი აღარ ფუნქციონირებს).

"ავერსმა" კონფლიქტის ზონა დახმარების გარეშე არც ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ დატოვა და გორის ჰოსპიტალს სრულიად უსასყიდლოდ გადასცა "ავერსი-რაციონალის" მიერ წარმოებული 20 დასახელების 1400 ერთეული მედიკამენტი, რომლებიც თავად ჰოსპიტლის მოთხოვნის მიხედვით შეირჩა. "ავერსი" ომის დროს დაზარალებულთა დახმარებას ახლაც განაგრძობს. კომპანია მედიკამენტებით სისტემატურად ამარაგებს იმ პუნქტებს, სადაც დევნილი მოსახლეობა კომპაქტურად არის ჩასახლებული. ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი "ავერსის" ოფისში თავად მოდის და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, კომპანიას უარით გაესტუმრებინოს რომელიმე მოქალაქე.

რუსეთის ოკუპაციის დროს "ავერსმა" ქველმოქმედებისთვის მედიკამენტების სახით ათეულ ათასობით ლარი დახარჯა. თუმცა ეს ზღვარი არ არის, სიკეთის კეთება, კომპანია "ავერსის" ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. გაჭირვებულ ადამიანებს ყოველთვის შეუძლია ჰქონდეთ "ავერსის" იმედი.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

მკითხველის შეკითხვები

როგორ ვუმკურნალოთ ბრონქიტს

— ჩემს მეუღლეს, ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე ეწყება ხველა და ხშირად ნახველიც ამოაქვს. საოცარია, მაგრამ შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში აღარ ახველებს. მეტიც, ერთ-ორ კოლოფ სიგარეტს ისე მოსწევს, რომ არც კი ჩაახველებს. სხვა მხრივ, თითქოს არაფერი აწუხებს. გთხოვთ, მიპასუხოთ, რამდენად საშიშია ეს და რით ვუმკურნალო ჩემს მეუღლეს?

ნანა წულაია.

— როგორც ჩანს, თქვენი მეუღლე მწეველია. მწეველებისთვის კი დილაობით ხველა კარგად ნაცნობი სიმპტომია. თუ ამ ტიპის ხველა წლების მანძილზე გრძელდება, მაშინ იგი ქრონიკულ ბრონქიტზე ანუ ბრონქების ქრონიკულ ანთებაზე მიგვანიშნებს. არსებობს კიდეც გამოთქმა „მწეველთა ბრონქიტი". აღსანიშნავია, რომ ეს დაავადება ემართება ცხრიდან რვა სიგარეტის მოყვარულს. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ბრონქების დაავადების რისკი არამწეველებში 3%-ს არ აღემატება, მწეველებში ეს პროცენტი 10-ჯერ მეტია (31%), ხოლო დღეში 40 ღერზე მეტს ვინც ეწევა — 70%.

სხვათა შორის, ბევრი მწეველი ფიქრობს, რომ ხველაში არაფერია საგანგაშო, რადგან მას თავდაპირველად არ ახლავს ზოგადი მდგომარეობის გაუარესება, მაგრამ ხშირად გამწვავებული ქრონიკული ბრონქიტი ადამიანს აინვალიდებს. ანთებითი ბრონქები შუპდება, ვიწროვდება, სპაზმს განიცდის, დროთა განმავლობაში, ფილტვები ფართოვდება, მათში სისხლის მიმოქცევა ირღვევა და ვითარდება ემფიზემა, რომელიც პრაქტიკულად არ ექვემდებარება მკურნალობას. დროთა განმავლობაში ფილტვების დიდი ნაწილი ატროფირდება. ამის შედეგად ვითარდება ჟანგბადის უკმარისობა, რაც ვლინდება ქოშინით, სისუსტით, შესაძლოა, სულის ხუთვის მწვავე შეტევებსაც ჰქონდეს ადგილი. რასაკვირველია, მწეველების შეშინებას არ ვაპირებ, უბრალოდ ქრონიკული ბრონქიტის შორეულ გართულებებზე მაქვს ლაპარაკი.

ქრონიკული ბრონქიტის „მოსაპოვებლად," სულაც არ არის აუცილებელი, რომ ორთქლმავალივით აბოლებდე. საკმარისია, ცხოვრობდე დიდ, სამრეწველო ქალაქში. ატმოსფეროში გამოყოფილი ავტომობილებისა და ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი შეიცავს აზოტის ოქსიდსა და გოგირდს. ისინი ილექება ბრონქებში და წყალთან მოქმედების შედეგად გარდაიქმნება აზოტმჟავას ან გოგირდმჟავას ხსნარებად, მჟავებისა და მტვრის ნაწილაკების ხანგრძლივი მოქმედების შედეგად, ბრონქების ლორწოვანი გარსი თანდათანობით კარგავს თვითგასუფთავების უნარს. ბრონქები დაუცველი ხდება ინფექციების მიმართ — ასე იწყება ბრონქიტი. ასეთ პირობებში ცხოვრებას მოწევაც თუ დაერთო, მაშინ ქრონიკული ბრონქიტის რისკი საკმაოდ გაიზრდება.

გეტყვით იმასაც, რომ ფილტვების დაზიანების ფონზე (ქრონიკული ბრონქიტი დროთა განმავლობაში ფილტვების დისფუნქციას გამოიწვევს) ფორმირდება „ფილტვისმიერი" გული, გულის უკმარისობა. გულისა და ფილტვის უკმარისობა ავადმყოფს საწოლთან მიაჯაჭვავს და ადრე თუ გვიან, სავალალო შედეგით დამთავრდება.

იმის შეხსენებაც არ იქნება ურიგო, რომ ბრონქების ანთება 20-ჯერ ზრდის ფილტვების კიბოს განვითარების რისკს. ხშირად ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზი ისმება დაავადების მხოლოდ მე-7 წლისთავზე (ავადმყოფი მანამდე არ მიდის ექიმთან). ამ დროისთვის ბრონქები საკმაოდ დაზიანებულია. ეფექტური მკურნალობისთვის კი მისი დროული დაწყებაა აუცილებელი.

ქრონიკულ ბრონქიტზე ეჭვი თავადვე შეგიძლიათ მიიტანოთ, თუ — როგორ, ამას ქვემოთ გასწავლით.

ადამიანმა თავადვე შეიძლება დაუსვას საკუთარ თავს ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზი, თუ ნახველიანი ხველა აწუხებს 2 წელზე მეტხანს (მაშინაც კი, თუ ნახველის ამოხველება მხოლოდ დილაობით ხდება, როგორც ქალბატონი ნანას მეუღლის შემთხვევაშია). მიაქციეთ ყურადღება ნახველის ხასიათს. თუ ის მოყვითალო-მომწვანო ფერისაა (ჩირქიანი) ან მისი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა — ეს გამწვავებაზე მიუთითებს, რაც დაუყოვნებლივ საჭიროებს მკურნალობას. ბრონქიტის გამწვავება ხველასთან ერთად, საერთო სისუსტითა და ტემპერატურის მატებითაც მიმდინარეობს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით შევეხები ქრონიკული ბრონქიტის ნიშნებს:

- ხველა (მშრალიც და სველიც). ხშირია დილაობით, თან ახლავს ნახველის გამოყოფა, თუმცა შეიძლება უნახველოც იყოს.
- პერიოდულად ტემპერატურის მომატება. ჩვეულებრივ ტემპერატურა არ არის მაღალი (37,5), მაგრამ ორგანიზმის დასუსტების შემთხვევაში შეიძლება პირიქით, ტემპერატურის დაქვეითებაც კი მოხდეს; ამიტომ ქალბატონ ნანას ვურჩევთ, ტემპერატურა ხშირად გაუზომოს მეუღლეს.
- გულმკერდსა და ზურგზე (ნეკნების გასწვრივ) უსიამოვნო შეგრძნება (თითქოს შიგნით გექავება). ნებისმიერი ქრონიკული დაავადება ხასიათდება გამწვავებებისა და რემისიების (პერიოდი, როცა დაავადება არ ვლინდება ანუ წყნარდება) მონაცვლეობით. ჩვეულებრივ, გულმკერდისა და ზურგზე უსიამოვნო შეგრძნება გამწვავებისთვისაა დამახასიათებელი, სხვა დროს იგი არ აღინიშნება.
- არცთუ იშვიათია, ჭამის შემდეგ ხველა ჭარბი ნახველით;
- ზოგჯერ აღინიშნება ფილტვებში ხიხინი, რომელიც პაციენტს ფონენდოსკოპის გარეშეც ესმის.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

● სუნთქვასაც უნდა მიაქციოთ ყურადღება, იგი ფილტვების მდგომარეობის თავისებური ინდიკატორია. ნორმაში ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის ხანგრძლივობა ტოლია. თუ შეამჩნევთ, რომ ამოსუნთქვა ჩასუნთქვაზე ხანგრძლივია ან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს, ე.ი. თქვენ პულმონოლოგის დახმარება გესაჭიროებათ.

რით ვუმკურნალოთ ქრონიკულ ბრონქიტს?

ქალბატონო ნანა, უნდა გითხრათ, რომ მწეველი ადამიანის ქრონიკული ბრონქიტიდან საბოლოოდ გათავისუფლება შეუძლებელია, თუ სიგარეტი არ დაივიწყა. ამიტომ პირველ რიგში, თქვენმა მეუღლემ მოწევას უნდა დაანებოს თავი. ნიკოტინის დამღუპველი ზემოქმედება ორგანიზმზე მრავალმხრივია. ვერ იპოვით ორგანოს ადამიანის ორგანიზმში, რომელზედაც მოწევის შედეგად წარმოშობილი პროდუქტები მავნედ არ მოქმედებდეს. ამ პროდუქტების რაოდენობა 800 აღწევს, მათ შორისაა ნიკოტინი, ამიაკი, მხუთავი აირი, კანცეროგენული ნივთიერება, ციანიდმჟავა, კვამლის ნაწილაკები, რომლებიც სასუნთქ ორგანოებზე ისევე მოქმედებენ, როგორც მანქანების გამონაბოლქვი ზაფხულის ცხელ დღეებში. ქრონიკული ბრონქიტის ყველაზე ხშირ მიზეზად მოწევაა აღიარებული. როგორც აქტიური, ისე პასიური მოწევა ადამიანის ორგანიზმზე უფრო აგრესიული ფორმით მოქმედებს და აავადებს მას, ვიდრე გარემოს დაბინძურება. ასე რომ, ნიკოტინზე უარის თქმა — სიცოცხლის გახანგრძლივების ყველაზე სწორი მეთოდია, მაგრამ ამ მავნე ჩვევის დავიწყებით ვერ გადაწყვეტთ პრობლემას ბოლომდე. სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა მიიღოთ ხოლმე ამოსახველებლები, ბრონქების გამაფართოებელი საშუალებები, ანტიბიოტიკები, ასევე ჩაიტაროთ ჟანგბადოთერაპია (ოქსიგენოთერაპია) და სხვა.

√ ბრონქიტის გამწვავებისას ინიშნება ანტიბიოტიკები. მთავარია, ანტიბიოტიკი მიიღოთ ზუსტად იმდენ ხანს, რამდენი დღითაცაა დანიშნული, მაშინაც კი თუ ტემპერატურა ადრიანად ჩაგიდგათ ნორმაში, ნახველი კი შეგიმცირდათ. თვითნებურად არ მიიღოთ ანტიბიოტიკი. ბაქტერიებმა შეიძლება ადაპტაცია განიცადონ იმ ანტიბიოტიკის მიმართ, რომელიც თქვენ სხვაზე უფრო საიმედოდ მიგაჩნიათ. ასე რომ, ყოველი გართულების დროს მიენდეთ მკურნალ ექიმს.

√ თუ ნახველის გამოყოფა გიჭირთ, აუცილებელია ამოსახველებლების მიღება. უპირატესობას, როგორც წესი, ბუნებრივ საშუალებებს ანიჭებენ — მაგალითად, როგორიცაა ალთე, ვირისტერფა, ბეგქონდარა, წყლის იელი, თავშავა. მათი ეთეროვანი ზეთები ასტიმულირებენ ბრონქების ლორწოვან გარსს და ათხიერებენ ნახველს. ამით ხელს უწყობენ მის გამოყოფას და ბრონქები თანდათანობით იწმინდება ნახველისაგან.

√ თუ შეამჩნიეთ, რომ ამოსუნთქვა უფრო გაგიხანგრძლივდათ, ვიდრე ჩასუნთქვა, ან საჭიროებს ძალისხმევას, მაშინ თქვენთვის აუცილებელია ბრონქების გამაფართოებელი საშუალება — ის ხელს უშლის ემფიზემის განვითარებას. როგორც წესი, ამ დროს გამოიყენება ინჰალატორები. ამ პატარა, ერთი შეხედვით უმარტივესი ხელსაწყოს მოხმარებას ცოდნა სჭირდება, ამიტომ ინჰალატორის ხმარება ექიმის თანდასწრებით ისწავლეთ. მთავარია, დააჭიროთ ბალონს შესუნთქვისას — მხოლოდ მაშინ, როცა წამალი აღწევს ფილტვებამდე. ასევე, არსებობს ისეთი მოწყობილობა, როგორიცაა სპრეი, რომელიც ამაღლებს ინჰალატორების ეფექტურობას. იგი წარმოადგენს ინჰალატორთან მიერთებული კამერას. აეროზოლი თავდაპირველად ამ კამერაში ხვდება და შემდეგ ავადმყოფი აკეთებს ნელ, ღრმა ჩასუნთქვას. არსებობს სხვა მოწყობილობებიც. მაგალითად, ნებულაიზერები. ის აფრქვევს წამალს და მათი ნაწილაკები ყველაზე წვრილ ბრონქამდეც კი აღწევს.



√ სუნთქვისა და გულის უკმარისობის დროს, რომელიც ქრონიკული ბრონქიტის ერთ-ერთი გართულებაა, ნაჩვენებია მრავალსაათიანი ოქსიგენოთერაპია, ანუ ჟანგბადით გამდიდრებული ჰაერის სუნთქვა: ეს ნაწილობრივ აკომპენსირებს ფილტვების დისფუნქციას. ქსოვილები იღებს საკმარისი რაოდენობით ჟანგბადს და ქოშინი იხსნება. ჩვეულებრივ, ოქსიგენოთერაპია საავადმყოფოებში ტარდება ჟანგბადიანი ბალონების გამოყენებით. უცხოეთში დანერგილია ისეთი აპარატი, რომელიც ჟანგბადის აკუმულირებას ახდენს ჰაერში. ჟანგბადის მწარმოებელი ასეთი პატარა „ფაბრიკები" სახლში მკურნალობის საშუალებას იძლევა.

ქრონიკული ბრონქიტის მკურნალობის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია შემანარჩუნებელი და აღდგენითი პრეპარატების მოხმარება. ვიტამინების დახმარებით ბრონქიტთან გამკლავება გაცილებით იოლია, ვიდრე მათ გარეშე. რადგან ფილტვების ქსოვილი და ბრონქების ამომფენი ქსოვილი შეიცავს დიდი რაოდენობით ლიპიდებს (სპეციალური ცხიმოვანი კომპონენტები) ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ცხიმის დამშლელი ვიტამინების მიღება. ასეთებია — ვიტამინი A და E; ლეციტინი. ასევე სასარგებლოა C ვიტამინი (მას ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს და იმუნიტეტსაც ამაღლებს) და B ჯგუფის ვიტამინები. ვიტამინები უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ, დაახლოებით 20 დღის განმავლობაში.

კვება ქრონიკული ბრონქიტის გამწვავების დროს. რეკომენდებულია კვირაში რამდენჯერმე ზღვის თევზის, ასევე, ყოველდღიურად ახალი ბოსტნეულის (აუცილებლად სტაფილო) და ყველის სალათის მირთმევა. სალათის შეზავება უმჯობესია კაკლის ზეთით. კვება უნდა იყოს კალორიული.

მცენარეული საშუალებები ქრონიკული ბრონქიტის დროს.

● გახანგრძლივებული ბრონქული ხველის დროს კარგია, თუ გულმკერდს ჯერ მშრალი პირსახოცით კარგად დაიზელთ, შემდეგ კი შეიზელთ ღორის ქონს, რომელსაც ფიჭვის ზეთი აქვს დამატებული.

● დაფქვით ჭვავის, შვრიის, ქერის მარცვლები, შეურიეთ მცირე რაოდენობით ვარდკაჭკაჭა და ნუში. მოა-

დულეთ, როგორც ყავა და მიირთვით რძესთან ერთად.

● 10 პატარა ხახვი და ერთი თავი ნიორი დააქუცმაცეთ და ხარშეთ რძეში დარბილებამდე. დაუმატეთ ცოტა ოშოშას წვენი. მიიღეთ საათში ერთხელ, სუფრის კოვზით, მთელი დღის განმავლობაში.

● გოგლიმოგლის (კვერცხის გული კარგად ათქვიფეთ შაქარში) თუ უზმოდ მიიღებთ, ხველის ინტენსივობა საგრძნობლად შეგიმცირდებათ.

● შეურიეთ ბოლოკისა და სტაფილოს წვენი იმავე რაოდენობის თაფლიან წყალში ან რძეში. მიიღეთ დღეში 6-ჯერ 1 ს/კ.

● შეურიეთ 2 ს/კ ნაღების კარაქი, 2 ახალი კვერცხის გული, 1 ჩ/კ პურის ფქვილი და 2 ჩ/კ თაფლი. დღის განმავლობაში 6-8-ჯერ მიიღეთ ჩაის კოვზით.

● მშრალი ხველის დროს გულმკერდში შეიზილეთ 2 წილი სოფლის კარაქისა და 1 წილი ნიშადურის სპირტის ნარევი.

● ნახველს ადვილად ამოიღებთ, თუ დღეში რამდენჯერმე დალევთ 1 ს/კ მოცვის სპირტს შაქრით ან თაფლით.

● დაჭერით ბოლოკი პატარა კუბებად, მოათავსეთ ქვაბში, დააყარეთ შაქარი, შედგით ღუმელში და გამოაცხვეთ დაბალ ცეცხლზე 2 საათის განმავლობაში. გაწურეთ, ბოლოკის ნაჭრები გადაყარეთ, ხოლო სითხე გადაიტანეთ ბოთლში. მიიღეთ ჭამის წინ 1 სუფრის კოვზი, 3-4-ჯერ დღეში. ბოლოს კი აუცილებლად ძილის წინ.

● ბრონქიტის დროს 3 ს/კ ძახველის ნაყოფი 3 ს/კ თაფლში აურიეთ და დაასხით 1 ლ წყალი. ადუღეთ 10 წუთი, შემდეგ გაწურეთ. ქრონიკული ბრონქიტისა და ფილტვების ანთების დროს მიიღეთ თბილი სახით 1/2 ჭიქა დღეში, როგორც ჩაი.

● 1 ლ ტევადობის მშრალ ქვაბში ჩაყარეთ 2-3 ს/კ შაქარი, დადგით ნელ ცეცხლზე და გაადნეთ. როდესაც ღია ყავისფერ მასას მიიღებთ, კოვზით აურიეთ და დაელოდეთ, სანამ არ გაუჩნდება ბუშტუკები და ქაფი მთლიანად არ გაქრება. ამის შემდეგ ქვაბში 2/3-მდე ჩაასხით მდუღარე წყალი. გახსოვდეთ, რომ ამ დროს წარმოიქმნება შხეფები და აუცილებლად მოარიდეთ თვალები და ხელები. ადუღეთ ეს ნარევი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. შემდეგ ჩამოდგით ცეცხლიდან და გააცივეთ, გადაასხით ბოთლში და დაახურეთ თავზე. ოთახის ტემპერატურაზე 1-2 კვირა ინახება. ერთ ჭიქა ჩაის ან თბილ წყალს დაუმატეთ ეს გადამდნარი შაქარი და მიიღეთ ამგვარად მომზადებული ჩაი დღეში 2-3-ჯერ. 2-4 დღეში ხველა შესუსტდება და მალე სრულიად გაგივლით.

● შეკითხვის ავტორს ვურჩევთ დაალევინოს მეუღლეს ჩვენ მიერ შემოთავაზებული რომელიმე მცენარეული საშუალება, თანაც აუცილებლად დაანებებინოს მოწევას თავი. ხოლო თუ ხველა გაძლიერდა, გახშირდა და სხვა სიმპტომებიც დაემატა, მაშინ ნუ გადადებს ექიმთან ვიზიტს.

გისურვებთ ჯანმრთელობას.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პატარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე
და აკინძე

ექიმები

თქვენთვის, ქალბატონებო!

„ამ მრძანებლებმ დიდი მოთმინება მასწავლა“

მარინა ბაბუნაშვილი

ნესტანს მისსავე თხოვნით შევხვდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი ამბავიც სხვებისგან ათასჯერ მოსმენილის მსგავსი იქნებოდა, მაგრამ გაოცებული დავრჩი ამ ქალის მოთმინების უნარით. მისი ამბავიც სხვებისგან გამორჩეული გახლდათ. პირობა ჩამოვართვი, რომ როგორც კი მის ცხოვრებაში სიახლე იქნებოდა, აუცილებლად შემატყობინებდა. ნესტანის ცხოვრების პირველი ნაწილი „კვირის პალიტრაში“ 2005 წელს, სათაურით — „სასჯელი სიყვარულისთვის“ დაიბეჭდა.

ამბავი პირველი

„მათი ურთიერთობის მთავარი პირობა უპირველესობა გახლდათ“

18 წლისაც არ იყო, როცა გათხოვდა. ეგონა, რადგან უყვარდა, ნებისმიერ სირთულეს შეეჭიდებოდა. პირველად გოგონა შეეძინა, ოთხი წლის მერე — ვაჟი. ნესტანის ქმარი, ნიკა, ჩხუბის გამო ციხეში მოხვდა. 3 წლის შემდეგ კი იქიდან ნარკომანი გამოვიდა. ისეთი აგრესიული იყო, ბავშვებსაც არ ერიდებოდა, ნარკოტიკს თუ ვერ იშოვიდა, ირგვლივ ყველაფერს ამტვრევდა და ამსხვრევდა. ნესტანს დედა რუსი ჰყავდა. აფხაზეთის ომამდე (როცა თბილისში სიტუაცია აირია), მისმა მშობლებმა მოსკოვში წასვლა და იქ ცხოვრება გადაწყვიტეს. ქალიშვილსაც სთხოვდნენ, ჩვენთან ერთად წამოდი, ნიკასთან ცხოვრება აუტანელიაო, მაგრამ მაშინ ნესტანმა უარი უთხრა. თვითონაც ვერ აეხსნა, რა ძალა აიძულებდა ნიკასთან ყოფნას. ცოტა ხანში მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. უმცროს შვილს, გიორგის, შიშისგან ნევროზული შეტევები დაეწყო. რა აზრი ჰქონდა ოჯახის შენარჩუნებას, თუკი ბავშვების ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დადგებოდა?! ნესტანი დედამთილმამამთილს მოელაპარაკა და უთხრა, რომ მოსკოვში წასვლა სურდა. მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ; პირიქით, მოუწონეს კიდეც გადაწყვეტილება — ჩვენს შვილს ვეღარ ვშველით და შენს შვილებს მაინც მიხედეო. გიორგის მდგომარეობა კი უფრო და უფრო შემაშფოთებელი ხდებოდა. ნევროზული შეტევები ფსიქიკურმა აშლილობამ შეცვალა. ნესტანს მშობლებმა ურჩიეს: აქ, მოსკოვში, ერთი ცნობილი ქართველი ექიმი-ფსიქიატრია, იმასთან მივიყვანოთ გიორგიო.

ბატონმა სოსომ მკურნალობა დაუნიშნა გიორგის. კვირაში ორჯერ შინ იბარებდა დედა-შვილს და ფსიქოთერაპიის კურსს უტარებდა. სოსოს ცოლიც ექიმი ჰყავდა, კარდიოლოგი. ნატაშა თბილად ეპყრობოდა ქმრის თანამემამულეებს... ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გიორგის მალევე დაეტყო.

გარკვეული პერიოდის მერე, ნესტანი მიხვდა, რომ სოსო ექიმი უყვარდა. გიორგის სჭირდებოდა თუ არა, კვირაში ერთხელ დედა მაინც მიარბენინებდა ექიმთან. ერთხელაც, მოთმინების ძაფი გაუწყდა, სოსოს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. არაფრის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ სიყვარულს გულში ვეღარ იტევდა; უბრალოდ სურდა, სიმართლე ეთქვა ექიმისთვის.

ნესტანისგან გრძნობის გამხელა არ გაჰკვირვებია სოსოს. თითქოს ელოდა კიდეც ამ ყველაფერს.

ამონარიდი წერილიდან: „სოსომ მშვიდად მითხრა: არც მე ვარ შენდამი გულგრილი, მაგრამ ნატაშას ვერ მივატოვებ, იგი ჩემი გოგონას დედაა. თანაც ძალიან მიყვარსო. ისე მეშინოდა მისი დაკარგვის, ვუპასუხე: შენი ოჯახის დანგრევა არ მინდა, უბრალოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსურს, რომ უფრო ხშირად ვიყოთ ერთად, რადგან უშენობა ძალიან მიჭირს-მეთქი. სოსომ ბინა იქირავა და იქ ვხვდებოდით ერთმანეთს".

ცოტა ხანში, ნესტანის დედამ აიჩემა, — ამერიკაში უნდა წავიდეთ, იქიდან მე და მამაშენი უფრო მეტად დაგეხმარებითო. ნესტანის გოგონას თან წაყვანაც გადაწყვიტა. ნესტანმა უფროსი შვილი მშობლებს გააყოლა ამერიკაში; თვითონ ცოტა ხნით, გიორგისთან ერთად, თბილისში დაბრუნდა, რადგან ნიკას ცირროზი სჭირდა და დღეებს ითვლიდა. ნესტანის დანახვაზე დედამთილმა ცრემლები ვერ შეიკავა. ასე უთხრა: მე და შენს მამამთილს გვინდა, ჩვენს სიცოცხლეშივე ანდერძით დავუტოვოთ გიორგის ბინა და მთელი ქონება. ნულარ წახვალ მოსკოვში, აქ არაფერს გაგიჭირვებთო. ნესტანმა უარი ვეღარ უთხრა მოხუცებს. დედის ნათესავს სთხოვა, მშობლების მოსკოვის ბინა გაექირავებინა და მისთვის ფული გამოეგზავნა, რათა თბილისში არსებობა არ გასჭირვებოდა. ნესტანი არსად მუშაობდა და საიდანღაც შემოსავალი ხომ უნდა ჰქონოდა?! მალე ნიკაც გარდაიცვალა. ნესტანს სოსოს გარეშე ყოფნა უჭირდა. ტელეფონით ხშირად საუბრობდნენ. ერთხელაც, სოსომ ახარა, ქართველი ფსიქიატრების მოწვევით 3 თვით ჩამოვდივარ თბილისშიო... კვლავ განახლდა მათი ურთიერთობა. ცოტა ხანში, ნესტანი მიხვდა, რომ ორსულად იყო. სოსოს გულწრფელად გაუხარდა... როცა მივლინება დაუმთავრდა, მოსკოვში დაბრუნდა, მაგრამ ნესტანს დაჰპირდა, რომ მშობიარობამდე ერთი თვით ადრე, თბილისში ჩამოვიდოდა და მასთან იქნებოდა. დედამთილ-მამამთილმა როგორღაც „გადახარშა" რძლის მეორედ „გათხოვება". მათ იცოდნენ, რომ სოსო ნესტანის მეუღლე იყო. 11 წლის გიორგი დიდი კაცივით იქცეოდა და დედას საქმეში ეხმარებოდა. ორსულობის ბოლო პერიოდში ძალიან გაუჭირდა ნესტანს, ექიმმა უთხრა, რომ იგი ტყუპს ელოდა. სოსო დაპირებულზე გაცილებით ადრე ჩამოვიდა. გაუხარდა, როცა შეიტყო, რომ ტყუპის მამა იქნებოდა. ბავშვების დაბადებამდე შეუთანხმდა ნესტანს, ერთს მე წავიყვან, მეორე შენთან დარჩესო. უსიამოვნო მოულოდნელობა წინ ჰქონდა ნესტანს. ტყუპიდან ერთი ჯანმრთელი დაიბადა, მეორე კი — „მგლის ხახითა" და „კურდღლის ტუჩით". ჯანმრთელს თორნიკე დაარქვეს, ავადმყოფს — ცოტნე. ერთი თვის თავზე, პატარას ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმებმა იმედი გამოთქვეს, რომ სამი აუცილებელი ოპერაციის შემდეგ, ბავშვი გამოჯანმრთელდებოდა. სამი თვის შემდეგ, სოსომ თორნიკე მოსკოვში წაიყვანა. გამგზავრებამდე ნესტანმა შეაპარა: იქნებ, დაგეტოვებინა თორნიკე, ნატაშა რას გეტყვის ან ბავშვს როგორ მიიღებსო? კაცმა კი უთხრა: ცოტნეს ძალიან სჭირდება დედის ხელი და მასთან ერთად მეორე პატარის მოვლა გაგიჭირდებაო. ცოტნეს მეორე ოპერაციაც გაუკეთეს, მესამე-მეოთხე კი ურჩიეს, გერმანიაში გაეკეთებინათ.

ამონარიდი წერილიდან: „ვნერვიულობდი, ნეტავ, როგორ მიიღო ნატაშამ ბავშვი-მეთქი? სოსომ შემატყობინა — ყველაფერი კარგად არის, თორნიკეზე არ ინერვიულო, ნატაშა მას, როგორც საკუთარ შვილს, ისე უვლისო. თან გამიხარდა, თან გული დამწყდა. ჩემმა შვილმა არ იცოდა, ვინ იყო მისი ნამდვილი დედა ან ძმები თუ ჰყავდა..."

ნესტანი დღეებს თითებზე ითვლიდა. სოსო შეპირებული იყო, რომ სააღდგომოდ ჩამოაკითხავდა თბილისში. ჩამოსვლის ნაცვლად, დაურეკა და უთხრა, მე და ნატაშას ორი წლით გერმანიაში გვგზავნიან, ბავშვებიც თან მიგვყავსო. გული დასწყდა ნესტანს, მაგრამ იცოდა, რომ სოსოსთან ურთიერთობის მთავარი პირობა — უპრეტენზიობა იყო.

P.S. ჩემი და ნესტანის პირველი შეხვედრა სწორედ ამ გაურკვეველი მოლოდინით დასრულდა.

ამბავი მეორე

„ვოცნებობ იმ დღეზე, როცა შვილებს ერთად შოვუყრი თავს"

— ნესტან, გერმანიაში ყოფნისას, როგორ შეაფასე ექიმი ცოლ-ქმრის ურთიერთობა? ან შენ როგორ შეხვდი მას?

— გაგიკვირდებათ და, 7 თვის მანძილზე (ამ დროის განმავლობაში, ცოტნეს ორი ოპერაცია ჩაუტარდა) ნატაშა ერთხელაც არ მინახავს. როცა სოსოს ვკითხე მის შესახებ, ზედაპირულად მომიგო: ისეა თავის საქმეში ჩაფლული, რომ არაფრისთვის და არავისთვის არ სცალიაო.

— კი, მაგრამ მათ ხომ გოგონა და ტყუპისცალი, თორნიკეც თან ახლდათ?! ნუთუ თორნიკეს ძმის, ავადმყოფი ცოტნეს ნახვის სურვილი არ გასჩენია?

— ნატაშამ ცოტნე მაშინ მოინახულა, როცა სოსომ ცოტა ხნით მე შინ დასასვენებლად გამიშვა. საავადმყოფოში ბავშვი გაბრწყინებული თვალებით დამხვდა, — ერთმა თეთრხალათიანმა დეიდამ სათამაშოები მომიტანაო. მივხვდი, ნატაშას ჩემი დანახვა არ უნდოდა... ან მასთან რა პრეტენზია უნდა მქონოდა? დამნაშავე მე ვიყავი და არა — ის. ჩემს შვილსაც ის ზრდიდა და როგორც ვნახე, არაფერს აკლებდა.

— თორნიკეს ნახულობდით?

— კი, გერმანიაში ყოფნის დროს თორნიკეს ნახვის ბედნიერება ხშირად მქონდა. ოპერაციების მერე, ცოტნე ისე დაემსგავსა თავის ტყუპისცალს, რომ ერთმანეთისგან ვერც გაარჩევდით.

— გიორგიც გყავდათ წაყვანილი?

— არა, გიორგი ჩემს ნათესავთან თბილისში დავტოვე. ძალიან მენატრებოდა, მაგრამ რა მექნა? სხვა გზა არ მქონდა, ცოტნეს საბოლოოდ გამოსაჯანმრთელებლად რაღაც „მსხვერპლი" უნდა გამეღო. ალბათ, ჩემი უსაზღვრო სიყვარულის გამო, ღმერთმა სასჯელი მომივლინა, რომელსაც დღემდე ვიხდი და ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე მომიწევს ამ საზღაურის ატანა.

— განა, ღმერთი უსაზღვრო სიყვარულისთვის ადამიანს სჯის?

— რადგან ცოლ-ქმარს შორის უნებურად ჩავდექი, სწორედ ამიტომაც ვისჯები ასე მწარედ. მერწმუნეთ, ძალიან მტკივნეულია, როცა შვილებს მონატრული დედა ხარ. იქით, თაკო მყავს ამერიკაში გადაკარგული, აქეთ — თორნიკე... როცა გერმანიაში ვიყავი, გიორგიზე ვდარდობდი.

— თუმცა, გარეგნობით სულ არ გეტყობათ, ამდენ დარდს თუ უმკლავდებით. სოსო ისევ ახერხებს თბილისში ჩამოსვლას?

— სოსომ მხოლოდ ერთხელ მოგვინახულა. გერმანიიდან რომ დავბრუნდით, რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოგვაკითხა, აინტერესებდა, ბავშვი როგორ იყო. თან „მომახარა", მე და ნატაშას კონტრაქტი 5 წლამდე გაგვიგრძელესო.

— კვლავ ვერაფერი უთხარით?

— დაფიცებული მაქვს, რომ სოსოს საყვედურის მგავსსაც კი არასოდეს არაფერს ვეტყვი.

— არ აპირებთ, შვილებს თავი მოუყაროთ?

— კარგა ხანია, ამ დღეზე ვოცნებობ და ალბათ, ადრე თუ გვიან, ეს დღე დადგება კიდეც...

„ჩემი უმოქმედობისთვის დავისჯე"

დაუცველი სიყვარული

პატარა არ გეგონოთ, სადაცაა 80 წელი შემისრულდება, მაგრამ ის პირველი სიყვარული, რომელიც მეცხრე კლასში მესტუმრა, არა და არ განელდა. 8 კლასი რომ დავამთავრე, მშობლებმა სასწავლებლად მეზობელ რაიონში გამგზავნეს. საკლასო ოთახში რომ შევედი, თვალები ამიჭრელდა, იმდენი კარგი გოგო დავინახე. მათ შორის, ერთი — ციცო, განსაკუთრებით გამოირჩეოდა. როგორც ქარბუქი, ისე დამეჭგერა და დამაბზრიალა მისმა სიყვარულმა.

გადიოდა დრო, მაგრამ ციცოს გრძნობაში ვერ ვუტყდებოდი; არადა, მისდამი სიყვარული დღითი დღე მიძლიერდებოდა. ერთხელაც, ჩემი მეგობარი გამომიტყდა, მე და ციცოს ერთმანეთი გვიყვარსო. ამ ამბავმა საშინლად იმოქმედა ჩემზე. დავამთავრეთ სკოლა, ჩავირიცხეთ უმაღლეს სასწავლებლებში. სულ მინდოდა, რომ პირადად გამეგონა ციცოსგან ის, რაც ჩემმა ამხანაგმა მითხრა, მაგრამ მასთან ამ თემაზე დალაპარაკებას ვერა და ვერ ვბედავდი. ძალიან მორიდებული ვიყავი. ამ რიდისა და უსაშველო სიმორცხვის გამო, ცხოვრებაში ბევრი რამ დაკარგე, მაგრამ სინანულით რაღას ვუშველი საქმეს?

რამდენჯერმე მასთან პირისპირაც დავრჩენილვარ, მაგრამ ენა მიქავდებოდა იმის წარმოდგენაზე, რომ შესაძლო იყო, მეგობრის ღალატი დამშრალებოდა და მურმანის ეკლის როლში აღმოვჩენილიყავი.

გამოხდა ხანი, უმაღლესი სასწავლებლებიც დავამთავრეთ, მუშაობაც დაიწყეთ და ოჯახებიც შეექმენით. ჩემმა მეგობარმა ცოლად სულ სხვა ქალი შეირთო და საქართველოდან წავიდა. მალე, ციცოც გათხოვდა. მათი ამბავი გამიკვირდა, მაგრამ ვერაფრის კითხვა ვერ გავუბედე (კვლავ იმ საშინელი მორიდებულობის გამო).

ახლა უკვე დიდი პაპაც გახლავართ. ამ რამდენიმე ხნის წინ, კლასელი მესტუმრა. გამიხარდა, სუფრა გავშალე და სკოლის წლები გავიხსენეთ. უცებ, მაჯახა: მეგონა, ციცოს შეირთავდი ცოლად, მას ხომ ძალიან უყვარდიო. ვიგრძენი, სკამზე როგორ შევქანდი, სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე, მაგიდაზე თავდამხობილი ავკასკასდი. საკუთარ თავზე ვბრაზობ — როგორ ვერ დავიცავი ჩემი სიყვარული?! როგორ არ გავუფრთხილდი?! როგორ არ ვიბრძოლე მისთვის?! ამ უმოქმედობისა და უნიათობისთვის დავისაჯე კიდეც. მე ხომ ამდენი წელი უსიყვარულოდ ვიცხოვრე. ჩემში მზოლოდ მოვალეობის გრძნობა იყო, მეტი არაფერი...

მარინა, იმედია, დამიბეჭდავთ ამ წერილს. დარწმუნებული ვარ, ციცო წაიკითხავს და ყველაფერს მიხვდება. იქნებ, გულში შემინდოს და მაპატიოს კიდეც.

პატივისცემით, კ.ხ. 2008 წ. 24 ივლისი".

„ნეტავ როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?"

„ჩვენ 16 წლის წინ გავიცანით ერთმანეთი, — გვწერს თბილისელი მკითხველი, **ქეთი დ.** — მაშინ ახალი დაშორებული ვიყავი ჩემს შეყვარებულთან, ვისთანაც დღე-დღეზე ვაპირებდი დაქორწინებას. ძალიან განვიცადე დათოსთან დაშორება, მაგრამ ისეთი რამ ჩაიდინა, ვერ ვაპატიე, ამიტომ კახასთვის ცხვირი არ ამიბზუებია. გაცნობიდან ერთ კვირაში, მან სიყვარული ამიხსნა და მითხრა, რომ ჩემ გარდა სხვა ქალს ცოლად არ შეირთავდა. ფრიად გავხალისდი, მეგონა, ეს გატაცება მალე გადაუვლიდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ვერ გეტყვით, რომ მიყვარდა, მაგრამ რაღაცნაირად მსიამოვნებდა მასთან ურთიერთობა. კახასგან არც სიურპრიზები მაკლდა, არც ლამაზი სიტყვები და ხელი რატომ უნდა მეკრა?.. თუმცა, ყოველთვის ვაფრთხილებდი, რომ შენთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და სხვა, უფრო სერიოზული გრძნობა, ჩვენ შორის წარმოუდგენელია-მეთქი. ამ პირობაზე თითქოს ისიც თანხმა იყო... მერე, ჩემი მოტაცება გადაწყვიტა. ერთ მშვენიერ დღეს, სასწავლებელთან დამხვდა და ჩემს ორ დაქალთან ერთად, მცხეთაში დამპატიჟა. ჩავსხედით მანქანაში. გზად კარგად ვმხიარულობდით. საგურამოს გადასახვევთან სხვა მანქანა წამოგვეწია, ჩემი მეგობრები უცებ გადაასკუპეს იქ; ჩვენთან კი ორი უცხო ბიჭი ჩაჯდა და გააქროლეს მანქანა. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. მოკლედ, კახამ მომიტაცა და ფასანაურში თავისი ძმაკაცის ბიძის სახლში მიმიყვანა. იქ ისეთი ამბავი ავტეხე, იქაურმა მასპინძელმა თქვა: ამ გოგოს ცოდვას ვერ დავიდებო და თავისი მანქანით მეორე დღესვე თბილისში წამომიყვანა. იმ დღიდან თავად კახამაც დაკარგა მოსვენება და აღარც მე მომასვენა. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — არ მიყვარხარ და შემეშვი-მეთქი. ერთი წლის მერე, ერთი ბიჭი გავიცანი, კარგი ადამიანი იყო, უღალატო და საქმიანი. ხელი მთხოვა თუ არა, ბევრი აღარ მიფიქრია, გავყევი. მეგონა, ახლა კი მეღირსა წყნარად ცხოვრება-მეთქი, მაგრამ ვინ მაღირსა? თვე არ გავიდოდა, კახა სადმე არ დამხვედროდა. ერთხანს, კატეგორიულად მთხოვდა, ქმარს გაშორდი და მე გამომყევიო. როცა დავემუქრე, ყველაფერს ჩემს ქმარს მოვუყვები ან პოლიციაში განვაცხადებ-მეთქი, მერეღა გაჩუმდა და ჩუმად დამყვებოდა უკან. მერე გაქრა და გავიგე, რომ რუსეთში წავიდა სამუშაოდ. ამოვისუნთქე. იქიდან დაბრუნებულმა კვლავ მომინახულა. ისე მოულოდნელად შემოაღო ჩემი სამუშაო ოთახის კარი (საიდან გაიგო სამსახურის ადგილსამყოფელი, არც კი ვიცი), რომ ადგილზე გავქვავდი. კვლავ ულტიმატუმი წამომიყენა: ან გაშორდები ქმარს, ან სიკვდილამდე არ გეღირსება ჩემგან მოსვენებაო. — იძულებული ვარ, სასამართლოში შენზე სარჩელი შევიტანო-მეთქი, — ვუთხარი. ძალიან გავბრაზდი, ამას რომ მიბედავდა ქმარშვილიან ქალს. მან კი, ვითომც არაფერიო, ჩაიცინა და წავიდა. მერე ისევ მომიტანეს ამბავი, რომ ცოლი შეირთოო. გეფიცებით, უკვე ძალიან დაძაბული ვიყავი და ამ ამბავმა მართლა გულით გამახარა. თურმე, სულ ტყუილად მიხაროდა. ხანგამოშვებით კვლავ მოდიოდა... ამ სამი წლის წინ, უბედურება დამატყდა თავს, მეუღლე ავარიაში დამეღუპა. კახამ მომისამძიმრა და მერე მთელი ორი წლის მანძილზე აღარ შევუწუხებივარ... ვიფიქრე, ანი დაწყნარდება, კაცს უკვე ქაღარა შეეპარა თმაში და რაღა დროს მისი ამჩატებაა-მეთქი. თურმე, კარგად არ მცნობია... კვლავ გამომეცხა და მითხრა: იცოდე, ჩემი წერა ხარ, არ მოგეშვები, სანამ შენგან თანხმობას არ მივიღებო. უკვე მგონია, რომ გიჟთან მაქვს საქმე. ამას წინათ, სახლიდან გამოსულს კვლავ ქუჩაში დამხვდა. ვერ მოვითმინე და ჩემი შიში გავუზიარე... გაეღიმა, — ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებ, ისე ძალიან მიყვარხარ, კაცს მოვკვლავ, შენ თუ რამე გაწყენინაო. ვერ გავიგე, რატომ არ ესმის, რომ არ მიყვარს და მისი ცოლობა არ მინდა. აღარ ვიცი, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი!"

„ვნანობ, რომ გამოვუტყდი"

ჩემი მეგობარი გოგონა შემიყვარდა, რომელსაც ვერა და ვერ გამოვუტყდი გრძნობაში... მაკა ჩვენთან მეშვიდე კლასში გადმოვიდა. იგი მაშინვე ბიჭების ყურადღების ცენტრში მოექცა. ორ ჩემს ძმაკაცს შეუყვარდა და კარგა ხანს, სანამ გაარკვევდნენ, მაკას სიმპათია ვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსარეზე იყო, სულ ჩხუბი ჰქონდათ. მე კი მაკა ძმაკაცად მიმიჩნევდა და ბევრ საიდუმლოს მიზიარებდა. აბა, როგორღა ვეტყოდი, მეც მიყვარხარ-მეთქი?! გული მეწურებოდა, როცა მაკა თავის სატრფოზე იწყებდა ლაპარაკს, მაგრამ რა მექნა? ვიცოდი, გრძნობის გამხელით, მაკას, როგორც მეგობარს დავკარგავდი და ამას ვერ გადავიტანდი.

ჯარიდან გამუდმებით ვწერდი. ისიც ახალ თაყვანისმცემლებზე მიამბობდა. დავბრუნდი თუ არა თბილისში, მეორე დღესვე მივაკითხე მაკას. მახარა, შეყვარებული ვარო. საბოლოოდ მივხვდი, რომ მაკა ჩემი ვეღარასოდეს გახდებოდა... გავიდა დრო, მაკა გათხოვდა, მეც დავოჯახდი. მიუხედავად ამისა, მისთვის კვლავ იმ გურამიკოდ ვრჩებოდი, რომელიც ძმასავით უყვარდა. სკოლის დამთავრებიდან

25 წლისთავი რომ აღვნიშნეთ, არ ვიცი, რა დამეტაკა, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი, ყველაფერი ვუთხარი. გაოცებული მომჩერებოდა. მერე ნაწყენმა მითხრა: შენ ჩვენს ლამაზ წარსულს ცივი წყალი გადაასხი, ძალიან დამწყვიტე გული ამ აღიარებითო... ის ნვეულება ულიმლამოდ გაატარა... მერე მაკას თავის დაქალისთვის უთქვამს: როგორ გამიბედა გათხოვილს და ქმარშვილიანს სიყვარულში გამოტყდომა, დანახვაც აღარ მინდა მისიო. ტელეფონით დავუკრეკე და ვუთხარი, მოდი, ისე მოვიქცეთ, ვითომც შენთვის არაფერი მითქვამს-მეთქი. კარგიო, — კი მითხრა, მაგრამ იმ დღის მერე აღარ შემხვედრია. **გურამი**".

„თავს უფლებას ვაძლევ"...

ყოველთვის ძალიან გულჩათხრობილი ვიყავი. მეგონა, რომ არავის ვჭირდებოდი, არც არავის შეეძლო ჩემი შეყვარება ისე, როგორც მე მინდოდა — რომანტიკულად, განსხვავებულად... ერთ მშვენიერ დღეს, მობილური ტელეფონით გავიცანი მამაკაცი, რომელმაც ცხოვრება გამიხალისა. ბევრად უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ ვირტუალური მეგობრობისთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? თავიდან ყურადღებას არ მაკლებდა; მსიამოვნებდა მისი დილა-საღამოს მოკითხვები, მაგრამ მერე და მერე, მისი მხრიდან ეს ყურადღება კონტროლში გადაიზარდა. მეც მორჩილი ბავშვივით ანგარიშს ვაბარებდი, როდის, სად და ვისთან ვიყავი. ის მუდმივად მანებივრებდა ანგარიშების შევსებით. გავიდა დრო და ჩვენ, ორივეს სურვილი გაგვიჩნდა, ერთმანეთს შევხვედროდით. ის თბილისელია და გადავწყვიტე, თბილისში ჩავსულიყავი. ორივეს ძალიან მოგვწონა ერთმანეთი და ასე გადაიზარდა ჩვენი სატელეფონო

და ვირტუალური ურთიერთობა ნამდვილ სიყვარულში. მან მითხრა, რომ ცოლთან გაშორებული იყო და ერთი ვაჟი ჰყავდა, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ჩემთვის, რადგან მე ის უკვე ძალიან მიყვარდა. პირველ შეხვედრას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. თავდაპირველად, როგორც შეყვარებულები, ისე ვხვდებოდით, მერე კი მასთან დაწოლა შემომთავაზა. კინაღამ გავგიჟდი. ეს როგორ მაკადრე-მეთქი. უკან დაიხია, პატიება მთხოვა და რადგან მიყვარდა, წყენა დავივიწყე. ცოტა ხანში, მითხრა, ცოლად გამომყევიო. იმ პერიოდში ჩემს ოჯახს პრობლემები ჰქონდა და უარი ვუთხარი. კაცი ლამის გაგიჟდა. მიყვიროდა, მეჩხუბებოდა. ძალიან გავბრაზდი და სამუდამოდ დავემშვიდობე. ამან მთლად დააკარგვინა ჭკუა. ჩემი ნათესავების ნომრები იცოდა და მემუქრებოდა, იმათ დავურეკავ და შეგარცხვენო. მოკლედ, სისტემატურად მაშანტაჟებდა. ამდენი ორომტრიალის მერე გადავწყვიტე, შევხვედროდი და ყველაფერი გამერკვია. არასოდეს მინახავს მტირალი მამაკაცი; იმ დღეს კი ვნახე. შემებრალა და შევრიგდით. იმ დღიდან ბევრი დრო არ გასულა, ვიღაც ქალმა დამირეკა და გამლანძღა: ნუ აურიე ჭკუა-გონება ჩემს ქმარს, ოჯახს ნუ მინგრევ, თავი დაგვანებეო. კინაღამ გული გამისკდა. მე ვიცოდი, რომ ცოლს კარგა ხნის გაშორებული იყო, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. კაკუსთან (მოფერებით ასე ვეძახდი!) ყველანაირი ურთიერთობა გავწყვიტე, მაგრამ ვატყობ, რომ მის გარეშე უკან-უკან მივდივარ; ძალიან ცუდად ვარ, აღარაფერი მაინტერესებს. ჩემმა ახლობლებმა მასთან დარეკვა ამიკრძალეს; ერთხანს, მობილურიც კი ჩამომართვეს. ვინ არ გამაცნეს, მაგრამ გახედვა არავისკენ არ მინდა. **მარი**".

„ცოლმა მეგობრებს ჩამოაშორა"

ჩემი მეგობარი აფხაზეთში იბრძოდა, მანამდე ავღანეთშიც იყო. ერთი სიტყვით, ომის ავანჩაანი კარგად იცოდა. ვაუკაციც გახლდათ და მის გვერდით არაფრის მეშინოდა. ჩვენ ერთად გავიზარდეთ. ძმა არ მყავდა და მამუკა (სახელს შევცვლი) ძმად მიმაჩნდა. მისი რიდითა და შიშით უბატონოდ ხმას ვერავინ მცემდა. ჰოდა, ეს ომგამოვლილი ბიჭი ოჯახში ისეთი სუსტი აღმოჩნდა, ყველა ახლობელი პირდაღებული დავრჩით. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენჯერაც საქმე წამოიწყო, ვერა და ვერ აანყო. სამსახურში კი იმდენს არაფერს აძლევდნენ, რომ ოჯახი ერჩინა. ოჯახში ყველაფერს მისი ცოლი წარმართავდა, ამიტომაც ნელ-ნელა ყველას თავზე წამოაჯდა და ქმრის ახლობელ-ნათესავები აითვალწუნა. ქმარს მეგობრების შინ მიეყვანა და მათთვის სუფრის გაშლა აუკრძალა. დედამთილ-მამამთილს ხომ საერთოდ არაფრად აგდებდა. ცოლ-ქმარს რამდენჯერმე უსიამოვნება მოუვიდა, მაგრამ ამ „ორთაბრძოლაში" გამარჯვებული ყოველთვის ქალი გამოდიოდა. მამუკაც შეეჩვია ასეთ ცხოვრებას. განა, ვერ ხვდება, რომ ნელ-ნელა ჩამოვშორდით მისი ცოლის გამო, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს და აქეთ გვსაყვედურობს ხოლმე — როცა მეგობრები ერთმანეთს ხვდებით და ქეიფობთ, მე რატომ არ მეძახითო. ერთ-ერთმა გაუბედა და უთხრა: არ ვიცით, როდის დგახარ კუთხეში, ამიტომ, შენ თავად დაგვიკავშირდიო. **ანი, თბილისი**".

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61. ან ელფოსტით mbabunashvili@posta.ge

ჰაჰა, კოჰაბიტაც საჯვარიანი ჰალის ვაჰო ტახტი დათჰო

ინგლისის დედოფალს, ვიქტორიას, პირველი შვილთაშვილის, ედუარდის დაბადებისას 75 წელი შეუსრულდა. ის 57 წლის განმავლობაში მართავდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს. ჰყავდა 9 შვილი და 40 შვილიშვილი. როდესაც 1901 წელს, დედოფალი გარდაიცვალა, ტახტზე მისი ვაჟი, ედუარდ VII ავიდა, რომელიც 1910 წელს გარდაიცვალა. მისი ადგილი ჯორჯ V-მ დაიკავა, რომლის შვილი (ვიქტორიას პირველი შვილთაშვილი) — ედუარდი, უელსის პრინცი და ტახტის მემკვიდრე გახდა.

როგორც ტახტის მემკვიდრეს შეჰფერის, ედუარდი უზრუნველად ცხოვრობდა, ბევრს მოგზაურობდა, უამრავ ქალს ხვდებოდა, მაგრამ დაქორწინებას არ ჩქარობდა. უფრო მეტიც, ხშირად ხუმრობდა, რომ ცოლს საერთოდ არ მოიყვანდა, რადგან სპორტითა და თეატრით იმდენად იყო გატაცებული, პირადი ცხოვრების მოსაწყობად, დრო აღარ რჩებოდა. თუმცა ვერავინ იტყოდა, რომ ის ქალების მიმართ გულგრილი იყო; ხშირად იცვლიდა შეყვარებულებს, ამიტომ ყველას ეგონა, რომ მას დიდი სიყვარულის ნიჭი არ ჰქონდა. ერთხელ, ლორდთა პალატის წევრის ცოლით, ფრიდა ბირკინით დაინტერესდა, რომელიც პრინცზე 20 წლით უფროსი გახლდათ და პოლიტიკითა და ჭკვიანი მამაკაცებით ფრიად გატაცებული იყო. ფრიდა ინტელექტუალური, ლამაზი, მომხიბვლელი ქალბატონი გახლდათ და მის გვერდით პრინცმა მთელი 10 წელი გაატარა. როდესაც ედუარდმა დაქორწინება შესთავაზა, ფრიდამ უარი უთხრა, რადგან იცოდა, რომ მეფე შვილს ამის უფლებას არ მისცემდა. საყვარელი ქალის უარმა პრინცი გაანაწყენა და თავისი ყურადღება ტელმა ფერნესისკენ მიმართა. ის წინამორბედისგან სრულიად განსხვავებული გახლდათ — ლამაზი, მაგრამ უტვინო. მათი რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა.

ცოტა ხნის შემდეგ, უფლისწულმა უოლის სიმფსონი გაიცნო, რომელსაც მასთან ნაცნობობამდე, უკვე რამდენჯერმე მოესწრო ქორწინებაში ყოფნა. პირველი ქმარი ტუბერკულოზით გარდასცვლოდა, მეორეს — გაშორებოდა, შემდეგ არგენტინელ დიპლომატთან ჰქონოდა ურთიერთობა, რომლის მიმართაც დაუოკებელ ვნებასა და სურვილს განიცდიდა, მაგრამ მასაც დაშორებოდა.

სიყვარულისგან განსაკურნებლად უოლისი ჩინეთში გაემგზავრა და რამდენიმე წლის შემდეგ, ნიუ-იორკში ჩავიდა, სადაც მისტერ სიმფსონი გაიცნო, რომელიც მისი მორიგი ქმარი გახდა. ისინი 1928 წელს დაქორწინდნენ და სამოგზაუროდ ევროპაში გაემგზავრნენ. საბოლოოდ, ლონდონში დასახლდნენ. თითქოს უოლისის ცხოვრება დალაგდა და ქალი თავს ბედნიერად გრძნობდა.

1930 წლის ნოემბრის ერთ საღამოს უოლისი წვეულებაზე წავიდა, სადაც უელსის პრინციც იყო მიწვეული. უოლისი შეშფოთდა, რადგან რევერანსით მისალმებაც კი არ იცოდა და სასწრაფოდ შეისწავლა. მისდა გასაოცრად, როდესაც უფლისწულს წარუდგინეს, უხერხულობა არ უგრძნია. მას პრინცის მზერა, ოქროსფერი თმა, აპრეხილი ცხვირი და ბუნებრიობა დაამახსოვრდა. ერთ-

ერთმა ასტროლოგიურმა ჟურნალმა უფლისწულს სწორედ ამ პერიოდში მშფოთვარე რომანი უწინასწარმეტყველა: „თუ პრინცს შეუყვარდება, ის მსხვერპლად ყველაფერს გაიღებს, გვირგვინსაც კი, ოღონდ თავისი სიყვარული არ დაკარგოს“. სულ მალე უფლისწულსა და უოლისს შორის გაბმული ფლირტი ძლიერ გრძნობაში გადაიზარდა. მის სიმფსონით მოჯადოებულ ტახტის მემკვიდრეს თავგზა საბოლოოდ აებნა — ის, რაც მსუბუქი ფლირტით დაიწყო, ბრიტანეთის იმპერიას შერყევას უქადდა.

იყო თუ არა მის სიმფსონი მართლაც ასეთი მომაჯადოებელი? მზეთუნახავს ნამდვილად ვერ უწოდებდით. სამაგიეროდ, პრინცის თქმით, მას სექსუალური მიმზიდველობა ჰქონდა.

მათი ურთიერთობა დღითი დღე ღრმავდებოდა. პირველ ხანებში უოლისი თავის რეპუტაციას უფრთხილდებოდა და უფლისწულთან ურთიერთობას საგულდაგულოდ მალავდა, მაგრამ მათი ურთიერთობის შესახებ ჟურნალისტებმა შეიტყვეს და გაზეთებში სტატიების ბეჭდვა დაიწყეს. მალე პრინცის რომანის შესახებ ჭორებმა მაღალ საზოგადოებაშიც შეაღწია. მეფე შეძრწუნებული იყო და ღმერთს ევედრებოდა, რომ ეს რომანიც დანარჩენებივით დამთავრებულიყო. 1936 წლის იანვარში ჯორჯ V გარდაიცვალა. იმავე ღამით ედუარდმა უოლისს დაურეკა და ეს სამწუხარო ამბავი შეატყობინა. თან დასძინა, რომ მის მიმართ გრძნობას ვერაფერი შეუცვლიდა.

ედუარდს გამეფების პირველივე თვეებიდან უამრავი გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა, რის გამოც წყვილის შეხვედრების სიხშირემ იკლო.

მისის სიმფსონმა იფიქრა, რომ მათი სიყვარული დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ მისდა გასაოცრად, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მეფე ქორწინებაზე ალაპარაკდა. მისი მტკიცებით, საქმე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ყოველივეს წარმატებით დასაგვირგვინებლად ცოტა დრო სჭირდებოდა. ედუარდი მიხვდა, რომ ახლა უოლისი მას ისე სჭირდებოდა, როგორც არასდროს. ქალს არ სჯეროდა, რომ მათი ქორწინება შესაძლებელი იყო — რადგან იცოდა, უამრავ დაბრკოლებას გადააწყდებოდნენ. გაერთიანებული სამეფოს ხელმწიფე ხომ საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა და არ შეეძლო, თავისი ცხოვრების განმკარგავი ყოფილიყო. თუმცა, როდესაც მან სიტყვა — „ცოლი“ წარმოთქვა, ქალმა დაიჯერა, რომ ოჯახის შექმნის შესაძლებლობა მართლაც არსებობდა...

ედუარდ VIII მასთან ერთად საზოგადოებაში ხშირად ჩნდებოდა და ჭორებიც უფრო და უფრო დამაჯერებელი ხდებოდა. მისის სიმფსონის მდგომარეობა საზოგადოებაში ორაზროვნი გახდა, რამაც ის გაუსაძლის სიტუაციაში ჩააგდო. რა პასუხი უნდა გაეცა ქალს ქმრისთვის?

ხელმწიფე თავად ეახლა მისტერ სიმფსონს და განუცხადა, რომ მეფედ კურთხევის ცერემონიას ვერ ჩაატარებდა, თუ მის გვერდით უოლისი არ იქნებოდა. მისტერ სიმფსონს ისღა დარჩენოდა, ეთქვა, რომ ყველაფერი მისი ცოლის გადასაწყვეტი იყო.

არჩევანმაც არ დააყოვნა. ორივემ კარგად უწყოდა, რომ ერთურთისთვის იყო გაჩენილი და მხოლოდ ფიზიკური კი არა, ინტელექტუალური და სულიერი სიახლოვეც აკავშირებდა. ბოლოს და ბოლოს, უოლისმა ქმართან გაშორება გადაწყვიტა.

სასამართლოში განქორწინების საქმე 19 წუთის განმავლობაში იხილებოდა და მალე „თაიმსში“ საენაციური ინფორმაცია გამოჩნდა — „მეფე უოლისზე ქორწინდება“. სტატიაში ნათქვამი იყო იმ ყოვლისმომცველი გრძნობის შესახებ, რომელიც მეფეს არასამეფო წარმომავლობის უოლისის მიმართ ჰქონდა და მოყვანილი იყო ასეთი ქორწინების (მორგანატული) ისტორიული მაგალითები.

რა არის მორგანატული ქორწინება? ეს არათანასწორი ქორწინება გახლავთ. სამეფო ოჯახებისთვის ქორწინება ყოველთვის პოლიტიკურ ინტერესებთან იყო დაკავშირებული და დინასტიურ ქორწინებებში, ფაქტობრივად, სიყვარულს ადგილი არ ჰქონდა. ტახტის მემკვიდრეებისთვის მეწყვილეს თანასწორი ოჯახიდან ირჩევდნენ, რომელიც მტკიცე პოლიტიკურ, სამხედრო ან ფინანსურ კავშირს უზუნველყოფდა. სამეფო კარის უბრალო წარმომადგენლებთან ქორწინება, დიდებულებში უარყოფით ემოციას იწვევდა.

მიუხედავად ამისა, შესაძლოა, პრინცს ან პრინცესას უბრალო ოჯახის შვილი შეჰყვარებოდა — ასეთ ქორწინებას მორგანატული ერქვა.

მორგანატულ მეუღლეს ტიტულზე, გერბსა და მეფის მეუღლის წოდებაზე უფლება არ ჰქონდა. მემკვიდრეობის უფლება არც მათ შვილებს ჰქონდათ. ასეთ ქორწინებას სხვაგვარად „მარცხენა ხელით ქორწინებას“ უწოდებენ, რამეთუ ჯვრისწერის დროს პატარძალი სიძისგან მარცხნივ დგას და

არა — მარჯვნივ, როგორც საყოველთაოდაა მიღებული.

ედუარდის ქორწინებას სამეფო კარი შეეწინააღმდეგა და მას პრობლემის გადაჭრის 3 ვარიანტი შესთავაზა: I — უარი ეთქვა ქორწინებაზე; II — სამეფო კარის დიდებულთა წინააღმდეგ წასულიყო და დაქორწინებულიყო; III — უარი ეთქვა ტახტზე.

მალე ყველა მიხვდა, რომ ედუარდისთვის დილემა — ტახტი თუ საყვარელი ქალი — არ არსებობდა. მას მეფობაზე უარის თქმა უფრო ეიოლებოდა, ვიდრე საყვარელ ქალთან განშორება. გაზეთები ახალი სათაურებით აჭრელდა: „სიყვარული, თუ ტახტი"; „უოლისი უარს ამბობს მეფის ცოლობაზე"; „კრიზისის დასარული"; „ედუარდი მეფობას ირჩევს". ამ ბოლო წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ, 1936 წლის დეკემბერში, ედუარდმა ტახტზე უარი თქვა და შესაბამის დოკუმენტს ხელი მოაწერა. ამ აქტზე დასასწრებად მეფის 3 ძმა ჩამოვიდა. დოკუმენტში ნათქვამი იყო: „მე, ედუარდ VIII, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და ბრიტანული დომინიონების მეფე, ინდოეთის იმპერატორი, ვაცხადებ მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილების შესახებ. უარს ვამბობ ტახტზე და ვბრძანებ, რომ დოკუმენტი ხელმოწერისთანავე შევიდეს ძალაში".

ამ დროს უოლისი კანში იმყოფებოდა და იქიდან ცდილობდა მეფის გადარწმუნებას, რომ ეს გამოუსწორებელი ნაბიჯი არ გადაედგა. მოგვიანებით მისმა ერთ-ერთმა მსახურმა გაამხილა, რომ როდესაც მეფის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, თქვა: „უტვინო სულელი" და ატირდა.

ედუარდმა სულ 325 დღე, 13 საათი და 57 წუთი იმეფა. ამის შემდეგ მას უინძორის ჰერცოგის ტიტული მიანიჭეს და ექსმეფემ სამშობლო დატოვა. გემზე ასვლის წინ ის ახალ მეფეს, საკუთარ ძმას, ჯორჯ VI-ს გამოემშვიდობა და ხმელეთი უკანმოუხედავად დატოვა.

ახალგამომცხვარ უინძორის ჰერცოგს გულწრფელად უხაროდა მოპოვებული თავისუფლება. უოლისთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, მსახურების თქმით, ის დიდი ხნის განმავლობაში ღიღინებდა სააბაზანოში, შემდეგ კი ბარგის ამოლაგებას შეუდგა, რასაც, საკუთარი ხელით, სიცოცხლის განმავლობაში პირველად აკეთებდა. მისი კამერდინერი ხომ ინგლისში დარჩა. პატარა მაგიდაზე უოლისის 16 სურათი იდო.

ჰერცოგი მომავალს გეგმავდა. ტიტულზე უარის თქმა და კერძო პირად გადაქცევა ათას თავსატეხს უჩენდა. სად უნდა ეცხოვრათ მას და უოლისს? რა უნდა ეკეთებინათ?

მიუხედავად ამისა, მისთვის უმთავრესი საყვარელ ქალზე დაქორწინება იყო. ტრადიციის მიხედვით, ჰერცოგის ცოლი ქმრის რანგსა და შესაბამის პრივილეგიებს იღებდა. უოლისისთვის მინიჭებული ეს პრივილეგიები მაღალი წრის საზოგადოებაში ბევრს შურით ავსებდა. მათ არ უყვარდათ ეს მეტიჩარა ამერიკელი. მინისტრთა კაბინეტის ზეწოლით ახალი მეფე იძულებული გახდა, უოლისისთვის ჰერცოგინიას ტიტული ჩამოერთმია, რითაც ძმა გაანაწყენა, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა.

შედგა ე.წ. „უფლებების ჩამორთმევის" აქტი, რომლის თანახმადაც, ტიტული — „მისი უდიდებულესობა" ჰერცოგის ცოლსა და მის შთამომავლობაზე არ ვრცელდებოდა.

ეს სახეში შეფურთხებას ნიშნავდა. წარმოუდგენელი შეურაცხყოფა იყო, რომლის დავიწყება და პატიება ედუარდს არ შეეძლო.

— შესანიშნავი საქორწინო საჩუქარია, — მწარედ ჩაიცინა ედუარდმა და ქორწილისთვის მზადება აჩქარებული ტემპით დაიწყო.

უელსის ოქროსგან დამზადებული ბეჭდები შეუკვეთა და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს. როდესაც ფოტოგრაფმა სთხოვა, სახეზე ბედნიერი ღიმილი გამოესახათ, უოლისმა უპასუხა: „ჩვენ ყოველთვის ბედნიერი ღიმილი გვაქვს".

სასახლე, სადაც ქორწილმა ჩაიარა, საფრანგეთის ქალაქ კანდესთან ახლოს მდებარეობს. ცერემონიას სულ 16 ადამიანი ესწრებოდა. ჩერჩილის შვილი — რენდოლფი, როტშილდების ოჯახი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ნანტეში და ბრიტანეთის საელჩოს პირველი მდივანი.

შესანიშნავი ქორწილი იყო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სასიძო 6 თვის წინ ბრიტანეთის მეფე იყო და ნახევარი მილიარდი ქვეშევრდომი ჰყავდა.

სასახლის კედელთან ხალხი იყო შეკრებილი, პოლიციელებმა სადღესასწაულო ფორმა ჩაიცვეს. სახლები ბრიტანული და ფრანგული დროშებით მორთეს და ყველგან პლაკატები გააკრეს: „ვუსურვებთ ბედნიერებას უინძორსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისის უორფილდს".

ევროპის თავზე ღრუბლები შეიყარა. მსოფლიო დიდი ომის საშიშროების წინაშე იდგა. გერმანული არმია საფრანგეთში შეიჭრა. პარიზი, სადაც ახალდაქორწინებული ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, დაცემის პირას იყო.

ჰერცოგი ცოლის გამო ღელავდა და მისი უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა სურდა. მათ ფრანგულ რივიერამდე მისვლა შეძლეს და ესპანეთის საზღვარი გადაკვეთეს.

1945 წლის მაისის გამარჯვებამ მათ ნიუ-იორკში მოუსწრო. ამ დროს მათი ქორწინებიდან 10 წელი იყო გასული.

„10-მა წელმა გაიარა, მაგრამ სიყვარულმა — არა", — ამბობდა ჰერცოგი. ისინი კვლავ პარიზში დაბრუნდნენ და ედუარდმა საცხოვრებლის ძებნა დაიწყო.

„ჩემი ქმარი მეფე იყო და მინდა, რომ კვლავ მეფურად იცხოვროს", — ამბობდა უოლისი. მათ არჩევანი შარლ დე გოლის ყოფილ აპარტამენტზე შეაჩერეს.

უოლისი „ბუდის" მოწყობას შეუდგა და ამ საქმეს მთელ სიყვარულს აქსოვდა. ამ სახლში ცოლ-ქმარმა ერთი წელი იცხოვრა. 1952 წლის თებერვალში, ჯორჯ VI გარდაიცვალა. ჰერცოგი ძმის დაკრძალვაზე მარტო გაემგზავრა. ახალი მონარქი, დედოფალი ელისაბედ II მას ძმისშვილად ერგებოდა. ელისაბედმა განაცხადა, რომ ძალიან უყვარს ბიძა, მაგრამ მეფედ კურთხევის ცერემონიაზე არც ბიძა და არც მისი ცოლი არ მიიწვია.

ესეც გადაიტანეს.

ამ დროისთვის მათ ცხოვრებაზე ფილმი გადაიღეს — „მეფის ამბავი". პრემიერის შემდეგ ჰერცოგმა ნაზად აკოცა ცოლს და პროდიუსერს, ჯეკ ლევიენს უთხრა:

— ჯეკ, მთელი ფილმის განმავლობაში ვტიროდი.

უოლისმა დაამატა:

— ხედავთ, რაზე თქვა მან უარი?

— იმასთან შედარებით, რაც მივიღე, ბევრი არაფერი დამიკარგავს, — აღნიშნა ედუარდმა.

1970 წელს, თეთრ სახლში მიწვეულმა ჰერცოგმა, მოუსმინა რა პრეზიდენტ ნიქსონის სადღეგრძელოს, მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ძალიან გამიმართლა, რომ ლამაზი, ამერიკელი ქალი ჩემს ცოლობას დათანხმდა და 30 წლის მანძილზე მოსიყვარულე, ყურადღებიანი და მზრუნველი თანამგზავრი გახლდათ.

ცხოვრება გრძელდებოდა. ჰერცოგი თავისი საყვარელი გოლფის თამაშით იყო გატაცებული, ბევრს კითხულობდა და ასევე ბევრს ეწეოდა. ექიმებმა მას კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ მას სიკვდილის კი არა, საყვარელ ქალთან განშორების ეშინოდა. იმისათვის, რომ სიკვდილის შემდეგაც ერთად ყოფილიყვნენ, ჰერცოგმა სასაფლაოზე 2 ადგილი იყიდა და ანდერძად დაიბარა, რომ ორივე იქ დაეკრძალათ.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა მოინახულა. უოლისმა დედოფალი ღირსეულად მიიღო და წარსულ წყენაზე სიტყვაც არ დასცდენია.

1972 წლის 28 მაისს, ჰერცოგი უინძორი პარიზში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა.

უოლისი არ ტიროდა. თითქოს გაქვავდა. არ სჯეროდა, რომ საყვარელი ქმარი მის გვერდით აღარ იქნებოდა. ჰერცოგის ცხედარი სამხედრო თვითმფრინავით ინგლისში გადაასვენეს. მასთან ერთად უოლისიც გაემგზავრა. დედოფალმა მას პირადი თვითმფრინავი გაუგზავნა და ბუკინგემის სასახლეში დააბინავა. უოლისი სადილსა და სამხარზეც მიიწვიეს. თავი, როგორც ყოველთვის, ღირსეულად ეჭირა და ყურადღებასა და ზრუნვას მადლიერებით იღებდა. გარდაცვლილი ქმრის ცხედრის ნახვა არ ისურვა. მას მისი ცოცხლად დამახსოვრება სურდა.

დაკრძალვის დღე მათი ქორწინების 35-ე წლისთავს დაემთხვა. უოლისი არ ტიროდა, კუბოსთან თავდახრილი და გაყინული სახით იდგა.

ჰერცოგი რამდენიმე დღის დაკრძალული იყო, როდესაც უოლისმა დედოფალს განუცხადა, რომ ინგლისს ტოვებდა.

„სიყვარულის დიადი ამბავი დამთავრდა, — წერდა ერთ-ერთი ინგლისური გაზეთი, — საყვარელი ქალის გამო ტახტის დამთმობი მეფის რომანტიკული, ერთადერთი და განუმეორებელი ამბავი".

უოლისმა სიკვდილამდე ბოლო 8 წელი ლოგინში, პარალიზებულმა გაატარა. მისი დაკრძალვის დღეს, თვალზე ცრემლმომდგარმა დედოფალმა ელისაბედმა გაამხილა, რომ ბოლო წლების განმავლობაში, უოლისის ყველა ხარჯს ის ფარავდა. საამისოდ კი ელისაბედს თავისი მიზეზი ჰქონდა — რომ არა უოლისი, ის დედოფალი ვერასოდეს გახდებოდა. ●

ვინ, რითაც თამაშობს ღაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

„სირცხვილი სიყვდილის შემდეგ"

ემო! - დაბნეული და ემოციური ბავშვები,

თუ თვითდამკვიდრების ერთ-ერთი გზა?..

LITTLE ემო და ბუსუნ

მათი ასაკი 12-დან 20 წლამდე მერყეობს, ვერ იტანენ „პოზერემოებს"; მიიჩნევენ, რომ ისინი სახელს უტეხენ მათ. არ ერიდებიან სახალხოდ ემოციების გამოხატვას, ფერადი ტანსაცმლით, ტუჩზე პირსინგითა და ნაირფრად დახატული თვალებით დადიან. არასოდეს მქონია მათთან ურთიერთობა, მივიჩნევდი, რომ ისინიც ისეთივე „ტვინგადაბრუნებულები" იყვნენ, როგორიც სხვა მრავალი... სინამდვილეში კი, საოცრად გულუბრყვილო და ხალასი ბავშვები შემხვდნენ, რომლებთანაც გასაუბრებამ, მათზე წარმოდგენა სრულიად შეიცვალა.

ელენე ბასილიძე

რას ნიშნავს, იყო ემო?..

ტრიში: ემოები ყველაფერს უფრო ემოციურად აღვიქვამთ და ამით გამოვირჩევით სხვა ადამიანებისაგან; როგორც გვიხარია, ისევე გვწყინს და თანაბრად გამოვხატავთ კველა ემოციას. დეპრესიულები არ ვართ. თუმცა ხანდახან ზედმეტი ემოციისაგან „ვიგრუზებით". ჩემს სამეგობროში შავსა და ვარდისფერს იშვიათად ვიცვამდით. მიიჩნევა, რომ ეს ფერები „ემოფერებია", მაგრამ არ გვინდა, სხვა ემოებს ვგავდეთ. არსებობს — „მინდა, ვიყო ემო" ხალხი, რომლებიც ემოობას იბრალებენ, გარეთ ემოებივით დადიან და სახლში კი ბრიტნი სპირსს უსმენენ (*იცინის*).

— რას უსმენს ნამდვილი ემო?

— ნამდვილი ემო იმოქორსა და სქრიმოს უნდა უსმენდეს. ემოებს ტუჩზე 2 პირსინგი აქვთ, რომელსაც „სნეიქი" ჰქვია. ეს პირსინგები ემოურ პირსინგად მიიჩნევა.

LITTLE ემო: ჩემთვის ემოობა ხალხისგან განსხვავებულობასთან ასოცირდება. არ ვარ ისეთი, როგორებიც სხვები არიან. მაქვს ემოციები, რომლის გამოხატვისაც სხვებისგან განსხვავებით არ მრცხვენია.

ბუსუნ: მე „ინგი" ანუ დებილი ემო ვარ (*იცინის*). ცხოვრებას ნათელ ფერებში ვუყურებ, პრობლემებს ყურადღებას არ ვაქცევ. „ინგიემოებს" ჭკუამხიარულ და დაბნეულ ემოებს ეძახიან. ჩვენ ვერ ვიტანთ კიბეს; ასევე შეიძლება, რაიმე კითხვას ლოგიკური პასუხი ვერ გავცეთ, დავიბნეთ...

ტრიში: „ინგიემოები" ყველაფერს იოლად უყურებენ, ჭრელაჭრელა ტანსაცმელს იცვამენ და ცდილობენ, ამ ფერების საშუალებით ცხოვრება გაილამაზონ.

სტეისი: მიიჩნევა, რომ 7-12 წლამდე ემოები „პოზერები" არიან, ანუ ემოობა გათავისებული არ აქვთ. ბევრი გარეგნულად ემოს ჰგავს, მაგრამ შინაგანად ემო არ არის. როცა ემოციის გამოხატვა გსურს, ემოციურობის კომპლექსი არ უნდა გქონდეს.

არის თუ არა ერთგვარი პროტესტი საზოგადოებისადმი მათი ჩაცმის სტილი

ბილი: არანაირ პროტესტს არ გამოვხატავ. ეს სტილი ბევრად ლამაზია, ვიდრე ყველა ქართველის — ერთნაირი ტყავის ტანსაცმელი და ფართო შარვლები რომ აცვიათ.

სტეისი: განსხვავებულად რომ გვაცვია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროტესტს გამოვხატავთ. ეს ემოს სტილია და ასე ამიტომაც გვაცვია. თან სხვებისგან განსხვავებულებიც ვართ.

ტრიში: განსხვავებული ჩაცმულობა, ჩემი, როგორც ემოს სტილია. დიდი ხანია, ასე დავდი-



ბილი

ვარ და მომწონს ჩემი გარეგნობა. თუმცა საზოგადოება ვერ ეგუება — უკვირთ პირსინგი და უჩვეულოდ შეღებილი თმა. ქუჩაში ხალხი გვეუბნება, რას ჰგავხართ, თქვე საცოდავებო, პატრონი არ გყავთ, ცოცხილა გაკლიათ და გაფრინდებითო. ზოგი შეიძლება მოვიდეს და დაგარტყას. ვცდილობთ, მათ საქციელს „იგნორი გავუკეთოთ“.

LITTLE ემო: ხალხი ადამიანებს იმით განსაზღვრავს, თუ რა აცვიათ, რას უსმენენ... მთავარი კი ის არის, გულში რა გაქვს და როგორი ადამიანი ხარ. განსხვავებული ადამიანები ხალხს არ სიამოვნებს.

— არ გინდა, იყო მათნაირი?

— არა, იმიტომ, რომ მათ არ ესმით ჩემი. მე ვერასდროს ვითამაშებ, რომ მათ დავემსგავსო...

ბილი: სახლიდან იშვიათად გამოვდივარ. იმიტომ, რომ ხალხი ჩვენ მიმართ ძალიან აგრესიულია. უაზრო რეპლიკებით „გვასაჩუქრებენ“ — „ფუ, ეს გოგოა თუ ბიჭი? ნახე, რას ჰგავს?!“ არ შეიძლება, ადამიანი განსხვავებული იყოს? ყველას თავისი ცხოვრება აქვს და როგორც უნდა, ისე ჩაიცვამს.

მშობლები

ბილი: მშობლები ვერ ეგუებიან ჩემს ჩაცმულობას, არაფერი მოსწონთ, არც „ბუტილკა“ შარვალი, არც ჩოლკა, არც პირსინგი და თმის გასწორება...

ტრიში: დედა არ მიშლის მსგავს ჩაცმულობას, ფიქრობს, რომ ეს სტილი მე ჩამოყალიბებაში მეხმარება. იცის, რომ ყველაფერს გულწრფელად ვუყვები და მენდობა.

LITTLE ემო: ადრე ჩემს ჩაცმულობას ვერ ეგუებოდნენ, მაგრამ შანსი მომცეს, რომ ვიყო ემო. მე დავუმტკიცე მათ, რომ ემოობა ცუდს არაფერს ნიშნავს. ეგონათ, რომ მეგობრები სწავლაში ხელს მიშლიდნენ, მაგრამ დავამტკიცე, რომ ეს ასე არ არის და დედ-მამა მენდობა.

ტრიში: ჩვენ სახელი „პოზერმა ემოებმა“ გაგვიტეხეს, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ სულ „დაგრუზულები“ ვართ, ჩვენ არავის ვუყვარვართ. სხვადან ქუჩაში, ვენებს სახალხოდ იჭრიან და გაჰყვირიან: „ჩვენ გარიყულები ვართ!“ ყველას ჰგონია, რომ ჩვენც მათნაირები ვართ, მაგრამ ასე არაა!

ბუსუნ: დედა ძალიან ახალგაზრდაა, არაფერს მიკრძალავს, მენდობა და ჩემი სჯერა. როცა მაღაზიაში მიდის, ჩემთვის თვითონ ყიდულობს ემოს შესაფერის ტანსაცმელს.

რატომ გახდნენ ემოები

LITTLE ემო: სკოლაში ყველასგან განსხვავებული და გარიყული ვიყავი, არ მყავდა მეგობრები, ვერავინ მიგებდა. ძალიან ემოციური ვარ, შეიძლება, მაშინვე არ გამომემჟღავნებინა ჩემი ცრემლები, მაგრამ მერე ვტიროდი. ახლა ემო ვარ და გრძნობებსაც დაუფარავად გამოვხატავ.

— იმისთვის, რომ ემოცია გამოხატო, აუცილებლად ემო უნდა იყო?

— (*იბნევა, ალბათ, ესეც „ინგიემოა“*) არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, ერთი ადამიანი გავიცანი, რომელიც როცა

მგზავნელების ნომინაციები

• ყველაზე მაგარი პოეტი და სამართლიანი მგზავნელი, მის რეალია. ყველაზე სკანდალური — ენიგმა. ყველაზე მაგარი ჟურნალისტი კი შენ ხარ, მარი. გოგა.

• ნეტავ SOS-ს უყვლოს ენამ და მალე კუბოში ჩავიდე, რომ გაიხაროს მის რეალმა... კინალამ ნომინაციაში არ გამომრჩი? მარ, ერთადერთი და განუმეორებელი, მესაიდუმლე და გულისსმიერი შენ ხარ. გრუზინკა.

• „ყველაზე ნაზი“ — ლუნა; „ყველაზე მეგობრული“ — ლორე, ბაო, იკუშკები, აზიელი; „ყველაზე უპასუხისმგებლო“ — ბოხო; „ყველაზე ერთგული“ — მაესტრო და ოლე; „ყველაზე მხიარული“ — ელისო, გერასიმე; „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მაგარი, განუმეორებელი, უნიკალური, ქალური, ნაზი, ულალატო, ანგელოზი, რომელსაც ფრთები არ აქვს“ — პრინცესა კამელიაა. მაპატიეთ, ზოგი გამომრჩა. გრუზინკა.

• ისა და, აქ ერთი, ძალიან სიცოცხლე და საყვარელი გოგო, კანიბალკა რომ გვყავდა, სწორედ მას წარვადგენდი „წლის ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგის“ ნომინაციაზე. ნოსტალგია.

• ნომინაცია „ყველაზე ხმაურიანი“ — ენიგმა; „ყველაზე მაგარი ადამიანი“ — პავლიკა; „წლის აღმოჩენა“ — მამაცი თოჯინა; „რითმის დედა“ — მის რეალი და ლიმონა. სიკვდილა.

• ლეო91-ს წარვადგენდი ნომინაციაზე — „მატყუარა მგზავნელი“, ვინაიდან ის ისევ „გზაშია“, „პროსტა“ ახალი ნიკით — მასტერა. გიცანი, ლუუუშ. :) ხიპიშა.

• „ინტერნაციონალური“ — გრუზინკა; „კოლორიტული“ — კამელია; „ნიჭიერი“ — იკუშკები 9717, ლუნა, მაესტრო; „იშვიათი“ — მ.მ.რ.ა.მ; „იღბლიანი“ — მამაცი თოჯინა და ილინი; „ხალისიანი“ — ფინტიკოზა, ოლე; „რომანტიკული“ — პარიჟანკა, ტირიფი73; „უპრეტენზიო“ — უზნეო ანგელოზი; „ვაი-პოეტების მუზა“ — მე, ანუ ენიგმა; „საინტერესო“ — ელისო, ვირუსა89; „ბედნიერი“ — ლორელაი. მარი, შენს ტელეფონში რომ ჩავიჭყიტო, „უზრდელ-უილბლო-შურიანებსაც“ დავანომინაციებდი. ენიგმა.

>>>16

მარტო ვიყავი, მაშინ მოვიდა და მეგობრობა შემომთავაზა (*ტრიშიზე მიმანიშნებს*). ამ ადამიანში ის თვისებები დავინახე, რომელიც მე მქონდა. ჩემდამი ყურადღება მხოლოდ მან გამოხატა და მეც დღეს ემო ვარ.

— არ ფიქრობ, რომ მან შეიძლება თავისი გავლენის ქვეშ მოგაქცია?

— არა მგონია. მისი შეხედულებები საკუთარი ნებით გავიზიარე. მასში მონათესავე სული აღმოვაჩინე...

ბილი: არ მყავდა მეგობრები, არავინ მემეგობრებოდა, სულ მარტო ვიყავი, ემოობა კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ საკუთარი სტილი მქონოდა და სხვებისთვის საინტერესო ვყოფილიყავი.

სტეისი: ადრე როკერი ვიყავი, მაშინაც განსხვავებული ჩაცმულობა მქონდა. როკერი კი იმიტომ გავხდი, რომ სულ ყურადღების ცენტრში ვყოფილიყავი. ახლა, როცა საზოგადოებისგან აგრესიაც გამოვცადე და ყურადღებაც, ოოი...

— ხომ არ ნანობ?

— არა, არ ვნანობ, იმიტომ, რომ სულიერად ასეთი ვარ და მინდა, ჩემს სულს, ჩემი გარეგნობაც მიესადაგებოდეს.

LITTLE ემო: არ მინდა, რომ შევიცვალო. ბევრი მეგობარი შევიძინე, არა მარტო ემოები, ბავშვებისაგან გამოვირჩეოდი. როცა გავიზარდე და ემოებზე გავიგე, მივხვდი, რომ მეც მათნაირი ვიყავი. ტრიში და სტეისი პირველი თაობის ემოები არიან.

— რას ნიშნავს ეს თაობები? სულ რამდენი თაობაა?

სტეისი: მე და ტრიში უკვე 2 წელია, ემოები ვართ — პირველი თაობის ემოები ვართ. 13 წლისები ვიყავით, ემოები რომ გავხვდით.

ბილი: მე მეორე თაობის ემოებში ერთადერთი ბიჭი ვარ.

— ვინმემ იქონია გავლენა, რომ ემო გამხდარიყავი?

— ჩემი მეგობრების სტილი მომეწონა. ემოები იყვნენ და მათი სტილი ჩემს გემოვნებაში ჯდებოდა.

ტრიში

საზოგადოება და ემოები...

ბუსუნ: ქუჩაში რომ გავდივართ და ხალხი გვხედავს, შეურაცხყოფას გვაყენებენ.

ტრიში: ქუჩაში რომ გამოვდივარ, ვიცი, რომ სადმე წყნარად დაჯდომის საშუალება არ მექნება. თუ დავჯდები


ბუსუნ და სტეისი

პანკები, გოთები... მე მათთან თამაში არ მჭირდება, ისეთს მიღებენ, როგორიც ვარ და ვიცი, რომ ყოველთვის ჩემთან იქნებიან და არ მიმატოვებენ. მყავს მეგობრები, რომელთაც ესმით ჩემი!

ბუსუნ: ბავშვობიდან სხვა სადმე, მოვა ვინმე და ტვინს ამომჭამს: „რა გქვია? ეს რატომ გაქვს? რამ გაიძულა?“ ყველანაირად მავიწროებენ. მეც ვდგები და გავდივარ იქიდან. რომ გაივლი, ზოგი ისე გამოგაყოლებს თვალს, რომ შეიძლება, თავი 360 გრადუსით დაატრიალონ (*იცინის*).

LITTLE ემო: ხშირად, ეკლესიაში მივსულვართ და მოძღვარს უთქვამს: რა უნდათ მათ ეკლესიაშიო?! ეკლესია უფლის სახლია, სადაც ყველას აქვს შესვლის უფლება. ჩვენ არასოდეს არავისთვის არაფერი დაგვიშავებია და ვერ ვხვდები, რას გვერჩიან?!

სტეისი: იმ გოგოებივით, რომლებიც ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში ბიჭების შესათვალიერებლად მიდიან, არასოდეს მივალთ ეკლესიაში! ეკლესიაში სალოცავად შევდივართ და არა ვინმეს სანახავად!

ტრიში: ხშირად ხალხს სქინებში ვერევით. ისინი ჩვენ გვგვანან, მაგრამ მათი კულტურა და ჩვენი კულტურა, სრულიად განსხვავდება.

ბილი: ხშირად გამიგია, ქუჩაში ვიღაცას უთქვამს, ესენი სატანისტები არიანო. ღმერთმა დამიფაროს! მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და უფლის რწმენა ბევრ რამეში მეხმარება!

ტრადიციები...

ბილი: ტრადიციული ოჯახი მაქვს და დიდ პატივს ვცემ ქართულ ტრადიციებს. ბევრი ადამიანი, ჩვენ რომ ჭკუას გვასწავლის — რანაირად გაცვიათო?! — ჯერ თავად სცეს პატივი ტრადიციებს და მერე ჩვენ გველაპარაკოს!

ტრიში: ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ისე ჩაიცვას, როგორც უნდა. ჩვენ ტრადიციების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ქართველებს ევროპელობა თუ უნდათ, მაშინ, ჯერ სხვისი აზრის პატივისცემა უნდა ისწავლონ!

მკითხველს შევახსენებ, რომ „გზაში“ ახალი „რეალური“ დავიწყეთ, რომელიც, მართალია, დიდი ხნის წინ მომხდარ ამბებს ჰფენს ნათელს, მაგრამ თითოეული სიტყვა სინამდვილეს შეეფერება. ამბავი მისი მთავარი „გმირის“, ახალგაზრდა ქურდის — სედოის დღიურების, მეგობრებისა და ყოფილი საყვარლის ნაამბობის მიხედვითაა აგებული. ამჯერად თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც სედოისთან საკანში ციხის უფროსი შევიდა და გაუმხილა, რომ მის გაქცევაში დიდი როლი სწორედ მას უნდა ეთამაშა.

დასაწყისი — „გზა“, №38-39

მარი ჯაფარიძე

ციხის უფროსი წავიდა და საკანში საზიზღარი, იაფფასიანი ოდეკოლონის სუნი დატოვა, რომელიც გულს მირევდა.

კარგია, თუ მართლაც მოვახერხებ გაქცევას. ციხე ქურდებისაააო ამბობენ, მაგრამ მე აქ თავს შინაურად ვერ ვგრძნობ. სული მეხუთება ოთხ კედელს შუა გამოკეტილს და ხანდახან, განსაკუთრებით ღამით, ვგრძნობ, როგორ ტოვებს ჩემი სული სხეულს და გარეთ დახეტიალებს; ქალაქს ათვალიერებს და მონატრებულ ახლობლებს სტუმრობს. მართალია, ქართველი ვარ, მაგრამ მოსკოვში თავს კარგად ვგრძნობ. საქართველოზე მეტად აქაურობა მენატრება. შევეჩვიე ამ დიდ ქალაქს და მის ერთ მყუდრო ბინაში შეყუჟული თავს ყოველთვის დაცულად და უსაფრთხოდ ვგრძნობ...

1984 წლის 30 აგვისტო დილა, 10:00

გაქცევის მერე, დღეს პირველად უნდა გავიდე გარეთ. რა მნიშვნელობა აქვს, ციხეში ვიჯდები, თუ შინ? ამიტომ, თავისუფლებით უნდა დავტკბე. დიდი ამბით ველი საღამოს დადგომას.

მეშინია?

კი, მეშინია, აღარ მინდა უკან, ციხეში დაბრუნება, მაგრამ არც ასე, შინ ჯდომა შემიძლია.

31 აგვისტო

დილით თავი მისკდებოდა.

საერთოდ, არ ვსვამ, მაგრამ წუხელ ბევრი დავლიე.

თვალი გადავავლე წინა საღამოს და თითქმის ყველაფერი აღვიდგინე.

ბარში მისულებს პერსონალი ოვაციებით შეგვხვდა.

რატომაც არა? რაც მე მათთვის ფული მაქვს გადახდილი.

ლენოჩკას ჩემს დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მე ყურადღება არ მივაქციე.

ვიცი, რომ ერთი სული აქვს, როდის დაწვება ჩემთან, მაგრამ ამ გოგოზე გული არ მიმდის.

კაცია და გუნება. არ მინდა და მორჩა!

რას ვუწუნებ? არაფერსაც არ ვუწუნებ. გრძელი ფეხები აქვს, აფუებული მკერდი და ღამაზი, გამოყვანილი წელი, მაგრამ ახლოს რომ მოდის, ვგრძნობ, რომ არ მინდა მასთან არავითარი ურთიერთობა.

ბიჭებიც ხშირად მეუბნებიან ხოლმე, ქალს ასე უნდიხარ და ერთი გაუიმვა რა გახდაო, მაგრამ ასე იოლია?

ნიცა...

ნიცა სულ სხვაა...

წუხელ, ბარში მისულმა მაშინვე შევნიშნე ბარის დახლთან მჯდარი ლამაზი ქალი და თვალი მისკენ გამექცა.

— აუ, რა დაერხა, ბიჭო, — ჩაიცინა ვალერიმ.

— ვის? — ვითომ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

— ვის და აი, იმ ნაშას, — თვალით სწორედ ის გოგო დამანახვა, რომელსაც ყურადღება მივაქციე. — ვიცი, რომ სანამ არ დაითრევ, არ მოეშვები.

მაგიდასთან დავსხედით თუ არა, უცნობ გოგონას თვალი გავუშტერე. ჩამოქნილი ტანი და უზადო სილამაზის სახე ჰქონდა.

არ დაურცხვენია, ცოტა ხანს თვითონაც თვალი გამიშტერა, მერე მიბრუნდა და ზურგი მომაქცია.

მიმტანს დავაბარე, მისულიყო და ჩვენს სუფრასთან მოეწვია.

უთხრა. იმან მოუსმინა, ჩვენკენ გამოიხედა და ისევ ზურგი შეგვაქცია.

კარგა ხანს ველოდე, როგორც ჩანს, არც აპირებდა ჩვენთან მოსვლას.

მიმტანს ვუხმე და ისევ გავგზავნე მასთან.

ისევ არავითარი რეაქცია...

ისევ ვუხმე მიმტანს და 100 დოლარი გავატანე.

მიმტანი მალევე მობრუნდა უკან და 200 დოლარი მომიტანა.

ჩვენი ურთიერთობა რაღაც აზარტულ თამაშს დაემსგავსა. არ ვიუკადრისე. მიმტანის მოტანილი ფული ჯიბეში ჩავიდე და იმაზე ფიქრი დავიწყე, როგორ უნდა მოვქცეულიყავი ამის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ბიჭებს ველაპარაკებოდი, თან ცალი თვალი უცნობი გოგონასკენ გამირბოდა. თვალს ვერ ვაცილებდი.

ისიც შევნიშნე, რომ ასეთ დღეში მარტო მე არ ვიყავი. ბარში მყოფი ყველა მამაკაცი მას უყურებდა. ის მარტო იყო და ბარმენი გოგონას გარდა არავის ეკონტაქტებოდა.

როგორც კი ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, თითი დავუქნიე და ისე მოვიხმე ჩემთან. მხოლოდ გამიღიმა.

ბიჭები მიხვდნენ, რომ მთელი გულისყური მისკენ მქონდა მიპყრობილი და მამხნევებდნენ.

— ხომ იცი, შენი შეუბმელი ქალი დედამიწის ზურგზე არ დადის, ამასაც მოუგრეხ კისერს. როგორც ჩანს, არც ისე იოლი დასაყოლიებელია, მაგრამ ადრე თუ გვიან, მაინც დაგნებდება.

— თუ არ დამნებდება, მოვიტაცებ და მანამ არ გავუშვებ, სანამ ჩემი ნება არ იქნება, — დავემუქრე და მივხვდი, რომ ამის გამკეთებელი მართლაც ვიყავი. მის შემხედვარეს მთელი ტანი მიხურდა, ხელისგულები თითქოს მისი კრიალა კანის შეხებას გრძნობდნენ, ტუჩები — მისი რბილი, წითელი ტუჩების სიმხურვალეს...

რას არ დავთმობდი, რომ ჩემი გამხდარიყო.

უკვე შუაღამე იყო, როდესაც ბარის დატოვება გადავწყვიტე. წამოვდექი და დარბაზი ისე გადავჭერი, რომ იმ გოგონასკენ არც გამიხედავს. შუბლშეკრული მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა.

ის იყო, მანქანის კარი გავაღე, რომ მომესმა:

— სედოი, სად მიდიხარ?

ლენოჩკა მეგონა და უხალისოდ მოვბრუნდი, მაგრამ ხელში ის ანგელოზი შემრჩა და გავშეშდი. თურმე მას ჩემი სახელიც კი სცოდნია...

მანქანის სახურავს ხელით დავეყრდენი და გავხედე.

— თუ შენც წამომყვები, მაგარ ადგილზე წავალთ, თუ არა და — შინ, — ეს უკვე კარგის ნიშანი იყო.

— კარგი, წამოვალ, — წინა კარი გამოაღო და სავარძელზე მოხერხებულად მოთავსდა.

ბიჭები მაშინვე გადავიდნენ უკანა სალონიდან და ვალერის მანქანაში გადაბარგდნენ.

— ერთი წუთით, საქმე მაქვს, — გვერდით გამიხმო ლევანმა.

— ბიჭო, არ ენდო, ხომ იცი, ჩათლახებითაა სავსე ქალაქი. ფრთხილად იყავი...

— კარგი, ფრთხილად ვიქნები, — შევპირდი და თვალი ჩავუკარი.

ძრავა ავამუშავე თუ არა, სოცნებო და სასურველ თანამგზავრს მაშინვე სახელი ვკითხე.

— ნიცა.

— კარგი სახელია, ოღონდ ეს სახელი ქალაქს რომ ჰქვია, იმიტომ არ მომწონს.

— არა უშავს, თუ არ მოგწონს, შენ შემარქვი რამე, უკეთესი...

კარგა ხანს ვიფიქრე და გუნებაში უამრავი სახელი ამომიტივტივდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მივუსადაგე.

— ისევ ნიცა გერქვას, ყველაზე მეტად ეგ გიხდება...

— სად მივდივართ?

— ქალაქგარეთ, რესტორანში. შენთან ერთად უნდა დავთვრე.

— არ ვსვამ, არ ვეწევი და არ ვბოზობ...

— მართლა? ეს ძალიან კარგია, მაგრამ მოგიწევს „გამოსწორება". ჯერ დალევას დავიწყებთ, — სახეზე შევხედე და შევნიშნე, რომ შუბლი შეიკრა.

— ჯერ დალევას დავიწყებ, მერე მოწევას და ბოზობასაც, არა?

— მოწევის რა გითხრა, თუ გინდა, დაიწყე, თუ გინდა — არა, მაგრამ ბოზობას რომ დაიწყებ, მერე მაგრად დაგერხევა.

— რატომ, ჩემი მამიკო ხარ და დამტუქსავ?

— რამდენი წლის ხარ?

— 18-ის.

— აუჰ, შენ მართლა ბავშვი ყოფილხარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მამად მაინც არ შეგეფერები. სულ რაღაც 11 წლით უფროსი ვარ...

ნამდვილი საბავშვო ბაღია...

რომ მცოდნოდა, არც კი ვეცდებოდი მასთან დაახლოებას, მაგრამ ახლა უკვე უარს ველარ ვიტყვი, რადგან მისი სურვილი მკლავს და მახელებს.

არადა, გარეგნულად არ ეტყობა, რომ ასე პატარაა.

ღრმად ამოვიოხრე.

— რა იყო, რამე არ მოგეწონა? — ჩამეკითხა და მომეჩვენა, რომ ჩემს პასუხს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

— არა, ყველაფერი რიგზეა. რაღაც გამახსენდა...

— დღეს დავლევ და შენთან ერთად პირველად დავთვრები. მე ვიცი, ვინ ხარ.

— საიდან?

— იქ, ბარში მითხრეს.

— მერე?

— მე ქალაქის პროკურორის შვილი ვარ, — ისევ შიში გაკრთა მის ხმაში.

— ოჰო, მამაშენი საჭირო კაცი ყოფილა.

— ჰო, — რაღაცნაირად, სინანულით თქვა.

— ბევრს თუ დალევ, მერე ჩემთან სექსს ველარ მოახერხებ. ვიცი, რომ მთვრალ მამაკაცს ქალთან ურთიერთობა უჭირს.

— განათლებული გოგო ყოფილხარ, მაგრამ ვინ გითხრა, რომ შენთან სექსს ვაპირებ?

— შენმა მზერამ.

— არა, პატარავ, ჩემს მზერაში შენით აღფრთოვანება იკითხება, შენი სილამაზით დატყვევება...

— არა, — ჯიუტად გააქნია თავი და ქერა თმა სახეზე ჩამოეშალა.

— ნამდვილი პატარა, ბრძენი ქალი ხარ, — გამეცინა და ცხვირზე მივეფერე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როგორ ეგყარება „ბებრაზებული" პატრული წესრიგს

და აქვს თუ არა ჯარიმას აზრი?



არ[illegible] ისე დიდი ხანია, რაც „გაიმნიეის" შავ-თეთრი ჯვერთხი, პატრულის მეგაფონიდან გაგონილმა სიტყვებმა: „გადააყენე, გადააყენე"-მ შეცვალა. ხალხი ყორუფციის აღმოფხვრით ძალიან ყმაყოფილია და მოძრაობის წესების დარღვევისას, ჯარიმასაც მშვიდად ხვდება (ეს მე არა, პატრულმა თქვა).

ელენე ბასილიძე

ამას წინათ, ვაკეში ქუჩა უადგილო ადგილას გადავკვეთე და ნახევარი გზის გავლის შემდეგ, ჩემ ცხვირწინ გავლილმა პატრულის მანქანამ სვლა შეანელა, მანქანიდან თავი „ბიძია პატრულმა" გადმოყო და ღიმილიანი სახით, თითი დამიქნია. რაკი თავი სამშვიდობოს დავიგულე და ჯარიმას გადავურჩი, ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი: ჩემგან განსხვავებით, ნეტავ, რამდენ ადამიანს არ გაუმართლა და პატრულმა დააჯარიმა-მეთქი? ავდექი და დაჯარიმებულების ძებნა დავიწყე. აღმოჩნდა, რომ ქუჩაზე უკანონოდ გადასვლისათვის, ჯარიმა 3 ლარია. იმასაც მოგახსენებთ, რომ ხშირად პატრულს კანონდამრღვევი განყოფილებაში მიჰყავს და აყურებინებენ ფილმს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ქუჩის უკანონო გადაკვეთას. შემზარავი ავარიები გვაჩვენესო, ასე მითხრეს განყოფილებაში ყურყუტის გამოცდილების მქონე ახალგაზრდებმა. თუმცა, ამ ფილმის ყურებამ რამდენად გამოიღო შედეგი, დასკვნა თავად გამოიტანეთ — როცა კომენტარის ჩაწერის შემდეგ, ორიოდე წუთში „კანონდარღვევაში მხილებულმა ახალგაზრდამ" უცერემონიოდ გადაკვეთა გზა წითელ შუქზე :).

უბრალო მოკვდავის კითხვა კი — თუ რა კრიტერიუმით არჩევს პატრული განყოფილებაში წასაყვან ხალხს? თავად პატრულმა უპასუხოდ დატოვა. პასუხით განაწყენებულმა, უფრო სწორად კი უპასუხოობით, სადაც ვინმე ფორმიანი ვნახე, ყველას გავესაუბრე. პასუხები კი მართლაც, მხიარული გამცეს. მაშ ასე, ჯერ სკვერებსა და ბაღებში „აკრედიტებული" დაცვის პოლიციის კომენტარებს გთავაზობთ.

გოგა, *27 წლის, დაცვის პოლიციის თანამშრომელი:*

— რამდენიმე დღის წინ ამ ბაღში გოგო და ბიჭი შემოვიდა, დასხდნენ სკამზე... ცოტა ხანში, ვიღაც გოგო შემოვარდა „გაქაფული". ეცა, ამ ჩვენს წყვილს და ორივე ფეხქვეშ „გაიფინა" (იცინის). ისეთი ამბავი იყო, ძლივს გამოვტაცეთ გოგოს ხელიდან ბიჭი. შეყვარებულები ყოფილან თურმე... ისეთი ადამიანებიც არიან, ამ ბაღში დღეში 4 გოგო მაინც რომ მოჰყავთ სხვადასხვა დროს და ყველას „ეზასავებიან".

— მერე, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე გოგოსთან დანარჩენებს წაესწროთ?

— არა, შენ წარმოიდგინე,

ეგეთ ხალხს ბედი წყალობს (*იცინის*).

კახა, *25 წლის, დაცვის პოლიციის თანამშრომელი:*

— ეს ბაღი რამდენიმე გოგოს აქვს არჩეული, შემოვლენ, დასხდებიან სხვადასხვა სკამზე და წიგნს გადაშლიან. მერე მოვა ვინმე, გამოელაპარაკება ერთ-ერთს, ჩამოუჯდება... მოკლედ, ჯერ ვერ გავარკვიე, რომელი რომელს კერავს ხოლმე, მაგრამ ამ ბაღიდან ის გოგოები ჯერ მარტონი არ გასულან (*იცინის*).

გიორგი, *30 წლის, პატრული:*

— ერთი ადამიანი ნარკოტიკის მოხმარებაში ეჭვმიტანილად რამდენჯერმე დავაკავეთ. რამდენჯერაც ნარკოლოგიურში მივიყვანეთ და ანალიზი ავუღეთ, არც ერთხელ არ აღმოაჩნდა ნარკოტიკის კვალი. მკლავები საცერივით ჰქონდა, გადასხმებს ვიკეთებ, ვენების შევიწროვება მაქვსო, — გვითხრა. არადა, შეხედავდი და ნაღდად ნარკომანიაო, იტყოდი. ბოლოს, რამდენჯერაც გზაზე გადაგვეყრებოდა, აღარ ვაჩერებდით. ერთხელაც, ქუჩაში წაქცეული ვნახეთ და საავადმყოფოში წავიყვანეთ. იქ კი — ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზა აქვს მიღებულიო, გვითხრეს... ძლივს გადაარჩინეს. თურმე ამ „ნარკუშას", პრეზერვატივში ჩასხმული შვილის



შარდი სულ თან დაჰქონდა — ვინიცობაა, პატრულს გამოეჭირა. ანალიზებშიც იმიტომ არ ჩანდა ნარკოტიკის კვალი, 5 წლის ბავშვის შარდში რა გამოჩნდებოდა (*იცინის*)?

ნიკა, *36 წლის, პატრული:*

— ამას წინათ, უბანში ვპატრულირებდით. ერთ-ერთ ქუჩაზე ავუხვიეთ თუ არა, კინაღამ „ლაბავოიზე" შეგვასკდა ერთი ბიჭი. გვერდი აგვიქცია და გავარდა, მეორეც მიჰყვა, მესამეც... სასწრაფოდ გადმოვედით მანქანიდან და ავიყვანეთ. გვეგონა, ჩხუბი ჰქონდათ. ისეთი არეულები ლაპარაკობდნენ, ნარკოტიკზე ავიღეთ ეჭვი და ნარკოლოგიურში გავაქანეთ. ნარკოტიკის კვალი აღმოაჩნდათ და დავაჯარიმეთ. 2 დღის წინ, ერთ-ერთი მათგანი მარკეტში შემხვდა და რომ დამინახა, გაიგუდა სიცილით. აუ, ძმაო, მაშინ რა დაგვემართა, ახლა რომ არ მოგიყვე, არ შეიძლებაო! პლანი მოვწიეთ, ისეთი „ბომბა" იყო, სულ გამოგვაშტერა. შუა განცხრომაში, ერთ-ერთს „ესემესი" მოუვიდა და ზარად — „გადააყენე, გადააყენე" პატრულის ხმა ეყენა; ჩვენ გვეგონა, უბანში პატრული „გაიჩითა", გამოვცვივდით გაგიჟებულები და ნაღდ პატრულს გადაგაწყდითო. ზარმა აგვკიდა ჯარიმა, ზარმაო (*იცინის*).

და მაინც, თუ ქალაქში შეფერხებული მოძრაობისას ხმამაღლა ნათქვამი მსგავსი სიტყვები გაიგონეთ: „იმოძრავე, „ფორდი", იმოძრავე, შე ჩემისა, რას გაბოტილხარ ქუჩაში?!" არ გაგიკვირდეთ, ეს გაბრაზებული პატრული წესრიგს ამყარებს.

მოკლე ჩართვა <<< 11

მგზავნელების ნომინაციები

• „კეთილი ფერია" — კამელია; „ყველაზე მაგარი დეიდა მსოფლიოში" — გრუზინკა; „ამტანი" — ენიგმა; „ყველაზე გულკეთილი" — ლორელაი; „ყველაზე სამართლიანი" — აზიელი; „ყველაზე ქველმოქმედი" — უნდობი; „ყველაზე მეგობრული და მზრუნველი" — მაესტრო; „მის გადარეული" — ეთო; „გასაგიჟებელი იუმორი" — ელისო, ოლეგარიო, ილინი, იკუშკები, ფინტიკოზა, გერასიმე. საკუთარ თავს კი „ყველაზე მეოცნების" ნომინაციას მივანიჭებდი.

P.S. მე და გრუზინკას „დაჭმა" გვქონდა ენიგმას ნომინაციაზე. მე „ამტანი" მინდოდა, მას — „ყველაზე ვაჟკაცური". ასე რომ, დეიდას თხოვნას ვუსრულებ — „ყველაზე ვაჟკაცური" — ენიგმა. ლუნა.

• კამელია — „ყველაზე საყვარელი"; გრუზინკა — „ძალიან მაგარი ადამიანი"; განძის მაძიებელი — „ჭკვიანი" და „რას გადაეკიდნენ?" გიჟ-ხიფათა.

• „ყველაზე ქალური მგზავნელი" — ფინტიკოზა; „ყველაზე ამოუცნობი" — ენიგმა (საუკეთესო ხარ!); „ყველაზე მოაზროვნე" — გა-მა; „ოხუნჯი" — 9717; „ილბლიანი" — მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ? (შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რაა ამხელა ნიკი?); „ყველაზე აქტიური" — მის რეალი; „ყველაზე ტკბილი" — ლუნა; „საუკეთესო ადამიანი" — გრუზინკა; „შეუცვლელი" — კამელია; „ყველაზე მონატრებულები" — ოჩოპინტრე, კარდიოლოგი, ლეო91; „იუმორის მამა" — ბოსო; „დაუვიწყარი მგზავნელები" — ილინი, კანიბალკა; „ყველაზე უკონფლიქტო", „ერთგული მგზავნელი" — მე, თქვენი პარიუანკა!

• ნომინაცია „ყველაზე კარგი ნომერი" — „გზავნილები"; ნომინაცია „მაგარზე მაგარი" — „მოკლე ჩართვა"; ნომინაცია „მარი მესიჯს არ უბეჭდავს" — გავიმარჯვე მე. დამიბეჭდეეე! ეკალი.

>>> 25

გზაჯვრედები

მარი ჯაფარიძე

უნებისყოფობის შეღები

„ნაბომჭარი“ და უნებისყოფო მგზავნელები ანუ „გზავნილების“ 10 „მცნება“...

„ხუთშაბათმშვიდობისა“, „ოქტომბერმშვიდობისა“ და საერთოდ, მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა. როგორ ხართ? ხომ ხართ ისე, მე რომ გამიხარდება და რუსს რომ ეწყინება ან ისე, გრუზინკას რომ კამელიას ყოფნა გაუხარდება და მის რეალს განძის მაძიებლის ყოფნა რომ ეწყინება? ამათი ამბავი ხომ ისეა, სოფსაბჭოს თავმჯდომარის გვარს რომ არ ასახელებენ და ყველამ რომ იცის, ვისზეა ლაპარაკი... ერთმანეთის კბენას კიდევ არ ეშვებიან და თუ მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ, ვიტყვი, რომ ამ ბოლო დროს განძის მაძიებელი უკვე აღარაა დამნაშავე. კაცმა ნიკი შეიცვალა, არავის არაფერს ერჩოდა და მაინც არ შეეშვნენ, მაინც აალაპარაკეს... (ამ შემთხვევაში მის რეალს არ ვგულისხმობ). ეჰ... მე თუ ავლაპარაკდი და ვთქვი, ვინ უმესიჯებს საკუთარ თავს სხვისი სახელით, ვინ ვის რას სწერს უნიკოდ და საერთოდ, რა ხდება „გზავნილებში“, აქ ისეთი ამბები დატრიალდება, აგვისტოს ომი მონაგონი იქნება... ერთი სიტყვით, აქ არსებული სიტუაცია არ მომწონს და დარწმუნებული ვარ, არც თქვენ მოგწონთ. ამიტომ, ნურავის ეწყინება, თუ დაზავებისკენ მოგიწოდებთ და აგრესიულ მესიჯებს აღარ დაგებეჭდავ. ძალიან გამიხარდება, თუ ყველა მგზავნელი შერიგდება და მეც დაუყოვნებლივ შემატყობინებთ, რომ წყენა უკვე დაივიწყეთ და ყველაფერი კარგადაა.

ახლა მეორე საკითხი: უკვე იცით, რომ ჩვენი ილინი „დიდი ჟურნალისტობისთვის“ ემზადება. ჰოდა, იმ სტატიების მომზადებასთან ერთად, რასაც თქვენ კითხულობთ, „გზავნილების“ „ჩახუჭუჭებაშიც“ მეხმარება. მისი მოვალეობაა, კომპიუტერში „შეყრილი“ თქვენი მესიჯების ჩასწორება. ამ კვირაში შუაღამემდე ივჯდა საწყალი და ვიშვიშებდა — მარი, აი, დაუფასებელი ამაგი ის არის, შენ რომ სწევ, თურმე რა ძნელი ყოფილა „გზავნილების“ „გაკეთება“, ამდენს როგორ აუდიხარო... ელენეს რომ დავემშვიდობე, ახლა მე ჩავუჯექი თქვენს „შედევრებს“ და მის მიერ ბოლოში მიწერილი მესიჯიც აღმოვაჩინე:

„მარიი, ახლა ამ მგზავნელების ნაწერებს ვშიფრავ და ხან ცივი ოფლი მასხამს, ხანაც სიცილისაგან ვოსდები! ამ ხალხს მორზეს ანბანით რომ გამოეგზავნა SMS-ები, ასეთი საშინელი გასარჩევი მაშინაც კი არ იქნებოდა, ისეთი „მარგალიტებია“, ვნატრობ, ნეტავ, სხვებმაც წაიკითხონ! მოკლედ, როგორც ზოგიერთი მგზავნელი იტყოდა — გილლუავთ, რომ ტკყენ არ ქტყვლობტ ამ ნაცერკ! :)) ილინი“.

უდიეტო დიეტომანი

„ჩემი უნებისყოფობის ბრალია, რომ დიეტას ვერასოდეს ვიცავ. ამიტომ, ჩემი ზედმეტი 5 კგ ყველას სალაპარაკო გახდა. ჩემს ოჯახში ეს ყველაზე სასაცილო თემაა. დიეტას რომ დავიწყებ, მამაჩემი ისეთ მადისაღმძვრელ ტკბილეულს მოაცუნცულებს ხოლმე, რომ მისი ყურებითაც კი ვსუქდები. თან, ჩემი წანწკლა ძმის დამნახავს მოდი და გული ნუ გაგისკდება. ამ ჩემმა ზედმეტმა კგ-ებმა მაგრად დამაკომპლექსა. მოკლედ, დროა, თქვენი დახმარებით ერთხელ მაინც დავიცვა დიეტა და გავხდე, თორემ დავრჩები გაუთხოვარი (როგორც ჩემი ტანწერწეტა ძმა იტყოდა). დიეტომანი“.

დამღუპველი ნებისყოფა

„ამ ბოლო დროს, მაგარი უკუღმართი გავხდი და იმედია, ჯაფარიძიანთ ქალი ძალიან არ გამიბრაზდება, თუ თემას „შევაბრუნებ“. მოკლედ, იყო ერთი მაგარი ნებისყოფის ადამიანი (ქალი), რომლისთვისაც რაც უნდა გეკადრებინა, იმდენი ნებისყოფა ჰქონდა, არ შეგეპასუხებოდა, თუნდაც ცამდე მართალი ყოფილიყო. მისი ასეთი საქციელის გამო, მასთან მოჩხუბარი ადამიანები უფრო აგრესიულები და ბოროტები ხდებოდნენ, მაგრამ რას იზამდნენ? ამ ქალს უბედურება შეემთხვა — დაეღუპა ერთადერთი, მარჩენალი შვილი. ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, იგი ძალიან გულჩათხრობილი გახდა. სახლიდან თითქმის არ გამოდიოდა, თუ გამოვიდოდა, მხოლოდ მაშინ, თუ რამე ჰქონდა საყიდელი. გავიდა დრო და ხანი, ეშმაკს არ ეძინა. შურიანი და ბოროტი მეზობლები საბაბს ეძებდნენ, რომ ქალი მოთმინებიდან გამოეყვანათ (რამდენი ბოროტი ადამიანი დადის ამ დედამიწაზე). ჩხუბის მიზეზიც გამონახეს — ამ ქალის საქონელი შევიდა ბოროტი მეზობლის ბოსტანში და ნათესები გააოხრა. ატყდა წყევლა-კრულვა — შე უპატრონო, ვის დაეკარგე, პატრონი არ გყავსო? ქალმა გამოხედა და ბოდიში მოუხადა — ეტყობა, კარგად ვერ დავაბი, ამ ბოლო დროს, თვალში კარგად ვეღარ ვიყურები, ეს აღარ განმეორდებაო; მაგრამ გაცეცხლებულმა მეზობელმა დაუყვირა — შენ მაგივრად ვინ დააბამს, რომ აღარ განმეორდეს? შვილი შენ არ გყავს და ძირიო, — მიაძახა და გაბრუნდა. ქალმა ამჯერადაც ხმა არ ამოიღო. გათენდა ავბედითი დღე — აღმოჩნდა, რომ ამ ქალს თავის ბოსელში ჩამოეხრჩო თავი. თან, წერილიც დაეტოვებინა თავისი კეთილისმყოფლისთვის: „მაპატიე, თავს იმიტომ ვიკლავ, რომ ნებისყოფამ მიმტყუნა და ეშმაკმა მაცდუნა. ჩემი მარჩენალი ძროხა კი აღარ გაგიოხრებს ნათესებს, ის ხომ ჩემს აღაპზე (ქელეხზე) დაიკვლება“. გრუზინკა“.

„პადზემკა“

„ვერ ვიტან „პადზემკებს“ და სადაც უნდა ვიყო, ჯიუტი ვირივით გადავკვეთ ხოლმე ქუჩას. ერთ დილას უნივერსიტეტში მაგვიანდებოდა, გადარბენაზე ვიყავი; როგორც იქნა, მივაღწიე იმ ქუჩას, სადაც ჩემი სასწავლებელია. ნებისყოფა არ მეყო, ვერ დაველოდე მწვანეს და პირდაპირ გავიჭერი. უნებისყოფობის შედეგი კი მე ვიყავი, ტრასის კიდეზე გადაკოტრიალებული... ფართხუნა შარვალი მეცვა, სწრაფი სიარულისას, მისი ტოტები ფეხებში გამებლანდა და ცხვირით ძირს დავეშვი. კიდევ კარგი, მანქანების ნაკადს გადავასწარი და ტროტუართან ახლოს მოვჯექი; თუმცა მაინც შიშით გული გამისკდა. ერთმა „მარშრუტკამ“ ჩემს ქუსლებთან შეაყენა თავისი „პიპიის“ წინა ბორბლები და თვალებგაფართოებული შოფერი საჭეზე იდაყვებდაყრდნობილი მიყურებდა. ვერ მივხვდი, მისი სახე რას გამოხატავდა — სიბრალულს, გაბრაზებას თუ აღშფოთებას. იმ დღის მერე მე „პადზემკები“ შემიყვარდაა?! ნუ, რავი... ნერტისი“.



GREEN GIRL

ყველაზე მოსალოდ ადამიანში მეცყველი ძნელია.

„ტორტის ოთახი“

„უნებისყოფობა კი არა და მსუნაგობა ნამდვილად გამოვავლინე, როცა ერთ სოფელში ქორწილში ვიყავი. სალამოს ტორტი ერთ დიდ საკუჭნაოში შეინახეს, რათა, როგორც წესი, მეორე დღეს ნეფე-პატარძალს დაეჭრა და სტუმრებისთვის მიერთმია. მთელი სალამო იმ ოთახს ვუტრიალებდი. რამდენჯერმე ოჯახის უფროსს იმ ოთახის გასაღები გამოართვეს, რაღაცების გამოტანა დასჭირდათ, მერე უკან უბრუნებდნენ. ბოლოს, ქალებს დააავიწყდათ მიცემა და გასაღები ფანჯრის რაფაზე შემოდეს. მე თვალს არ ვაცილებდი, როგორც იქნა, დავითრიე გასაღები და „ტორტის ოთახში“ შევიპარე. ასე მეგონა, ბანკში, მილიონის მოსაპარავად ვარ შესული და სადაცაა, ფაქტზე დამიჭერენ-მეთქი. მივედი, „მივემსუნაგე“ ტორტს და უკანა მხრიდან (ისე, რომ ერთი შეხედვით ვიზუალური მხარე არ დაზიანებულიყო) ჭამა დავიწყე. გემრიელად გამოვძეხი, ჩუმად გამოვედი და გასაღები თავის ადგილზე დავდე. მეორე დღეს, როცა ჯერი ტორტის დაჭრაზე მიდგა, ქალებმა შეიცხადეს — ამ ოთახში თაგვი ყოფილა და ტორტი უჭამიაო. ის ნაწილი, რომელიც მე შემომეჭამა, ქალებმა ჩამოჭრეს და გამატანეს, ჩუმად გადააგდეო. ჰმ, როგორ გადავაგდებდი?! ჩემზე დიდი თაგვი ამქვეყნად არ მეგულებოდა და ისიც გადავსანსლე. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა; როცა საქორწინო ტორტს ვხედავ, ის დღე მახსენდება და მზად ვარ, იგივე გავიმეორო. რა ვქნა, ნებისყოფა არ მაქვს. P.S. ჩემი შვილიც მე დამემსგავსა, ტკბილეული ცხრაკლიტულში რომ ჩავკეტო და გასაღები დავმალო, ჯერ გასაღებს იპოვის, მერე კი ტკბილეულს მოუთაროებს. ხანდახან ჩემს დამალულს თავად ველარ ვპოულობ და ვეხვეწები, გეცოდინება, სადაც დავდე და მომიტანე-მეთქი. ჯანდაბას დიეტა! აბლახანუმი“.

ზარმაცი

„უნებისყოფობის შედეგია, რომ დღეს ბედნიერი ვარ... ნებისყოფა არ მეყო, რომ წლის ბოლომდე გამოცდებისთვის მოვმზადებულიყავი. ამიტომ, როცა ჩემმა შეყვარებულმა ხელი მთხოვა, მაშინვე დავთანხმდი და ამით გადავურჩი დედაჩემის რისხვას. მან დღესაც არ იცის ეს. ამიტომ, თქვენი საშუალებით პატიებას ვთხოვ. ახლა, 2 წლის შვილი მყავს და ძალიან ბედნიერიც ვარ. ნიკოლი“.

„ნაბომჟარი“

„სხვისი არ ვიცი და, პირადად მე, უნებისყოფობასა და ნერვებს ერთმანეთთან ვაიგივებ. ნებისყოფა ანუ ნერვები არ მყოფნის, რომ სიგარეტი გადავაგდო და ფილტვებს „ვავიჩინებ“. ნებისყოფა ანუ ნერვები არ მყოფნის, როცა ტელევიზიით პრეზიდენტი „სეფესიტყვით“ „გვაბოლებს“ და თან პიჯაკის სახელოს საკუთარ ცხვირის ნესტოებს ვიოლინოს ხემივით ვირტუოზულად აუსვ-ჩაუსვამს; ნებისყოფა და ნერვები მღალატობს და „ტყუილების ყუთს“ ეგრევე ვთიშავ. გოგოს, როგორც კი მარიაჟობას, „სწერვობას“, უტიფრობასა და „ნაგლობას“ ვამჩნევ, მაშინვე „ვუიგნორებ“ და ნებისყოფა და ნერვები მღალატობს, რომ ვეფლირტაო, რადგან მაგისთანებისთვის რქების მოტეხას, ჩემი ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ერთხელაც, „ტვინაქაოსებულთა“ უსამართლო შემოტევისას, ნერვები და ნებისყოფა არ მეყო და „გზიდან“ წავედი. მერე, სამყაროზე გულაყრილი სახლიდანაც წავედი და „ვიბომჟავე“. მერე კი მამა აკაკის რჩევით და კეთილი ნებით, უძღები შვილის კომპასი ანუ ყიბლანა (ეს კომპასის ძველქართული სახელია) ისევ სახლისკენ და „გზისკენ“ მოვმართე, ისევ თქვენთან ვარ და სერიოზულად ვმუშაობ ნებისყოფისა და ნერვების დაბალანსებაზე. შეიძლება, შეცდომები ველარ გამოვასწორო, მაგრამ აღარ გავიმეორებ მაინც. ისე, საკუთარ სულში ასეთი ჩაღრმავება, ზედმეტი არავისთვის იქნება. განსაკუთრებით მათთვის, ვინც თავის პარამეტრებს კრილოვის ბაყაყივით ბერავს და სხვებს „მიკროსკოპულ სიმცირედ“ აღიქვამს. ენიგმა“.

ილოკავრასკეთ, ილოკავრასკეთ, მე ყოველთვის ვამბობ ხალხებს, როცა სანდალებისა თემაზე საუბრობენ.

ყველაფერზე, თემის გარდა

მწარე გაკვეთილი

„სანამ გავთხოვდებოდი, სულ იმას ვწუწუნებდი და ვბრაზობდი, ჩემი მშობლები უფრო მეტ ფულს რატომ არ მაძლევენ-მეთქი. სხვები რომ ძვირად ღირებულ მაღაზიებში დადიოდნენ, მეც მინდოდა, მევლო და კარგი ტანსაცმელი მეყიდა, მაგრამ დედაჩემი ჩემს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. დახეული ტანსაცმლით არასდროს მივლია, მაგრამ არც თავზე გადამდიოდა. ანდა საიდან გასწვდებოდა, თონეში პურის მცხობლად მუშაობდა და თავისი ხელფასით მე და ჩემს დას სწავლის ქირას გვიხდიდა. რაც შეეძლო, იმას გვიკეთებდა, მე კი ამაგი არ დავუფასე და ჩემს თაყვანისმცემელთა შორის, ვინც ყველაზე მეტად არ მოსწონდა, სწორედ მას გავყევი ცოლად. მეგონა, ამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავუხდიდი სამაგიეროს. ჰოდა, ისევ მე მოვიტეხე კისერი. სანამ მეც მშობელი არ გავხდი, მანამ ვერ მივხვდი მათ ფასს. ახლა კი ყველაფერს ძალიან ვნანობ. ველისციხურა".

„ბეგყაზი"

„მოკლეთ, მოველი შინ და დაიწყო მარა, რა დაიწყოოო... მეზობლი ბალღი შამამეყარა და სკოლი ამბებ მიყვება — ექსკურსიაზე მიდენილან და იმდენად იყო გახარებული, რომ ის აღარ ახსომდა, სად მიდიოდნენ. დგას და მეუბნება, „ბ"-ზე იწყება. აი, კაცო, მთა როა კავკასიონზეო. მეც კი დამაფიქრა ბიჯო, ე! ერთი-ორი კი დავუსახელე, მაგრამ არაო. ჰოდა, ბოლოი ვეუბნები — იქნება, ყაზბეგში მიდიხართ, ხო იცი, „ცვეტშია"-მეთქი. დედავ?! ეგ არიო, ეგაო! დარწმუნებული ხარ-მეთქი? ჰო, მარა ოღონდ შენ სწორეთ არ ამოფ, „ბეგყაზი" ჰქვიანო. ასე გახდა ყაზბეგი „ბეგყაზი". დიპლომატი".

სუპერქალი

„მაშინ ახალი რძალი ვიყავი. შინ მარტო დავრჩი და გადავწყვიტე, მურაბა მომეხარშა. დიდ გობში ჩავყარე 10 კგ ლელვი, დავაყარე 2 კგ შაქრის ფხვნილი და შემოვდგი მალალ ცეცხლზე. მინდოდა, დედამთილის მოსვლამდე მურაბის მოხარშვა მომესწრო. თან, ეზო ხიდან ჩამოცვენილი ფოთლებით იყო მოფენილი და იმასაც ვგვიდი. გარეთ საქმე გამიგრძელდა და შინ რომ შევბრუნდი, ისეთი დამწვარი შაქრის სუნი იდგა, მურაბას ვინლა ჩიოდა, იმას ვფიქრობდი, თასი როგორ გამეხეხა ისე, რომ ვერაფერს მიმხვდარიყვნენ. გარეთაც საშინელი ქარი ამოვარდა და ჩემი დაგვილი ეზო ისევ ფოთლებით აივსო. ამდენი შრომა და მცდელობა, რომ სალამოს შექებას დავიმსახურებდი, წყალში ჩამეყარა. კიდევ კარგი, მურაბას 10 კგ შაქარი არ დავაყარე და მთლად არ გადავრეე ხალხი. მამამთილმა მიმწვარი თასი რომ დაინახა, თქვა: ამის გამო ცოლს ვსაყვედურობდი, ახლა რძალიც მაგისნაირი შეგვხვდაო?! აბა, ამაგი და თავგანწირვა არ დამიფასდა. აბლახანუმი".

ხარ ნიკოლა სარკოზი-მეთქი. — ნათ, შენ ხარ ანგელა მერკელიო. — ზვიო, შენ ხარ მეთიუ ბრაიზა-მეთქი. — შენ ხარ ვუპი გოლდბერგიო (ვაი, რატომ ვარ ცოცხალი). — შენ ხარ დევიდ ბექჰემი-მეთქი. ვიფიქრე, რამე კარგს მეტყვის-მეთქი და შენ ხარ დეგენერატიო! — მიპასუხა. რა მინდოდა, დავტეულიყავი ჩემთვის. green girl".

მაჭანკლის ამაგი

„ამაგი არ დამიფასდაო, ჩემი მშობლების გამაბედნიერებელმა უნდა თქვას. დედაჩემისთვის უკითხავთ, არ თხოვდებიო? იმასაც, ხუმრობით უთქვამს, არავის მივყავარ, დედაჩემი ამბობს, 500 დოლარს მივცემ, ვინც ამ გველს გაათხოვებსო. ეს ჩემს მეზობელს გაუგონია და დაფაცურებულა — დიდუუუ ფული მჭირდებაო... იმდენი ქნა, საცოდავ მამაჩემს ტვინი გამოულაყა და... იქორწინეს... რა თქმა უნდა, 500 დოლარის მიცემა არავის გახსენებია. ბევრჯერ მიუნიშნებია უბედურ გუგულას, მაგრამ ვერავინ მიუხვდა, რა ცეცხლი უტრიალებდა გულში. ერთხელ გუგულას ნერვებმა უმტყუნა და ვითომ ხუმრობით, ფული მოითხოვა. აქ კი მამაჩემმა ველარ მოითმინა და კონალამ სცემა საწყალი — მაგ ფულში გამცვალე, არ შეგეცოდეო? აქეთ ბებია გადაირია — რა ენაღვლება მაგას (რძლის დედას გულისხმობდა), თვითონ ბომში მეეშორა, მე კი დამნაღმაო. მაჭანკალი დღეში ჩააგდეს?! ახლაც, მამიკო თუ რამეზე გაბრაზდება, სარეულებიან „მადლობებს" უშვებს მაჭანკლის მისამართით... ასე დაუჯასეს ამაგი".

„ლამაზი სიყვარულის ხანმოკლე ზღაპარი"

„ნატამ და გაგამ იანვრის ერთ ცივ, მაგრამ ლამაზ ღამეს ბაკურიანში გაიცნეს ერთმანეთი. გოგო ფერმკრთალი და სევდიანი იყო, ბიჭი მხიარული და თბილი. ერთი ნახვით შეყვარებასაც გაუგეს გემო. გოგოც გამხიარულდა, მაგრამ ცდილობდა, ბიჭის გულში სიყვარული ჩაექრო. ერთხელ, შეაპარა კიდეც, ჩემი სიყვარული უბედურებას მოგიტანსო. ბიჭს არაფრის გაგონება არ სურდა; გოგოს კი ნებისყოფა არ ეყო, აეხსნა... და ტკბებოდნენ ქარიშხალივით მოვარდნილი სიყვარულით, რომელიც

დაძმურიანი

„შევდივარ ოთახში და ვხედავ, ჩემი „თავგასივებული" ძმა „გზას" კითხულობს. ჰოდა, უცებ წამომიარა და — ზვიო, შენ ხარ ჰავიერ სოლანა-მეთქი, ვუთხარი. ერთი კი ამომხედა გაკვირვებულმა და უცებ მატაკა — შენ ხარ კონდოლიზა რაისიო. — შენ

ხელში, ოდესმაც შეძლოლაში,
მომეგებიანი ჯობიერის დაყავება.
წარმატებას ამ ნიშნავს.

ევროსტანდარტი

„ნუ, არა, რა, რა გვიყვეს რუსებმა და რას გვიშვრება ეს მთავრობა?! რუსების მიერ დანგრეულ-დამწვარი სახლების კედლებს მუყაითი აშენებენ. თურმე, ნუ იტყვით და, ესაა ევროსტანდარტი — პირველ სართულზე ცხვირს რომ დააცემინებ, მეზობელმა V სართულიდან უნდა გითხრას — „მშვიდობაო" („ეკანმრთელობის" და „სიცოცხლის" ნაცვლად ახლა ასე ვეუბნებით ერთმანეთს). სახლიდან გასვლა აღარ დაგჭირდება, ისე შეგეძლება მეზობელს სთხოვო 1 თაეი ხახვი, ყავა და თუ ევროსტანდარტებია — ქმარიც! აღარც ტელევიზორის ჩართვა დაგჭირდება, მეზობლის ხარჯზე გამოხვალ იოლად. ვერაფერს იტყვი, ევროსტანდარტებია და... სახლებს სასწრაფოდ დაამთავრებენ და მერე, თბილისის აეროპორტის არ იყოს, თუგინდ ყოველი წვიმის დროს თავზე დაგვენგრეს, რაღაში ადარდებთ? ხომ ხედავთ, ნაჩქარევი არაფერი ვარგა (ალბათ, ჰუტინიც სიჩქარის შედეგია ან ბუნების შეცდომა). გული რომ არ დაგვწყდეს, ერთ შადრევანსაც გაგვიხსნიან სამახსოვროდ, თან წყლის პრობლემასაც მოაგვარებენ და ეგ არის და გორის ციხე... მარ, მთელი გულით გეპატიჟები ჩემი ბინის გახსნაზე. ოქტომბერში გვპირდებიან და შენ უკეთ გაიგებ, როდის იქნება. წინასწარ იცოდე, რომ ბევრ საოცრებას ნახავ და „სიტუაციისთვისაც" მაგარი თემა გექნება. გელოდები".

მათ ირგვლივ დაფენილი თოვლივით სუფთა და სპეტაკი იყო, მაგრამ ეს ბედნიერება ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. ერთ დილით, გოგოს კართან ატუზულ ბიჭს დიასახლისმა უთხრა, ნატა წავიდაო და წერილი გადასცა. ქვეყნიერების დასასრულს მოელოდა გაგა, მაგრამ ამას — არა. აკანკალებული ხელით გახსნა წერილი: „მაპატიე, ეს ჩემთვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე შენ წარმოიდგენ, მაგრამ მე არ მაქვს უფლება, დაგტანჯო. ჩემი სიყვარული მხოლოდ ტკივილსა და საუკუნო ცრემლს მოგიტანს. გტოვებ მანამ, სანამ უფრო მეტად შემიყვარებ. ყველა ლამაზი დღისთვის და სიყვარულის განცდისთვის უდიდესი მადლობა. მიყვარხარ!" გაოგნდა ბიჭი, ვერაფრით აეხსნა, რა მოხდა. ნატამ ვერც წერილში გაბედა გაემხილა, რომ უკურნებელი სენი სჭირდა და მისი სიცოცხლე დღეებად და თვეებად იყო დაყოფილი. ყველგან ეძება გაგამ, მაგრამ იმდენად ცოტა რამ იცოდა მასზე, ვერსად იპოვა. მის გულში სიბრაზე და სიყვარული ერთმანეთს ენაცვლებოდა. ბოლოს, ბედს შეურიგდა და სწორედ მაშინ სთხოვა მეგობარმა სამძიმარზე გაყოლა, — ჩემს დას კურსელი დაეღუპაო. მთელი გზა უყვებოდა გაგას, როგორ უყვარდა იმ გოგოს ვიღაც ბიჭი, როგორ ვერ გაბედა, გაემხილა მისთვის საკუთარი ავადმყოფობის შესახებ და ბოლოს, ლოგინად ჩავარდნილი როგორ აბოდებდა მის სახელს. ოთახში შესვლისას გაგამ მიცვალებულს თვალი აარიდა, მაგრამ უეცრად გოგონას ფერხთით დადებულ ფუმფულა დათუნიას მოჰკრა თვალი. იმ დათუნიას, რომელიც მან თავის სიყვარულს აჩუქა და ერთად დააწერეს — „ნატა". ყველაფერი გამუქდა გაგასთვის... გაყინულ ნატას მთელ სახეს გიჟივით უკოცნიდა, ტიროდა და გულში იკრავდა. მისთვის მთელი სამყარო გაჩერდა. არ ვიცი, თვითმხილველთა ფანტაზიის ნაყოფია თუ სიმართლე, როცა ამბობდნენ, რომ ნატას გაყინულ ბაგეზე ღიმილი შენიშნეს და საუკუნოდ დახუჭულ თვალებზე — ცრემლი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს იყო ლამაზი სიყვარულის ხანმოკლე ზღაპარი, რომელიც „იყო და არა იყო რათი" არ დაწყებულა, მაგრამ ამ სიტყვებით დასრულდა. P.S. გაგას უკვე ცოლიც ჰყავს და 3 წლის ნატაც, რომლის სახელის დაძახებაც თავისი ტკივილიანი სიყვარულის დავიწყების საშუალებას არ აძლევს. კამელია".

„ო, დელია, დელია..."

„ბებიაჩემს ერთი მეგრელი დაქალი ჰყავს, რომელსაც თურმე კომუნისტების დროს ბერიაზე „ეკეტებოდა" გონება. ჰოდა, იმ დროს, ბერიას სახელს რომ „ვეტო დაადეს", მისულა ბერიას ძეგლთან და წაუმღერებია: „ო, დელია დელია, ჩქმ ლავრენტი ბერია". ამ დროს მისკენ „რაზგონით" მიმავალი მილიციელი შეუნიშნავს და სასწრაფოდ დაუმატებია: „იგი ხალხის მტერია". ჩუპი".

წესიერი და უწესო

„ახალი მოსწავლე მომივიდა მათემატიკაში. ვიფიქრე, ჯერ შევამოწმებ მის ცოდნას-მეთქი და ვკითხე: აბა, თუ მეტყვი, რა და რა სახის წილადებს ვიცნობთ? მომაჩერდა უაზრო თვალებით. მე ვუკარნახე — „წესიერი და"... უცებ თვალები გაუნათდა. მგონია, მეშველა-მეთქი და... მიპასუხა — წესიერი და უწესოო! მდაა... კახელი სალომე".

ყველაზე ყარგი ქალი ისაა, შოშელომაც იცის, შოშელი წაქალია ოსარგებლო.

„ყვითელი“ გოგო

„მე და ჩემი დაქალი, ამ შაბათს, სამებაში, საღამოს ლოცვაზე ვიყავით. კოლჰოტის ყიდვა მინდოდა და წამოსვლისას, ავლაბარში თუკი სადმე მაღაზია იყო, თითქმის ყველგან შევიარეთ, მაგრამ ისეთი, როგორსაც ვეძებდი, არსად ჰქონდათ. ჩინელებს ვერ ვიტან, მაგრამ ბოლოს, მეტი გზა რომ არ მქონდა, მათ მაღაზიაშიც მომიწია შესვლამ. გამყიდველ ჩინელ გოგოს ერთი საათი ვუხსნიდი, როგორი კოლჰოტი მინდოდა და რომ მითხრა, გვაქვსო, სიხარულისგან კინაღამ ვაკოცე პატარა, „ყვითელ“ გამყიდველს. მერე რაღაც სექციასთან მიმიყვანა და მითხრა, აირჩიე, რომელიც გინდაო, მაგრამ იმ უბედურმა ეტყობა, ვერ გაიგო, რა მინდოდა და... კალკულატორებთან მიმიყვანა. იმდენი ვიცინე, ლამის ცუდად გავხდი. მერე დაქალი მეკაიფებოდა, ნორმალურად გენახა, იქნებ, შენი ზომაც ჰქონდათო. სკლეროზა“.

„გზავნილების“ ათი „მცნება“

ყველა ავტონომიას თავისი კანონები აქვს და გამონაკლისი არც „გზავნილ-იორკი“ უნდა იყოს! მაშ ასე, წარმოგიდგენთ მგზავნელების ათ „მცნებას“...

1. გიყვარდეს მარიამული — დედოფალი შენი, ვითარცა თავი შენი. ვისაც დედოფალი არ უყვარს, მას არც მგზავნელები ეყვარება (ოლონდ, ეცადე, ნამეტანი „პადხალიმობაში“ არ გადაგვიდეს!).

2. შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული მგზავნელი ამ ჟურნალისა. არა ინდიმო სხვა ჟურნალი, რაოდენ არს ყვითლად აჭრელებული ცათა და დედამიწასა შინა (ეს კარგად დაიმახსოვრე).

3. კარგად დაფიქრდი, სანამ რამეს იტყოდე და თუ იტყვი, შეასრულე კიდეც! ნურაფერს დაწერ ტყულის, ჭორს და აუგს (შენ ტყუილი რუსის ნაშა ხომ არ გგონია, უსასრულოდ გრძელი ფეხები რომ ჰქონდეს?).

4. გამოყავი კვირაში ერთი დღე, ხუთშაბათი იგი და დაუთმე „გზავნილებს“ (ესეც კარგად დაიმახსოვრე).

5. პატივი ეცი ყველა მგზავნელს. ისინი შენი დები და ძმები არიან (დედაა, რამდენი ხართ, ღმერთმა გამრავლოთ).

6. ნუ შეიკლავ ხელში მარორიტას, „დამიბეჭდე, დამიბეჭდეს“ ყვირილით (მაგას რკინის ნერვები აქვს და... ორი ყური... თან — სვანია!).

7. ნუ იქნები აფერისტი, ქლეესა და მლიქვნელი (ვინმე რომ გიფასებდეს, კიდევ მესმის).

8. ნუ იქნები პლაგიატი (რა იყო, შენ ნაკლები ტვინი გაქვს, თუ?).

9. ნუ დასწამებ ცილს სხვა მგზავნელს (იქნებ, სასწაული მოხდეს და ცდეებოდე).

10. ნუ შეგშურდება ნურც სხვისი წარმატების, ნურც სხვისი დაბეჭდილი მესიჯების, ნურც სხვისი ჩარჩოსი (შენ თუ ვერ ქაჩავ, რა მაგის ბრალია?!)!

11. მეთერთმეტე „მცნება“ კი ჩემგან მიიღეთ სახსოვრად და მაპატიეთ, მგზავნელნო, რომ მე მიყვარხართ საოცრად. ყოველ დილას ადექი, დაანთე თეთრი სანთელი, ღმერთს შეევედრე გამყოფოს შენ საამაყო ქართველი. გახსოვდეს, სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, მაგრამ ბოლოა დღეს მათი, უკანასკნელად მღერიან. რაც გვაქვს და რაც კი გვექნება, მხოლოდ სამშობლოს ეკუთვნის, მარტო ეს გაითავისე — შენ შენი თავი გეყუდვნის. ეცადე, ისე იცხოვრო, არვის ეგონო „ჩმორია“, ჩათვალე, რომ არც მევალე და არც მშველელი გყოლია. „გზა“ გაიკვლიე სიმართლით, შრომით და პატიოსნებით, იყავ დინჯი და მოწყალე, მშვიდობის დადგი პოსტები. თავმოყვარეობა გქონდეს და შენ შენი ფასი იცოდე, ზედმეტი ნუკი მოგივა, არ გაამაყდე, გიჯობდეს. გიყვარდეს შენი მოყვასი, სხვისი აფერი გინდოდეს, გისურვებ, მთელი სამყარო, ნამდვილ მგზავნელად გიცნობდეს. ცოდვილები ვართ სულყველა და შენც გექნება ცოდვები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ფეხზე გეკიდოს მოყვრები. დანაშაულის სასჯელსა კანონი ადგენს ამქვეყნად, ღმერთთან ჩადენილ ცოდვებს კი მონანიება დაფერფლავს. უფალი სიცოცხლეა, შენ კი არ ეძებ, უფალი გზაა, შენ კი არ მიჰყვები, უფალი ნათელია, რომელსაც ვერ ხედავ, უფალი მოძღვარია, შენ კი ყრუ ხდები. ღმერთი ხომ ღმერთია, რომელზეც არ ლოცულობ, რომელიც არ გახსოვს და არ ხარ მეხსიერი და ნუ გეწყინება მაშინ უფლისგან, რომ არ გიხარია და არ ხარ ბედნიერი. უკვე იმდენი გავლექსე, დამელალა ბეჭდვით ხელი, ერთი ბოთლი „ყაზბეგი“ და, დროა, „პივით“ დალბეს ყელი. ამ ბოკალით გაუმარჯოს ყველა „ნამდვილ კაცურ კაცს“, პედერასტობა რომ სურს და დამსგავსებია ცისფერ ვაცს. ამით კი პარლამენტარებს, მთელ საქართველოს რომ ძოვენ, პროსტიტუციას კრძალავენ, თვითონ კი სულით ბოზობენ. ამ „პოლლიტრაფი“ კი მინდა, რუსთ დავულოცო „ზახოდი“, ორთავიანნო არწივნო, უკვე გამრავლდით ნაროდი. ამ ჭიქით კი იმ როკერებს, ჯართ ასხმულნი რომ დადიან, ამოპუტული თვალ-წარბით, დამსგავსებიან „სადიას“. გგონიათ, რამეს აკეთებთ, ჰეჰ, დაუბანელ თმით ყარხართ, მე იმის ჯიში ვამრავლე, ვისაც ამ გზაზე გაჰყავხართ. ახლა კი წავე, მგზავნელნო, ხომ დამიბეჭდავ, მარიო? ახალ მოსულსა სტუმარსა, არ მომიხურო კარიო. ამ ნიკით მინდა გაგეცნო და დაგილოცო შენ კერა, მუდამ თქვენ გვერდით მიგულეთ, მე, ამორ-ძალი მეგერა! ამორ-ძალი მეგერა“.

ემანსიპაცია

„ვაა, ბიჯო, ბიჯო. ბიჯოო, ამ რეკლამებმა სულ გადარია ხალხი. დღეს ჩემი ძმაკაცი ოთო ტყემალზე იყო ასული, გამხმარი ტოტების მოსაჭრელად და ამ დროს მესიჯი მიიღო — „გამარჯობა, მისტერ ჯონსონ“. ოთომ იფიქრა, ვილაც ცელქი გოგო მეცუღლეობა და სათქმელს პირდაპირ ვერ მიმხელსო და თვითონაც რეკლამის ენით მისწერა: „გაგიმარჯოს, ლაურა, ისევ ხმაროობს დედაშენი შენს შამპუნს?“ „ვაი, შენს პატრონს, — მიიღო პასუხად, — დედაჩემი ჩემს შამპუნს კი არა, მამაშენს ხმაროობს და მაინტერესებდა, ნახმარი კაცის სახმარი შვილის გაცნობა“... ვაა, ბიჯო, ბიჯო, ბიჯოო! გაოგნებული დარჩა ოთო — სანამ მე ამ ტყემალზე ვიჯექ, ქალთა ემანსიპაცია რა შორს წასულაო... ენიგმა“.

ჯონი

„ერთი გადარეული დაქალი მყავს, რომელიც უნებისყოფოთა შორის, ყველაზე უნებისყოფოა. სიყვარულმა ტარიელი გადარია და ამ იდიოტს რას უზამდა, ხომ წარმოგიდგენიათ? მთელი ჩემი მათემატიკური ცოდნა-განათლება გამოვიყენე და დავადგინე, რომ ნათია ჯონის 3 დღეში 7-ჯერ ებუტება. გაბუტულად მყოფი ნათია ისეთ მესიჯებს უგზავნის ხოლმე, თვალო, ნუ წაიკითხავ და ყურო — ნუ გაიგონებ. ჯონი თავის ბაჭიას კარგად იცნობს და არ აჰყვება ხოლმე. ჩემი დაქალი კი ისეთი უნებისყოფოა, რომ დაურეკავს და კარგებს და კეთილებს გულიანად „მოუკითხავს“ (ასეთი ყურადღებიანია). ის კი — ჰო, ბაჭი, გაბრაზებული ხარ? არა უშავს, ძვირფასო... ჯონი, გაძლება მოგცეს ღმერთმა. გახსოვდეს, მე შენ გვერდით ვარ! ჭრიჭინა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.

„ადრე მამაჩემმა ფული მომცა და ახლა, როცა ხელფასი მაქვს, ვალი დამიბრუნეო, — მეუბნება. ბევრი არ არის, მაგრამ მაინც მენანება. ეს კი დაუფასებელი კი არა, „ფასიანი“ ამაგია. აბა, გამიშანშალე ეს მესიჯი, იქნებ, შედეგი გამოიღოს. მისს სოფი“.



მყუდრო სახლი

„ხალხო, ნუ გაგიკვირდებათ და, თურმე რუსებს ჩვენთვის „კარგი“ უნდათ, „მშვიდობა“ უნდათ, „მეგობრობა“ უნდათ, ჩვენი „დაცვა“ უნდათ (ვერ გავიგე, რისგან) და თურმე ჩვენ არ ვუფასებთ. აი, დაუფასებელი ამაგიც ამას ჰქვიაა! ისე არ გაუთენდეთ დილა პუტინსა და მედვედევს, რაც მაგათ ჩვენთვის კარგი უნდოდეთ... აი, ასეე... მერცია“.

„ეჰ, მარი, ჩვენ ვერ ვაფასებთ შენს ამაგს (მომიტევონ გამონაკლისებმა), ტყუილად გსაყვედურობთ ხოლმე. „მალადეც“, შენს გაძლებას, რა... აბეზარა“.

ეს კი ჩვენი მგზავნელების „უცხო სიტყვათა“ განმარტებითი ლექსიკონია. ასე გამოიყურება თქვენ მიერ გამოგზავნილ ტექსტში დაწერილი სიტყვები, რომლის „თარგმანიც“ მე უნდა მოვახერხო.

გამეუანით — გამეცანით
გყრყლებო — გურულებო
ამწვენებთ — ამშვენებთ
ყლოუავ — ვულოცავ
უოლწვილჯან — ცოლშვილთან
აბა, წენ იუი — აბა, შენ იცი
ჰააკუობ — ჩააწყობ
ვაპნე — „ვაფშე“
მეუკინა — მეწყინა
კაუი — კაცი
ყბერავც — უბერავს.

ასეთ „მარგალიტებს“ სხვა დროსაც შემოგთავაზებთ.

დადებითი ემოცია მაშინ იბადება, თუ ყველაფერს დაადებ.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ჩემი გმირული საქციელი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com შანსი გეძლევათ, თავი შეიქოთ და საკუთარ გმირობაზე ილაპარაკოთ. „მოკლე ჩართვის“ კითხვად გთავაზობთ — რა კითხვას დავუსვამდი პუტინს?

ფუმასერი ბებო და ბანკომატთან ქცევის თავისებურებები

ჰოოდა, ახლა რა ხდებაااა... ამას წინათ, ახლობლის მოლოდინში გართული, ქუჩას ვათვალიერებდი და გამვლელ-გამომვლელის სახეებს ვაკვირდებოდი. ზოგი დაღვრემილი სახით მიდიოდა, ზოგი თავისთვის, ხმამაღლა მილაპარაკობდა, ზოგს ღიმილი ჰქონდა სახეზე გადაფენილი...



მყუდროება ჩემ წინ გაჩერებული მანქანისკენ მიმავალმა ახალგაზრდა წყვილმა დამირღვია.

— კი, მაგრამ ხომ გითხარი, რომ არ უნდა წასულიყავი, ვერ დაეგდე სახლში? — მთელი ხმით ყვიროდა მამაკაცი და ხელებს გამწარებული იქნევდა.

— დედაჩემმა დამირეკა...

— დედაშენის დედაც... (ცენზურა), იმისი უფრო გესმის, ვიდრე ჩემი? რაზე ფიქრობდი, რომ მიეთრეოდი და გასაღებს არ ტოვებდი? ხომ იცოდი, რომ შესვენებაზე უნდა მოვსულიყავი?

— სადილი მზადაა... — ძლივს ამოილუღლუღა გოგომ.

— გმაააადლობთ... იყოს მზად, ახლა შენ თვითონ ჭამე



და დედაშენს აჭამე...

ამის მეტი ვერაფერი გავიგონე, რადგან წყვილი მანქანაში ჩაჯდა და მამაკაცმა ელვისებურად მოწყვიტა ადგილიდან.

ორიოდე წუთში ეს ადგილი უზარმაზარმა ჯიპმა დაიკავა. ჯერ შურდულივით, ისე სწრაფად ჩამიქროლა, ჩემი მანქანა შეირყა და ლამის ამობრუნდა. შემდეგ, ასევე სწრაფად, უკუსვლით ნამოვიდა. ადგილიდან დაძვრას ვერ მოვასწრებდი. ამიტომ, შიშისგან მხოლოდ თვალების დახუჭვა მოვასწარი. დამუხრუჭების ხმა რომ გავიგონე და მივხვდი, რომ საშიშროებამ ჩაიარა, თვალები გავახილე. წინ გაჩერებული მანქანის გვერდითა სარკეში მძღოლის სახის დანახვა შეიძლება. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ჩემი გაოცება, როდესაც სარკეში მოხუცი ქალის დანაოჭებული სახე დავინახე. მძღოლის მხარეს მანქანის კარი გაიღო და ასე, ოთხმოციოდე წლის ბებო ძლივძლივობით ჩამობობღდა.

„ყოჩაღ, ბებო“, გავიფიქრე და გამეცინა. ქალი წელში მოხრილი წაკუსკუსდა და

როდესაც მანქანა ადგილიდან დაიძრა, მაშინ მივხვდი, რომ ავტომობილს საჭე მარჯვენა მხარეს ჰქონდა. შვებით ამოვისუნთქე და ქუჩის თვალიერება განვაგრძე.

იქვე ახლოს ბანკომატი იყო, რომელსაც „კლიენტები" არ აკლდა. ზოგი კარგა ხანს წვალობდა, ბოლოს, მიაფურთხებდა საწყალ ბანკომატს და გულმოსული ტოვებდა იქურობას. თითქოს, სულ ბანკომატის ბრალი იყო, მის პლასტიკურ ბარათზე ფული რომ არ იყო. ზოგი „დასტოინი" სახით ჩაიჯიბავდა კუპიურების მოზრდილ დასტას და კმაყოფილი ღიმილით გამობრუნდებოდა ხოლმე, მაგრამ საქმე ამაში როდია — იქ ყოფნის დროს ერთი ფრიად საინტერესო დასკვნა გავაკეთე. კერძოდ ის, რომ ქალები და მამაკაცები ბანკომატთან ურთიერთობისას თურმე ქცევით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან.

მაშ ასე: მოდის მამაკაცი, მანქანას აჩერებს, გადადის, მანქანას კეტავს, მიდის ბანკომატთან, პლასტიკურ ბარათს ჩადებს შესაბამის ჭრილში, აკრებს კოდს და საჭირო თანხის რაოდენობას, აიღებს თანხას, ჩაიდებს ჯიბეში, აიღებს ბარათს, იმასაც ჯიბეში მოათავსებს, ბრუნდება მანქანასთან, გააღებს კარს, ჩაჯდება და წავა... ეს გახლავთ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა მოქმედებების თანამიმდევრობა.

ახლა ვნახოთ, როგორ იქცევიან ქალები:

დიდი წვალებით გააჩერებს მანქანას, ჩამოსწევს სარკეს, გაისწორებს თმას, წაისვამს პომადას, გადმოვა მანქანიდან, მიხურავს კარს, ისევ გამოაღებს, გამოაძრობს გასაღებს, ისევ ჩაიხედავს სარკეში, მიხურავს კარს, ჩაკეტავს, ისევ გააღებს, აიღებს ჩანთას, მიხურავს კარს, ჩაკეტავს, მივა ბანკომატთან, მოათავსებს პლასტიკურ ბარათს შესაბამის ჭრილში, მაგრამ ბარათი არ შედის, ბარათს შეაბრუნებს. შევიდა! კარგა ხანს იქექება ჩანთაში, ამოიღებს ფურცელს, რომელზეც ბარათის კოდია მითითებული, აკრებს კოდს და საჭირო თანხის რაოდენობას, ბანკომატი ფულს არ იძლევა, კიდევ ერთხელ ცდის, აჰა, როგორც იქნა! აიღებს თანხას, გადათვლის, ჩადებს ჩანთაში, მოდის მანქანასთან, გააღებს კარს, ისევ დახურავს, ჩაკეტავს, ისევ გააღებს, ჩანთას მძღოლის გვერდითა სავარძელზე დადებს, დახურავს კარს, ჩაკეტავს, ბრუნდება ბანკომატთან, აიღებს ბარათს, რომელიც სიჩქარეში დაავიწყდა, ბრუნდება მანქანასთან, გააღებს კარს, ჩაჯდება, ჩამოსწევს სარკეს, სხვა მანქანების გაბმული სიგნალების ხმაზე დახურავს კარს, სარკეში ყურებას გააგრძელებს, გაისწორებს თმას, წაისვამს პომადას, რაღაცას ეძებს, გადმოვა მანქანიდან, ძირს იყურება, მანქანის კარზე შერჩენილ გასაღებს გამოაძრობს, ისევ ჩაჯდება, ისევ სარკეში ჩაიხედავს, დაქოქავს მანქანას, სარკეში ჩაიხედავს, ადგილიდან დაიძვრება, ძლივძლივობით გაიყვანს მანქანას სადგომიდან და გზაზე მიმავალ მანქანების ნაკადს შეუერთდება...

ეს ჩემი დაკვირვების შედეგია და ვისაც არ სჯერა, რომ ნამდვილად ასეა, შეუძლია, რამდენიმე წუთით ბანკომატთან დააბირჟავოს და გადაამოწმოს...

<<< 16

მოკლე ჩართვა

მგზავნელების ნომინაციები

• ენიგმა ძალიან მაგარია და მივანიჭებდი „ყველაზე სანდალური" და „ნიჭიერი" მგზავნელის ნომინაციას. კამელია — „ყველაზე პროდუქტიული"; ასევე გრუზინკაც, მაგრამ თან — „ამბიციურიც". პარიჟანკა — „უდავოდ ქალური"; ცუდია, ილინმა ამ ამპლუაში რომ დაგვიწყო. ეჰ, სტიქიას და კანიბალკასაც ვერ ვიტანებ და ვერც ლეოს. გაკოცეთ. ელისო.

• ნომინაცია „ყველაზე ტკბილი მგზავნელი" — ლუნა; „ყველაზე მაგარი გურული, უცნაური ნიკით" — იკუშკები; ნომინაცია „მუზის ლიდერი" — ენიგმა; ნომინაცია „ბოლმიანები" — აუუუუ! „ყველაზე უთბილესი" — კამელია; „ყველაზე ნერვების მომშლელი" — მე თვითონ; ნომინაცია „ყველაფრის ამტანი" — „მობილი-ზაცია"; ნომინაცია „უსაყვარლესი გიუები" — სრულიად მგზავნელები; დაბოლოს, ნომინაცია „კრიტიკოსების" გამარჯვებულნი დამიკავშირდით პირადად. მაესტრო.

• „ყველაზე ოხუნჯი" — მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ; „ყველაზე ამბიციური, აგრესიული და უნიჭო" — მის რეალი; „ყველაზე ზრდილობიანი და საყვარელი" — ლუნა; „ყველაზე იუმორისტული" — 9717; „ყველაზე საქმიანი" — ფინტიკოზა; „ყველაზე ჭკვიანი" — იკუშკები; „ყველაზე ბუტია" — ნონ სტოპ; „ყველაზე გულისხმიერი" — ტირიფი73; „საინტერესო" — გერასიმე; „ყველაზე წაჩერჩეტო" — GREEN GIRL; „ყველაზე თბილი" — მაესტრო21 და „ყველაზე, ყველაზე ნიჭიერი, პროდუქტიული, ჯიგარი, ღირსეული და მაგარი" — ენიგმა. ნერტისი.

• „უჭკვიანესი" — ენიგმა; „უსაყვარლესი" — ლუნა; „ოხუნჯი" — იკუშკები; „მწარე" — მის რეალი; „ქალური" — ელისო; „პროდუქტიული" — გრუზინკა; „აგრესიული", „უიღბლო", „შურიანი" — „გაკოცეთ, crazy girl.

• ნომინაციას „ყველაზე საყვარელი მგზავნელი" მივანიჭებდი უკარებას და ჩუპის. ნომინაცია „ყველაზე მეგობრული" მივაკუთვნე აპოლონს და ათენი23-ს. „ყველაზე ხოხმა მგზავნელად" 9717-ს დავასახელებ და ბოლოს, „ყველაზე ქალური" მგზავნელის ტიტული დაიმსახურა ფინტიკოზამ. კახელო-616.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 33 წლის სიმპათიური, განათხოვარი ქალი. მყავს 3 წლის გოგონა. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, არაგოიმ, დასაქმებულ, 35 წელს ზევით მამაკაცს.

2. ვარ 34 წლის, ნახევრად უკრაინელი. 2 შვილი მყავს, ქმარს გაცილებული ვარ. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს. მქვია ნატალი, ვარ სტიუარდესა.

3. ვარ რომანტიკოსი, თბილი, ცოტათი უცნაური და რთული ბუნების გოგო. ვეძებ ასეთივე ხასიათის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ პუტკუნა. ლილე27.

4. ვარ 37 წლის, მყავს 2 შვილი. ვეძებ თბილისელ, ისეთ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც არის მოსიყვარულე, ერთგული და აგრეთვე ჩემგანაც დიდ სიყვარულს მიიღებს.

5. ვარ 32 წლის, წესიერი, პატიოსანი ქალიშვილი. ვისაც სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი ოჯახის შექმნა, 33-37 წლამდე, გამომეხმაუროს.

6. გამომეხმაუროს „გზა“ №29, 21-ე მესიჯის ავტორი, თუ აქამდე თავისუფალია.

7. ვარ მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის, განქორწინებული გოგო. მყავს გოგონა. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, არაგოიმ, დასაქმებულ, შეგნებულ მამაკაცს.

8. მყავს და, რომელიც არის ქმარს გაშორებული, ჰყავს შვილი. მინდა, შექმნას ოჯახი ისეთ ღირსეულ მამაკაცთან, რომელიც იმსახურებს მის გვერდით ყოფნას.

9. მაინტერესებს „გზა“ №39, მე-18 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

მამაკაცები

10. ვარ 48 წლის, ცოლს გაცილებული, დამოუკიდებელი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი შესაფერის ქალბატონს.

11. ვარ ოზურგეთელი, 44 წლის, პატიოსანი. მინდა გავიცნო წესიერი ქალი. თუ ვინმე დაინტერესდება, დამირეკეთ.

12. ვარ 33 წლის მამაკაცი. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის სიმპათიურ, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. ვარ ბათუმელი.

13. 29 წლის ნამდვილი მამაკაცი ეძებს ისეთ ქალს, რომელსაც შეუძლია მოფერება და უზარმაზარი სიყვარული. მინდა, გვერდით მყავდეს ლამაზი მანდილოსანი, რომელსაც დავაფასებ!

14. ვარ სპორტული აღნაგობის, 176სმ, 26 წლის. გავიცნობ 20-26 წლის გოგოს, რომელიც ჩემი ერთგული იქნება მთელი ცხოვრება. დათო.

15. ვარ 40 წლის, ცოლს გაცილებული, ვცხოვრობ იმერეთში. ვეძებ დაოჯახების მიზნით, პატიოსან და მოსიყვარულე ქალბატონს, ვისაც ნამდვილი ოჯახის შექმნა სურს.

16. ვარ 39/165/77, დასაქმებული, თბილი, ერთგული, კარგი ხასიათის, სპორტული აღნაგობის. გავიცნობ სიპათიურ, თბილ, მეოჯახე, პატიოსან გოგოს, ვისაც უნდა თბილი და ლამაზი ოჯახი.

17. გამარჯობა. დაოჯახების მიზნით გავიცნობ სუსტ, ლამაზ გოგოს, 1988, 1987, 1985, 1984, 1981 წელში და იანვრის, მაისის, ივლისის, და ნოემბრის 29, 30, 31 რიცხვში დაბადებულს.

ვეძებ

18. გოჩა აბაზაშვილო, რამდენი ხანია დაგეძებს ვაჟია. იქნებ მოიფიქრო დარეკვა ტელეფონზე. სასაზღვრო პოლიციელი.

სხვადასხვა



• არანისში, უჩა უთრუგაშვილს ვუსურვებ მშვიდობით დაბრუნებას. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი მეყოლე! ლელა.

• ვაჟკაცის ვალია, დაიცვას ქვეყანა. ეს არის მისი წილხვედრი ბედნიერება. შენც ბედნიერად გაგევლოს ეს კუთვნილი, სავალდებულო დრო. მშვიდობით დაუბრუნდი მშობელ დედას. უჩას, მაგული დეიდასაგან.

• საზიზღარი ლექტორები მყავს. ასეთია თეიმურაზ ახობაძეც. მისი საგანი 2-ჯერ დამრჩა. სასაცილო კი ისაა, რომ გაგანია ომში მისი კონსპექტით გავიქეცი სახლიდან.

ნაკო.

• აუ, რა სულ ჩხუბია, აქ? რა ვერ გაიყავით? ერთმანეთის ლანძღვა კარგად გამოგვდის და ახლა სიყვარული ვნახოთ, ეგ უფრო კარგად გამოგვივა. მე პირადად ისე მიყვარხართ თითოეული თქვენგანი, რომ უკვე სურვილი მაქვს, საბუთების გაკეთებისთანავე ჩამოვიდე და ყველა გაგიცნოთ. გაკოცეთ უამრავი. თქვენი უკარება.

• ათენი-23, სულში რომ გაატანს და გაქვავებულ გულს რომ გაალღობს, ისეთი სიტყვები დაგიწერია. ბრავო შენ, მაგრამ ასე ვინ გატკინა გული, არ დაგიფასეს ამაგი, კარგო? მინდა გაგიცნო ძალიან, ძალიან, თუნდაც უბრალოდ, როგორც ქართველი. ათენი-კატია.

• ერთ საღამოს ვსეირნობდით და თან მეგობრობასა და სიყვარულზე ვსაუბრობდით. ერთმა თქვა, მეგობარს რომ დაინახავ, ისეთი შეგრძნება გეუფლება, როგორც სიბნელეში მიდიოდე, გზას ვერ იგნებდე და უეცრად ნათურა აინთოს, ხოლო შეყვარებულს რომ დაინახავ, ოოო... როგორც პროჟექტორმა მოგანათოს, აი, ისეაო. მიყვარხართ ყველა. მერცია.

• მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. ძალიან მაგრები და ჯიგრები ხართ, „გზაელებო". შემოგევლეთ, თქვენ გაგიმარჯოთ. სოფო ადანაია, ათენიდან. გაუ... ქართველებს.

• გუ-ათენი ნეტავ, რატომ გვაბოლებს, საფრანგეთში ვარო? იოცნებე ძამია, ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ტატუსია.

• „გზავნილები" ლამაზი ზღაპარი არ არის, რომ მხოლოდ სიყვარული და სითბო ტრიალებდეს აქ და მიუხედავად ამისა, რაც უნდა ვიძახოთ ერთმანეთზე, რომ ძალიან კარგები ვართ, ეს ასე არ არის. ლანძღვა და ჩხუბი... კარგი რა, ხალხო, არ მოგბეზრდათ? სად გაქრა ძველებური სიყვარული? ნუთუ გგონიათ, მაშინ, როდესაც ვინმეს ლანძღავთ, ღმერთს ემსახურებით? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. უფალს ებარებოდეთ. გიყვარდეთ ერთმანეთი, ამით უფრო მეტს მიაღწევთ ცხოვრებაში! „სიყვარული აგვამაღლებს". ნიკოლი.

• განძის მაძიებელო, შენ ხარ საოცრება, ლამაზი ოცნება. შენ ვინც გაგიცნობს, ვინ არ გაოცდება? ვისთვის ტკივილი ხარ, ვისთვის სინანული, ჩემთვის ტკივილი ხარ, სხვისთვის — სიყვარული.

• ნიკო, მარტო ხარ? მოდი, ერთად ვიმარტოვოთ, ორივემ სიმარტოვე მივატოვოთ, სიკვდილამდე სიყვარულით ვისაზრდოოთ, ერთმანეთი არასოდეს მივატოვოთ. ბაჯე.

• ნოსტალგიას და ენიგმას წარვადგენდი ნომინაციაზე — „ყველაფერი ახალი — კარგად დავიწყებული ძველია". ენიგმა, გიცანი, შე ძველო. ძველებურად კარგად ლექსაობ. ნოსტალგია.

• მარტო ვარ ისევ, შენს ლოდინში წვიმად ქცეული,/ წვიმის წვეთებად შენი ფანჯრის წინ ჩამოფრქვეული,/ მარტო ვარ ისევ... შენს ლოდინში ღამედ ქცეული,/ ღამის აჩრდილად შენი სახლის წინ გადაქცეული,/ შენზე ფიქრებში მერამდენედ ატირდა გული,/ ვინ იცის, კიდევ რამდენ ტანჯვას გაუძლებს სული,/ ისევ ცრემლის ღვრა, მარტოობა, ლოდინი, ტანჯვა,/ სიცოცხლეც მორჩა, უკვე აღარც ღირს ამდენი მოცდა,/ ოცნებამ შენზე საოცნებო დროც კი არ მომცა... აპოლონი.

• **GREEN GIRL**, დაბრუნდი? სად ხარ ქა, სად დაიკარგე, რომ მოგვანატრე თავი? ნათათო, დამიმესიჯე. გაკოცეთ ყველას, თქვენი ათენი23.

• ...და ვინ გკითხა აზრი, რომ შენს აზრებს წერ? ნიკი დაგავიწყდა თუ რა? კარგი რა, ხალხო, რა ხდება, ვერ ეტევით „გზაში"? რატომ კბენთ ერთმანეთს? არ მოგბეზრდათ? ათენი23.

• სწორი ხარ დუჩი, მართლა უაზრობად გადაიქცა აქაურობა. ეს „გზა" კი არა, რინგის მოედანია, რა. დუჩი, როგორ ხარ? სად დაიკარგე? ათენი23.

• ანიკუსა, მეც ქუთაისელი ვარ და თუ სურვილი გექნება, გავიცნოთ ერთმანეთი. ათენი23.

• რა მალე გადის დრო, თქვენთან ერთად. თითქოს გუშინ იყო, პირველად რომ დავამესიჯე „გზაში". არადა, უკვე 6 თვეა, რაც მგზავნელი ვარ. ჰოოდა, უთქვენოდ რომ ვერ ვძლებ, ეგ უნდა მეთქვა. ზოგიერთი კი ისე მიყვარხართ, ბრია-ბრუა მეწყება. გენაცვალოთ, მარად თქვენი კახელო.

• რას ერჩიან ამ ენიგმას, მაინც ვერ ვხვდები. იქნებ შურთ, რომ შეუდარებელია? მე პირადად დიდ სიამოვნებას მანიჭებს შენი გზავნილების კითხვა. მართლა ძალიან საინტერესო ადამიანი ჩანხარ. იმედია, კვლავაც გაგვამხიარულებ შენი ამბებით. **SWEET GIRL**.

• მარი, ძალიან გამიხარდა ლორელაის გაბედნიერება. მის მესიჯებს რომ ვკითხულობდი, მეტირებოდა ხოლმე. მინდა ვუსურვო უზარმაზარი ბედნიერება და ლამაზი სიყვარული. მარი, ძალიან გთხოვ, ინტერვიუ ჩაწერე ლორელაისთან. **P.S.** ბოხო, რამდენი წლის ხარ? ფიქრია.

• ჩემო მონატრებულო მეგობრებო, როგორ ხართ? რაა, ათენი რომ არ აქტიურობს? მე მელოდებოდით? აბა ჰე, გამოცოცხლდა ათენელი მგზავნელები! ზურიკელა, საჩუქრები ჩამოგიტანე საფრანგეთიდან და რომ გნახავ, გადმოგცემ. ანარქია, ვარდენ, ბოტოტ, სად დამეკარგეთ? მოკითხვა ყველას, წავედი ახლა, ნამგზავრი და დაღლილი ვარ. გუ-ათენი.

• ეძღვნება ბუთქუს: ჩვენი სიყვარული არქივს დაემსგავსა, ხავსი მოეკიდა თანდათან, მაინც გაუფრთხილდი, შენი წარსულია, მტვერი გადაწმინდე, ხანდახან. უნიკოდ.

• უდიდესი სითბოთი და სიყვარულით მოვიკითხავ ოლეგარიოს, ბოას, კაკუს, მის რეალს, კახელოს, 9717, ლეო91-ს, მაესტროს, განძის მაძიებელს და დადუს. უმაგრესად მიყვარხართ



ზუსტი დარტყმა

და საერთოდ, ყველანი, ყველანი მიყვარხართ. 13.07, გატოცე. ათენი23, ჩემო ბლუთუზა ძმავ, მაგრად მიყვარხარ. გუ-ათენო, უკარებას ნიკი გინდა, წამართვა? ბოტოტა, უმაგრესად მიყვარხარ. ვარდენ და ანარქია, სად ხართ? უპს, რამდენი მეგობრები მყავს! გაკოცეთ ყველას, უკლებლივ. მარად თქვენი უკარება.

• მგზავნელებო, იცით, რას გეტყვით? ლანძღვა-გინებას თავი დაანებეთ. ეს ყველას გეხებათ. განძის მაძიებელი ანუ ენიგმა კარგი ადამიანია. ვიცნობ და ვაფასებ, ძმა არის ჩემი. 65200.

• მგზავნელებო, ჯერ თქვენს გულებში ჩაიხედეთ და გააცნობიერეთ, ვინ და როგორები ხართ. თქვენს ნაწერებს დაუკვირდით და ლანძღვას მოეშვით, თავი რაცხად ნუ მოგაქვთ. 65200.

• ლორე, უდიდეს ბედნიერებას გისურვებ და გზავნილგოგო გაგვიჩინე, მალე. აბეზარა, სიხარულო, იუბილეს მეც გილოცავ. კარგი გოგო ხარ. ეკობოი, გაგიცნობ აუცილებლად. გრუზინკა.

• ყველას დიდი მადლობა, ასე ძალიან რომ გიყვარვართ, მაგრამ მე უფრო მიყვარხართ. ბოხო, გამოჩნდი, თორემ ვიტირებ და ლუნა და კამელია ჩემს ცრემლს არ გაპატიებენ. გრუზინკა.

• ბოდიში, ლუნა და გრუზინკა, თქვენ არ გგულისხმობდით საზიზღრებში. მიყვარხართ. მარი, მესიჯს რატომ არ მიბეჭდავ?

• ამიტომაც გაფასებ, რომ მიხვდი, ცოტა გადავამლაშე. ტირიფივით თბილი და სევდიანი ვარ, დამალვით კი არაფერს ვმალავ. მინდა, ყველას მოვეფერო და სიკეთე ჩავუღვარო გულში. 73-ს კი თავისი პრინციპი აქვს. არც დაბადების თარიღია და არც წლოვანება. ენიგმა, გაიხარე! გკოცნით, გეხვევით, თქვენი ტირიფი73.

• ბაო, არსად გიშვებ. ენიგმა, მაგარი ხარ. პრანჭოს და უნიკოს: მეც სიამოვნებით ვიმეგობრებ თქვენთან. ეთო და პუკუ, მიყვარხართ. დიდი მადლობა. გრუზინკა.

• უსრულ ფიქრებში, ბუნების წიაღში, ხეთა შორის ტირიფს ვირჩევ მე მეგობრად, აცრემლებული მივირბენ და ტოტებს მომხვევს, გულში ჩამიკრავს, მანუგეშებს. მხოლოდ მას შესწევს ძალა, დარდი ჩემი გაითაკისოს, შიში და ნაღველი გამიქარვოს. მსურს, რომ დაგედოთ მალამოდ. ტირიფის სიყვარული ყველას ეყოფა, გფარავდეთ ღმერთი. ტირიფი73.

• მის რეალ, „რეალის" წარმატებებს გილოცავ! ისევ დაიწყეთ მისი თათხვა? ხალხო, ასეთ დონეზე როგორ ხართ? მის რეალი ნიჭიერი და საყვარელი გოგოა, რას ერჩით? რა გინდათ? გოგა.

• ასე რამ გაგაბოროტათ, ხალხო? ხედავთ, რომ მის რეალი ხალხს უყვარს და იბოღმებით? რას ერჩით, დაგიშავათ რამე? მის მესიჯებში ამბიციურობა არ ჩანს. ენები გააჩუმეთ, შური ნუ გამოძრავებთ. გოგა.

• იქართველეთ ქართველებო, ქართველობას გაფიცებთ. გული მწყდება ასეთი უდონო როა ზოგი. ენიგმას გაუმარჯოს. მისი და გრუზინკას მლანძღველები ფურთხის ღირსნი არიან. ნერტისი.

• მოგესალმებით, მგზავნელებო. დიდი ხანია, „გზის" ერთგული მკითხველი ვარ, თუმცა მხოლოდ ახლა შემოგიერთდით და იმედი მაქვს, თქვენს მეგობრულ ოჯახში მიმიღებთ. ჯერჯი.

• ერთი წვეტიანი შეკითხვა არ მასვენებს. მე ვზივარ ხეზე და ვფიქრობ შენზე. შენ რომ იყო ჩემზე, იფიქრებდი ხეზე? გიუ, რაც მოგწერე, ისა ხარ, ერთი რაღაცისა ხااااااარ!

• ენიგმა, შენც შეამჩნიე, ხომ? ეგ სასიკვდილე! სულ ვეუბნები, ხანდახან მაინც გამიხსენე-თქო, მაგრამ... ლექსი კარგი იყო, მე მომეწონა. სიკვდილა.

• ჭრიჭინას რჩევით შევიცვალე ნიკი და ბევრჯერ კი არა, ერთხელ. ახლა მივხვდი, რატომ დატოვეს „გზა" ძველებმა და მესმის მათი. ვაი, ლა ჩუდათა ვااალ... სიკვდილა.

• ტირიფი73-ო, ზღაპარივით მიმზიდველი და ჩუმი ოცნებასავით იდუმალი გოგო ხარ, სიყვარულით, რწმენით და სიკეთით სავსე. მეგობრობის ხელს გიწვდი. ნერტისო, გააქტიურდი. ენიგმა.

• ერთი სიტყვით, გიყურეთ, გიყურეთ და მივხვდი, რომ აქაური ქალები (ზოგიერთის გამოკლებით) მაგარი დაუნები არიან. განსაკუთრებით ზოგიერთ ვაი-პოეტს ვგულისხმობ, რომელიც რითმის აზრზე არ არის... მის რეალ, შეეშვი ლექსების წერას. გეფიცები, პროზა გაცილებით კარგად გამოგდის. არ გეწყინოს. პატივისცემით, გოგა.

• უნებისყოფონი ის მგზავნელები არიან, ვისაც თავიანთი ემოციებისა და ნერვების მოთოკვა არ შეუძლია, ვინც

სატანას ნებას აძლევს, სხვისი გულისტკენისაკენ გადაადგმევინოს ნაბიჯი. შედეგი კი ის არის, რომ საშინლად უაზროს და გულის ამრევს ხდიან „გზავნილებს“, სულელური კამათით. სულის სიმდაბლემდე ნუ დაეშვებით, ძალიან გთხოვთ. მოვეფეროთ ერთმანეთს. ნუთუ ასე ძნელია, სიძულვილი სიყვარულით შეცვალოთ? ძნელია, ნეტავ? მე მზად ვარ, ყველას კრიტიკის ქარცეცხლი გავიარო, ვინც ამ სიტყვებს ცუდად მიიღებს. მაესტრო.

• მართალი ყოფილა: „სჯობს ეძიო და ვერ პოვო, ვიდრე პოვო და დაკარგო“... ადრე სხვაგვარად ვფიქრობდი, მაგრამ... სოხუნა.

• ვინც დედაჩემი ახსენა, მე ლაფის გუნდა მესროლა, ეგ ენა ფხვნილში გარეცხე, ეგებ გიშველოს „პერსოლმა“. ვაი, რომ ნეხვში გორაობს, თქვენი ბრიყვული პერსონა! ენიგმა.

• ბიჭოს, რა ამბავია აქ? რა შეჭამეთ ერთმანეთი? კბენიაშვილები ხართ თუ ღრენიაშვილები? კაი ხალხს მოკითხვა! ფელამუშა.

• ილინ, ხედავ დაი, ხომ ოცნებობდი ჟურნალისტობაზე და აგიხდა. შენ იმსახურებ ამას, ანგელოზო. მარი, შენ კი ჩვენი საფიცარი ხარ. ილინი გვასახელებს, მე ამის მჯერა. ლუნა.

• ეთო, ის, რომ მე შენ ეკათი მოგმართავ, შენი ტყუილის შედეგია. ეკათი გამაცანი თავი და რატომ გიკვირს, ჰა? ისე კი იცოდე, არასოდეს უნდა მოიტყუო. რა საჭიროა? ლუნა.

• მორჩილი უმრავლესობა სხვისი აზრებით ციტირებს და ბრბოს მარტივი პრინციპით, თურმე ჩაქოლვას მიპირებს, ხელი ასწიეთ, ვინც ბევრი „მპუებით“ გადაგიბირეს. ენიგმა.

• ნათიას ვურჩევ, ჩემს ლოგინში ხელის ფათურს მოეშვას. აფხაზეთის პრინცესას კაციჭამია სუპერკერძის რეცეპტს გაუმხელს. უზნეო ანგელოზო, გაკოცე ჯიგარში! გა-მა.

• იტალიის ფანები აქ ხართ? თუ კი, შემეხმიანეთ, მომენატრა ფეხბურთზე ლაპარაკი. ყენია და მესი ძაან

მაგარი ხალხია! ტიპოზა.

• რა გჭირთ, ხალხო, რა დაგრუზულები ხართ? რა იყო? მარ, დაბლოკე რა, აგრესიული მესიჯები და მოსწყინდებათ, ბოლოს და ბოლოს. ენიგმა შემიყვარდაააა! :-)) ლიკა. ქუთაისი.

• ამ ვიღაც ენიგმამ თუ დასტამბომ და მარიმაც, დათხოვდითო, გვითხრეს და დავაი, გიო, ტი სტოლბა, ია სტოლბა, დავაი ზამეკანია, ჰა? აესე სახალხოდ, კაი? მარი, რატომ მესიჯებს არ მიბეჭდავ?

• როგორ ხართ, ბავშვებო? ხანდახან შემოგირბენთ და გინახულებთ ხოლმე. ენიგმა, ჯიგარი კაცი ხარ. მოკითხვა კახეთს და ქუთაისს. ვასასი, ქუთაისელი ხარ, ჩემო კარგო? ცირა.

• წარმატება და სიხარული ნუ მოუშალოს ღმერთმა ლუნას, გრუზინკას და განძის მაძიებელს. ძალიან მიყვარხართ. ასე კარგად გააგრძელეთ წერა, სხვის ჯიბრზე. გაკოცეთ. ცირა.

• ოლااااა... ყველას პაჩები, ვინც შემამჩნიااااა... და მე ისევ ისე მხიარულად და გრანდიოზულად ვااااარ... გაკოცეთ გულში. ვასასი.

• GREEN GIRL, იყო რაღაც, მაგრამ ახლა მაგრად ვაარ. ენიგმა, კარგი ხარ, ხომ იცი, შენ... დაა... სვანებს სიცოცხლეეეე... ვასასი.

• ენიგმას ნომინაცია

ამაღლებული ისეთია დამლოდელი ამ ამის, მოგონებ მაღალ მაღლის ლოდინი. განსაკუთრებული მაშინ, თუ მელოდე ნეგეხამ.

— „ყველაზე ვაუკაცური და შეუპოვარი“. ილინს წარმატებებს ვუსურვებ. ეთოს, ლუნას და კამის მოვიკითხავ. მიყვარხართ უფრო მე. გრუზინკა.

• სიკვდილა, მიგასიკვდილებ. კარგი, ჯანდაბას, ყურძენს უჩემოდ ჭამ, მაგრამ პივას რა სინდისით სვამ მარტო? აბეზარა, დაბადების დღეს გილოცავ, ქალი. მის რეალო, მალე ჩამო, რა.

• ფელამუშა, სად დაიკარგე? სესი, ცოცხალი ხარ? მარტის ქალო, მარტო ნიკის არჩევა არ გიშველის, გააქტიურდი. პავლიკა, გამოანათებ „გზაში“ თუ პატრულს დავურეკო? ჭრიჭინა.

• როგორ ხართ, ჩემო კარგებო? ლორელაის ვულოცავ გაბედნიერებას. სიყვარულით მოვიკითხავ ენიგმას, ლუნას, გრუზინკას, ოლეგარიოს... ედელვაის, არ წახვიდე, რა... CRAZY GIRL.

• რა გჭირთ, ხალხო, რას იკბინებ-იღრინებ-იგესლებით? არ ჯობია, ერთმანეთის ფერებასა და სიყვარულში გავატაროთ ეს წუთისოფელი? ენიგმა, უზომოდ გვიყვარხარ! CRAZY GIRL.

• გრუზინკა, ჩემო ჟანგბადო, ვიყენებ რა შენს მონიჭებულ უფლებას, გეტყვი: მე უფრო მეტად მიყვარხარ! დავბრუნდი, შენთან ვარ და არასოდეს მიგატოვებ. გკოცნის, შენი კამელია.

• ლუნიტა, ჩემო სიხარულო, უნაზესო და უტკბილესო თოჯინავ, შენი შვილის მომავალ ნათლიას უყვარხარ სიგიჟემდე! მაესტრო, ძალიან მიყვარხარ! გკოცნით, თქვენი კამელია.

• უჰ, კარგები ხართ, მგზავნელნო, ჩხუბსა და კბილთა კვრაშიო, ალალი არის თქვენზედა, ოვაცია და ტაშიო! ვერა რიგდებით ერთურთთან, ხართ ერთმანეთის დაჭმაში, თითქოს გკიდებდეთ მედალსა, ვინმე ხორცების შაჭმაში! დასტაკებიხართ ერთმანეთს, აგმყრალებიათ პირიო, ედიდგულებით ერთურთსა, როგორც ფრთოსან რაშს — ვირიო! იბერებით და თავს იქებთ, სულ კი მოუშვით „ვინტებსო“, გხედავთ და როგორ გამსგავსებთ, ნიტრატშერეულ კიტრებსო?! თქვენ შემხედვარეს შემზიზღდა, აღარ ვყიდულობ „გზასაო“, მობრუნდით „გზისკენ“ მანამდე, სანამ სულ ასცდით მასაო. მკითხველი გწერთ მე ამ მესიჯს, ნუ ამომიყვანთ ყელშიო, თორემ დაგიშვებთ თავებზე, რაც კი მომხვდება ხელშიო. ჩიხტიკოპიანი დილეტანტი.

სწრაფმავალი „ინსპექტორები“

• „გზავნილებს“ დიდი ხანია ვკითხულობ, დღეს კი ტვინის, გულისა და მარჯვენა ხელის მუზანარევი ურყევი სამკუთხედი შეიქმნა (ჩემდა უნებურად) და გადავწყვიტე, მომეწერა. ვინაიდან თქვენ შორის შექმნილი პატარა შუღლი ჩემს ცენზურას კატეგორიულად არ დაემორჩილა, ხოლო დაუმორჩილებლობა კი ჩემი „სავიზიტო ბარათია“, გადავწყვიტე, თქვენიანი გავხდე და დაუმორჩილებლობით, მიზანმიმართულობითა და „ლაითი“ კრიტიკით გაჯერებული მესიჯები არ მოგაკლოთ. დიახაც, დიდი იმედი მაქვს თქვენი სტუმართმოყვარეობისა, მაგრამ თუ მაინც გაიფიქრეთ, ეს საიდანღა მოსულაო, მეც მზად მაქვს უძირო ცნობისმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი პასუხი: საიდან და — „კრიშიდან ღვთისა“! მარი, თუ ეს ჩემი ტვინის ნაჟური შენს ცენზურას გაუძლებს, მაღირსე დამწყები მგზავნელის იარლიყი და პიონერულ სიტყვას გაძლევ, არ მოგაკლებ ჯიგრულ მესიჯებს. ჩიხტიკოპიანი დილეტანტი.

ნაძღვილი ჯენტლმენი ყველას მაინც ყველას დაუძახებს, თუნდაც თეთრი წამოჭყრას მას და წაიწყვეტს.

ეს ვიცოდეთ

• ქუთაისში, საფიჩხიაზე მცხოვრებო თეონა ბასილაძევ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ჩემი სიცოცხლე ხარ. ისე მიყვარხარ, ჩემსავით ვერავინ შეგიყვარებს. გიგა.

მილოცვა

• ხვიჩა კობახიძესა და ნინო მელიქაძეს ვულოცავ შვილის, პატარა საბას დაბადებას. ღმერთმა გამრავლოთ და გაბედნიეროთ, თქვენს ვარდისფერ „ბუშტთან" ერთად. მიყვარხართ, ჩემი „დებილი ბაჩვები" ხართ...

• გელა დოღუზოვს — სიყვარულო, გილოცავ დაბადების 35 წლის იუბილეს. გისურვებ სიხარულს და სიყვარულს, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად.

• ვანო წიკლაურს ვულოცავ გაბედნიერებას და დაბადების დღეს. ჩემო სიხარულო, სულ ასე ბედნიერი ყოფილიყავი, შენს ნათიასთან ერთად. მენატრებით და მიყვარხართ ძალიან. სულ იმ დღეზე ვოცნებობ, როდის ჩაგიკრავთ გულში და როდის გავიცნობ პირისპირ რძალსა და სიძეს. თქვენზე უზომოდ შეყვარებული დედა, ნანული.

• ნინიკო წიკლაურს და ბესო მახარაძეს ვულოცავთ გაბედნიერებას. ჯვართამაღლების მადლმა და ძალამ სულ ბედნიერები და გახარებულები გამყოფოთ. ისე იყავით სიცოცხლის ბოლომდე, როგორც თქვენს ემიგრანტ დედიკოებს გაუხარდებათ და დაგლოცავენ, უცხო ქვეყნიდან. გკოცნით ბევრს. ია და ნანული.

• მადო, დაბადების დღეს გილოცავთ. ჯანმრთელობასა და ბედნიერ მომავალს გისურვებთ. მალე დავბრუნებულიყავით ჩვენს საქართველოში და ჩვენს მშობლიურ ქალაქ ტყიბულში. ნანა ქათამაძე, თამუნა ჭეიშვილი, ფიქრია გელაშვილი, ირა მინდიაშვილი.

• ჩემო პატარა თოჯინავ, ნინიკო შუბითიძევ, იუბილეს გილოცავ. ღმერთის წყალობა, ულევი სიხარული, წარმატებები არ მოგშლოდეს. სოფო ადანაია, ათენიდან (შენი დედიკოს ნათლული).

• სოფო ადანაიას ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ წინსვლას ცხოვრებაში. მალე დაბრუნებულიყავი, მშვიდობიან საქართველოში. სიყვარულით, შენი მეგობარი, სოფო ხონელიძე.

• ჩემს საყვარელ საკუთარ თავს ვულოცავ იუბილეს, რომელიც არის 5 ოქტომბერს. ხალხო და მგზავნელებო, კვირას 24 წლის ვხდები და არ უნდა მომილოცოთ? სიყვარულით, სოფო ადანაია.

• იუბილეს ვულოცავთ ათენში, ჩვენს მონატრებულ მეგობარს, სოფი ადანაიას, რომელიც 5 ოქტომბერს ხდება 24 წლის. გილოცავთ, სიხარულო. მონატრებული თანაკურსელები, სოფო და მარი.

• ჩემს საყვარელ ნათლულს, ანნა ამბარდანიშვილსა და მიხეილ ციხისელს ვულოცავ გაბედნიერებას. გისურვებთ ბედნიერი ოჯახის შექმნას, გამრავლებას, უზღვავ სიყვარულსა და სიხარულს. არასოდეს მოგბეზრებოდეთ ერთმანეთის მოფერება. გფარავდეთ ღმერთი! დიდი სიყვარულით, ნაირა ნათლია.

• მანჩო ქუთათელაძე, ოზურგეთელო, გილოცავ 11 ოქტომბერს. გისურვებ ლამაზი სურვილების ასრულებას. მიყვარხარ და მენატრები. ნესტანი.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ნინო ელიზბარაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 ოქტომბერს. ყოველთვის გფარავდეს უფალი. დედიკო, მზია.

• მის 13-07-ს მინდა მივულოცო ბედნიერება. ღმერთის წყალობა არ მოჰკლებოდეთ. მოხარული ვარ, დაე, მუდამ ენათებინოს თქვენთვის კაშკაშა მზეს. ლანდი.

• ჩემს საყვარელ მეუღლეს, ნანა ღვინიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 4 ოქტომბერს. უფალი გფარავდეს კნუტი, მუდმივად შენ და იმ პატარას, მუცლით რომ ატარებ.

• ზოროს, ქემელს, მალბოროს, სანტავიკს, ლაზარიას, პრეეს, შავს და მთელ სასტავს ვულოცავ სვეტიცხოვლობას! მაგრები ხართ. გარიდო.

• ჩემს საყვარელ მეუღლეს, თეონა კილაძეს ვულოცავ დაბადების დგეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. უფალი ჰფარავდეს. თეო, ძალიან მიყვარხარ. ლევანი.

• ლორე, ჩემო ანგელოზო და თბილო გოგოვ, გილოცავ გაბედნიერებას. მუდამ ლამაზად გეცხოვროს. იმიტომ, რომ მე მინდა ასე! მაგრად, მაგრად მიყვარხარ. გკოცნი. ლუნა.

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

პრაქტიკის პაკეტის ინსტრუქციები



• არაქისის პაკეტზე გაკეთებული წარწერა: „შესაძლოა, შეიცავდეს არაქისს“, უკვე დიდი ხანია, იმ ფირმის დაცინვის საგნად იქცა, რომელიც ამ არაქისს უშვებს.

• თუმცა, მას არც ერთ-ერთი ფარმაკოლოგიური ფირმა ჩამოუვარდება, რომელსაც საძილე წამლის კოლოფზე მიუწერია: „შესაძლოა, გამოიწვიოს ძილი“.

• როდესაც ჟურნალმა „ვიჩმა“ მკითხველებს სთხოვა, რომ კურიოზული წარწერები და ინსტრუქციები გაეგზავნათ, რედაქციამ უზარმაზარი „კოლექციის“ შექმნა შეძლო.

• გემებისა და იახტებისთვის განკუთვნილი საღებავი თუნუქის ქილებით იყიდება, რომელსაც გარედან შტურვალი ახატია, მაგრამ ქილაზე მითითებული წარწერა გვაუწყებს — „ზღვაში არ გამოდგება“. თურმე, ეს საღებავი იახტებსა და გემებზე ინტერიერის შესაღებად ყოფილა განკუთვნილი.

• საკონდიტრო ნაწარმის ეტიკეტის დიზაინერებს ბლითების პაკეტზე მოცვი დაუხატავთ, ქვეშ კი მიუწერიათ: „მოცვი მიყვარს“. კლიენტს რჩება შთაბეჭდილება, რომ პაკეტში მოცვის ბლითებია. სინამდვილეში კი ეს ჩვეულებრივი ბლითებია, დანამატის გარეშე. პაკეტის ბოლოში, წვრილი ასოებით გაკეთებული წარწერა კი იტყობინება: „უმჯობესი იქნება, თუ ბლითებს მოცვის მურაბით მიირთმევთ“.

• ბავშვის დაბადების დღის მისალოცბარათზე, რომელსაც ლამაზად გაფორმებული „2 წლისთავი“ აწერია, მითითებულია: „ეს სათამაშო არ არის, ეს მისალოცი ბარათია, რომელიც 3 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებისთვის არ არის განკუთვნილი“.

• თურმე, „პანასონიკის“ ფირმის ფარანი „სიბნელეში, სინათლის წყაროდ“ ყოფილა მიჩნეული.

• „პუმის“ ფირმის ბოტასის მყიდველებს ძალიან გაუხარდებათ, როდესაც გაიგებენ, რომ „ერთ ყუთში მოთავსებული საქონლის საშუალო რაოდენობა ორია“.

• საკმაოდაა გავრცელებული, ეტიკეტზე წარწერილი, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები. მაგალითად, თურმე კრეკერი „ტუცი“ ერთდროულად „ორიგინალური“, „ახალი, გაუმჯობესებული“ და „ტრადიციული“ მეთოდით ყოფილა დამზადებული და უნდა შეინახოთ ცივად, თუმცა, მისი მაცივარში მოთავსება სასტიკადაა აკრძალული.

• ეტიკეტის დიზაინის ზოგიერთ შემქმნელს ალბათ საკმაო შრომამ მოუწია, ვიდრე სასმელი წყლისთვის ასეთ ტექსტს შექმნიდა: „შეგიძლიათ, ეს სასმელი წყალი მიიღოთ იმისთვის, რასაც ჩვენ ბიოჰიდრაციას ვუწოდებთ: ოპტიმალური უჯრედოვანი ჰიდრატაცია XXI საუკუნის, ცხოვრებისეული, ნეგატიური მოვლენების დაძლევაში დაგეხმარებათ და თქვენს ტვინს მთელი დღის განმავლობაში აქტიურ ფაზაში ამყოფებს“. თუ ეს ტექსტი ძალზე რთულად მოგეჩვენათ, არ ინერვიულოთ, ცოტა ქვემოთ მინიშნებულია — „დასალევად იოლია“.

• „ეს კოსტიუმი ფრენას ვერ გასწავლით“ — ასეთი წარწერა ამშვენებს ბავშვის სამასკარადო, სუპერმენის კოსტიუმს.

• „არ გადააბრუნოთ!“ — წარწერა ტორტის ყუთის ძირზე(!).

• „ფრთხილად, კბილის გაბურღვისთვის არ გამოიყენოთ!“ — „ელექტროდრელი“.

• „არ გააჩეროთ ხელით!“ — ელექტროხერხი.

• „ფრთხილად, გამოყენების დროს მოძრაობს!“ — საბავშვო ეტლი.

• „კარი მხოლოდ შესასვლელად და გასასვლელად გამოიყენეთ!“ — წარწერა პიტსბურგში, ერთ-ერთი ოფისის კარზე.



„ქართველთა ქრისტიანული ცხოვრება სვეტიცხოველთან ერთად იშვა“...

„ძველი აღთქმის“ მღვდელს, წამოსასხამსა და სხვა შესამოსელთან ერთად, აუცილებლად ნაქსოვი კვართიც უნდა სცმოდა. ამის შესახებ კარგად უწყოდა ქალწულმა მარიამმა და ყრმა იესუს მომავალ მღვდელმოძღვარს, „წესსა ზედა მელქისედეკისასა“ კვართი მოუქსოვა, რომელიც „იყო უკერველ“... იესო ქრისტეს ზრდასთან ერთად, ხელთუქმნელი კვართიც სასწაულებრივად იზრდებოდა...

მაცხოვრის ჯვარცმისას იერუსალიმში მცხეთელი ებრაელები, ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელიც ჩავიდნენ. ჯვარცმის შემდეგ, ებრაელებმა „წილი ყარეს“ უფლის კვართზე. იგი მცხეთელ ელიოზს ხვდა წილად და მცხეთაში წამოიღო. ქალაქის კარიჭესთან მას თავისი და — სიდონია მიეგება, ძმას კვართი ჩამოართვა და გულში ჩაიკრა. როდესაც სიდონიამ ძმისგან მაცხოვრის ჯვარცმის შესახებ შეიტყო, იმდენად განიცადა მოსმენილი, რომ გარდაიცვალა. მიცვალებულს ვერასგზით გამოუღეს ხელიდან კვართი უფლისა, ამიტომ სიდონია სიწმინდესთან ერთად დაკრძალეს...

როგორც მამები ბრძანებენ, უფლის კვართი საქართველოში ღვთის განგებით მოხვდა, რათა ჩვენი ქვეყანა „ერად საზეპუროდ შეემზადებინა“ და ქართლის ქვეყანაში კვართთან ერთად ღვთაებრივ მადლს და ძალას ჩამოეღწია. უფლის განგებულება იბერიას ხომ ღვთისმშობლის წილხვედრადაც ამზადებდა: „ამისთვისცა უკვე წინასწარვე წარმოავლინა მადლი ღვთაებისა მისისა, რათა პირველადვე დაიწინდოს კვართითა მით და მადლით ღვთაებისა მისისათა“...

სიდონია უფლის კვართით ხელში სამეფო ბაღში დაკრძალეს. მოგვიანებით, მის საფლავზე მშვენიერი ლიბანის კედარი ამოვიდა...

მეოთხე საუკუნეში საქართველოში წმინდა ნინო შემოვიდა და აი, დადგა ჟამი, უფლის კვართით დაწინდული ქართველი ერის ქრისტესთან შეერთებისა: წმინდა ნინომ ქართველი ერი ქრისტიანულ სჯულზე მოაქცია. მას შემდეგ, რაც საქართველოს იმჟამინდელმა მეფე მირიანმა ნინოს მიერ ქადაგებული ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნა და ქრისტიანულად მოინათლა, გადაწყვიტა, თავის სამეფო ბაღში, უფლის სადიდებლად ტაძარი აეგო. ტაძრის ასაგებად უფლის კვართზე ამოზრდილი საკვირველი კედარი — ნაძვი მოჭრეს და მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი სვეტი აღმართეს, მაგრამ მეშვიდე სვეტი, რომელიც ტაძრის შუაგულში უნდა აღმართათ, ვერაფრით დაძრეს ადგილიდან.

ლოცვად დადგა წმინდა ნინო თორმეტ დედასთან ერთად. მთელი ღამე ლოცვაში გაატარეს. გამთენისას წმინდა ნინომ ნათლით მოსილი ჭაბუკი იხილა, რომელიც ჯერ წმინდა ქალწულს მიუახლა, სამი სიტყვა უთხრა, შემდეგ კი ხელი მოჰკიდა სვეტს და ზეცად აღამაღლა. ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლის სახედ შეცვლილი სვეტი ზეციდან დაეშვა და ადამიანთა ხელშეუხებლად იმ ადგილზე დადგა, საიდანაც ხე მოჭრეს.

ამ სასწაულის შესახებ მთელმა ქართლმა შეიტყო, ნათლით გაბრწყინებული სვეტის გარშემო უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. სვეტიდან მირონი დიოდა. მასთან შეხებით სნეულნი იკურნებოდნენ. იგი იქცა უფლის ძალისა და მადლის, ცხოველ ანუ სიცოცხლის მომნიჭებელ სვეტად, ამიტომაც ეწოდა სვეტი — ცხოველი.

სასწაულებითა და უფლის მადლით გაძლიერებულმა მირიან მეფემ სწრაფად დაიწყო ეკლესიის შენება და მცირე ხანში დაასრულა კიდეც. სასწაულმოქმედი სვეტი ტაძრის შუაგულში იდგა. სამეფო ბაღში აგებულ ხის ტაძარსაც სვეტიცხოველი ეწოდა. ასე აიგო პირველი ქრისტიანული ტაძარი საქართველოში, რომლის შესახებაც ალექსანდრე ცაგარელი წერს: „მრავალი ღირსშესანიშნავი სიწმინდეა საქართველოში, მაგრამ სვეტიცხოველს ყოველი ქართველისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი, ცხოველმყოფელი ძალა აქვს. ეს იმიტომ, რომ სვეტიცხოველთან ერთად IV საუკუნეში იშვა ქართველი ხალხის ახალი ქრისტიანული ცხოვრება“...

მეხუთე საუკუნეში მირიან მეფისეული სვეტიცხოველის ტაძრის ნაცვლად, მეფე ვახტანგ გორგასალმა უფრო მოზრდილი, ქვის ბაზილიკის ტიპის ტაძარი ააგო. ეს ტაძარი აბულ-ყასიმს გადაუწვავს მეათე საუკუნეში, მაგრამ მალევე აღუდგენიათ.

ვახტანგისეული ნაგებობიდან დღემდე თითქმის აღარაფერია შემორჩენილი, რადგან დროთა განმავლობაში ძალზე დაზიანებულა, ამიტომ XI საუკუნის დამდეგისთვის საჭირო გამხდარა მისი აღდგენა-გადაკეთება. გორგასლისეული სვეტიცხოველის ტაძრის აღდგენა გადაკეთებას ხელი მოჰკიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა. ეს მოხდა გიორგი I-ის მეფობის დროს. ხუროთმოძღვარმა არსუკიძემ ძველი ბაზილიკის ტიპის ნაგებობა ჯვარ-გუმბათოვან ტაძრად გადააკეთა. სწორედ არსუკიძის ეს გენიალური ქმნილებაა ჩვენამდე მოღწეული გარკვეული ცვლილებებით, რადგან სვეტიცხოველმა არაერგთზის განიცადა დამპყრობელთაგან რბევა-ანიოკება...

სვეტიცხოველის ტაძრის შუაგულში მდგარი სვეტიცხოველის ძირიდან უძველესი დროიდან მოედინებოდა მირონი, ეს საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, თუმცა შემდგომ მირონდენა შეწყდა. პლატონ იოსელიანის ვარაუდით, მირონდენა 1614-1617 წლებში, შაჰ-აბასის შემოსევებისას უნდა შეწყვეტილიყო, რადგან უსჯულო დამპყრობლებს ძალზე შეურაცხუყვიათ ტაძარი. იოანიკე ბერძენის ცნობით კი, 1541-1553 წლებში, როდესაც შაჰ-აბასის პაპამ ივერია დალაშქრა, სვეტიცხოველიც დაარბია, დამპყრობელს ტაძარი პირუტყვის სადგომად უქცევია. სწორედ ამის შემდეგ შეწყვეტილა სვეტი-ცხოველიდან მირონის დენა.

სვეტიცხოვლობისას აღინიშნება საუფლო კვართის დღესასწაულიც, რომელიც დაფვლის შემდგომ აღარავის უხილავს, მაგრამ ქართველებს ყოველთვის მტკიცედ სწამდათ მცხეთის მიწაში მისი არსებობისა. თუმცა ყოფილა შემთხვევები, რომ ზოგ ქართველს ეჭვი შეჰპარვია უფლის კვართის ქართულ მიწაში არსებობაში, მაგრამ ვისაც ასეთი რამ დაემართა, ღვთისგან მყისვე განისწავლა. ასეთი ეჭვი დიდ დავით აღმაშენებლსაც გასჩენია — „ვინ იცის, ამ კოშკის გოდლის ქვეშ რას ვკმეთ თაყვამს, ეშმაკმა ხომ არ შეგვაცდინაო?“ — უფიქრია. ლოცვის დროსაც არ ასვენებდა წმინდა მეფეს თურმე ეს ფიქრი. იმავე ღამეს, ძილში ჩვენება უხილავს — სვეტის თავზე თვალისმომჭრელი ნათლით მოსილი მოხუცი მჯდარა: „დავით, არ იცი, ვინ ვარ; იცოდე, არც შენ და არც სხვას, ვისაც ჩემდა მომართ სასოება ექნება, არასოდეს შერცხვება. ნუ ურწმუნოებ ჩემდამი, რამეთუ ვინც ურწმუნოებს, დაისჯება“, — უთქვამს ნათლით მოსილ მოხუცს გვირგვინოსნისთვის. შეშფოთებულა წმინდა გვირგვინოსანი და მაშინვე სვეტიცხოველის ტაძრისკენ აუღია გეზი. გამთენიისას, ცისკრის ლოცვის ჟამს მისულა ტაძარში. პირქვე დაემხო თურმე და ცრემლითა და გოდებით შესთხოვა უფალს შენდობა ურწმუნოებისა და „ცდომათათვის“...

14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სვეტიცხოველობას იდღესასწაულებს. მცხეთის სვეტიცხოველის, თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარი იმ ადგილასაა აგებული, სადაც ქრისტიანული საძეარაოს უდიდესი სიწმინდე — უფლის ხელთუქმნელი კვართია დაფლული, რომელიც საეკლესიო გარდაცვალების თანახმად, მაცხოვრისთვის ეოფლადწმინდა ღვთისმშობელს მოუქსოვია. ვიდრე იმის შესახებ ვისაუბრებთ, რატომ ეწოდა ტაძარს სვეტიცხოველი, უფლის კვართის აბბავი გავიხსენოთ...



ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ

„ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲯᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“...

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲩᲝᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

„ — რა არის სიცოცხლე?

— სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

— სიკვდილი?

— სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“, — ეს სამყაროს ჩოხელისეული ახსნაა.

თავად ჩოხელის სევდა კი ბევრისთვის დღემდე აუხსნელია. 2 ოქტომბერს მას 54 წელი შეუსრულდებოდა. ადამიანს ხშირად, გარდაცვალების შემდეგ უფრო ვაფასებთ, ვიდრე სიცოცხლეში — ეს ქართველების სენია. „გარდაიცვალა, მაგრამ ვინ მოიგონა ეს სიტყვა? უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს“, — უთქვამთ გუდამაყრელებს, როცა ტელევიზიით გოდერძი ჩოხელის გარდაცვალების ამბავი შეუტყვიათ.

ხსოვნის საღამო 4 ოქტომბერს ჩოხში ჩატარდა. მერგო პატივი, ამ დღეს, გუდამაყრელების სტუმარი მეც ვყოფილიყავი. თბილისიდან დილით გავედით. ფასანაურში შესვლისთანავე ხელმარჯვნივ გადავუხვიეთ, თეთრ არაგვზე გადავიარეთ და შავი არაგვის ხეობას ავუყევით. ჩვენ წინ თვალწარმტაცი ხედები გადაიშალა. აქა-იქ ფერდობზე შეფენილი სახლები, წინ კი თოვლიანი მწვერვალები გამოჩნდა. მზე ანათებდა, ნისლი ცას და დედამიწას შორის გაწოლილიყო. დაახლოებით 3-საათიანი მგზავრობის შემდეგ, ჩოხში შევედით. ეს სოფელი ზღვის დონიდან — 1760 მეტრზე მდებარეობს. საღამო იმ სკოლის ეზოში ტარდება, სადაც პატარა გოდერძი 8 წელი სწავლობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ადგილი ჩოხში გამორჩეულად ლამაზია. ღრუბლების ზემოთ მზის სხივებით განათებული ბურსაჭირის მთა მოჩანს. სტუმართმოყვარე არაგველები წყნარად ფუსფუსებენ, უნდათ, ღირსეული მასპინძლობა გაგვიწიონ. მსურს, დღეს ჩემი რესპონდენტები მხოლოდ გუდამაყრელები იყვნენ. იქვე ახლოს ქალბატონები დგანან; ვხედები, ხეობის მკვიდრნი არიან. მათთან მივდივარ და ვეცნობი. ჩემი ვარაუდი მართლდება.

ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ:

— გოდერძისთან ერთად გავიზარდე. სკოლაშიც ერთად დავდიოდით. ბავშვობიდანვე ყველასგან გამორჩეული იყო.

— რით იყო გამორჩეული?

— ნიჭიერებით.

ᲔᲗᲘᲠ ᲨᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ:

— ყოველთვის სევდიანი და გულჩათხრობილი იყო. თავის გულისტკივილზე ხმამაღლა ლაპარაკი არ უყვარდა.

— თქვენც არაფერს ეკითხებოდით?

— ზედმეტ კითხვებს არ ვუსვამდით. თუ რამის თქმა სურდა, ისედაც გვეტყოდა. ჩოხში ხშირად ამოდიოდა და წერდა. მისი ნაწარმოებების პირველი შემფასებლები ჩვენ ვიყავით.

— როგორც ვიცი, მისი პერსონაჟები თავად გუდამაყრელები იყავით.

— მწარია და ჯღანა, ბერი, ბიბლია — ყველანი გუდამაყრელები იყვნენ. დღეს ცოცხლები აღარ არიან. როცა გოდერძის მოთხრობებს კითხულობდნენ, ხვდებოდნენ, მათზე რომ ეწერა. ზოგჯერ ჯავრობდნენ, — ასეთები არ ვართო. გოდერძის ფილოსოფიას ხშირად ბოლომდე ჩვენც ვერ ვწვდებოდით.

ᲕᲐᲜᲝ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ:

— არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ბუნება ისე მძაფრად უყვარდეს, როგორც გოდერძის უყვარდა. გაზაფხულზე იები და ენძელები რომ ამოდიოდა, დასაკრეფად ვერ იმეტებდა. მცენარეებს, ცხოველებს ისე ელაპარაკებოდა, როგორც ცოცხალ არსებებს. გოდერძის საოცრად კეთილშობილი დედა ჰყავდა, გარეულ ფრინველებს იშინაურებდა, ელაპარაკებოდა. ისინიც მათ სახლთან მოფრინდებოდნენ ხოლმე. დედის ეს თვისება გოდერძისაც გამოჰყვა. მას ხშირად განმარტოებით ყოფნა უყვარდა. სადმე ჩამოჯდებოდა და ფიქრობდა.

— რაზე ფიქრობდა?

— არავინ იცის.

— კიდევ რა თვისებით გამოირჩეოდა?

— კარგი იუმორი ჰქონდა. ერთხელ

სანთელს ვანთებთ და მის სახელს ვახსენებთ, ვისთვისაც იკლებდა

გოდერძის ფილოსოფიას ხშირად ბოლომდე ჩვენც ვერ ვწვდებოდით

ჩოხიდან თბილისში მივდიოდით. წინა ღამეს დიდი თოვლი მოვიდა, ტრანსპორტი არ იყო. გზას ფეხით დავადექით. სოფელ კიტოხიდან ერთი კაცი — დიდოსე აფციაური დაგვემგზავრა. ახლა რას ინატრებთო? — ჰკითხა გოდერძიმ. — ერთი ვერტმფრენი მყავდეს, მეტი არაფერი მინდაო. — მერე მართვა იციო? — აფრენა ვიცი, მაგრამ დაფრენა შეიძლება, ვეღარ შევძლოო.

სოფელ ჩოხის გაღმა, მთაზე შეფენილი სახლები ჩანს. ამ პატარა სოფელს, რომელიც 5-6 კომლისგან შედგება, ათნოხი ჰქვია. ათნოხის მარცხნივ სოფელი დუმაცხოა. „თითოეულ მათგანში ამჟამად 2-3 ოჯახი ცხოვრობს“, — მეუბნება ქალბატონი მაყვალა ჩოხელი.

— ჩოხში რამდენი კომლია?

— ზაფხულობით 10-12 ოჯახია, დამსვენებლებიც ამოდიან. ზამთარში კი 2 ან 3 ოჯახი რჩება. აქ 2 მეტრამდე თოვლი მოდის. მკაცრი ზამთარი იცის.

— სოფლის უხუცესი ვინ არის?

— ზუსტად ვერ გეტყვით. მგონი, ასაკით ყველაზე დიდი, გოდერძის მამა უნდა იყოს. აი ისიც, შემოსასვლელში დგას.

ორივენი **ნიკო ჩოხელისკენ** *მიუმართებით.*

— ეს რამდენი ხალხი მოვიდა, — ცრემლებს ვერ იკავებს ნიკო პაპა, — თან მიხარია და თან, გული მიკვდება, ჩემი გოდერძი რომ აღარა მყავს.

— თქვენი შვილი ჩოხში ბოლოს როდის იყო?

— გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. წინა ზაფხული აქ გაატარა. ამბობდა, ზამთარშიც აქ უნდა დავრჩე, სოფელში თავს კარგად ვგრძნობ, თბილისში აღარ წავალო, მაგრამ ცუდად გახდა და წაიყვანეს. მე ეს ამბავი მოგვიანებით გავიგე. ძროხებს ვმწყემსავდი, მითხრეს, — ცუდად არისო. თურმე აღარ ყოფილა (*ცრემლებს ხელისგულებით იწმენდს და თხრობას განაგრძობს*)... იცით, რა კარგი შვილი იყო? ჩემთან არასდროს არაფერი შეშლია. ერთი წყენაც კი არ მახსოვს მისგან, სულ მეფერებოდა. ცოტას თუ დალევდა, შენ გენაცვალეო, — მეუბნებოდა. ეს სიტყვა არ მსიამოვნებდა. ნუღარ გაიმეორებ, შენ — რატომ, მე უნდა გენაცვალო-მეთქი.

— როგორი იყო გოდერძის ჩოხში გატარებული ერთი დღე?

— გოდერძი ძალიან ხათრიანი ადამიანი იყო. ცხოვრობდა ისე, როგორც ერთი ჩვეულებრივი ჩოხელი. ღმერთი და ხატი სწამდა, ლოცულობდა, სანთლებს ანთებდა. ნადირობა არ უყვარდა, არც ეხერხებოდა. სულ ჩაფიქრებული დადიოდა...

ვამჩნევდი, ნიკო პაპას საუბარი ძალიან უჭირდა. ამიტომ აღარ შევაწუხე და ისევ სკოლის ეზოში გადავინაცვლე. მორიგი რესპონდენტის საპოვნელად იმ ადგილისკენ გავეშურე, სადაც დიდი ცეცხლი ენთო. ცეცხლზე რამდენიმე ვეებერთელა ქვაბი შემოედგათ. ცოტაც და წყალი ადუღდებოდა. იქვე 2 ცხვარი დაეკლათ. 2 ახალგაზრდა ბიჭი ისე ოსტატურად ატყავებდა, რომ არ გამოვლაპარაკებოდი, გვერდს ვერ ავუვლიდი.

— ჩოხიდან ხარ? — ვკითხე ერთ-ერთ მათგანს.

— არა, კიტოხიდან.

— რა გქვია?

— გოჩა, ამას — კახა.

— ცხვარს რამდენ ხანში ატყავებთ?

— 20 წუთში.

— ხშირად კლავთ?

— საკმაოდ ხშირად, დღეობებზე, სტუმრები როცა გვყავს.

— დაკვლის წინ რაიმე რიტუალს ხომ არ ასრულებთ?

— სანთელს ვანთებთ და მის სახელს ვახსენებთ, ვისთვისაც იკვლება. როცა სალოცავში ვკლავთ, ჯერ მის გარშემო შემოვატარებთ ხოლმე.

გოდერძი ჩოხელის ხსოვნის საღამო თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტმა გახსნა, რომელმაც იუბილარის ლექსზე — „სად დაგიჩოქო, არაგვო“ — შექმნილი სიმღერა შეასრულა. საღამოს ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული უძღვებოდნენ. სახელდახელოდ მოწყობილ პატარა სცენაზე გამომსვლელები ერთმანეთს ცვლიდნენ. გაშლილ მინდორზე თავი 200-ზე მეტ სტუმარს მოეყარა. ერთდროულად ამდენი სტუმარი ამ ხეობას, მგონი, არც არასდროს ჰყოლიაო, — აღნიშნავდნენ გუდამაყრელები. როგორც ხეობის რწმუნებულმა — გიორგი წიკლაურმა მითხრა, ხეობაში 18 სოფელია, სულ — 260 კომლი, 550 კაცი. აქაურებს უგზოობა და უშუქობა ყველაზე მეტად აწუხებთ. საშუალო სკოლა სოფელ კირტოხშია. ბავშვებს ყოველდღიურად 4-7 კილომეტრის გავლა ფეხით უწევთ. სკოლაში სულ 36 ბავშვი და 17 მასწავლებელია. ზოგიერთი გუდამაყრელი ჩანერაზე უარს მეუბნება და გამირბის. საღამო თითქმის 2 საათს გრძელდება. ამასობაში მასპინძლებმა ცხვრის ხორციც მოხარშეს და ხინკლის შეხვევაც დაიწყეს.

— გუდამაყარი ხინკლის გარეშე წარმოუდგენელია, — *მეუბნება ევა ბაბო და თან ხინკალს ოსტატურად ახვევს. მის მიერ შეხვეულ ხინკალზე 23 ნაოჭს ვითვლი.*

— ყოჩაღ, ევა ბაბო! — *ვეუბნები აღფთროვანებული.*

— აქ ხინკლის შეხვევა ყველამ იცის.

— აქა, ქმარი ისე სახლში არ გაგაჩერებს, — *იცინიან ჩოხელების რძლები.*

— მე-2 თუ მე-3 კლასში ვიყავი, ცომი პირველად რომ მოვზილე, მამამ მასწავლა, — *განაგრძობს ევა აფციაური, — კარგი „ხმიანდები“ (ასე ეძახიან საფუვრის გარეშე გამომცხვარ პურს) გამომივიდა. მერე ხინკალიც შევახვიე.*

— ხინკლის მომზადების თქვენეული რეცეპტი როგორია?

— ხინკალს მხოლოდ საქონლის ხორცი არ უხდება. ჩვენ ცხვრის ხორცსაც



გუდამაყარი ხინკლის გარეშე წარმოუდგენელია

ვურევთ, რომელიც კარგ გემოს აძლევს.

— წყალი ადუღდა, წყალი, — *გაისმა მამაკაცის ხმა.*

50-მდე ხინკალი ვეებერთელა ქვაბში ჩაყარეს. ქვაბთან ადამიანთა ცოცხალი რიგი დადგა. „მე არჩევნებში, 5 ნომერი შემოვხაზე და 5 ცალი მეკუთვნის“, — ხუმრობდნენ ხინკლის მოლოდინში. იქვე მდგარ მაგიდასთან მამაკაცები ცხვრის ხორცს შეექცეოდნენ და თან ლუდს აყოლებდნენ.

— პირველად, კაი ყმის სადღეგრძელოს სვამენ. დღეს ქარხნული ლუდი გვაქვს, მაგრამ მთაში თავადაც ხარშავენ, — *მეუბნება სპარტაკ ხარანაული,* — „კარგი ლუდია, სვიანი, შესვი, მინდიავ, იტყვიან“. *მთაში ლუდს სხვა ტექნოლოგიით ამზადებენ, ჯუთაში არაერთხელ მაქვს ნანახი.*

გუდამაყრელებმა ღირსეული მასპინძლობა გაგვიწიეს. ამ პატარა სოფელთან და სტუმართმოყვარე ხალხთან განშორება ყველას გვეძნელებოდა. არადა, მოსაღამოვდა. საჯიხვეზე მზე აღარ ანათებდა — მთაზე, რომელზეც გოდერძი ჩოხელი ასე წერდა:

„ამომიტანეთ,
მე რომ მოვკვდები,
საჯიხვეზე ამომიტანეთ,
აქედან კარგად ჩანს საქართველო.
აქ ნისლი დიდხანს არ ჩერდება,
აქ ნისლი ქარში იწეწება,
ამომიტანეთ...“

გუდამაყრელებს მომავალ ოქტომბრამდე დავემშვიდობეთ. ■

მორიელის ნიმანი

დასაწყისი „გზა“ №24-40

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

თაკო კარგა ხანს მდუმარედ იჯდა, თავი ჩაეინდრა და იატაკს დაშტერებოდა.

— რაზე ფიქრობ? — ვერ მოითმინა ირაკლიმ.

გოგონამ სევდიანი მზერა მიაპყრო.

— ანრი, — ჩუმად თქვა, — „ტიტანიკი“ გინახავს?

— შიგადაშიგ. შენ?

— საავადმყოფოში მაყურებინა ექიმმა... რას ნიშნავს შიგადაშიგ?

— როგორ გითხრა... ვერ გავძელი და შუა ფილმიდან გამოვედი.

— რატომ, არ მოგეწონა?

— სიმართლე გითხრა, არ მიყვარს ჰოლივუდური ფილმები.

— ჰოლივუდი კინოსტუდიაა, არა?

— ჰო. ფული ბევრი აქვთ, გემოვნება — ნაკლები.

— რატომ არ მოგეწონა?

— არ მიყვარს კომერციული „ცრემლდენა“. ვერ ვიტან, როცა ემოციებზე გაპროგრამებენ. და საერთოდ, არ მესმის, როგორ უნდა წახვიდე იმ ფილმის საყურებლად, რომლის ფინალიც ორი საათით ადრე იცი — შენ თვალწინ ასობით ადამიანი იყინება და წყალში იხრჩობა. ეს ნორმალურია? ეს იმ ადამიანების საყურებელი ფილმია, ვისაც ტირილი უყვართ. მე აბსოლუტურად განსხვავებული კინო მიყვარს, რომელშიც ბევრი თავისუფლება, აზრობრივი სივრცე და მრავალფეროვნებაა; ისეთი, რომლის ყურებისას არ გძალავენ ემოციებს. ფილმმა თავისუფლად აზროვნების საშუალება უნდა მოგცეს, უნდა დაგაფიქროს...

თაკოს სახე მოელუშა.

— თუმცა... ეს ჩემი აზრია და თავს არავის ვახვევ.. შენ, ალბათ, მოგეწონა ფილმი, არა?

— დიახაც, მომეწონა, — გამომწვევად წარმოთქვა გოგონამ და ტუჩები გაბუშტა.

— ეს ნორმალურია... გოგონებს, ჩვეულებრივ, მოსწონთ ასეთი ფილმები.

— როგორი „ასეთი“? — ჩაეძია თაკო.

— როგორიც „ტიტანიკია“ — დიდ და ლამაზ სიყვარულზე, ერთი ნახვით შეყვარებაზე.

თაკომ კვლავ მოლუშულმა შეხედა მამაკაცს, თქმით არაფერი უთქვამს.

— გამოვიცანი? — ჰკითხა ირაკლიმ.

გოგონამ ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია და გაბრაზებული მზერა ესროლა მორიელს.

— დამცინი?

— არა, რატომ... — დაიბნა ირაკლი.

— შენ არ გესმის... — გაწიწმატდა პატარა. — იქნებ, მეც მიყვარდა ადრე ასე ვინმე? შენ ვერც წარმოიდგენ, რა საშინელებაა, როცა ასეთი ადამიანი არ გახსოვს. მთლიანად სიყვარული გავიწყდება, გესმის? ეს ბევრად უარესია, ვიდრე წყალში დახრჩობა.

ირაკლი შეცბა. მიხვდა, ცუდად გამოუვიდა.

— რატომ დუმხარ? — არ ცხრებოდა პატარა. — არ გჯერა ერთი ნახვით შეყვარების, არა? გგონია, რომ ასეთი რამ მხოლოდ კინოში ხდება, ხომ?

— საქმე ეს არ არის, თაკო... — თქვა პირადმა მცველმა და გაჩუმდა. მხოლოდ ახლალა მიხვდა, რომ გოგონას უმიზეზოდ არ წამოუწყია ეს საუბარი. მიხვდა და გაეღიმა... პრინცესა მის რეაქციას მოუთმენლად ელოდა.

— შენ მართალი ხარ... ერთი ნახვით შეყვარების არ მჯერა... ასეთი რამ არ ხდება, — ყრუდ ჩაილაპარაკა მამაკაცმა, მერე თვალი თვალში გაუყარა გოგონას და დაამატა.

— შეყვარება მხოლოდ მეოთხე დღის შემდეგ ხდება... — და ხელზე ხელი შეახო.

თაკომ თვალები დახუჭა... ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ მიიწევდა მამაკაცის ხელები მისი მკლავებიდან მხრებისკენ. ხმას არც ერთი არ იღებდა, მხოლოდ მათი სხეულები ესაუბრებოდნენ ერთმანეთს...

ირაკლი თაკოს რეაქციას ფრთხილად ადევნებდა თვალს. ადრე სხვანაირად იყო, ადრე თაკო ასე მორჩილად არ იჯდა. ის თავად აქტიურობდა, თავად იჩენდა ინიციატივას, როცა საყვარელი მამაკაცი ეფერებოდა. ახლა კი... ახლა თვალებდახუჭული ელოდა, რას მოიმოქმედებდა ირაკლი... არა, ირაკლი კი არა, ანრი...

როცა მორიელმა გოგონას ყელზე შემოხვია ხელები, თაკოს თითებიც ამოძრავდა მის ზურგზე — ისე, თითქოს პიანინოს კლავიშებს ეხებიანო...

ირაკლი არ ჩქარობდა. ის ყურადღებით აკვირდებოდა ქალის ყოველ მოძრაობას და ძველ შეხვედრებს ადარებდა ამ წამებს...

მოულოდნელად გოგონამ თვალები გაახილა.

— მე უკეთესად მაქვს საქმე, ვიდრე შენ, — ჩურჩულით წარმოთქვა მან, — მე გასახსენებელი არაფერი მაქვს.

თაკო მართალი იყო, მას აშკარად უკეთესად ჰქონდა საქმე, მორიელი კი ნამდვილად შავ დღეში აღმოჩნდა...

მამაკაცს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. მან თავისკენ მოიზიდა გოგონა და გულში ჩაიკრა. იგი უკვე აღარაფერზე ფიქრობდა, არც აკვირდებოდა, არც აანალიზებდა, არც შედარებას აკეთებდა. იგი ახლა მხოლოდ პრინცესას ალერსით იყო დაკავებული...

და დაიწყო ახალი ცხოვრება — ოჯახური, იდილიური...

ირაკლი დილით სახლიდან გადიოდა... ვითომ სამსახურში. თაკო შინ იჯდა, ჯერ ვერ ბედავდა გარეთ გასვლას და მოუთმენლად ელოდა მამაკაცის შინ დაბრუნებას. დღის განმავლობაში გოგონა საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული — რეცხავდა, აუთოებდა, სადილს ამზადებდა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაუტყდა თეფში და მხოლოდ ერთი ჭიქა დაუვარდა, მეტი არაფერი გაუფუჭებია...

დღეები მოლოდინში ილეოდა, ღამეები — ალერსში. არც ერთი სიტყვა არ თქმულა სიყვარულზე, არც ერთი ფრაზა... არც არაფერი დანყებულა თავიდან...

ყველაფერი, რაც მათ შორის ხდებოდა, თითქოს პირველად იყო.

ყველაფერი თითქოს ახალი იყო...

ყველაფერი სხვანაირად იყო...

და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მათთან პირველი სტუმარი არ გამოჩნდა...

ეს სტუმარი გიგა იყო.

— მობრძანდით... სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მე თაკო ვარ... — გოგონამ მორცხვად გაუღიმა დეტექტივს და ხელი გაუწოდა.

გიგას მოტყუება არ დასჭირვებია. იგი მას გაეცნო როგორც გამომძიებელი, ანრის ძველი მეგობარი და ა.შ. არც მრავლისმეტყველი ღიმილის დაფარვა უცდია.

გიგა კომპლიმენტებად დაიღვარა, მერე ოთახში მიმოიხედა, ფანჯარას მიუახლოვდა და გარეთ გაიხედა.

— მდაა, — ისეთ თქვა, თითქოს ამ სახლში პირველად იყო, — დიდებული ხედი გაქვთ. არაჩვეულებრივად მოწყობილხარ, ანრი... დიდი ხანია, სამსახურიდან დაბრუნდი?

ირაკლის მისი შეკითხვა გაუკვირდა.

— ერთი საათი იქნება... რა იყო, რო?

— არაფერი, ისე...

მთელი საღამოს განმავლობაში გიგას ენა არ გაუჩერებია. ჰყვებოდა სასაცილო ამბებს თავისი პრაქტიკიდან, თავადაც მხიარულობდა და თაკოსაც აცინებდა. თან ყურადღებით აკვირდებოდა გოგონას — ის საოცრად მომხიბვლელი, ხალისიანი და სიცოცხლით სავსე ჩანდა. არადა, როცა დეტექტივმა იგი პირველად ნახა, ნაღვლიანი ეჩვენა; თვალები სევდით და შიშით სავსე ჰქონდა.

საღამომ არაჩვეულებრივად ჩაიარა. თაკოს მოეწონა შეყვარებულის მეგობარი, თუმცა ერთი უცნაურობა შეამჩნია: გიგა წარამარა დგებოდა სავარძლიდან და ფანჯარაში იყურებოდა, თითქოს ვიღაცას უთვალთვალებსო. „პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ ჩვევად აქვს, ერთ ადგილას ვერ ჩერდება", — დაასკვნა გოგონამ თავისთვის.

— რა იყო, ცხენი ხომ არ გყავს გარეთ დაბმული? — არც ირაკლის გამოჰპარვია მეგობრის საქციელი.

— ჩემს ჯაგლაგ მანქანას ვუყურებ, ემანდ ვინმემ არ მომპაროს, — გაიხუმრა გიგამ და ხელები გაშალა, — ჩემი წასვლის დროა, თავი მოგაბეზრეთ.

— რას ამბობთ, პირიქით, ძალიან გავმხიარულდით, — აღტაცებით წარმოთქვა თაკომ, — კიდევ გამოგვიარეთ, გაგვიხარდება.

— აუცილებლად, ქალბატონო, აუცილებლად... ანრი, იმედია, გამაცილებ.

— აბა, რას ვიზამ, არ გრცხვენია?

როცა გარეთ გავიდნენ, გიგა მორიელს მოუტრიალდა და დახშული ხმით ჰკითხა.

— მომეჩვენა, რომ ვიღაც გითვალთვალებს.

— მე? ვინ?

— არ ვიცი. თავიდან არც მივაქციე ამას ყურადღება, მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს, დავფიქრდი... ვის უნდა დასჭირვებოდა შენი თვალთვალი? მგონი, არ არის ძნელი გამოსაცნობი.

— დაინახე ვინმე?

— მანქანიდან რომ გადმოვედი, თქვენი ფანჯრების წინ ვიღაც ბიჭი დაყიალებდა. არ მომეწონა. რომ მივუახლოვდი, ეგრევე გაშპა. არ მომწონს ეს ამბავი.

— ამიტომ იყო, წარამარა ფანჯარაში რომ იყურებოდი?

— ჰო... მაგრამ მეტჯერ აღარ გამოჩენილა.

— ნაცნობად მოგეჩვენა?

— არა, აბა, საიდან... თანაც სათვალე ეკეთა და ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული.

— იმ დარჩენილ ძმას იცნობ?

— მხოლოდ კარტოთეკის ფოტოსურათიდან. ისე არ მყავს ნანახი.

— შენი აზრით, შეიძლება, ის იყოს?

— სიმართლე გითხრა, მეეჭვება, მაგრამ

გამორიცხული არაფერია. რომ დაფიქრდე კაცი, რა ძალა ადგას. წესით, ამდენი მარცხის შემდეგ თაკოს თავი უნდა დაანებოს. რას აძლევს მას გოგონას მოკვლა? თუ მაგარია, მამამისზე უნდა იძიოს შური და არა ამ ბავშვზე.

— მაგრამ მამამისი მისთვის მიუწვდომელია.

— ეგ არის საქმე, თორემ გურამი აქ რომ იყოს, თაკოს კი არა, სხვა ვინმეს დაუწყებდა დევნას... — ორაზროვნად ჩაილაპარაკა გიგამ.

— ანუ გურამს?

— არა, ჩემო კარგო, გურამს არა.

— კარგი, რა, აბა ვის? — გაეცინა ირაკლის.

— ვის და, მის ლამაზ ცოლს, მეგობარო... აი — ვის!..

მერის გახსენებაზე ირაკლის ნერვი აუთამაშდა სახეზე. აეროპორტში მომხდარი სცენა დაუდგა თვალწინ.

— მაგარი მაცდური ქალია, არა? — მიუხვდა გამომძიებელი.

— შენ რა ყველაფერი იცი...

— რა ვქნა, ჩემი პროფესია ასეთია... არადა, რა „გამაზე" იმ ღამეს? რა იყო, ბიჭო, ერთი კოცნა დაგენანა? — სიცილი აუტყდა გიგას.

— მაშინ არ მეცალა მაგისთვის.

— ახლა — მით უმეტეს. ისე, შენ მართალი ხარ. არ ღირს ასეთ ქალებთან თუნდაც ერთი ღამის თავგადასავალიც კი.

— მეც ასე მგონია.

— ჭკვიანი ხარ, ხომ იცი, — კვლავ გაიცინა გიგამ და მეგობარს მხარზე ხელი დაუტყაპუნა.

— ვცდილობ, — შეიფერა მორიელმა ქათინაური.

— მოკლედ, მე მივხედავ მაგ ტიპს. შენც გაფრთხილდი. როგორ ფიქრობ, როცა მანქანით მოძრაობ, არავინ გამოგდევნებია?

— სიმართლე გითხრა, არ დავკვირვებივარ, თავში აზრადაც არ მომსვლია.

— ე-ეჰ, დაბერდი, ჩემო ირაკლი, დაბერდი უკვე. ადრე უფრო ფრთხილი იყავი. როგორც ვატყობ, ამ ბავშვმა მთლად აგიბნია თავგზა. იმ მხრივ როგორაა საქმე? — გამომცდელად შეხედა დეტექტივმა.

ირაკლი წამოჭარხლდა.

— აჰა, გასაგებია... იცის, ორსულად რომ არის?

— არა, რას ამბობ.

— მერე? რას აპირებ?

— არაფერს. როცა მიხვდება, იფიქრებს, რომ ჩემგან არის და მორჩა.

— სინამდვილეშიც ასე არ არის? ყოველი შემთხვევისთვის, მიგეყვანა ექიმთან. მისთვის ახლა კონსულტაცია აუცილებელია.

— ვიცი. ცოტას კიდევ დავიცდი და მერე რაღაცას ვიზამ.

— კარგი... აბა, შენ იცი. ის ბიჭი მე მომანდეე, თავად მივხედავ. აბა, კარგად მეყოლეთ, — გიგა მანქანაში ჩაჯდა, დამშვიდობების ნიშნად ორჯერ დაასიგნალა და ნელი სვლით გაშორდა მოღიმარ მამაკაცს...

მომდევნო დღეებში არაფერი შეცვლილა. გიგამ ირაკლის სახლთან სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ორი მორიგე პოლიციელი დააყენა, მაგრამ უშედეგოდ — უცნობი მამაკაცი აღარ გამოჩენილა.

— ალბათ მოგეჩვენა, გიგა, — დაასკვნა ირაკლიმ, — ბოლოს და ბოლოს, მარტო ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ ამ უბანში?! ვინმე აქაური იქნება.

— ეს შენ უკეთ გეცოდინება, მეგობარო, — ყოყმანით გადააქნია თავი გამომძიებელმა, — უბნელებს და უცხოებს უნდა არჩევდე უკვე. ამდენი წელია, აქ ცხოვრობ... ასე არ არის?

— მართალი ხარ, მაგრამ... იქნებ რომელიმე გოგოზეა შეყვარებული და მალულად ზვერავს? რა იცი...

— არც ეგ არის გამორიცხული, თუმცა მაინც სიფრთხილე გვმართებს. ხანდახან მიმოიხედე ხოლმე, არ გაწყენს. კარგი?

სამი დღეც არ გასულა ამ ლაპარაკიდან, რომ ირაკლიმ სახლთან ახლოს შეამჩნია უცნობი ქუდიანი ახალგაზრდა მამაკაცი. მას შავი სათვალე ეკეთა და ვიღაც პატარა ბიჭს ელაპარაკებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაინახა იგი, მოპირდაპირე მხარეს მდებარე კორპუსის სადარბაზოში შედიოდა.

„ალბათ აქ ცხოვრობს. ყველა ხომ არ მეცოდინება?! იქნებ, ახალი გადმოსულია, ანდა — სტუდენტია და ბინა აქვს ნაქირავები?“ — გაიფიქრა ირაკლიმ და მალე დავიწყა უცნობიც და მისი შავი სათვალეც.

სამი კვირის შემდეგ თაკომ ქუჩაში გასვლა გადაწყვიტა. ოქტომბრის დასაწყისში თბილი ამინდები დაიჭირა, მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა. ფიქრები წარსულზე, საქმროზე, საავადმყოფოზე, იმაზე — რომ მას ეძებენ, უკან დარჩა; ნელ-ნელა გაუქრა შიში. ანრისთან თანაცხოვრებამ რწმენა შემატა, თავს დაცულად გრძნობდა, აკვიატებული აზრებიც სადღაც გაქრა. თაკო არ იცნობდა ამ უბანს, ამიტომ შორს არ წასულა. ტაატით მიუყვებოდა ქუჩას, თან შემხვედრ ადამიანებს ათვალიერებდა. ისინიც ინტერესით შეავლებდნენ ხოლმე თვალს. თაკომ იცოდა, კარგად რომ გამოიყურებოდა; ლამაზი და წარმოსადეგი რომ იყო. ეს ახარებდა...

მას გაახსენდა, რა შეგრძნება დაეუფლა საავადმყოფოში, როცა პირველად მოვიდა გრძნობაზე. ეჩვენებოდა, თითქოს ბოლომდე არ იყო მდგომარეობიდან გამოსული და ამიტომ ვერ იხსენებდა ვერაფერს. „მე — მე ვარ“, გამუდმებით უმეორებდა საკუთარ თავს, მაგრამ როგორ გამოიყურებოდა ეს „მე“ და რა ერქვა მას, მაინც უცნობი რჩებოდა. თავდაპირველად მხოლოდ თავის დასუსტებულ სხეულს და გამხდარ ხელებს ხედავდა... მერე უთხრეს, — თაკო გქვიაო. არ იცოდა ზუსტად — გაახსენდა, თაკო რომ ერქვა თუ უბრალოდ, მოეწონა ეს სახელი. თუმცა სახელი შესაფერისი ეჩვენა, თითქოს მშობლიურიც კი, და ადვილად შეეჩვია მას.

იმხანად მისი ყველაზე ახლო მეგობარი სარკე იყო. დღეში ათჯერ მაინც შეხედავდა თავის ანარეკლს სარკეში და ეს იყო ერთადერთი რამ, რაც კმაყოფილებას ანიჭებდა. მადლობელი იყო განგების, ასეთი მომხიბვლელი, უნაკლო რომ შექმნა. საკუთარი გარეგნობა სიამოვნებას ჰგვრიდა, ამასთან — დაკვირვებით სწავლობდა თავის სახეს და სხეულს.

ახლაც ამაყად მიაბიჯებდა ქუჩაში და აქამდე უცნობ თუ მივიწყებულ კმაყოფილებას განიცდიდა. მამაკაცების გამოხედვაში აღფრთოვანებას კითხულობდა. დღეს მართლაც განსაკუთრებულად გამოიყურებოდა. ბედნიერებისგან თვალები უბრწყინავდა.

მოულოდნელად, გზის მეორე მხარეს ქუდჩამოფხატული მამაკაცი შეამჩნია, რომელსაც შავი სათვალე ეკეთა და კვალდაკვალ მოჰყვებოდა. მართალია, სათვალის მიღმა მის თვალებს ვერ ხედავდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ უცნობი მას უყურებდა.

ქალები... ქალებიც აყოლებდნენ მზერას, მაგრამ განსხვავებულად. მათი გამოხედვა თითქოს მკაცრი, შემფასებლური იყო. „ალბათ უგემოვნოდ მაცვია და იმიტომ“, — გაიფიქრა თავისთვის. მართალია, ანრიმ მშვენიერი ტანსაცმელი უყიდა, მაგრამ გრძნობს, რომ ეს მის გემოვნებას არ შეეფერება. წამით დაფიქრდა...

და მიხვდა, რომ საშინლად მოუნდა ძალზე მოდურად სცმოდა... და არა — მხოლოდ მოდურად, გამომწვევადაც...

ცოტაც და, ხალხმრავალ ქუჩაზე გავიდა, ხმაურიან ადგილას... ნელა მიიწევდა წინ, თან უკან იყურებოდა, რათა შინ დასაბრუნებელი გზა დაემახსოვრებინა. ვიტრინებს დაუწყო თვალიერება. აგერ, ამ მანეკენს რა კარგი კაბა აცვია. თაკოსაც დახატავდა ეს სამოსი. არა, ცოტა ცვლილებას შეიტანდა ზედა ნაწილში — მხრებს უფრო დაშვებულს გააკეთებდა... გონებაში მოხაზა კიდეც კაბის კონტური... ახლა ფანქარი რომ მისცა, დახატავდა კიდეც... მოიცა! რატომ მოუვიდა ეს აზრი? ნუთუ ხატვა ეხერხება? თუმცა ჰო, ხომ უთხრეს, სამხატვრო აკადემიაში სწავლობო... მერე? კარგია, ლექციებს რომ აცდენს? ნეტავ ახლა არის სწავლის პერიოდი? რა მოხდება, სასწავლებელში რომ მივიდეს? იქნებ იქ მაინც გაახსენდეს რამე... იქნებ ვინმეს დანახვამ მაინც გაახსენოს რაღაც... არა, არ უნდა თაკოს არაფრის გახსენება! ის ისე კარგად გრძნობს თავს ახლა, ისე გემრიელად ეწყობა ანრის, არავინ და არაფერი უნდა მეტი. ოღონდ კი ასე გაგრძელდეს მუდამ, ოღონდ კი...

აი, ეს შარვალიც ლამაზია, მართლაც კარგი შეკერილია. რა სიამოვნებით შეიძენდა... მაგრამ ფული რომ არ აქვს? არა უშავს, საღამოს ანრის გამოართმევს და ხვალ ისევ მოვა... მოვა და იყიდის... არა, არა, უხერხულია... როგორ გამოართვას ფული, რას იფიქრებს ანრი? აბა, როგორ მოიქცეს? სხვა წყვილები როგორ ცხოვრობენ? როცა ქალი არ მუშაობს, მაშინ როგორ ხდება?

„განა ქმარი ცოლს ფულს არ აძლევს თავისი ხარჯებისთვის? ალბათ აძლევს, მაგრამ ის ცოლ-ქმარია, ჩვენ კი... ჩვენ მხოლოდ საყვარლები ვართ. ეს კი ერთი და იგივე არ არის. მაგრამ რატომ არ არის ერთი და იგივე? ჩვენ ხომ ერთად ვცხოვრობთ? გვიყვარს ერთმანეთი. განა ეს არ არის ოჯახი? არა, არა, მე ანრის ცოლად ვერასდროს გავყვები... მე ხომ საქმრო მყავს... ჯანდაბას მაგის თავი, როგორც კი შევხვდები, ეგრევე უარს ვეტყვი და დავშორდები. მაგრამ როგორ? ან კი სად ვნახავ? რაც არის, არის. მე და ანრი ასე ვიცხოვრებთ. უკეთესიც არის, მე თუ მკითხავ...“

საღამოს თაკო აღტაცებული უყვებოდა ირაკლის თავისი პირველი შთაბეჭდილებების შესახებ. მამაკაცს გაუხარდა.

— კარგია, გარეთ გასვლა რომ გადაწყვიტე, პატარავ, — გაუღიმა მორიელმა და წამით შეყოვნდა, ამ ხნის განმავლობაში გოგონას პირველად მიმართა ამ სიტყვით, თუმცა თაკოს რეაქცია არ ჰქონია, ამიტომ პირადმა მცველმა მშვიდად გააგრძელა, — შენთვის გასეირნება სასარგებლოა. ხვალ ფულს დაგიტოვებ,

წადი და რაც მოგეწონება, იყიდე.

თაკოს თვალები გაუბრწყინდა. აი ასე, სრულიად უბრალოდ მოხდა ყველაფერი, ისე, როგორც ნამდვილ ოჯახში.

მათ ნამდვილი ოჯახი აქვთ, ისინი ცოლ-ქმარი არიან, ოღონდ ჯერჯერობით — არაოფიციალურად. ამის გაფიქრებაზე თაკოს არაჩვეულებრივი სიმსუბუქე დაეუფლა. არადა, ცოტა ხნის წინ, სავადმყოფოში, იმის გააზრებაც კი, რომ ვიღაცის სახლში უნდა ეცხოვრა, მომაკვდინებლად ეჩვენებოდა! ხოლო ამწუთას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მთელი ცხოვრება მეტი არაფერი უკეთებია, მხოლოდ გათხოვებაზე, ბავშვების გაჩენაზე, სრულყოფილ სიყვარულსა და ოჯახურ იდილიაზე ოცნებობდა. მას ხომ ადრე ეს სიამოვნება არასდროს ჰქონია!

რა კარგია, ხანდახან თურმე ამნეზიასაც ჰქონია დადებითი მხარეები...

გიგას მოსვენებას არ აძლევდა შავსათვალიანი უცნობის გამოჩენა. თუკი ირაკლი მართალია და იგი იქვე, სადმე ახლოს ცხოვრობს, ან შეყვარებულს „უსადკავებს", სად გაქრა ბოლო ხანებში? რატომ ერთხელ მაინც ვერ დაინახეს მისმა ბიჭებმა? შეფიქრიანებულმა კიდევ ერთხელ ჩაიხედა კარტოთეკაში, მაგრამ ძნელი იყო, ფოტოსურათით მიემსგავსებინა ერთმანეთისთვის ბექა ვიბლიანი და უცნობი მამაკაცი. ადამიანს, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტურად ცვლის ფოტო. ასე გაუჭირდება. ხანდახან საკუთარი თავის ცნობაც კი უჭირს სურათზე. გარდა ამისა, უცნობს სათვალე ეკეთა და ქუდიც ეხურა. როგორ უნდა მიხვდეს, საშიშ ბოროტმოქმედთან აქვს საქმე თუ შემთხვევით გამვლელთან?

თუმცა, პრინციპში, მთავარი ეს არ არის. საქმე ისაა, რომ სრული სიგიჟეა, იყურყუტო ირაკლის ფანჯრებთან მაშინ, როცა მთელი თბილისის პოლიცია დაგეძებს! ეს პირდაპირ თვითმკვლელობაა და სხვა არაფერი! ერთადერთი გონივრული ნაბიჯი უმცროსი ვიბლიანის მხრიდან ის იქნებოდა, ასეთ სიტუაციაში თავი შორს დაეჭირა სამართალდამცველებისგან, დამალულიყო სადმე და არ გამოჩენილიყო — თუ, რა თქმა უნდა, შეშლილი არ არის და თავი არ მოჰბეზრებია. არა, ეს ზედმეტი სითამამე იქნებოდა მისი მხრიდან.

თუმცა გიგა მაინც ვერ დამშვიდდა. კიდევ ერთხელ დააყენა ბიჭები სამორიგეოდ...

კიდევ ორი დღე სდარაჯობდნენ ისინი ირაკლის სახლს, მაგრამ უშედეგოდ. გიგას მიერ აღწერილი უცნობის მსგავსიც კი არავინ გამოჩენილა. კვლავ მოხსნა სათვალთვალო პოსტი, ტყუილად აწვალებდა თანამშრომლებს. არადა, პროფესიული წინათგრძნობა მოსვენებას არ აძლევდა...

მეორე დღეს, თავად გაემართა ირაკლის სახლისკენ. მოპირდაპირე კორპუსის სადარბაზოში შევიდა და სათითაოდ ყველა მეზობლის გამოკითხვას შეუდგა. რამდენიმე საათში აღმოაჩინა, რომ შავსათვალიანი, სპორტულქუდიანი, გამხდარი, მაღალი ტიპი იმ კორპუსში არ ცხოვრობდა.

ერთი სიამოვნება იყო მაღაზიებში სიარული და სამოსის შერჩევა. თაკო სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. ვინ იცის, რამდენი ხელი ტანსაცმელი მოიზომა! ახალგაზრდა გამყიდველი გოგონა დაუინებული, შურიანი მზერით შესცქეროდა მის ასხლტილ ტანს. თაკომ ლურჯი, მოტკეცილი კაბა გადაიცვა და სარკის წინ დატრიალდა. იგი თავის თავს სნაველობდა. ყველა სტილის და ყველა ფერის სამოსი მოირგო, მერე შედარებით იაფფასიანი შეარჩია და ამოისუნთქა. გაუფრთხილდა ირაკლის ფინანსებს. აბა, ხომ არ დააქცევს საყვარელ ადამიანს? განა ასე ადვილია ამ დროში ფულის შოვნა?

— მოვრჩი, მოვრჩი, — გაიღიმა ლოყებშეფაკლულმა, — დაგტანჯეთ, მოკლედ, მაგრამ რა ვქნა, გამიჭირდა არჩევა, — იმართლა თავი გამყიდველის წინაშე, — ლურჯ კაბას და ამ შავ ქამარს ავიღებ.

გამყიდველმა უკმაყოფილო სახით დაკეცა ლურჯი კაბა და შავი ქამარი, თეთრ, გამჭვირვალე ცელოფანის პაკეტში ჩადო და ქვითარი გამოწერა.

— ხომ შეიძლება, ჩავიცვა და ისე წავიდე? — კეკლუცად იკითხა პრინცესამ.

— როგორც გენებოთ, — მხრები აიჩეჩა გამყიდველმა და გატრიალდა.

თაკომ კვლავ ჩაიცვა ლურჯი კაბა, ქამარიც მოირგო წელზე და სარკეში კიდევ ერთხელ ჩაიხედა...

მაგრამ იქ მხოლოდ მისი ანარეკლი არ ჩანდა... თავისი კოხტა ფიგურის უკან, ვიტრინის მიღმა, მაღალი, შავთმიანი მაპაკაცი დალანდა... ელეგანტური კოსტიუმით და მოკლე ვარცხნილობით...

თაკოს ფერი ეცვალა...

სარკეში თავისი საქმრო ჩანდა...

ის გარეთ იდგა, ქუჩაში, ვიტრინასთან ახლოს და ბოძზე მიყრდნობილი შიგნით იყურებოდა. აცახცახებული თაკო სარკეს მოშორდა და გასახდელში შევარდა. გული საგულიდან ამოხტომას ლამობდა. სასწრაფოდ გამოიცვალა სამოსი და სასოწარკვეთილი ფიქრს მიეცა — როგორ გასულიყო აქედან ისე, რომ „იმას" არ დაენახა? როგორ გაპარულიყო შეუმჩნევლად? ფარდა ოდნავ გადასწია და გარეთ გაიხედა. ვიტრინასთან აღარავინ იდგა. იქნებ მოეჩვენა?

არა, არ მოსჩვენებია. ერთი წუთის წინ ის იქ იდგა და მას მისჩერებოდა. მან იცოდა, რომ თაკო მაღაზიაში იყო. მაგრამ საიდან გაიგო, იქ რომ იყო? ნუთუ უთვალთვალებდა? როგორ მიაგნო? ის ხომ შემთხვევით გადაეყარა ანრის, მისი არსებობა არავინ იცოდა, როგორ უნდა მოეგნო? აშკარად დაუჯერებელია, მაგრამ მაინც ფაქტია! ახლა მთავარი ის არის, გააღწიოს აქედან.

რა ქნას, რა ქნას, რა ქნას?

მშვიდად, თაკო, მშვიდად... ჯობია, გავიდეს მაღაზიიდან, დინჯად მივიდეს მასთან და უთხრას, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრებულია; რომ მას სხვა შეუყვარდა და წარსულს არასდროს დაუბრუნდება; რომ უმჯობესი იქნება, ყოფილმა საქმრომ თავი დაანებოს...

არა, მას ეს არ შეუძლია, ის ვერ გაბედავს, ძალა არ ეყოფა ამის სათქმელად. მას ეშინია იმ კაცის, სისულელეა, მაგრამ ეშინია, აღიარებს! აბა როგორ მოიქცეს? გამყიდველს უნდა სთხოვოს შველა.

— მაპატიეთ, გოგონი... აქ მეორე გასასვლელი თუ არის? — ჰკითხა მას, გასახდელიდან რომ გამოვიდა.

— დიახ, არის, — ცოტა არ იყოს, გაუკვირდა გამყიდველს.

— და სად?

— ვერ გავიგე, სხვა მხრიდან გინდათ გახვიდეთ?

— ჰო, ჰო.

— იცით... დირექტორს დავუძახებ.

— რად მინდა დირექტორი, მე მეორე გასასვლელი მინდა.

— მაგრამ მისი ნებართვის გარეშე არ შემიძლია. იქ საწყობი გვაქვს... არ მაქვს უფლება...

— მომისმინეთ, ძალიან გთხოვთ. იქ, გარეთ, ერთი ჩემი „პაკლონიკი" მელოდება, რომელსაც ვერ ვიტან, გესმით? დამეხმარეთ, გემუდარებით. არ მინდა მასთან შეხვედრა.

გოგონა მიხვდა და დაინტრიგებულმა თაკოს თანაგრძნობით გაუღიმა.

— მიეხვდი. წამომყევით. აგერ, ამ დერეფანს გაჰყევით და ბოლოში მარცხნივ გაუხვიეთ. იქიდან კი გარეთ გახვალთ.

— მაგრამ იქიდან მაინც ამ ქუჩაზე აღმოვჩნდები, არა?

— სხვა გასასვლელი, სამწუხაროდ, არ გვაქვს, — ნირი წაუხდა გამყიდველს.

სასოწარკვეთილმა თაკომ უმწეოდ მიმოიხედა. რა ქნას, ანრის ხომ არ დაურეკოს? არა, ვერ დაურეკავს. მობილური არ აქვს, აქ კი ვერავის შეაწუხებს, მობილურზე დამარეკვინეთო. ფრთხილად მიუხლოვდა კარს და გარეთ გაიხედა. „საქმრო" არსად ჩანდა. ნუთუ წავიდა? გამორიცხულია. მან იცის, თაკო აქ რომ არის, არ წავიდოდა. ის მას ელოდება.

ამ დროს მაღაზიასთან ტაქსი გაჩერდა, საიდანაც ხანში შესული ქალბატონი გადმოვიდა. თაკო ელვის სისწრაფით გავარდა გარეთ, ტაქსიში ჩახტა და მძღოლს განწირული ხმით უყვირა.

— ჩქარა, წავიდეთ!

გაოგნებულმა მძღოლმა ანგარიშმიუცემლად დაძრა მანქანა. აკანკალებულმა გოგონამ უკან მიიხედა. მამაკაცი არ გამოჩენილა... გადარჩა!

დასასრული შემდეგ ნომერში

ᲒᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲛᲝ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲔᲢᲘᲡᲐᲛᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲔᲥᲪᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ

1. სან-ფრანცისკოს ხიდის, „ოქროს კარიბჭის“ შესაღებავად, 10000 გალონი საღებავი იხარჯება. რა ფრად ღებავენ ხიდს?
2. როგორ დაასრულა სიცოცხლე სპარტელმა კანონმდებელმა ლიკურგემ?
3. ქორწინებიდან პირველი 10 წლის მანძილზე სპარტელებს აკრძალული ჰქონდათ, დღის სინათლეზე ენახათ საკუთარი ცოლები. რატომ?
4. დაასახელეთ ქართველი პოეტი, რომელიც ერთ-ერთ წვეულებაზე ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის ციმციმმა გააგიჟა და მას შემდეგ დაწერა ცნობილი ლექსი — „საყურე“.
5. დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის დროშა ორი სამკუთხედის ფორმის ნაჭრისგან შედგება.
6. რას ეძახდნენ ძველ დროში არმაღანს?
7. მადამ ტიუსოს მუზეუმში, ცვილისგან დამზადებულ ბრედ პიტის ფიგურას სახე ყოველთვის დასვრილი აქვს. რითი?
8. რომელი ქართველი მეფის ქანდაკება იდგა რომში, მარსის მოედანზე?
9. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულების სასარგებლოდ და გასახარად“?
10. რა არის ჰიპოფობია?
11. რას შეისწავლის მედიევისტიკა?
12. რა არის წეკო?
13. რომელი შტატის გუბერნატორია ჯორჯ ბუშის ძმა — ჯეფ ბუში?
14. დაასრულეთ ამერიკელი მწერლის, ტომას დიუარის სიტყვები: „ნუ შეაფასებთ ადამიანს ტანისამოსის მიხედვით, შეაფასეთ...“
15. რატომ ახარებს კოსტარიკის მოსახლეობას ჭიანჭველა-ლეგიონერების შემოსევები?

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲔᲑᲘ

***

ახალგაზრდა ქალი ტირილით მივიდა დედასთან.



— რა მოხდა?
— ქმარმა მცემა.
— ქმარმა? მე მეგონა, შენი ქმარი მივლინებაში იყო წასული!
— მეც ასე მეგონა...

***

მამაკაცმა პოლიციას მიაშურა:
— ცოლი დავკარგე!
— მისი მონაცემები მითხარით, ამიწერეთ! — ეუბნება მორიგე.
— მე კი გეტყვით, მაგრამ როცა იპოვით, ეს მონაცემები მას არ აჩვენოთ!

***

— ექიმო, მიშველე, ჩემს ქმარს ყველა პედერასტი ჰგონია.
— აბა, შემოიყვანეთ.
ოთახში შემოსულ პაციენტს ექიმი უჩვენებს ნახატს „სამი მონადირე“.
— რას ფიქრობთ ამ ნახატზე?
— პედერასტები არიან!
— რატომ?
— სამნი არიან ტყეში, სვამენ ქალების გარეშე. აბა, ვინ არიან?!.
ახლა მეორე ნახატს — „ფრინველების გადაფრენას“ უჩვენებს.
— ამაზე რას ფიქრობთ?
— ეგენიც პედერასტები არიან: მიფრინავენ და ერთმანეთს უკანალში უყურებენ!
— მდა! ჩემზე რაღას იტყვით?
— შენც პედერასტი ხარ!
— რატომ?
— აბა, საიდან გაქვს ასეთი სურათები?

***

კაცი ფსიქიატრთან მივიდა და ეკითხება:
— ექიმო, სამი თვეა, ერთი და იგივე ქალი მესიზმრება.
— მერე?
— დასანახად ვეღარ ვიტანთ!

***

მამაკაცები საუბრობენ:
— ჩემი ცოლი მაგარ დიეტაზეა, მარტო ბანანს და ქოქოსს ჭამს.
— დაეტყო?
— ძალიან! თვალის დახამხამებაში ხის კენწეროზე მოექცევა ხოლმე.

***

სვანი გარდაიცვალა. გასვენების დღეს ჭირისუფლებს ცხედარი კლდიდან გადაუვარდათ და კლდის ქიმზე ჩამოეკიდა. ვერ ამოიღეს და დაანებეს თავი. კლდის ქვემოთ მონადირემ გამოიარა. დაინახა, კლდეზე რაღაც კიდია, ესროლა თოფი და ჩამოაგდო. მივიდა, ნახა, — რა მოვკალიო? — და მკვდარი კაცი შერჩა ხელში. რაღა ვქნა, ალპინისტი შემომაკვდაო! — გაიფიქრა და მდინარეში გადააგდო. გამოიარა ბრაკონიერმა მეთევზემ, ჩააგდო წყალში დინამიტი და მდინარის ფსკერიდან კაცის ცხედარი ამოტივტივდა. რაღა მეშველება, მყვინთავი შემომაკვდაო! — გაიფიქრა შეშინებულმა ბრაკონიერმა. წაიღო და გზაზე დაგდო. გამოიარა სატვირთო მანქანამ, ზედ გადაუარა. გადმოვიდა მძღოლი, — ვნახო, ერთი, რას გადავუარეო. ხედავს, კაცი გდია. წაიღო და თივის ზვინში დამალა. დილით მივიდა ზვინის პატრონი, შეყო თივაში ფიწალი, გამოიღო და ხედავს, ზედ კაცია წამოგებული. რა მეშველება, თივაში ვიღაცას ჩასძინებია და შემომაკვდაო, — გაიფიქრა. გავიდა ტრასაზე, გააჩერა მანქანა და წაიყვანა საავადმყოფოში. გაუკეთეს ოპერაცია. ერთი საათის შემდეგ გამოვიდა ქირურგი საოპერაციოდან და ამბობს: კიდევ 10 წუთი რომ დაგეგვიანათ, ვეღარ გადარჩებოდაო!

***

განცხადება:

„გამოცდილი საფეხბურთო არბიტრი გიმსაჯებთ ნებისმიერი სირთულის მატჩს წინასწარი გადახდით. ამასთანავე, ვთარგმნი უცენზურო გამოთქმებს მსოფლიოს 84 ენაზე“.

***

— ერთი ხაჭაპური, თუ შეიძლება.

— ინებეთ. ორად გაგიჭრათ თუ ოთხად?

— ოთხად: ძალიან მშია!

***

ცოლი სახლს ალაგებს და თან ღიღინებს. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ქმარი შევიდა და უსაყვედურა:

— გეთქვა, რა, შენ რომ მღეროდი. ნახევარი საათია, სააბაზანოს კარს ვზეთავ.

***

— შეფ, ერთი თვე შვებულება უნდა მომცეთ.

— კაცო, შენ ახლახან არ დაბრუნდი შვებულებიდან?!

— ჰო, მაგრამ ახლა ცოლს ვირთავ.

— შენც შვებულების დროს შეგერთო!

— აბა, მეტი საქმე არ მქონდა, შვებულებას ჩავიმწარებდი.

***

— ექიმო, მიშველეთ, ნახევრად ყრუ ვარ!

— ეგეთი რამ არ არსებობს, ან ყრუ უნდა იყოთ, ან — არა.

— შემამოწმეთ, თუ არ გჯერათ.

ექიმი დაიჩურჩულებს:

— ორმოცდაოთხი... აბა, რა ვთქვი?

— ოცდაორი!

***

მიხო პარიზის საროსკიპოდან გამოვიდა, ქუჩაში გადააფურთხა და მაშინვე დააჯარიმა პოლიციელმა. სახლში დაბრუნებულს ცოლი ეკითხება:

— მე თუ გახსენდებოდი?

— კი, ერთხელ გამახსენდი და მაშინაც დამაჯარიმეს.

***

პოლიციის უფროსს დაზარალებული ეუბნება:

— გთხოვთ, ჩემი მანქანის ძებნა შეწყვიტოთ და განცხადება უკან დამიბრუნოთ: ცოლს ჰყოლია წაყვანილი.

— მაგაზე განცხადების დაწერამდე უნდა გეფიქრათ. სამი გამტაცებელი უკვე დავიკავეთ.

***

ქალი ადვოკატს ეკითხება:

— თუ ჩემი ქმრის სიცოცხლეს მილიონ დოლარად დავაზღვევ და ის კი მეორე დღეს მოკვდება, რამდენს მივიღებ?

— სავარაუდოდ, სამუდამო პატიმრობას!

***

ჭიჭიკია თავის ძაღლს კარტს ეთამაშება.

— ეს რა ჭკვიანი ძაღლი გყოლია! — უკვირს მეზობელს.

— ჭკვიანი კი არა, ნაღდი სულელია: ჯოკერი რომ მოსდის კუდს აქიცინებს.

***

განცხადება: „ვცვლი 3 წლის ბულტერიერს მარცხენა ხელის პროთეზში“.

ჯონეკის სანაძრობო

„გზის“ ერთგულ მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ფორთოხლისფრად.
2. მას შემდეგ, რაც ლიკურგემ საკუთარი ცხოვრებისეული მისია შესრულებულად მიიჩნია, მან სრულიად მშვიდად, შიმშილით მოიკლა თავი.
3. ეს უფრო მეტად აძლიერებდა ურთიერთლტოლვას.
4. ნიკოლოზ ბარათაშვილი.
5. ნეპალი.
6. ძვირფას საჩუქარს.
7. პომადით: დამთვალიერებელი ქალბატონები გამუდმებით კოცნიან სანატრელი მამაკაცის ცვილის ორეულს.
8. ფარსმან ქველის.
9. ჯონათან სვიფტს.
10. ჰიპოფობია ცხენების პანიკური შიშია.
11. შუა საუკუნეების ისტორიას.
12. წეკო თამბაქოს ერთ-ერთი სახეობაა.
13. ფლორიდის.
14. „ცოლის ტანსამოსის მიხედვით!“
15. ეს ჭიანჭველები მორიელების, ობობების, ხოჭოებისა და ათასგვარი მავნებელი მწერისაგან ასუფთავებენ სახლებსა და ეზოებს.

***

— ამოდი, შვილო, იაპონური შარვალი და იტალიური ჩექმები ჩაიცვი, გერმანული ქუდი დაიხურე, თორემ ინგლისური გრიპი დაგემართება.

ჩვენი ფოტოგალერეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ჯვრის პალიტრის“ („ხიტცკა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში. მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

სასურველ მამაკაცს რომ მისთხოვდეთ...

გასათხოვარ ქალბატონთა უმრავლესობას ძალზე აინტერესებს, როგორ უნდა მოიქცეს, სასურველმა მამაკაცმა ხელი და გული რომ სთხოვოს. არსებობს რამდენიმე შედარებით გავრცელებული სტრატეგია, რომლის გათვალისწინებაც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

ყველაზე გავრცელებული სტრატეგია

თქვენს რჩეულს სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა ელაპარაკოთ მომავალ ქორწინებაზე: თუკი მამაკაცს გადაწყვეტილების მიღება უჭირს, ინიციატივა თავად უნდა გამოიჩინოთ და უთხრათ, რომ ქორწილის დღესა და მენდელსონის მარშის მოსმენაზე ოცნებობთ. როცა ადამიანს ერთსა და იმავეს დაჟინებით უმეორებენ, ის ან თანხმდება წინადადებას ან საერთოდ წყვეტს ურთიერთობას აბეზართან. ასე რომ, სანამ ამ მეთოდს მიმართავდეთ, სათანადოდ უნდა დარწმუნდეთ საკუთარი პოზიციის სიმყარეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი დაკარგოთ.

მეორე – წარმატებული მეთოდი

მამაკაცს თავი ისე უნდა შეაჩვიოთ, რომ ვერასოდეს დაგივიწყოთ: თქვენ მისთვის ერთადერთი და განუმეორებელი, ამქვეყნად ყველაზე სასურველი და მშვენიერი უნდა იყოთ. მაგრამ ამავდროულად, ხანდახან, შეუვალი და მიუწვდომელი ქალის ნიღაბი აიფაროთ და თქვენთვის სასურველი კანდიდატი ცოტათი გააწვალოთ კიდეც. ერთი სიტყვით, ისე უნდა მოიქცეთ, რომ გამუდმებით დაძაბული იყოს და თქვენი დაკარგვის შიში მოსვენებას არ აძლევდეს.

მესამე ანუ „შოლტის" მეთოდი

ქალთა უმეტესობას ნებისმიერ წვრილმანზე გაბუტვა სჩვევია. ზოგიერთი კი ისე ოსტატურად ირგებს განაწყენებული ქალის როლს, რომ მიზნის მიღწევას თითქმის უპრობლემოდ ახერხებს. ოღნოდ ამგვარი სტრატეგია მხოლოდ მაშინ ამართლებს, თუკი თქვენი რჩეული — უკვე „მოთვინიერებული" და თქვენი კაპრიზების შესრულებასაც მიჩვეულია.

მაგრამ არსებობენ ქალები, რომლებიც მამაკაცების დასაპყრობად სულ სხვა მეთოდებს მიმართავენ:

სუსტი, უმწეო ქალი ყოველთვის იწვევდა ისეთი მამაკაცის თანაგრძნობას, რომელსაც სხვაზე ზრუნვა ცხოვრების წესად აქვს ქცეული. როცა ქალი სამოქმედოდ ამგვარ სტრატეგიას ირჩევს, „მზრუნველი" მამაკაცი უმეტეს შემთხვევაში, გულსა და ხელს მას სთავაზობს.

ზოგიერთ მამაკაცს, მისით აღტაცებული, აღფრთოვანებული ქალის დანახვა ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია. დიახ, მას უყვარს, როცა ხოტბას ასხამენ, ყოველთვის ყველაფერში ეთანხმებიან და მის ნებისმიერ წამოწყებას მხარს უჭერენ. თუკი თქვენი გული ამ კატეგორიის მამაკაცმა დაიპყრო, ეს აბზაცი კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ და თავად მიხვდებით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ.

არიან მამაკაცები, რომელთაც ძალზე იზიდავს ინტელექტუალი ქალბატონების საზოგადოება. ამ კატეგორიის მამაკაცს კმაყოფილებას ანიჭებს აშკარა უპირატესობა იმ მამაკაცებთან შედარებით, რომელთაც „სულელი" ცოლები ჰყავთ. ასე რომ, თუკი მიგაჩნიათ, რომ ნაკითხი, ერუდირებული ქალბატონი ბრძანდებით, თამამად შეგიძლიათ, „ინტელექტუალი ქალების მოყვარული" მამაკაცის ცოლობაზე იქონიოთ პრეტენზია.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, გადაწყვეტილების მიღებამდე ასჯერ უნდა გაზომოთ და ერთხელ გაჭრათ! მართალია, ცოლქმრული ცხოვრება დაფუძნებულია სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემასა და ერთგულებაზე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთგაგება და საერთო ინტერესების არსებობა. ამიტომ, ეცადეთ გაუწიოთ თქვენს რჩეულს ღირსეული მეგობრობა, გაიზიაროთ მისი სიხარული, გაითავისოთ პრობლემები... რათა მისთვის მართლაც „მეორე ნახევრად" იქცეთ.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი"
ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

რამდენიმე წესი თმის ფერის შეხვლის მსურველთათვის

თმის ფერის შეცვლა გადაწყვიტეთ? ბუნებრივია, არჩევანის წინაშეც დადექით: რომელი საღებავი უნდა აირჩიოთ სასურველი შედეგის მისაღწევად, თანაც ისე, რომ თმა არ დაიზიანოთ? თანამედროვე ტექნოლოგია საღებავი საშუალებების ფართო არჩევანს გვთავაზობს: გამძლე (მედეგი) საღებავები, ბალზამები და შამპუნები, რომლებიც თმას გარკვეულ შეფერილობას აძლევს.

თმას ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებავდნენ. ძალზე პოპულარული იყო ინა. მისი დახმარებით შეიძლება სტაფილოსფრიდან ბრინჯაოსფრამდე ნებისმიერი შეფერილობის მიღება. სხვადასხვა შეფერილობის მისაღებად ინაში ურევენ ინდიგოს, ნიგვზის ნაჭს ან გვირილას.

თანამედროვე საღებავები

თმის თანამედროვე საღებავები შეიძლება სამ ტიპად დაიყოს:

გამძლე საღებავები — ისინი შეიცავს წყალბადის ზეჟანგსა და ამიაკს ან მის შემცვლელ ამინებს. ასეთი საღებავი მთლიანად ცვლის თმის ფერს და კარგად ღებავს ჭაღარას.

საღებავი უშუალოდ შეღებვის წინ უნდა მომზადდეს — მისი შენახვა ყოვლად დაუშვებელია. საღებავის ჩამობანა ინსტრუქციაში მითითებულ დროზე ადრე არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ საღებავის მოლეკულების სინთეზი რამდენიმე სტადიას გადის და საღებავის ვადამდე ჩამობანის შემთხვევაში, საგრძნობლად აზიანებს თმას. სამაგიეროდ, ლოსიონი ნაკლებად გამძლეა.

პროფესიონალების რჩევით, საღებავი მხოლოდ დასაბან თმაზე უნდა წაისვათ, რადგან თანამედროვე შამპუნები არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებელ სპეციალურ ნივთიერებებს შეიცავს. სწორედ ეს ნივთიერებები არ აძლევს საღებავს თმაში ღრმად შეჭრის საშუალებას. და კიდევ ერთი მიზეზი: კანის ცხიმოვანი ფენა თავის კანს საღებავის მავნე ზემოქმედებისგან იცავს. შამპუნი ამ ფენას ანადგურებს, ამიტომ სუფთა თმის შემთხვევაში, საღებავმა შეიძლება კანი გააღიზიანოს.

ფერადი საშუალებები

თმის ტიპისა და საღებავის ხარისხის შესაბამისად, ამგვარი საღებავები 4-8 ჩამობანას უძლებს. ასეთი საღებავებით თმის გაღიავებას ვერ შეძლებთ, ისინი თმას მხოლოდ უფრო ინტენსიურ შეფერილობას ანიჭებს. ამასთან, ამგვარი საღებავი არც ამიაკს შეიცავს და არც წყალბადის ზეჟანგს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სრულიად უვნებელია. ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ფერი არ მოგეწონათ, თამამად შეგიძლიათ მისი შეცვლა.

ნახევრად გამძლე საღებავები

თუ თმის ფერის შეცვლა გსურთ, მაგრამ ვერ გადაგიწყვეტიათ, რომელ ფერზე შეაჩეროთ არჩევანი, უმჯობესია, ნახევრად გამძლე საღებავებს მიმართოთ. ასეთი საღებავი ჩამობანის შემდეგ თანდათან უფერულდება და შეღებილ და შეუღებავ თმას შორის მკვეთრი განსხვავება არ შეიმჩნევა. ეს იმის შედეგია, რომ ასეთი საღებავები წყალბადის ზეჟანგს მცირე რაოდენობით შეიცავს, ხოლო ამიაკი მათში საერთოდ არ არის. ბუნებრივი პიგმენტები არ ნადგურდება, ამიტომ საღებავის მოლეკულები თმის ღერის სიღრმეში ვერ აღწევს. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ასეთი საღებავებით ჭაღარა არ იღებება.

რამდენიმე რჩევა:

შერჩევისას ზუსტად უნდა იცოდეთ, როგორი ფერისა და გამძლეობის საღებავი გინდათ. ამის საფუძველზე შეიძლება საღებავის ტიპის შერჩევა. თმის შეღებვისას აუცილებლად უნდა დაიცვათ თანდართული ინსტრუქცია. თუ გსურთ, უფრო დიდი ხნით შეინარჩუნოთ ფერი, თავი შეღებილი თმისთვის განკუთვნილი სპეციალური შამპუნით უნდა დაიბანოთ. და კიდევ: ნურასოდეს გექნებათ იმის იმედი, რომ ზუსტად ისეთსავე ფერს მიიღებთ, როგორიც საღებავის ყუთზეა გამოსახული.

ხარისხიანი თმა რომ გქონდეთ:

- ძილის წინ, 5-10 წუთის განმავლობაში, ჯაგრისით ან ხის სავარცხლით, ყველა მიმართულებით ივარცხნეთ;
- რაციონში აუცილებლად შეიტანეთ სტაფილო, მაწონი, ხაჭო, ვაშლი, კომბოსტოს მწნილი;
- შამპუნი თმაზე წასმამდე ხელისგულზე აიქაფეთ.

თმას არ უყვარს:

- ძალიან ცხელი და ცივი წყლით დაბანა;
- რაციონში ბევრი ტკბილეული და შუშხუნა სასმელი;
- არასწორად შერჩეული შამპუნი;
- სხვადასხვა სახის რეზინითა და სამაგრით მჭიდროდ შეკვრა;
- ღამით დაბანა, რადგან ამ პერიოდში თავის კანი ჟანგბადით ნაკლებად მარაგდება. ■

ციცგის კატლეტი

მასალად საჭიროა:

500 გ ახალი თევზი;
100 გ თეთრი პური;
2 ს/კ ორცხობილა;
მცენარეული ზეთი;
შავი პილპილი;
1 ცალი ლიმონი;
ხახვი.

მომზადების წესი:

თევზი გაასუფთავეთ, მოაცალეთ კანი, გააცალკევეთ ფხებისგან და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დააწურეთ ლიმონი. შეურიეთ ასევე მანქანაში გატარებული პური და ხახვი. შეკაზმეთ მარილითა და პილპილით. მიეცით კატლეტის ფორმა, ამოვლეთ ორცხობილაში და შეწვით ზეთმოსხმულ ტაფაში. ■

ღიღბორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-40

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

კარანაუსელებს სოფლის შუაგულში, ვრცელ მოედანზე მოეყარათ თავი. იქაურობა მაშხალებით იყო განათებული. არსად მოჩანდნენ ბავშვები და ქალები, მოედანზე მხოლოდ თეთრმოსასხამიანი, იარაღასხმული მეომრები იდგნენ. მათ შუაში, ამაღლებულ ადგილზე იდგა სოფლის თავი, რომელმაც გზაზე გატარების საფასურად მუროჩისგან რამდენიმე დირჰემი მიიღო.

სოფლის თავი გაშმაგებული გაყვიროდა და დროდადრო ხმალს იქნევდა.

— თანამოძმენო, აბუბაქარმა გვიღალატა, მზაკვრულად მოკლა ბატონი ჩვენი, ჯაფარი, მისი შვილები, მათ სისხლში ამოსვრილი დაჯდა მამართა ტახტზე და ახლა მორჩილებას გვიბრძანებს!

— არ დავემორჩილებით!.. ისევე დავღვრით მის სისხლს, როგორც ჯაფარის სისხლი დაღვარა!.. — იგრიალეს კარანაუსელებმა.

— ამბობენ, ჯაფარი მთის ბერებს მიემხროო! — ვილაცამ გაუბედავად წამოიძახა ბრბოდან.

— ტყუილია, ჯაფარი მართლმორწმუნე მუსლიმანი იყო და ჩვენს რწმენას არასოდეს უღალატებდა! — გააფთრებით შესძახა სოფლის თავმა. — ეგ აბუბაქარის ხრიკია. ჯაფარს მუსლიმანთა ღალატი დასწამა და ისე მოკლა.

— შური ვიძიოთ! — ერთხმად შესძახა ბრბომ და ხმლები ააელვარა.

მუროჩიმ წინასწარ იცოდა, რომ სოფელს გვერდს ვერ აუვლიდა, მაგრამ ისიც ახსოვდა, რამდენიმე ვიწრო შუკა მოედნის გვერდის ავლით რომ მიემართებოდა. რომელიმე ამ შუკით რომ წასულიყო, კარანაუსელები ვერ შენიშნავდნენ.

ცხენით სვლა საშიში იყო. შუკას ქვის დაბალი ღობეები გასდევდა, რომლებიც მხედარს ვერ დაფარავდა. ამიტომ მუროჩი ჩამოქვეითდა და ისე გაუყვა გზას. წინ ფრთხილად მიიწევდა, ხმაურით რომ არ გაეცა თავი.

რამდენიმე სახლსა და ეზოში ქალები და ბავშვები იყვნენ თავმოყრილი. ისინი ყურადღებით ისმენდნენ სოფლის თავკაცის სიტყვებს. მარტო მიმავალი მეომრისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. თეთრი მოსასხამი იმაზე მიანიშნებდა, რომ მხედარი კარანაუსელი იყო.

მალე მოედანიც უკან დარჩა. ცოტაც და, სოფელსაც გასცდებოდა და ამ დროს მუროჩის სამმა კარანაუსელმა გადაუჭრა გზა, რომელიც სოფლის გასასვლელს სდარაჯობდა.

— ვინ ხარ?! — მისი შემჩნევისთანავე შესძახა კარანაუსელთა მეთაურმა.

მუროჩიმ არაფერი უპასუხა. მხოლოდ სადავე მოზიდა, რათა საჭიროების შემთხვევაში, ცხენს ზურგზე მოჰქცეოდა.

— შეჩერდი! — სწრაფად შესძახეს დაეჭვებულმა კარანაუსელებმა და მისკენ გამოქანდნენ.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მუროჩიმ ელვის სისწრაფით აიქნია ტანი, უნაგირზე მოექცა და ცხენს დეზი ჰკრა.

კარანაუსელები მაშინვე გამოცოცხლდნენ, შუბები შემართეს და მხედარს გზა გადაუჭრეს.

ცხენი ორი ნახტომით მოექცა კარანაუსელთა პირისპირ. დამხვდურები მიხვდნენ, რომ მხედარი არც მათ შუბებს მოერიდებოდა და არც შეჩერდებოდა, ამიტომაც აქეთ-იქით გაცვივდნენ, რათა მისთვის გვერდით ჩავლისას მიეწვდინათ შუბი. მაგრამ წინ მდგომმა კარანაუსელმა ვერ გაასწრო, ცხენმა წააქცია და ფლოქვებით გათელა. მეორე მებრძოლი სწრაფად შემობრუნდა და შუბი მოიქნია. ესეც ამაო აღმოჩნდა. მუროჩიმ ელვის სისწრაფით დაიქნია ხმალი და მოწინააღმდეგე თავგაპობილი დასცა მიწას. ამხანაგების დაღუპვით დამფრთხალი მესამე კარანაუსელი ბრძოლას გაერიდა. შუბი გვერდზე მოისროლა, ღობეს გადაევლო და სოფლის მოედანზე მყოფი კარანაუსელებისკენ ყვირილით გაიქცა.

— ღალატია!.. სოფელში აბუბაქარის მსტოვარი შემოიპარა!..

კარანაუსელები მაშინვე გამოცოცხლდნენ, იარაღი მოიმარჯვეს და შუკას მიუბრუნდნენ. მუროჩის, სამოსმა — რომლითაც სამშვიდობის გასვლას აპირებდა — ახლა ცუდი სამსახური გაუწია. კარანაუსელებმა უმალ შენიშნეს მისი თეთრი მოსასხამი და ღრიანცელით დაედევნნენ. მუროჩიმ ერთი ხელის აკვრით მოიშორა მოსასხამი, რომელიც კარგად მოჩანდა სიბნელეში და ცხენი გააფიცხა. ცოტაც და, სოფელი უკან დარჩებოდა. ამ დროს თავს ზემოთ რამდენიმე ისარმა შხუილით გადაუფრინა. მუროჩი ცხენის კისერს გაეკრა, მდევრისთვის მიზანში ამოღების საშუალება რომ არ მიეცა, მაგრამ ილეთმა არ გაუმართლა. ისრების მომდევნო გუნდი ზუზუნით წამოეწია. რამდენიმემ ისევ ზემოდან გადაუფრინა. ერთი კი ზუსტი ნასროლი აღმოჩნდა. ისარი ზურგში დაეძგერა, ჯაჭვის პერანგი გაარღვია და ბეჭქვეშ გაიჩხირა....

აზიზი შიშით მიუძღოდა ქარავანს და საკუთარ თავს ლანძღავდა: „რეგვენი ვარ, ბრიყვი და ყეყეჩი. არა, უფრო უარესი. ის, რაც გავაკეთე, მხოლოდ შლეგი თუ მოიმოქმედებდა. სისულელე იყო ფიცხი და დაუოკებელი გურჯისთვის აბუბაქარის დანაბარების გამჟღავნება. რისი მოლოდინი უნდა მქონოდა მისგან?.. ვენეციელები დინჯი ხალხია, ვაჭრები არიან და ბრძოლისკენ ისე ძალუმად არ მიუწევთ გული. ხმალს თუ მოიქნევენ, მხოლოდ — თავისი ქონებისა და სიცოცხლის დასაცავად. მაგრამ ისინიც ამჩატდნენ და ხმლებს წამოავლეს ხელი. გურჯი კი ნამდვილი შლეგია. ან რა აქვს დასაკარგავი?.. უცხო ქვეყანაში მოხვედრილი უთვისტომო გადამთიელია. ჰასანის გარეშე არც მას უწერია სიცოცხლე. ვინ დაიამხანაგებს უთვისტომო გურჯსა და ქრისტიანს?! იცის, რომ ჰასანის გარეშე, თავადაც დაიღუპება და ამიტომაც გამოიდო თავი. მაგრამ მე რა შუაში ვარ? განა ჩემი ბრალია, ჰასანმა მთის ბერი რომ მოკლა?! არაფერი უნდა მეთქვა გურჯისთვის, თავი უნდა დამენებებინა მისთვის და ქარავანი ბადახშინისკენ დამეძრა, მაგრამ... — აზიზმა ფრთხილად მოისინჯა ყელი და მცირე ჭრილობა, რომელიც მუროჩის სატევრისგან შემორჩა, — ეგრეც არ გამოვიდოდა. გურჯი ყელს გამომღადრავდა. მარტო ჰასანის ამბავი უნდა მეთქვა, აბუბაქარის დანაბარებზე კი სიტყვაც არ უნდა დამეძრა, აი, როგორ და როდის დავიღუპე თავი. გურჯი ჩემს სიტყვებს ჩაებღაუჭა და კარანაუსელთა შინაომში ჩამითრია!.. ცუდად, ძალიან ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი. არა მგონია, აბუბაქარ-

მა სიტყვა შეასრულოს და ჰასანი გაათავისუფლოს. თქმით ბევრი რამ თქვა, მაგრამ როცა ჯაფარის ტახტს გაინაღდებს, სხვანაირად აჭიკჭიკდება — ჰასანსაც საიქიოს გაისტუმრებს, მის გურჯსაც და კიდევ ყველას, ვინც ამ ამბავს შეესწრო. სიტყვის შესრულებას რომც აპირებდეს, გურჯი იქამდე ვერ მიიყვანს საქმეს: ან ჯაფარის მზვერავები შენიშნავენ და განგაშს ატეხენ, ანაც, მთის ბერები მოულოდნელ ბოლოს. როგორც ჰასანი ამბობს, უშიშარი მებრძოლი და საუკეთესო მოფარიკავე ყოფილა, მაგრამ ალამუთელ ალქაჯებს მაინც ვერ დაუდებს ტოლს. ისინი ხომ ბავშვობიდან სწავლობენ ადამიანის მოკვდინების ხელოვნებას. მისი დაღუპვა არაფრად მაღელვებს. მრავალი ქრისტიანისა და მუსლიმანის სიკვდილი მიხილავს, მაგრამ მის თავქარიანობას ყველას დაღუპვა შეუძლია. ჯაფარი სასტიკად დაგვსჯის ურჩობისთვის და მისი ჯალათი პირველს მე გამაგდებინებს თავს...".

ჯაფარის დედაციხესთან მიახლოებასთან ერთად, აზიზი დამშვიდდა. შემხვედრ კარანაუსელებს მშვიდად ეჭირათ თავი. მზვერავები ჯაფარის ნიშნით კმაყოფილდებოდნენ, მშვიდად ათვალიერებდნენ ბელადის მიერ გაცემულ ნებართვას და ქარავანს გზის გაგრძელების ნებას აძლევდნენ.

მუროჩისთან განშორების მერე, პირველი ღამე ჯაფარის სიმაგრის მახლობლად, გზაჯვარედინზე გაატარეს. გზაჯვარედინიდან პირდაპირ რომ წასულიყვნენ, უღელტეხილზე მოხვდებოდნენ. მარცხნივ მიმავალი გზა, ჯაფარის სიმაგრესთან მიიყვანდა. აზიზს არ უნდოდა ღამის გზაჯვარედინზე გატარება. რაც უფრო სწრაფად გაეცლებოდა კარანაუსელთა მიწებს, მით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ გზის გაგრძელებაც არ შეეძლო. მთის ვიწრო ბილიკმა პირუტყვს არაქათი გამოაცალა. თავად მექარავნეებიც დაიქანცნენ. დაღლილები ყურადღებით ვეღარ ივლიდნენ და შეიძლებოდა, რომელიმე უფსკრულში გადაჩეხილიყო. გარდა ამისა, აზიზს კარანაუსელებიც აშინებდნენ. ბარიდან მომავალი ქარავნები ყოველთვის ამ გზაჯვარედინზე ათევდნენ ღამეს. იქ წყაროც იყო და პირუტყვის გასაჩერებელი შემოღობილი მოედანიც. ახლა აზიზს გზა რომ გაეგრძელებინა, კარანაუსელები ეჭვს აიღებდნენ. ქარავანს მზვერავთა პირველსავე რაზმი შეაჩერებდა და ჯაფართან მაცნეს გაგზავნიდა. მან კი გარკვევით უბრძანა აზიზს: მშვიდად განაგრძე გზა, ჩემი ხალხი არაფერს დაგიშავებსო. ხოლო მისი ურჩობა ძალიან საშიში იყო. ამას ჯაფარი არავის აპატიებდა, მით უმეტეს — უბრალო ჩაუშს, რომლის მსგავსიც მის მიწებზე ასობით მიმოდიოდა. შეიძლება, ჯაფარს გულმოწყალება გამოეჩინა და აზიზი არც დაესაჯა, მაგრამ ვიდრე ყველაფერს არ გაარკვევდა, გზის გაგრძელების ნებართვას მაინც არ მისცემდა. ამასობაში კი შეიძლებოდა, გურჯი ჯაფარის ხალხს გადასწყდომოდა. ამით კი ყველაფერი დამთავრდებოდა. კარანაუსელთა ბელადი მექარავნესა და მის ხალხს თავებს დააყრევინებდა, ამიტომაც ხული აიღო უღელტეხილის ღამით გადალახვაზე და თავის ხალხს დაბანაკების ბრძანება მისცა.

მომდევნო ორმა დღემ მშვიდად ჩაიარა. უღელტეხილი ჩვეულებისამებრ გადალახეს. მცველებმა ჯაფარის ნიშანი მოიკითხეს, მცირე ქრთამი მიიღეს და გზა დაულოცეს. აზიზს იმედი ჰქონდა, რომ ამჯერად მაინც გასცდებოდა კარანაუსელთა სამფლობელოს, მაგრამ მოულოდნელად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა, მისი გეგმები აურ-დაურია. ქარაფების პირას სვლა შეუძლებელი გახდა და ჩაუშმა ქარავანი ღამის გასათენებლად შეაჩერა.

ის ღამე აზიზმა ლოცვაში გაატარა. უკვე დარწმუნებული იყო, გზად შემთხვევით არ ფერხდებოდა. სხვა დროს და უფრო უარეს ამინდში, უღელტეხილის გადასალახავად სამიოდე დღე თუ

დასჭირვებია, ახლა კი მეხუთე დღე იწურებოდა და ჯერაც არ იცოდა, როდის გასცდებოდა კარანაუსელთა სამფლობელოს საზღვრებს და საერთოდ თუ ეწერა წყეული მთების დატოვება. ალაჰის ნებად მიიჩნია ქარის მიზეზით დაყოვნება. გაიფიქრა: ეტყობა, ურწმუნო ქრისტიანების დახმარებისთვის თავად შემოქმედმა გაგვწირა და კარანაუსელთა ხმლების ლუკმად უნდა გვაქციოსო. მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის მერე, ეს აზრიც უკუაგდო — ჭეშმარიტ მართლმორწმუნეს ალაჰი არ გამწირავდა, ეს შაითნის ხრიკები უნდა იყოს და თუ ასეა, გულხელდაკრეფილი არ უნდა ველოდო სიკვდილს; მაგრამ ჰასანის, მისი ამხანაგი გურჯისა და ვენეციელთა მიზეზით სისხლს მაინც არ დავღვრი; თუ რამე საეჭვო შევნიშნე, ცხენს მოვახტები, ქარავანს მივატოვებ და ჩემს ხალხთან ერთად ვუშველი თავსო.

გუელმოს და გვიდოს მაშინვე ენიშნათ აზიზისა და მისი ხალხის საეჭვო საქციელი. როგორც წესი, დაბანაკებისას მექარავნეები ცხენებსა და აქლემებს უნაგირებსა და საპალნეებს ხსნიდნენ. მერე საქონელს ერთად აბამდნენ. ამჯერად კი აზიზის მცველებმა თავის ცხენებს უნაგირები არ მოხსნეს და ცალკე, კარვების სიახლოვეს დააბეს.

— რაღაცას ელიან. აზიზი მთელი დღე შფოთავდა. შეიძლება თავდასხმის მოლოდინი აქვს, — ჩუმად გადაულაპარაკა გუელმომ გვიდოს.

— მეც შევნიშნე... დროდადრო თავის ხალხს ეჩურჩულებოდა. თავდასხმას თუ ელის, ბანაკს რატომ არ ამაგრებს და ჩვენ რატომ არ გვაფრთხილებს?

— არ ვიცი, მაგრამ ცხენს შეკაზმულს მარტო ის ტოვებს, ვინც სასწრაფოდ ამხედრებას აპირებს!.. ჩვენც გავფრთხილდეთ, — თქვა გვიდომ და თავის მსახურებსა და ჰასანის ღულამებს მიუბრუნდა, რომლებიც კარვებს შლიდნენ.

ამჯერად, აზიზის გაოცების ჯერი დადგა. ვენეციელები მასავით მოიქცნენ. კარვები მოედნის საპირისპირო მხარეს გაშალეს და დასადებული ცხენებიც იქვე მიაბეს.

— რას აკეთებთ, მესერ გუელმო? — გაოცებით იკითხა ამის მნახველმა აზიზმა.

— როგორ თუ რას? — მოჩვენებით გაიკვირვა გუელმომ. — ღამის გასათევად ვემზადებით.

— ეგ ვიცი, მაგრამ რატომ დააშორეთ ცხენები დანარჩენ პირუტყვს?

— მთას შეუჩვეველი ცხენები გვყავს. არ ვიცით, როგორ მოიქცევიან ამ ქარბორბალაში. გვირჩევნია, კარავთან ახლოს გვყავდეს. განა, შენც ასევე არ მოიქეცი? — მის კარავთან მიბმულ ცხენებზე მიანიშნა გუელმომ.

— ეს... ეს... თქვენ ვაჭრები ხართ, ჩვენ — მეგზურები და მცველები. ვინმე რომ დაგვესხას თავს, უბელო ცხენებით ხომ არ შევებრძოლებით?! — ამოღერღა აზიზმა.

გუელმოს ბრაზი მოჰგვარა განმარტებამ. ჩაუში ცრუობდა. ამ მიწებზე კარანაუსელთა გარდა არავინ დაესხმებოდა თავს. ეს მხოლოდ მათი ბელადის, ჯაფარის ბრძანებით მოხდებოდა. აზიზი კი ვერასოდეს გაბედავდა მასთან შებრძოლებას და რომც გაებედა, უეჭველად სიკვდილი ელოდა.

— თუ ასეა, მეც იმავეთი გიპასუხებ. გულხელდაკრეფილი ვერ ვისხდებით, როცა შენ ჩვენს დასაცავად დაიწყებ ბრძოლას! — მცირე ხნის მერე თქვა გუელმომ..

— თქვენი ნებაა, — ყრუდ ჩაილაპარაკა აზიზმა და ვენეციელს ზურგი შეაქცია.

ვენეციელები ვერ ხვდებოდნენ, რას უკავშირდებოდა ჩაუშის უცნაური საქციელი. მხოლოდ ერთი რამ იყო გასაგები: ჩაუში მათ სასიკეთოდ არ ირჯებოდა. ამიტომაც, გუელმომ თავის მსახურებსა და ჰასანის ღულამებს ფხიზლად ყოფნა უბრძანა.

დრო ნელა გადიოდა. თავის კარავში განმარტოებული გუელმო და გვიდო აზიზის კარავს უთვალთვალებდნენ. ერთი შეხედვით, მოედნის საპირისპირო მხარეს სიმშვიდე სუფევდა, ზაგრამ ვენეციელებმა იცოდნენ, რომ ჩაუშს *არ ეძინა. მისი კარვის* კალთა რამდენჯერმე ამოძრავდა და ეს ქარის მიზეზით არ მომხდარა. აზიზმა თავად გადასწია კარვის კალთა, რომელიც კარის მაგივრობას სწევდა და გარეთ გაიხედა. ეტყობოდა, ისიც შფოთავდა და თანაც ვენეციელებს უთვალთვალებდა.

შეაღამისთვის გუელმოს დაღლილობა მოერია.

— აღარ შემიძლია. წყეული აზიზი თეთრად გაგვაჯენებინებს ღამეს, ხვალ კი მძიმე გზა გველის. თანაც, ასეთ ამინდში, დაღლილებს მგზავრობა გავიჭირდება და შეიძლება, რამე უბედურებაც შეგვემთხვეს, — გადაულაპარაკა გვიდოს და ამასთან ერთად, კარვის კალთას წაეტანა, — მსახურებს გაეაფრთხილებ, რომ აზიზის ხალხს უთვალთვალონ. ჩვენ კი ცოტა ხნით მაინც მოვატყუოთ თვალი.

— არა!.. ნუ გახვალ გარეთ! — ხელი გაუკავა შვილმა. — აზიზის ხალხი შეგვნიშნავს.

— მით უკეთესი. მიხვდებიან, რომ ფხიზლად ვართ და თუ რამე უკეთური აქვთ გადაწყვეტილი, გადაიფიქრებენ.

— არა... არა!.. — ისევ შეეწინააღმდეგა გვიდო. — ეგენი ავ განზრახვაზე ხელს არ აიღებენ, მაგრამ თუ მიავდნენ, რომ არ გვძინავს, სხვანაირად შემოგვიტევენ. თუ დაიღალე, მსახურთა გაფრთხილება რად გინდა. დაიძინე. აზიზის კარავს კი მე ვუთვალთვალებ.

— კარგი... ცოტა ხნით თვალს მოვატყუებ, მერე კი გამაღვიძე, რომ შენც მოასწრო დასვენება, — დაეთანხმა გუელმო და დასაძინებლად წამოწვა. გვიდომ კი თვალთვალი განაგრძო, თანაც მომავლის განჭვრეტას ცდილობდა.

ცოტა ხნის შემდეგ მისი ყურადღება მოედნის მოპირდაპირე მხრიდან წამოსულმა ხმაურმა მიიპყრო. გვიდომ უფრო ახლოს მიიწია გასასვლელისკენ და აზიზის კარავს დააკვირდა. სწორედ ამ დროს, სიბნელიდან აზიზის ორი მცველი გამოვარდა. ისინი ჩაუშის კარავს მისცვივდნენ და ხელების ქნევით ალაპარაკდნენ. რას გაიძახოდნენ მცველები, გვიდოს არ ესმოდა. მოზუზუნე ქარი სადღაც შორეთში მიაქანებდა. თუმცა გასაგები იყო, რომ მცველები ღელავდნენ. ისინი სწრაფად ლაპარაკობდნენ და ხელებს ბარისკენ მიმავალი გზისკენ იშვერდნენ. მათი მღელვარება აზიზსა და დანარჩენ მცველებსაც გადაედო, რომლებიც კარვებიდან გამოცვივდნენ. მერე კი მოხდა ისეთი რამ, რამაც გვიდო კიდევ უფრო გააოცა. აზიზი და მისი მცველები ცხენებს მოახტნენ და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდნენ. გვიდო მაშინვე მამას მიუბრუნდა და ძლიერად შეანჯღრია.

— რა მოხდა?! — ძილბურანში მყოფი გუელმო სწრაფად წაეტანა ხმალს.

— აზიზმა თავისი ხალხი აშალა და ბანაკს გაეცალა! — სწრაფად უპასუხა გვიდომ.

სწორედ ამ დროს, კარავთან ისამ და ჰასანის დანარჩენმა ღულამებმა მოირბინეს. მათაც არ დარჩენოდათ შეუმჩნეველი აზიზის ხალხის ამხედრება და ბანაკის მიტოვება. მალე მათ გუელმოს ვენეციელი მსახურებიც შემოუერთდნენ.

— იარაღი აისხით, ამხედრდით და ბრძოლისთვის მოემზადეთ. აზიზისგან კარგს არაფერს უნდა ველოდეთ! — მამას დაასწრო გვიდომ, მერე კი მოედნის მოპირდაპირე მხარისკენ გაქანდა. იქიდან კარგად მოჩანდა ბარისკენ მიმავალი გზა, რომელსაც აზიზი და მისი ხალხი დაადგნენ. მისდა გასაოცრად ბანაკიდან გასულ მხედრებს თვალი ვერ მოჰკრა. მათ მაგივრად იხილა მეომართა მოზრდილი რაზმი, რომელიც მაშხალებით ხელში მოემართებოდა ბარიდან. რაზმში ასზე მეტი მეომარი იქნებოდა. ეტყობოდა, რომ ჩქარობდნენ. ყურადღებას არ აქცევდნენ ღამეს, ქარიან ამინდს და ცხენებს ყიჟინით მოერეკებოდნენ. რაზმი ჯერჯერობით საკმაოდ შორს იყო, მაგრამ ისე სწრაფად მოიწევდა წინ, რომ მალე მოედანზე შემოვიდოდა.

— კარანაუსელები! — უმალ დაასკვნა გუელმომ. — მაგრამ საით მიიჩქარიან?

— მაგ ჯარს ჩვენ არ ვაინტერესებთ. არც კი ეცოდინებათ ჩვენი აქ ყოფნის შესახებ. ალბათ მამარის სიმაგრისკენ მიემართებიან, — ივარაუდა გვიდომ.

— იქ კი ჰასანია და ალბათ მურაჩიც, — ჩაილაპარაკა გუელმომ.

— ჩანს, აზიზი მოელოდა ამას. წინასწარ დაიჭირა თადარიგი. გზას მზვერავები მიუჩინა და როგორც კი კარანაუსელები გამოჩნდნენ, გაქცევით უშველა თავს.

— მაგრამ საით გაიქცა? — გაუკვირდა გუელმოს. — სიმაგრისკენ არ გაბრუნებულა. მაშინ ჩვენ გვერდით უნდა ჩაევლო. ბარისკენაც არ დაეშვებოდა, პირდაპირ მაგ რაზმს მიადგებოდა.

— მთელი ცხოვრება ამ მთაში აქვს გატარებული. სხვა გზებიც ეცოდინება... მოღალატე!.. გაიპარა... ჩვენ კი კარანაუსელთა საძიებლად მიგვატოვა!.. — კბილები გააღრჭიალა გვიდომ. — არ შევარჩენ. ცოცხალი თუ გადავრჩი, მოვძებნი და ლუკმა-ლუკმა ავქნი!

— მაგისთვის ჯერ უნდა გადავრჩეთ, — შენიშნა გუელმომ, — რა ვქნათ?.. ხალხი ჩვენ გადაწყვეტილებას ელის...

— აქ დარჩენა არ ივარგებს. ხომ ნახე, როგორც მოიქცნენ ჩვენი მეგზურები. მათ კი ჩვენზე უკეთ ესმით, რომ კარანაუსელებთან შეხვედრა კარგს არაფერს უქადის, — თქვა გვიდომ.

— მაგრამ სად გაქრნენ ისინი? — გუელმო ბარისკენ მიმავალ გზას დააკვირდა.

— როგორც ჩანს, აზიზმა სხვა გზაც იცის. ახლა იმ გზის ძებნის დროც არ გვაქვს და რომც ვიცოდეთ, ღამით და თანაც ასეთ ქარში, მეგზურის გარეშე, მაინც ვერაფერს შევძლებთ.

— უკან ხომ არ გავბრუნდეთ? ჯაფარმა ქრთამი მიიღო და ამ კარანაუსელებისგანაც დაგვიცავს, — თქვა გუელმომ.

— არა... არა!.. — თავი გაიქნია გვიდომ. — სიმაგრეში ვერ დავბრუნდებით. შეიძლება, უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ და რაზმთან კი არა, კარანაუსელთა მთელ ჯართან მოგვიხდეს შეტაკება!

— თუ ბრძოლა გველის, ჯობს, აქ დავხვდეთ კარანაუსელებს. ის რაზმი სწრაფად მოიწევს წინ. თანაც გზებიც ჩვენზე უკეთ იციან. შეიძლება, სიმაგრემდე ვერც მივასწროთ. ამ მოედანზე კი უფრო ადვილად დავიცავთ თავს. წმინდა ღვთისმშობელს ვფიცავ, ვიდრე მოგვწვდებიან, ბევრი კარანაუსელი წააგებს თავს! — კბილები გააღრჭიალა გუელმომ, მერე კი მოედანს მიუბრუნდა შესძახა: — ჰეი, მსახურნო! აქეთ!

ღულამები და მსახურები მაშინვე ადგილს მოსწყდნენ და მათკენ გამოქანდნენ.

— ბრძოლა გველის!.. მშვილდ-ისრები მოამზადეთ და ლოდებს ამოეფარეთ. ვისაც ისარს მივაწვდენთ, გზა-

ზევე დავხოცავთ. გადარჩენილებს, რომლებიც მოედანზე ამოსვლას შეეცდებიან, ხმლებით გავუსწორდებით!.. დაიკავეთ ადგილები და ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!.. — სწრაფად ბრძანა გუელმომ.

მსახურებმა იარაღი მოიმარჯვეს, მაგრამ ადგილიდან განძრევა ვერ მოასწრეს.

— შეჩერდით! — შესძახა ისამ და ხელი ბარიდან მომავალი გზისკენ გაიშვირა. — ხედავთ?!

მოედანზე მყოფებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს მხედარი, რომელიც მოედნისკენ გამეტებით მოაჭენებდა ცხენს. მხედარს მაშხალა არ ჰქონდა, ამიტომაც ის აქამდე არ დაუნახავთ.

— კარანაუსელთა მეწინავე რაზმია. სიბნელით უნდათ, ისარგებლონ და ჩუმად შემოიპარონ მოედანზე!.. ისრებით გაუმასპინძლდით ურჯულოთ! — ბრძანა გუელმომ.

ვენეციელებმა მაშინვე მშვილდები მოზიდეს, მაგრამ ისა წინ გადაუდგა და სწრაფად ალაპარაკდა.

— არ ისროლოთ!.. მხედარი მარტოა. კარანაუსელთა საომარ წესებს კარგად ვიცნობ. ისინი ხმაურით არ ეპარებიან მტერს. ღამით და ასეთ ამინდში მხოლოდ შლეგი გააფიცხებს ცხენს. არ ვიცი, ვინაა ეგ მხედარი, მაგრამ კარანაუსელებს გაურბის და ის რაზმი ჩვენზე თავდასასხმელად არ მოიჩქარის აქეთ. მაგ მხედარს მოსდევენ. მიტომაც ინათებენ გზას მაშხალით და ყიჟინით მოუყვებიან გზას!

გვიდო და გუელმო ჩაფიქრდნენ. ისას სიტყვები სარწმუნოდ ეჩვენათ. კარანაუსელს თუ რამე ავი ჰქონდა ჩაფიქრებული, ცხენის ჭენებით არ გამოქანდებოდა მათკენ და მის უკან მომავალი რაზმიც, მაშხალებით არ გაინათებდა გზას. იქნებ ეს მართლაც მათი შინაომი იყო და კარანაუსელებს ყურადღება არ მიექციათ მოედანზე დაბანაკებული მექარავნეებისთვის.

ვიდრე ვენეციელები კარანაუსელთა უცნაური საქციელის განჭვრეტას ცდილობდნენ, ყველაფერი თავისთავად გაირკვა. მხედარი პირდაპირ მათკენ გამოქანდა და ცხენი მათ პირისპირ შეაჩერა.

— მურროჩი!.. — გვიდომ მაშინვე იცნო კარანაუსელთა მოსასხამში გამოხვეული მხედარი და მისკენ გაიქცა. მაგრამ ვიდრე ის მიუახლოვდებოდა, მურროჩი უნაგირიდან გადმოეკიდა და ძალაგამოცლილი დაეშვა მიწაზე.

გუელმო მისკენ დაიხარა და გაოგნებული გაშეშდა. მის ტანსაცმელზე გარკვევით მოჩანდა სისხლის ლაქა. ბეჭის ქვემოდან კი შავი ბუმბულით შემკული ისარი ამოსჩროდა.

— დაგვეხმარეთ!.. დაჭრილია!.. — მსახურებს დაუყვირა გვიდომ, მერე კი მურროჩის ჩასძახა: — საიდან მოხვდი აქ?! ვინ დაგჭრა?! სადაა ჰასანი?!

— მაგის დრო არ არის... — ყრუდ ჩაილაპარაკა მურროჩიმ. — სასწრაფოდ აქაურობას უნდა გაეცალოთ. კარანაუსელები ყველას დაგხოცავენ! წადით... ახლავე წადით და მამართა სიმაგრეს შეეფარეთ!

— ჯაფარი არ შეგვიფარებს! — სწრაფად თქვა გუელმომ.

— ჯაფარი ცოცხალი აღარ არის... აბუბაქარი კი... ეს ყველა გზას გაგიხსნით და აბუბაქართანაც გიშუამდგომლებთ... — ამ სიტყვებთან ერთად მურროჩიმ აბუბაქარის მიცემული ბეჭედი გვიდოს ჩაუდო ხელში.

— ჰასანი?.. სად არის ჰასანი?! — ვერ მოითმინა ისამ, რომელსაც ყველაზე მეტად თავისი ბატონის ბედი აინტერესებდა.

— ჰასანი ბარში დაეშვა... უკან ემირ ბაადის ჯარით დაბრუნდება... თქვენ კი... წადით აქედან... არ დაყოვნდეთ... მერე უკვე გვიანი იქნება... — გაჭირვებით ჩაილაპარაკა მურროჩიმ და გონება დაკარგა.

— ხომ გაიგეთ, რაც თქვა! — გვიდო უმალ ფეხზე წამოიჭრა. — მივდივართ!... აქლემებს და კარვებს თავი მიანებეთ. დაჭრილი ცხენზე შესვით... სწრაფად... კარანაუსელებს უნდა გავასწროთ...

— არ გამოვა, ბატონო, — არ დაამთავრებინა ისამ.

— რა არ გამოვა? — გაოცებული მიუბრუნდა გვიდო.

— ამ ისრით სიმაგრემდე ვერ მივიყვანთ. გზაში მოკვდება! — უპასუხა ღულამმა.

— მაშინ ისარი აქვე უნდა ამოვაძროთ. შეძლებ ამის გაკეთებას? — აჩქარდა გვიდო.

— ეგეც არ გამოვა. ეს კარანაუსელთა „გველისკბილა“ ქეიბურია, წვრილი, გრძელი და ხერხივით დაკბილული ბუნიკი აქვს. ისარი უკან რომ მოვქაჩო, ერთიანად დაუფლეთს შიგანს და მოკლავს.

— მაშ, რა ვქნათ?!

— ისარი ძირში უნდა გადავჭრათ, თორემ იმოძრავებს და ახალ ჭრილობებს მიაყენებს, — უპასუხა ისამ.

— ისარი რომ გადაჭრა, ბუნიკი ჭრილობაში ჩარჩება და რომელი მკურნალი შეძლებს მის ამოღებას?! — გაიკვირვა გუელმომ.

— მამარის სიმაგრეში ეყოლებათ ასეთი მკურნალი. თავად აკეთებენ ამ ისრებს და მისგან განკურნების წესებიც ეცოდინებათ.

— რომ არ ჰყავდეთ? — ჩაილაპარაკა გვიდომ.

— სხვა გზა მაინც არ გვაქვს. ისარი თუ არ გადავჭერით, ცხენის ჭენებისას იმოძრავებს, ჭრილობას გაადიდებს და სისხლისგან დაცლის. თუ ბოლოს მოვაჭრით, მკურნალის იმედად სიმაგრემდე ჩავიყვანთ. თავად გადაწყვიტე, რომელი სჯობს?

— მაგ კაცს შენი ბატონის გადასარჩენად თავი არ დაუზოგავს!

— ვიცი.

— გააკეთებ იმავეს მისთვის?

— ყველგან და ყოველთვის! — უყოყმანოდ უპასუხა ისამ.

— მაშინ მის სიცოცხლეს შენ გაბარებ. მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ მიგაჩნია!

ისამ უხმოდ დაუქნია თავი, მურროჩის გვერდით ჩაიმუხლა და ერთ-ერთი ღულამის დახმარებით, ჭრილობიდან ამოშვერილი ისარი ხანჯლით ჩაჭრა. მერე მურროჩის ჭრილობაზე სახვევი დაადო, ცხენზე შესვა, ტყავის საბლებით უნაგირს დააკრა და გვიდოს მოახსენა: ახლა უკვე მგზავრობა შეიძლებაო.

— იცოდე, დაჭრილზე თავით აგებ პასუხს. თუნდაც, მოკვდე, ის უნდა დაიცვა! — გააფრთხილა ვენეციელმა, — მერე ცხენს მოახტა და ყველას გასაგონად თქვა: — სიმაგრეში ვბრუნდებით. ისა და ორი ღულამი, მურროჩისთან ერთად, წინ წავლენ. დანარჩენები ასი ნაბიჯით უკან ვივლით. თუ კარანაუსელები წამოგვეწევიან, ბრძოლით მოვიგერიებთ. ყველამ იცოდეს, ვინც ბრძოლას გაექცევა, ჩემი ხელით ავუგებ ანდერძს და ვინც ბოლომდე მიერთგულებს, გულუხვად დავაჯილდოებ!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სკარლეტ იოჰანსონი გათხოვდა

ჰოლივუდის სასურველ საპატარძლოთა რიგს ერთ-ერთი ულამაზესი და სექსუალური საპატარძლო — სკარლეტ იოჰანსონი გამოაკლდა. სულ ცოტა ხნის წინ, სკარლეტმა და მისმა ბოიფრენდმა რაიან რეინოლდსმა ვანკუვერთან მდებარე საკურორტო ქალაქში უხმაუროდ იქორწინეს. პრესამ წყვილის ქორწინების შესახებ ცნობა მოგვი-

ანებით გაავრცელა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: სკარლეტის დედა — მელანი სლოანი და ძმა — ედრიენ იოჰანსონი.

სკარლეტისა და რაიანის სასიყვარულო რომანი წელიწად-ნახევრის წინ დაიწყო, 2008 წლის მაისში კი წყვილმა ნიშნობის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. სწორედ ამ პერიოდში ერთ-ერთ წვეულებაზე სკარლეტი ახალი სამკაულით გამოცხადდა, რაც მისი ახალი სტატუსის შესახებ თავისთავად მეტყველებდა. რაიან რეინოლდსმა საცოლეს 30.000-დოლარიანი, 3-კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი მიართვა. რეინოლდსთან შეხვედრამდე იოჰანსონი თავს უფლებას აძლევდა, საკუთარი პირადი ცხოვრების შესახებ ხშირად საკმაოდ გულახდილი კომენტარი გაეკეთებინა. სიყვარულმა სკარლეტი ძალიან შეცვალა: „მჯერა — მონათესავე სულის პოვნა შესაძლებელია“.

მსახიობი აღნიშნავს, რომ მისთვის სიყვარული მჭიდრო კავშირშია დროსთან: „საჭირო დროს საჭირო ადამიანს ძალზე იშვიათად შეხვდები“, — განაცხადა იოჰანსონმა ერთ-ერთ ინტერვიუში. როგორც ჩანს, წელიწადნახევრის წინ ვარსკვლავმა რაიანის სახით, სწორედ ის „მონათესავე სული“ იპოვა, რომელზეც ოცნებობდა.

ჯესიკა ალბა ამერიკელ ახალგაზრდებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებს

ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯესიკა ალბა ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების სარეკლამო კამპანიაში — Declare Yourself — უკვე მეორედ მონაწილეობს. სააგიტაციო პლაკატებზე პირველად მოთავსებულ ფოტოსურათზე ჯესიკა მხოლოდ საიზოლაციო ლენტში იყო გახვეული, ამჯერად კი ფოტოგრაფის ფანტაზია უფრო შორს წავიდა და მსახიობი ჰანიბალის მძევლის როლში წარმოადგინა...

სარეკლამო კამპანია Declare Yourself ამერიკელ ახალგაზრდებს მოუწოდებს, აქტიური პოზიცია დაიკავონ, საკუთარი პოლიტიკური უფლებები გამოიყენონ და მომავალ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

კრისტინა აგილერა კიევში 2 კონცერტს გამართავს

ამერიკელი მომღერალი კრისტინა აგილერა უკრაინის დედაქალაქში დაგეგმილი ერთი კონცერტის ნაცვლად, ორს გამართავს. პირველი 20 ოქტომბერს სპორტის სასახლეში ჩატარდება, მეორე — სასახლე „უკრაინაში“ 21 ოქტომბრისთვის არის დანიშნული. კონცერტებზე პოპვარსკვლავთან ერთად, უკრაინელი მომღერლები პოტაპ და ნასტია კამენსკიხები იმღერებენ. „კრისტინა აგილერას გამოსვლასთან დაკავშირებით ისეთი აჟიოტაჟი ატყდა, რომ ორი კონცერტის ჩატარება გადავწყვიტეთ. სპორტის სასახლეში დაგეგმილ კონცერტზე ბილეთების ფასი შედარებით „დემოკრატიულია“ (250-2500 გრივნა), იქ არც VIP-ზონები იქნება; სასახლე „უკრაინაში“ ბილეთი 2.000-დან 9.500 გრივნამდე ეღირება. მეორე კონცერტზე დასწრების სურვილი მრავალმა ცნობილმა ადამიანმა გამოთქვა. სტუმრებს რუსეთიდანაც ველით“, — განაცხადეს ორგანიზატორებმა. კონცერტების გარდა, კრისტინა აგილერა კიევის ერთ-ერთი ბუტიკის გახსნასაც დაესწრება, სადაც საკუთარ ახალ არომატს წარმოადგენს. შესაძლოა, ამერიკელმა სტუმარმა კიევის პეჩორის ლავრაც მოინახულოს. ამერიკელი ვარსკვლავის მენეჯერებმა პოტაპ და ნასტია კამენსკიხები 20 მომღერალს შორის აირჩიეს, რომელთა შორისაც იყვნენ: მიხეილ პოპლავსკი, ანი ლორაკი, DBF-UHF და სხვები. მომღერლები ამერიკელი ვარსკვლავის შოუში მონაწილეობისთვის მიღებული ჰონორარის ოდენობას არ ასახელებენ. „მზად ვარ, კრისტინა აგილერას იქით გადავუხადო ფული, რომ მის კონცერტზე გამოსვლა შევძლო. იქნებ ოდესმე პირიქით მოხდეს და პრესაში დაბეჭდონ, რომ ჩემს კონცერტში კრისტინა აგილერა მონაწილეობდა... ამ დონის ვარსკვლავის კონცერტზე გამოსვლა პირველად მიწევს“, — ამბობს პოტაპი. „კრისტინა აგილერას კონცერტზე მოხვედრაზე ვოცნებობდი. ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ ამ კონცერტს აუცილებლად დავესწრები“, — აღნიშნა ნასტია კამენსკიხმა. იღბლიანი მომღერლები ახლა უკვე ალა პუგაჩოვას, რეპერ სნუპ დოგისა და მადონას კონცერტებში მონაწილეობაზე ოცნებობენ. როგორც ცნობილია, თავდაპირველი გეგმის თანახმად, აგილერას კონცერტში ანი ლორაკს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ამერიკელი ვარსკვლავის მენეჯერები და უკრაინელი მომღერალი ჰონორარზე ვერ შეთანხმდნენ. კრისტინა აგილერას წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ უკრაინელი მომღერლებისთვის პოპის პრინცესას კონცერტზე გამოსვლა გასამრჯელოს გარეშეც დიდი პატივია. ანი ლორაკი კი, რომელმაც წელს ევროვიზიის საერთაშორისო კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა, ამ აზრს არ ეთანხმება. „უფასოდ შემიძლია, ჩემი მეგობრებისთვის ვიმღერო. სცენაზე კი მსურს, ჩემი პატარა შოუ წარმოვადგინო. საკუთარი თავის პატივისცემა ვისწავლე და თუ აგილერას კონცერტის ორგანიზატორებს ჩემთან თანამშრომლობა სურთ, ჩემს პირობებს დათანხმდებიან, თუ არა და, დარბაზში ვიქნები და სიამოვნებით დავუკრავ ტაშს კრისტინა აგილერას, რომლის შემოქმედება ძალიან მომწონს“, — განაცხადა ანი ლორაკმა.



უბერებელი მონიკა ბელუჩი

ამ დღეებში, იტალიელმა მსახიობმა და მოდელმა მონიკა ბელუჩიმ დაბადების დღე იზეიმა, მაგრამ ძნელი სათქმელია — მერამდენე... მრავალრიცხოვან წყაროში მსახიობის დაბადების წლის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გვხვდება. ერთნი იუწყებიან, რომ მონიკა 1964 წელს დაიბადა, მეორენი კი ირწმუნებიან, რომ ის 1968 წელსაა დაბადებული...

მონიკას მამა სატრანსპორტო კომპანიის მფლობელია, დედა — მხატვარი. 16 წლის ასაკში გოგონამ მოდელად დაიწყო მუშაობა, რათა სწავლის ფული მოეგროვებინა. მონიკა იურისტობაზე ოცნებობდა და პერუჯის უნივერსიტეტში სწავლობდა. აღსანიშნავია, რომ ის ნამდვილი პოლიგლოტია: მშობლიური იტალიურის გარდა, შესანიშნავად ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს და ესპანურადაც შეუძლია საუბარი.

ანჯელინა ჯოლი – თოჯინის როლში

ჩვენს დროში ვარსკვლავთა უსულო თოჯინებად გარდაქმნა საკმაოდ პრესტიჟული საქმიანობაა. თავად ვარსკვლავებს თაყვანისმცემლებზე მეტად აინტერესებთ, თუ როგორები იქნებიან თოჯინის როლში. ამჯერად თოჯინების ოსტატებმა ანჯელინა ჯოლის „ორეული“ შექმნეს. მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ რომელი თოჯინა ჰგავს უფრო მეტად „ორიგინალს“.

ჯესიკა სიმფსონი ჭარსულში დაბრუნდა



ქალთა ჟურნალის — ELLE — ახალი ნომერი მომხიბვლელი ჯესიკა სიმფსონის ფოტოსურათმა დაამშვენა. ჟურნალის ფურცლებზე შექმნილი, ჯესიკა სიმფსონის სახე მსახიობს ძალზე უხდება. სოფლის ატმოსფერო, მოხატული მაღალყელიანი ჩექმები და კუბოკრული პერანგი — მოკლედ რომ ვთქვათ, ქანთრი-სტილი, რომელიც უფროს სიმფსონს მუდამ ამშვენებს.

კონცერტის დაგვიანება მადონას 135.000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა

ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე კონცერტის დაგვიანებისთვის, პოპის დედოფალი სწორედ ამ თანხით დაჯარიმდა. 11 სექტემბერს „უემბლიზე“ მომღერლის მსოფლიო ტურნეს — Sticky and Sweet — პროგრამით გათვალისწინებულ კონცერტს, რომელიც მადონას ახალი ალბომის — Hard Candy — გამოსვლას მიეძღვნა, 90 ათასი მსმენელი დაესწრო. კონცერტი ცხრის ნახევარზე უნდა დაწყებულიყო და თერთმეტის ნახევარზე დასრულებულიყო, მაგრამ მადონა სცენაზე მხოლოდ 9 საათისთვის გამოჩნდა, ამიტომ კონცერტი თორმეტის ათ წუთზე დასრულდა. შეფერხებამ სატრანსპორტო პრობლემები გამოიწვია. მაყურებელთა უმრავლესობამ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ვერ შეძლო. შედეგად, მადონას კონცერტის ყოველი ზედმეტი 15 წუთი 50.000 გირვანქა სტერლინგად შეფასდა. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს „უემბლის“ სტადიონზე კონცერტის გაჭინაურება ჯორჯ მაიკლსაც 130.000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

პორნოვარსკვლავი ტყუპს ელოდება

პორნოვარსკვლავმა ჯენა ჯეიმსონმა ოფიციალურად დაადასტურა გავრცელებული ხმა იმის შესახებ, რომ ის ორსულადაა და თავისი პარტნიორის, ტიტო ორტიზისგან ტყუპს ელოდება. „შემიძლია, ოფიციალურად დავადასტურო გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ ტყუპს ველოდები. დღეს მორიგი ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩამიტარეს და აღმოჩნდა, რომ ორი ჯანმრთელი ბავშვი მყავს. სიტყვები არ მყოფნის იმის გადმოსაცემად, თუ რა ვიგრძენი, როდესაც მონიტორზე ჩემი შვილები დავინახე. ამაზე დიდი ხანია, ვოცნებობ. არასდროს ვყოფილვარ უფრო ქალური და ბედნიერი“, — განაცხადა 34 წლის პორნოვარსკვლავმა!

მშობლებით კმაყოფილი და უკმაყოფილო შვილები

„როცა მოსუცდებიან, მათზე ვიზრუნებ, არაფერს ავუკრძალავ...“

თინეიჯერები ხშირად გვწერენ, რომ მათ მშობლები ვერ უგებენ, რაღაცებს უკრძალავენ, შეყვარებულებს უწუნებენ და ა.შ. უნდა ჩაერიონ თუ არა მშობლები შვილების არჩევანში? — ეს ის კითხვაა, რომელიც ყველა თაობის ადამიანს უჩნდება, მაგრამ ამაზე პასუხის გაცემა, ასე თუ ისე, ყველას უჭირს. რას ფიქრობენ ამის შესახებ თავად მოზარდები? — ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ლიკა ქაჯაია

ნინო, *16 წლის:*

— ჩემი მშობლები ყველაფერს მიკრძალავენ, მეგობრებთანაც არ მიშვებენ და ამის გამო, ხშირად სახლიდან გაპარვა მიწევს, რასაც ძალიან განვიცდი. ერთი მხრივ, მშობლების მოტყუება არ მინდა, მაგრამ სულ სახლშიც ვერ დავჯდები.

— როგორ ახერხებ შინიდან გაპარვას?

— ხან რას ვიმიზეზებ და ხან — რას. ძალიან მინდა, მშობლებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდეს, მაგრამ ყველა მცდელობა კრახით მთავრდება. ზოგჯერ, მამა ცდილობს, ჩემს ახირებებს გაგებით მოეკიდოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ერთხელ მას გავუმხილე, რომ შეყვარებული ვიყავი თანაკლასელ ბიჭზე და ისე გაბრაზდა, სულ თავბედი ვიწყევლე. მას აღარაფერს გავუმხელ!

— იქნებ, ის ბიჭი შენი ღირსი მართლა არ არის?

— რაც არ უნდა კარგი შეყვარებული მყავდეს, ჩემს მშობლებს ის მაინც არ ეოწონებათ, რადგან მე მათთვის ის პრინცესა ვარ, რომლის შესაფერისი საქმრო ამქვეყნად ძნელად თუ მოიძებნება. სინამდვილეში კი მე ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა სულაც არ მაქვს.

— ამ საკითხში დედაც ვერ გიგებს?

— ისიც ისე მსჯელობს, როგორც მამა და ამიტომაც, აღარც მას ვენდობი. მყავს მეგობრები, რომელთა მშობლებიც შვილების მოსაზრებებს პატივს სცემენ, მათ გადაწყვეტილებებს არ აცვლევინებენ და ყველაფერს გაგებით ეკიდებიან. რატომ არ შეიძლება, რომ ჩემებიც ასეთები იყვნენ? ეტყობა, ყველაფერს ბედი უნდა.

— შენი მეგობრები თავიანთ „გაგებულ“ მშობლებს არ ატყუებენ?

— იშვიათად.

— ეი. დედ-მამის მოტყუება მათაც უწევთ...

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პუმანზე მიდიან ან ბიჭთან „იზასავებენ“...

— იქნებ, ბიჭებთან ურთიერთობას მშობლები იმიტომ გიშლიან, რომ ეშინიათ, შენც სხვებს არ მიჰბაძო და ის არ გააკეთო, რაც ქართულ მენტალიტეტს არ შეეფერის...

— ალბათ ასეა, მაგრამ რაც მეტს ამიკრძალავენ, ისევ მათთვის არის უარესი. ხომ გაგიგონია — აკრძალული ხილი გემრიელიაო?!

— მოგეწონება, შენმა შვილმა ქუჩაში რომ „იზასაოს“?

— ალბათ, არ მომეწონება, მაგრამ მე ამას როგორ დავინახავ?.. ისე, სულაც არაა აუცილებელი, შეყვარებულს ქუჩაში შეხვდე.

— აბა, შენ და შენი „ლოვე“ ერთმანეთს სად ხვდებით?

— მეგობრის სახლში.

— მერე, მეგობრის მშობლები ამის გამო არ ბრაზობენ?

— ხომ გითხარი, ისინი ყველაფერს გაგებით ეკიდებიან-მეთქი. შენი აზრით, შეყვარებულთან შეხვედრა დანაშაულია? არა მგონია, ამქვეყნად უცოდველი ადამიანები არსებობდნენ თანაც, ოდესღაც ჩემი მშობლებიც ხომ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ვერ დავიჯერებ, რომ მათ ქორწინებამდე არ „უზასავიათ“.

— ეი. მიგაჩნია, რომ მშობლები შვილების საქმეში არ უნდა ერეოდნენ?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ყველაფერი საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ!

ნიკოლი, *15 წლის:*

— ჩემი მშობლები არაფერს მიკრძალავენ, მაგრამ თუ არასწორად ვიქცევი ან რაღაც სისულელეს ვიტყვი, რა თქმა უნდა, მიჯავრდებიან, შენიშვნას მაძლევენ და ეს სულაც არ მწყინს.

— შენი თანატოლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მშობლები მათ საქმეში არ უნდა ჩაერიონ...

— მაშინ, როცა თავიანთი სისულელეების გამო პრობლემები შეექმნებათ, ყველაფერი მშობლების ჩარევის გარეშე მოაგვარონ. შვილებისთვის დედ-მამას მხოლოდ კარგი უნდა და არა მგონია, მათზე უკეთესი რჩევა მეგობარმა მოგცეს.

— მშობლები ყველგან და ყოველთვის გიშვებენ?

— არის შემთხვევები, როცა რაღაცას მიკრძალავენ, მაგრამ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად და ვისთან ერთად მივდივარ. მათი აკრძალვები არ მაღიზიანებს... ერთხელ თანაკლასელის დაბადების დღეზე შევიკრიბეთ და ვიქეიფეთ. როცა მშობლებმა მომაკითხეს, მათ მაშინვე გავყევი. ბევრი ჩემი კლასელი სხვანაირად მოიქცა — ტირილით თვალები დაისივეს, იყვირეს, მშობლებს ნერვები მოუშალეს, მაგრამ ბოლოს მაინც მათ დაემორჩილნენ. არ სჯობდა, სახლში მშვიდად წასულიყვნენ?!. რა თქმა უნდა, ეს მათთვისაც უკეთესი იქნებოდა და მათი მშობლებისთვისაც, მაგრამ მოზარდებს ხშირად, უაზრო პროტესტის გრძნობა უჩნდებათ, ეს კი ძალიან ცუდია.

პაწუა, *15 წლის:*

— ზოგჯერ მშობლებზე ვბრაზობ, მაგრამ მერე ვხვდები, რომ ისინი მართლები იყვნენ და სადღაც რომ არ გამიშვეს, კარგადაც მოიქცნენ. ერთხელ ჩემი მეგობრები ზოოპარკში წავიდნენ, იქ არაყი დაულევიათ და ისინი პოლიციამ დაიჭირა, რადგან რაღაც სისულელეები ჩაუდენიათ. ჩემი მშობლების წყალობით, ამ გაუგებრობას ავცდი.

— მეგობრებთან ერთად რა მიზეზით არ გაგიშვეს?

— მშობლებს ვუთხარი, რომ ზოოპარკში საქეიფოდ მივდიოდით და გამიჯავრდნენ, — სხვა ადგილი ვერ იპოვეთ? თუ გინდათ, აქ იქეიფეთ, თუ არა და, არსადაც არ წახვალო!.. მათ შევეწინააღმდეგე, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. დიდი მადლობა მშობლებს იმისთვის, რომ რამდენიმე საათით, მაგრამ მაინც, საკანში ჯდომას გადამარჩინეს.

გიო, *16 წლის:*

— მშობლებს ვინ ეკითხება, მე სად წავალ?! მიუხედავად მათი პროტესტისა, ღამის კლუბშიც დავდივარ, ქალებშიც და ღვინოსაც ვსვამ. მამა ცდილობდა, სახლში გამოვეკეტე, მაგრამ მიხვდა, რომ მის ამ მცდელობას მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოჰყვებოდა და შემეშვა.

— **მაინც, რა შედეგი მოჰყვებოდა?**

— ერთხელ, როცა შინ ჩამკეტეს, ვენები გადავიჭერი და მას შემდეგ ისე დაშინდნენ, რომ ჩემს ყველა ახირებას გაგებით ეკიდებიან.

— **მათ ხშირად ატყუებ?**

— როცა რაღაცებს მიკრძალავდნენ, ვატყუებდი, მაგრამ ახლა ამას იშვიათად ვაკეთებ. ისე კი მათ საკუთარ თავზე იშვიათად ველაპარაკები.

— **მერე, ეს კარგია?**

— ჩემთვის — კი, მათთვის — არა, მაგრამ მშობლებს ყველაფერი რომ ვუამბო, ინფარქტი დაემართებათ.

— **მაინც, რას აკეთებ ასეთს?**

— განსაკუთრებულს არაფერს, მაგრამ ისინი სხვა დროში ცხოვრობდნენ და იმ რაღაცების შესახებ, რაც მე მომწონს, წარმოდგენაც არ აქვთ.

— **რას გულისხმობ?**

— გართობას, ოღონდ — თანამედროვეს. ახლა არ მკითხო, ეგ რას ნიშნავსო!

— **რატომ არ უნდა გკითხო?**

— თუ ამის შესახებ აქამდე არაფერი გაგიგონია, შენც ვერ გამიგებ და რაღაც სისულელეს დაწერ... მოკლედ, სულაც არაა საჭირო, რომ მშობლები შვილების საქმეებში ჩაერიონ. ისინი თავადაც გაიკვლევენ გზას.

— **მაშინ, მშობლებს არც ფული უნდა სთხოვო და არც იმ შემთხვევაში მიმართო დახმარებისთვის, როცა პრობლემა შეგექმნება.**

— ეგრე სად არის?! ისინი ვალდებულები არიან, შვილები არჩინონ.

— **შვილები მათ წინაშე ვალდებულები არ ხართ?**

— როცა მოხუცდებიან, მათზე ვიზრუნებ და თან, პირობას ვდებ, რომ მათ არაფერს ავუკრძალავ (*იცინის*). თუმცა ისინი „საგულაოდ" სიარულს, იმედია, არ მომთხოვენ...

ნინიკო, *17 წლის:*

— მშობლებს ვუჯერებ და ამის გამო არასდროს წამიგია. პირიქით, ყოველთვის მოგებული ვრჩები. არასდროს შევუწუხებივარ იმ პრობლემებს, რომლებიც ჩემს თანატოლებს აწუხებს. შეყვარებულიც მყავს, რომელსაც ჩემი მშობლები იცნობენ და მასთან ურთიერთობას არ მიკრძალავენ.

— **დედ-მამას არასდროს შესწინააღმდეგებიხარ?**

— ამის საჭიროება არასდროს მიგრძნია. მშობლები ჩემი მეგობრები არიან და მათთან დასამალი არაფერი მაქვს.

— **მშობლებთან შენი შეყვარებულიც მეგობრობს?**

— მეგობრობს, მაგრამ რაღაცების შესახებ მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ამიტომაც, რაღაცის დათმობა ხან ერთ მხარეს უწევს, ხან — მეორეს.

— **მის მშობლებს რომ დაეწუნებინე, როგორი რეაქცია ექნებოდა?**

— ისინი შვილის არჩევანს პატივს სცემენ ისევე, როგორც ჩემი მშობლები და თქვენი ჟურნალის მეშვეობით, მინდა, მათ ამისთვის დიდი მადლობა გადავუხადო.

„თინეიჯერული პონტების" წყალობით ბევრ რაღაც ვიცხოვრე

თინეიჯერები გვწერენ

ბიბო 17:

„ლიკ, მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ შენ და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემთვის რჩევის მოცემა არ დაიზარა. თქვენი წყალობით, დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენ, მე და ჩემს ვითომ „ლოვეს" ერთმანეთი არ გვყვარებია და თავს ტყუილად ვიდანაშაულებდი. ახლა ვძმაკაცობთ. ასე რომ, სიკვდილა, ისევე, როგორც მე, თქვენს რჩევებს სხვებიც გაითვალისწინებენ და ამიტომაც გთხოვთ, ადამიანებისთვის რჩევის მიცემა ნუ დაგენანებათ... ასევე მინდა გამოვეხმაურო დავითს: ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და იმედია, დავმეგობრდებით. P.S. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა ყველას! გკოცნით, თქვენი ფანი".

უცნობი:

„მე იმ წერილის ავტორი ვარ, №37-ში უცნობის სახელით რომ დაიბეჭდა. EKO BOY-ს მესიჯმა გული ძალიან მატკინა, ცრემლები მომერია. იცი, სიხარულო, მაგრად გეშლება. მე ის ქალი არ ვარ, ვილაცის ან რაღაცის გამო ვინმეს რომ დავუწვე. იცით, ამ ამბის მერე ზაზა დაბრუნდა და პატიება მთხოვა, მაგრამ აღარ მივიღე. მიეხვდი, ის ადამიანი არ არის, ვისაც შეიძლება, ცხოვრება დავუკავშირო... ყველას დიდ მადლობას გიხდით თანადგომისა და გაგებისთვის. P.S. ლიკ, ძალიან გთხოვ, თუ არ დამიბეჭდავ, EKO BOY-ს მაინც გააგებინე, რომ მაგრად ცდება".

მაცალე:

„დათო, ნუთისოფლისგან დაწყეველილი ადამიანი არ არსებობს. თუ სურვილი გაქვს, დამიმესიჯე და „სმს"-მეგობრები ვიყოთ".

ეშმაკუნა:

„ბავშვებმა მოგვწერეს, ვირტუალურ სამყაროში ბევრად გახსნილები ვართო. იმას, რაც ჩატში ხდება, გახსნილობა კი არა, უკომპლექსობა და გარყვნილება ჰქვია. ამბობენ, — იქ ადამიანის ხასიათის ამოცნობა ბოლომდე შეიძლებაო. რა იცით, რომ არ თვალთმაქცობენ? ჩემი აზრით, ვირტუალურ სამყაროში გაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა გაცილებით რთული და სახიფათოა, ვიდრე რეალურში. რატომ? — რა გარანტია გაქვს, რომ შენი ვირტუალური მეგობარი ყველაფერს (სახელს, გვარს, ასაკს და ა.შ.) არ გატყუებს? თანაც, „ვირტში" ადამიანს საოცრად ეჩვევი, რეალობას სწყდები და ისეთ ადამიანზე ფიქრში ათენალამებ, რომელზეც რეალურად, არაფერი იცი. თანაც, შეხვედრის შემდეგ ხშირად იმედგაცრუებულები რჩებიან. რეალური, ნალდი ურთიერთობა სულ სხვაა. P.S. ლიკ, ერთხელ მაინც მიპასუხე მესიჯზე ან იმ ინტერვიუებს რომ აკეთებ, გამოკითხვის მსგავსად, ერთხელ მეც დამიკავშირდი, რა". (*ეშმაკუნა, აუცილებლად დაგიკავშირდები, ამის იმედი გქონდეს. — ავტ.*).

იკუშკები:

„პრივეტ", ლიკ, ალბათ გახსოვს, რომ დაგირეკე და სტუდენტების პრობლემებზე ყურადღების გამახვილება გთხოვე. ჩვენ გვინდოდა, შენი მეშვეობით, ის 10 ათასამდე მესამეკურსელი შეგვეკრიბა, ვინც ჩვენსავით, აკრედიტებულ უნივერსიტეტში ეროვნული გამოცდები ჩააბარა და ახლა თურმე სახელმწიფო დიპლომები არ გვეკუთვნის. იმედი მაქვს, ჩვენს დიდ პრობლემას ცოტაოდენ ადგილს მაინც დაუთმობთ. ალბათ მალე განათლების მინისტრთან — ბატონ გია ნოდიასთანაც შევალთ და თუ საჭირო გახდება, საპროტესტო დემონსტრაციებსაც მოვაწყობთ. რატომ ზღუდავენ ჩვენს უფლებებს?! ან სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღონ, ან არა და, სტუდენტების აქციებსა და შიმშილობას მიიღებენ" (*იკუშკები, პირობას გაძლევ, მომავალ ნომერში თქვენს პრობლემას აუცილებლად გავაშუქებთ. — ავტ.*).

კახელო 616:

„გახსოვს, ჩემი წერილი რომ დაბეჭდე? მაშინ ბევრი სასიამოვნო რჩევა მივიღე, მაგრამ ორი ადამიანის მესიჯმა (აგათასა და ლომუას ვგულისხმობ) გული დამწყვიტა. მე ხომ მხოლოდ დახმარებას ვითხოვდი! ასეთ თემებზე არ ხუმრობენ და არ იტყუებიან... ახლა ლომუას მიმართ აზრი შემეცვალა — ტაიას ისეთი თბილი მესიჯი მისწერა, მიეხვდი, ცუდი ადამიანი არ არის და გამიხარდა, რომ ჩემი პასუხი, რომელიც ადრე მოგწერე, არ დაბეჭდე".

გრუზინკა:

„დავით ვლადიმერის ძევ, მე მართლა შემიძლია დაგეხმარო. სხვათა შორის, ბევრს დავხმარებივარ. ვეცდები, შენი მობილური ტელეფონის ნომერი გავიგო და აუცილებლად დაგიკავშირდები. გპირდები". (*გრუზინკა, თუ დამირეკავ, მის ნომერს მე მოგცემ. — ავტ.*).

პაწია:

„თინეიჯერული პონტების" მეშვეობით, ბევრ რამეს მიეხვდი და ცხოვრებაზე აზრიც შემეცვალა. თუ ადრე სიკვდილზე ვფიქრობდი, დღეს სიცოცხლე მწყურია. ბევრი მეგობარიც შევიძინე თქვენი წყალობით და ამისთვის — დიდი მადლობა! მე მიყვარს „გზა" და ყოველთვის მეყვარება. იმედია, ჩემი საყვარელი ჟურნალი და რუბრიკა არასდროს გამიცრუებს იმედს. მინდა, რომ ყოველთვის იარსებოთ. ნარმატებებს გისურვებთ და ძალიან, ძალიან მიყვარხართ!"

„შეიყვარე ისეთი ადამიანი, ვისაც შენი შვილიც ეყვარება“

„შეიძლება, მეორე ბავშვიც ქორწინების გარეშე გაგეჩინა...“

„გზის“ №40-ში დაიბეჭდა ლულუს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ ტელეფონით გაიცნო ბიჭი, რომელსაც დაუმალა, რომ შვილი ჰყავს. „სიმართლე მაშინ გავუმხილე, როცა ერთმანეთი ვნახეთ. მაკოცა და მითხრა, — ვერ დაგივიწყებ, მაგრამ ამხელა ტყუილის პატიებაც არ შემიძლიაო... როგორ მოვიგო მისი გული?“ ლულუ იმასაც აღნიშნავდა, რომ გათხოვილი არასდროს ყოფილა და ამბობდა, — მე „მატყუარა“ სიყვარულის მსხვერპლი ვარო.



აკა (ათენიდან):

„ლუ! ზვიადს კიდევ ერთხელ უთხარი, რომ მის გარეშე არ შეგიძლია და რომ ტყუილიც მისი სიყვარულის გამო თქვი... მერწმუნე, ემიგრანტობა დიდი მსხვერპლია. უფალი გფარავდეს. ამინ!“

ნოსტალგია:

„ზვიადმა იმიტომ გითხრა, ვერ დაგივიწყებო, რომ იმ მომენტში სხვა ვერაფერი მოიფიქრა. დარწმუნებული იყავი, მან დაგივიწყა და ახლა სხვას აჩუქნებს შენს წილ სიყვარულს. ის უსუსური კაცია და მას ბარიერის გადალახვა არ შეუძლია. დაივიწყე ზვიადი და თუ საზღვარგარეთ წასვლის სხვა მიზეზი არ გაქვს, ნურსად წახვალ. ისეთი კაცი შეიყვარე, ვინც შვილის ყოლას ნაკლად არ ჩაგითვლის. მერწმუნე, ასეთი პიროვნება აუცილებლად გამოჩნდება. P.S. თუ საზღვარგარეთ წახვალ, შვილს საქართველოში ნუ დატოვებ“.

ნანა (ათენიდან):

„ძალიან მეცოდები, მაგრამ ზვი დის ადგილას შენ რას იზამდი? ნუთუ, აპატიებდი? ვაუკაცი ტყუილს ვერ გაპატიებს. შეიყვარე ისეთი ადამიანი, ვისაც შენი შვილიც ეყვარება. ტყუილი აღარ თქვა და ღმერთი ხელს მოგიმართავს“.

ნერტილი:

„შეცდი, თავიდანვე რომ მოატყუე. მაგრამ არა უშავს, თუ მისთვის მნიშვნელოვანი ხარ, დაგეკონტაქტება, თუ არა, და, არც ამით დასრულდება ცხოვრება. არ დაგავიწყდეს, რომ შვილი გყავს და როგორც ღირსეულ დედას, ქალს შეეფერება, ისე უნდა მოიქცე. P.S. სიკვდილა, შენს მესიჯს მე ვუპასუხებ. სიკვდილის იმედი რომ არ ჰქონოდა, ადამიანი სიცოცხლეს არ ისურვებდა. პირადად მე ნუგეშსა და ახალ სიცოცხლეს სიკვდილში ვპოვებ. საინტერესოა, თავად რატომ გქვია სიკვდილა?“

CRAZY GIRL:

„მშვენიერო, ზვიადისთვის ბავშვის ამბავი არ უნდა დაგემალა. ისე, თუ მართლა უყვარხარ, ყველაფერს გაპატიებს და დაგიბრუნდება. ბედნიერებას გისურვებ!“

მაცალე:

„თუ უყვარხარ, არ დაგკარგავს. გაქცევა გამოსავალი არ არის. მერწმუნე, თუ ერთმანეთისთვის ხართ შექმნილები, ვერაფერი დაგაშორებთ. უფალს მიენდვე“.

ეშმაკუნა:

„არ შეიძლება, ადამიანს ასეთი ტყუილი უთხრა. შვილის ყოლა სახუმარო საქმე არაა და ეს არ უნდა დაგემალა. ერთხელ უკვე შეცდი და ბავშვი ჯვრისწერის გარეშე გააჩინე. ახლა ამის გამხელის გრცხვენია, რადგან თავადაც იცი, რომ დამნაშავე ხარ. ჰოდა, რატომ არ გინდა, სხვებისგან საყვედური და გაკიცხვა მიიღო?! ვფიქრობ, ზვიადი კიდევ კარგად მოგექცა. სხვა მის ადგილას გამოგიყენებდა და შეიძლება, მეორე ბავშვიც ქორწინების გარეშე გაგეჩინა. ზვიადი ნამდვილი ქართველია და არა მგონია, ტყუილი გაპატიოს. ჯობია, შვილს მიხედო და როცა ვიღაცას გაიცნობ, მას თავიდანვე სიმართლე უთხრა. ღმერთს ებარებოდე“.

იკუშკები:

„შვილი ცხოვრების დიდი საჩუქარია. თუ იმ ადამიანს უყვარხარ, აუცილებლად დაგიბრუნდება. ჩემს დაქალსაც ჰყავს შვილი და ისიც, შენს მსგავსად, „მატყუარა“ სიყვარულის მსხვერპლია. ისე კი გირჩევ, ბავშვის არსებობა აღარ დამალო. ბოლოს ჯა ბოლოს, თოჯინა ხომ არ არის?! თუ ვიღაც ვერ გაგიგებს და გაგკიცხავს, ყურადღება არ მიაქციო. ხალხი ბრბოა. 1 კვირის განმავლობაში იჭორავებს და მერე დაგივიწყებს. იმის, რომ დედა ხარ, კი არ უნდა გრცხვენოდეს, არამედ თავაწეული უნდა იარო. მერწმუნე, უკანონო ბავშვები არ არსებობენ“.

პანკუშკა:

„თუ უყვარხარ, აუცილებლად დაგიბრუნდება. გამხნევდი. ისე, იცის წასვლას რომ აპირებ? იქნებ, ამ ამბავმა შეცვალოს რამე? იქნებ, მას მოსაფიქრებლად დრო სჭირდება? თუმცა, ლოდინის გარდა რა დაგრჩენია?“

ეთო:

„სიმართლე თავიდანვე უნდა გეთქვა. შვილის არსებობა როგორ უნდა დამალო?! ხომ ხედავ, ახლა შენი ტყუილის შედეგს იმკი. მისთვის ყველაფერი თავიდანვე რომ გეთქვა, ასეთ დღეში არ ჩავარდებოდი. ტყუილზე აგებული ბედნიერება არ არსებობს“.

EKO BOY (**ძოგუ-ლეთიდან**):

„თუ საზღვარგარეთ მიდიხარ, რჩევას რატომღა ითხოვ? იქნებ, ამით ყურადღების მიქცევას ცდილობ? ზვიადს კი ვეტყვი, კაცურად მოიქცეს. მერე რა, თუ ბავშვი გყავს? თუ უყვარხარ, ამაზე თვალები უნდა დახუჭოს. მაგრამ არა, ის ქართულ მენტალიტეტს ვერ უღალატებს“.

სიკვდილა:

„როცა შენ მოგატყუეს და მიგატოვეს, მოგეწონა? არასდროს გაუკეთო სხვას ის, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ. ზვიადს დაანახვე, რომ ნანობ და იმედია, დაგიბრუნდება“.

ჭრიჭინა:

„არ სჯობდა, თავიდანვე სიმართლე გეთქვა? ხომ იცოდი, რომ ოდესმე ამის თქმა მოგიწევდა?.. რადგან ერთმა მამაკაცმა მიგატოვა, სამშობლოდან ამიტომ უნდა წახვიდე?!. ვაუკაცობა ისაა, რომ სხვის შვილს მხარში ამოუდგები და მამობას გაუწევ, თორემ საკუთარ შვილზე ყველა ზრუნავს. ასე რომ, ჩემო ლულუ, შენი ზვიადი ვაუკაცი არ არის და ჰე... მას რომ ჰყვარებოდი, შვილის გამო არ მიგატოვებდა“.

გრუზინკა:

„ზვიადს უნდა გაუგო. მჯერა, ისიც იტანჯება. ტყუილი ძნელი საპატიებელია, მაგრამ თუ უყვარხარ, უშენობას ვერ გაუძლებს და დაგიბრუნდება. ღმერთი არ გაგწირავს“.

უცნობი:

„რას ნიშნავს — „მატყუარა“ სიყვარულის მსხვერპლი ვარ“? არა მგონია, ვინმეს გაეუპატიურებინე... ზვიად, ჯიგარი ხარ. ისე, მაგარი ნერვები გქონია, თორემ ამ გოგოს ვაკოცებდი კი არა, მაგრად გავჯორავდი“.

მის გრაციო:

„ცუდად მოიქეცი, როცა შენი ამბავი დაუმალე, მაგრამ თუ უყვარხარ, აუცილებლად გაგიგებს. ალბათ, ამხელა ტყუილის პატიება უჭირს. სანამ საზღვარგარეთ წახვალ, დაელაპარაკე. წარმატებები!“

რომ ჰყვარებოდი, შეეცდებოდა, დედაშენისთვის თავი მოეწონებინა"

„თავმოყვარეობას ნუ დაკარგავ, წარსულს ნუ მისტირი"

„გზის" №40-ში დაიბეჭდა ბუტიას მესიჯი. ის გვწერდა, რომ თავდავიწყებით შეუყვარდა ადამიანი, რომელიც სიყვარულით პასუხობდა, მაგრამ დედამისმა სასიძო დაიწუნა. „ჩემმა სიხარულმა ეს ამბავი შეიტყო და როცა შევხვდი, მითხრა, — უნდა დავშორდეთო... დედაჩემის ნაცვლად ბოდიში მე მოვუხადე. ვთხოვე, — ურთიერთობა თავიდან ვცადოთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა". ამ ამბიდან ცოტა ხანში ბუტიამ შეიტყო, რომ მის შეყვარებულს სხვა შუყვარდა".

უცნობი:

„ის ბიჭი შენი სიყვარულის ღირსი არ ყოფილა. ეცადე, დაივიწყო. ღმერთი გფარავდეს".

გრუზინკა:

„თუ სხვა უყვარს, ველარ დაიბრუნებ. დედები შვილებს ხშირად უნგრევენ ცხოვრებას. მას ამის უფლება აღარ მისცე!"

ტირიფი 73:

„კარგად უთქვამს — სიყვარული სხვასთან ეძებეო. მას შეურაცხყოფამ გული ატკინა, გაუცივა. თავს ტყუილად ნუ დიტანჯავ, ის უკვე სხვას ეკუთვნის. დრო გავა და თავს შენც მოერევი".

PAKI-PUKA:

„ანგელოზო, ძალიან ცუდი ამბავი შეგმთხვევია. ჩემი აზრით, ყველაფერი დედაშენის ბრალია. არ მქსმის იმ მშობლების, რომლებიც ცდილობენ, შვილები შეყვარებულებს დააშორონ... გირჩევ, საკუთარ თავში არ ჩაიკეტო, გული არ გაიტეხო და დარწმუნებული ვარ, თუ იმ ბიჭს უყვარდი, აუცილებლად დაგიბრუნდება. P.S. კახელებო, გენაცვალეთ. ისე, მეც კახელი ვარ".

ჭრიჭინა:

„მას არანაკლებ უყვარხარ, მაგრამ რადგანაც დედაშენმა თავისი ბასრი კლანჭები გამოაჩინა, თქვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. შენ აღარაფრის გაკეთება არ შეგიძლია. გირჩევ, სხვა დროს ეს ამბავი მაგალითად გამოიყენო და დედაშენს უთხრა, რომ ცოტა „დააჭიროს". და კიდევ, ბოდიში იმან უნდა მოიხადოს, ვინც დააშავა. მაპატიე, თუ მწარე მესიჯი გამომივიდა, მაგრამ საქმე აქამდე არ უნდა მიგეყვანა. მას უკვე სხვა შეუყვარდა და შენც მის გარეშე მოგიწევს ცხოვრება. დედას თუ არ დაელაპარაკები, ყველა თაყვანისმცემელი გაგექცევა. გირჩევ, საკუთარი სიყვარულის დასაცავად 'სხვა დროს ყველაფერი გააკეთო".

სიკვდილა:

„თავს რატომ იდებილებ? ნუთუ ვერ ხვდები, რომ დედაშენი საბაბი იყო დასაშორებლად, თორემ ნამდვილი სიყვარული ყველაფერს უძლებს. იმ ბიჭს არ ჰყვარებიხარ და ეს შანსი გამოიყენა. თავს ნულარ იტანჯავ! ვიცი, გაგიჭირდება, მაგრამ ის ბიჭი უნდა დაივიწყო".

EKO BOY *(ქობულეთიდან)*:

„შენს „ლოვეს" კიდევ ერთხელ სთხოვე, დაგიბრუნდეს, დედაშენის ყვირილს კი ყურადღებას ნუ მიაქცევ, თორემ თუ მიხვდა, რომ ადვილად გიმორჩილებს, ცოტა ხანში შენს თავს ისეთ ტიპს მიათხოვებს, რომელიც ცხოვრებას ვაგიმწარებს. ბედნიერებას გისურვებ!"

WOW STOP:

„ჩემო კარგო, ის ბიჭი უნდა დაივიწყო და სხვა შეიყვარო. ეს არც ისე ადვილია, მაგრამ შენ ამას შეძლებ! თუ მას უშენოდ სიცოცხლე შეუძლია, შენ რატომ არ უნდა იცოცხლო? თანაც, რომ ჰყვარებოდი, ხელს არ ჩაიქნევდა და სიყვარულისთვის ბოლომდე იბრძოლებდა. იცი, ერთი ჩემი ახლობელი უყვარდა ბიჭს, რომელსაც გოგოს დედა ვერ იტანდა — ლანძღავდა, საშინელებებს ეუბნებოდა, მაგრამ ბიჭმა იმდენი ქნა, რომ შეყვარებული ცოლად მოიყვანა და ახლა სიძე-სიდედრი ერთმანეთს მშვენივრად ეწყობა. აბა, შენ იცი, დიდი სიყვარულის პოვნას გისურვებ!"

პანკუშკა:

„ჭკუა დაკარგე თუ რა ხდება? დედაშენს ნურაფერს აბრალებ. ის მშვენივრად მიხვდა, შენი შეყვარებული როგორი ადამიანიც იყო. მან ხომ გითხრა, რომ სხვა შეუყვარდა. ჰოდა, თავმოყვარეობას ნუ დაკარგავ და წარსულს ნულარ მისტირი".

ფიფილა:

„იმ ბიჭის გამო ნერვიულობა არ ღირს. რატომ?.. ჯერ ერთი, სხვა უყვარს და მეორეც, ძალიან ადვილად დაგთმო. რომ ჰყვარებოდი, შეეცდებოდა, დედაშენისთვის თავი მოეწონებინა. იპოვე საკუთარ თავში ძალა და უღირს ადამიანს ხვეწნას ნუ დაუწყებ... ახალ სიყვარულს დაელოდე".

მგელო:

„მერე რა, რომ დედაშენმა გალანძღა? მეც გამლანძღა სასიდედრომ, — ნაციხარს შვილს არ გავაყოლებო, მაგრამ მე მაინც არ მივატოვე. მერე კი საყვარელი ადამიანი ღმერთმა წამართვა. მერწმუნე, კაცების 95% ქალების ცრემლებად არ ღირს".

ლომუა:

„იმ ბიჭს არ უყვარდი და არ მესმის, ახლა სლუკუნი ან ცრემლების ღვრა რა საჭიროა?! დედა არასდროს გაამტყუნო, მას შენთვის კარგი უნდა და მის ამაგს ქარს ნუ გაატან. რომ ამბობ, — მის გარეშე ვერ ვიცოცხლებო, — ასეთ ზღაპრებს თავი დაანებე!"

იკუშკეგი:

„ძნელი მოსასმენია, მაგრამ მას აღარ უყვარხარ. ხშირად საიმაყე სიყვარულს კლავს. ჯობს, დედას მეგობრულად დაელაპარაკო. ნურავის მისცემ უფლებას, ცხოვრება დაგინგრიოს. რატომღაც, მშობლებს ჰგონიათ, რომ ჩვენზე ჭკვიანები არიან. ბუტია, ფარ-ხმალს ნუ დაყრი, ბოლომდე იბრძოლე. იპოვე საკუთარ თავში იმის ძალა, რომ საკუთარი ინტერესების დაცვა შეძლო".

ეშმაკუნა:

„ჩვენ, ადამიანები თანასწორნი ვართ და უფლება არ გვაქვს, ამა თუ იმ მიზეზის გამო ვინმე გავლანძღოთ, გარეგნული ნაკლის გამო ვიღაც ავითვალწუნოთ. ბუტია, გასაგებია, რომ შენს შეყვარებულს ეწყინა, დედაშენი რომ ლანძღავდა, მაგრამ ვფიქრობ, მას არ უყვარდი, თორემ ამის გამო არ მიგატოვებდა. პირიქით, ეცდებოდა, სასიდედროსთვის დაემტკიცებინა, რომ მასზე არასწორი შეხედულება ჰქონდა. ჯობს, დაივიწყო. სიყვარულმა თუ გულში არ დატოვა იარა/ მაშინ იგი სხვა ყოფილა, სიყვარული კი არა/ სიყვარულს გაუფრთხილდით!"

ფიკვინა:

„შენმა „ესემესმა" გამაღიზიანა. გავბრაზდი შენზე და... უცებ გამახსენდა, რომ მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი. მეგონა, მის გარეშე „დავიშლებოდი", ამქვეყნად ველარ მნახავდნენ, რადგან გავქრებოდი, მაგრამ... მის გარეშე ველარ იცოცხლებ?.. ჰმ, იცოცხლებ და გამხიარულდები კიდეც. დამიჯერე, ეს ცხოვრება ტანჯვად არ ღირს".

ჩიტუნია:

„დედაჩემი ჩემს შეყვარებულს ვერ იტანდა, მაგრამ ახლა ის მისი საყვარელი სიძეა. ასე რომ, თუ უყვარდი, არ უნდა მიეტოვებინე. ჩემო კარგო, ჯობს, სხვა შეიყვარო. ბედნიერებას გისურვებ!"

„მინდა, ნამდვილი მეგობრები მყავდეს, მაგრამ..."

ვიკა:

„ასე მგონია, არავის ვუყვარვარ და ჩემზე არავინ ზრუნავს. თითქმის ყველაფერი მაქვს — ტანსაცმელი, ფული და მგონია, რომ ჩემთან მხოლოდ ამის გამო მეგობრობენ. სითბო მაკლია. მინდა, ნამდვილი მეგობრები მყავდეს, მაგრამ მათი შერჩევა ძალიან რთულია. „ლოვეშიც" არ მიმართლებს. ცუდია, შენი რომ არ ესმით. დამეხმარეთ".

„ეაჟიდაუვილეა ეაეაუპაჩიჩა... სცოჭრეპის ხალისი დაეკარგე"

ტანჯულა:

„არ ვიცი, რა ვქნა: ჯერ 14 წლის ვარ და ცხოვრებაში იმდენი რამ გადამხდა, რომ... 13 წლის ასაკში მამა დამეღუპა, დედა საბერძნეთში წავიდა, ეს კი ბებიასთან ვცხოვრობ. რამდენიმე თვის წინ მამიდაშვილმა გამაუპატიურა. ძალიან ცუდად ვარ, სიკვდილი მინდა. ეს ამბავი არავისთვის მითქვამს, ამის გამეღავნებას ვერ ვბედავ და საკუთარ თავში ჩავიკეტე, ცხოვრების ხალისი დავკარგე. P.S. ლიკ, მთელი გულით გთხოვ, დამიბეჭდე. იქნებ, ამან მაინც გადამარჩინოს".

P.S. მაშ ასე, თუ ვიკასა და ტანჯულას წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

განქორწინება „პატარა სახელმწიფოს" ნგრევა

ვერ გეტყვით, რომ დღეს ფრიდრიხ ენგელსი აქტუალურია, მაგრამ მისი ერთ-ერთი სენტენცია — ოჯახი პატარა სახელმწიფოა სახელმწიფოში, — კვლავ ძალაში რჩება. არც იმას უნდა დიდი მკითხაობა, რომ ამ „პატარა სახელმწიფოთა" რღვევა XXI საუკუნეში საკმაოდ ხშირად ხდება, რაც თავისთავად, დიდ სახელმწიფოსაც უთხრის ძირს...

ნანა შიცხელაური

„მამაკაცმა პრეზიდენტს მისწერა – ქალმა შვილები მომტაცაო"...

წინა საუკუნეში თუ განქორწინების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზი ცოლის ან ქმრის ღალატი იყო, ახლა სოციალურმა ფაქტორმა წამოიწია წინა პლანზე. მამაკაცები ქალთა ემანსიპაციაში ხედავენ ტრაგედიას, ქალები მამაკაცების უფუნქციობას უჩივიან... და ბოლოს, მათი თუნდაც მრავალი წლის მანძილზე ნაშენები ურთიერთობა ერთ დღეში, სასამართლოს კართან სრულდება, რითაც ყველაზე მეტად, „პატარა სახელმწიფოს" პატარა „მოქალაქეები" — ბავშვები ზარალდებიან.

ციცო ცხვედიანი, *ადვოკატი:*

— ბოლო ხანს ძალზე აქტუალური გახდა განქორწინების თემა. ის განსაკუთრებით მტკივნეულია მაშინ, როცა წყვილს მცირეწლოვანი შვილები ჰყავს და არ არის გარკვეული, თუ სად უნდა იცხოვრონ. კანონის თანახმად, ეს საკითხი მშობლების ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყდეს. საქართველოში გავრცელებული პრაქტიკით, მცირეწლოვანი ბავშვები, როგორც წესი, დედასთან რჩებიან, მაგრამ როდესაც მშობლები ვერ თანხმდებიან, ვისთან იცხოვრონ შვილებმა, ამ საკითხს სასამართლო წყვეტს.

— კანონის მიხედვით, ბავშვს რომელი წლიდან აქვს არჩევანის გაკეთების უფლება?

— ადრე, 10 წლიდან ჰქონდა ბავშვს არჩევანის გაკეთების უფლება, ახლა კანონში ცვლილება შევიდა — ეს აკი ამოღებულია. ამას წინათ, ერთი საინტერესო პროცესი მქონდა. ცოლ-ქმარი განქორწინდა, 7 წლის ბავშვი დედასთან დარჩა. შემდგომ, დედამ საცხოვრებელი შეიცვალა — სხვა ქალაქში გადავიდა, შესაბამისად, ბავშვიც თან წაიყვანა. მამას ეს არ მოეწონა, ბავშვს სკოლასთან დახვდა და თავისთან წაიყვანა. დედა იძულებული გახდა, ისევ სასამართლოსთვის მიემართა. ყურადსაღები იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ფსიქოლოგის მიერ გაკეთებული განმარტება (საქმეში განათლების რესურსცენტრი და ფსიქოლოგიც ჩაერთვნენ): „დედისა და შვილის „სიმბიოზი" იმდენად ძლიერია 11 წლამდე, რომ თუ რაღაც განსაკუთრებულად ანომალიურ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, უმჯობესია, ბავშვი დედასთან იზრდებოდეს". ამგვარად, საქმე ის არ არის, რომ კანონმდებელს ასაკი — 10 წელი მოეწონა და ამიტომ ჩაწერა კანონში. ეს მეცნიურულადაა დადგენილი. ამ ასაკის შემდეგ, ბავშვი უკვე შედარებით იოლად იტანს დედასთან დაშორებას. ამიტომ, თუკი დედას ელემენტარულ დონეზე მაინც შეუძლია ბავშვის უზრუნველყოფა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ჯობს, შვილი მასთან დარჩეს.

— ხშირად ხდება ისე, რომ ბავშვი განქორწინებულ მეუღლეთა შურისძიების იარაღადაც იქცევა. ამაზე რას იტყვით?

— არის შემთხვევები, როცა მხარეები შვილისთვის ბრძოლისას ცდილობენ, მას მშობელი შეაძულონ. ხშირ შემთხვევაში, როცა ოჯახი მეუღლის ღალატის გამო ინგრევა, ქალს მამაკაცის მიმართ შურისძიების სურვილი უჩნდება, რაც, შვილის ნახვის აკრძალვის გარდა, საკუთარ გვარზე მისი გადაყვანის მცდელობაშიც გამოიხატება. დიდი ძალისხმევა დამჭირვებია საიმისოდ, რომ დედებს ამ განზრახვაზე უარი ეთქვათ. მართალია, ადვოკატი ვარ და თითქოს უნდა მიხაროდეს, რომ კლიენტს ფულს გადავახდევინებ, მაგრამ მგონია, ადვოკატის უპირველესი მისია და ფუნქცია ის არის, რომ თუ შესაძლებელია, ადამიანს სასამართლოს გარეშე დაეხმაროს. საკუთარ სინდისთან მართალი ხომ უნდა იყო?! თუ მხარეები სასამართლოს გარეშე ვერ შეძლებენ პრობლემის მოგვარებას, მერე მოვიდნენ ჩემთან. ერთხელ, განწმატებული ქალი მეწვია, თავის დედასთან ერთად, და მეუბნება: მინდა, ბავშვს გვარი შევუცვალოო. ვურჩიე, ეს არ გაეკეთებინა. — თქვენ ვინ გკითხავთ?! ადვოკატი ხართ, თანხა დამისახელეთ და საქმეს მოჰკიდეთ ხელიო, — მითხრა. — შვილზე თუ გიფიქრიათ-მეთქი? — და იმ შემთხვევებზე მოვუყევი. როცა ქალები თავს იკლავდნენ იმისათვის, რომ შვილებისთვის მამის ვინაობა დაედგინათ და მის გვარზე დაეწერათ. ღვთის მადლით, ბავშვს მამის გვარი აქვს და რატომ ართმევთ? როცა გაიზრდება და დედის გვარზე იქნება, ამ ბავშვს მოუწევს, სულ სასამართლოს გადაწყვეტილება აფრიალოს: მე ქორწინების გარეშე კი არ ვარ გაჩენილი, დედ-მამა რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო და გაბრაზებულმა დედაჩემმა გვარი შემიცვალაო?!. ქალს ვურჩიე, დამშვიდებულიყო, ყველაფერი აეწონ-დაეწონა და ისე მოსულიყო. სიძეზე გაბრაზებულმა სიდედრმა დიდი მადლობა გადამიხადა: ჩემს შვილს მე ვურჩიე, ბავშვისთვის გვარი გამოეცვალა, მაგრამ საკითხისთვის ამ კუთხით არ შემიხედავს; ჩვენ აქ აღარ მოვალთო... მე ეს მიმაჩნია საქმის მოგებად და არა ის, რომ სასამართლოში შეგვეტანა სარჩელი, იქ მოგვეგო და ბავშვს გვარი

შესცვლოდა.

— ქალბატონო ციცო, კანონი თუ მიუთითებს რომელიმე მშობლის — დედის ან მამის უპირატესობას და თუ ყოფილა პრეცედენტი, როცა სასამართლოს, მამისთვის გადაუცია შვილი აღსაზრდელად?

— იშვიათობაა, მაგრამ იყო ამგვარი პრეცედენტი. ქალი წავიდა ოჯახიდან და დატოვა სამი მცირეწლოვანი შვილი (მათგან უფროსი — 7 წლის, უმცროსი კი — ორის). საქმეში მესამე პირი არ ერია ანუ ქალს მამაკაცის გულისთვის არ მიუტოვებია ოჯახი. რამდენიმე წლის შემდეგ ქალმა ბავშვების წაყვანა მოინდომა. მათ დედის ხსენებაც არ უნდოდათ. სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — სამი მცირეწლოვანი შვილი მამას მიაკუთვნა. ასე რომ, კანონი კონკრეტულად არ უთითებს არც დედის, არც მამის უპირატესობას, მაგრამ საქართველოში შვილი მამას დაუტოვო — ძალზე იშვიათი გადაწყვეტილებაა. იმ შემთხვევაში, მამა არ იყო წინააღმდეგი, რომ ბავშვებს დედასთან ჰქონოდათ ურთიერთობა, დედაზე აუგს არ ეუბნებოდა და მის მიმართ მტრობასა და სიძულვილს არ უნერგავდა. ბავშვები მამასთან მატერიალურადაც უზრუნველყოფილნი იყვნენ, არც სითბო და სიყვარული აკლდათ, მათ მამა და ბებია იმდენად უყვარდათ, დედა აღარც უნდოდათ. სასამართლომაც მამის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომ გასაჩივრდა. ზემდგომმა სასამართლომ გადაწყვეტილება გააუქმა და შვილები დედას მიაკუთვნა. ამ ახალი გადაწყვეტილების აღსრულება ვერანაირად ვერ მოხერხდა — რამდენჯერაც დედა, აღმასრულებელთან ერთად, ბავშვების წასაყვანად მივიდა, შვილები წივილ-კივილით აქეთ-იქით გარბოდნენ და იმალებოდნენ. მეტიც, მათ მომხდარის გამო, ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ — განუვითარდათ ნევროზი, ფსიქოზი და ა.შ. ეს დავა წლობით გრძელდებოდა.

— და რით დასრულდა?

— საოჯახო დავების თავისებურება ის გახლავთ, რომ თუ ვითარება შეიცვალა, როგორც წესი, შესაძლებელი ხდება საოჯახო დავის ხელახლა დაწყება. მამა იძულებული გახდა, დაეყენებინა ახალი სარჩელი ასეთი მოთხოვნით (ადრე მამა ამბობდა, — დედის თანაბარი უფლებები მაქვს, ამიტომ მე მომაკუთვნეთ შვილებიო): არა ვარ წინააღმდეგი, ბავშვები დედასთან იზრდებოდნენ, მაგრამ არ მიდიან, რა ვქნა, ძალით ვერ მივცემ, ამიტომ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი აღსაზრდელად გადმომეცითო. ამ ქალმა არაოფიციალურად (სასამართლოს სხდომის ოქმში არ დაფიქსირებულა), ქმარს წაუყენა მოთხოვნა: თუ 2-ოთახიან ბინას მიყიდი, თავს დაგანებებ, ბავშვები შენ დაიტოვეო. პროცესი ისე გაჯანჯღლდა, გადაწყვეტილება დღესაც არ არის გამოტანილი. ბავშვები მამასთან დარჩნენ და მათ დედა აღარც კითხულობს.

— რა შემთხვევაში აკმაყოფილებს სასამართლო მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხს?

— მშობლის უფლების ჩამორთმევა იმ დროს ხდება, თუ ის ქრონიკული ნარკომანი ან ალკოჰოლიკია, ან ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას — სცემს ან თავისი ამორალური ქცევით ცუდ გავლენას ახდენს ბავშვზე. ერთ კურიოზულ პროცესს გავიხსენებ: ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა, მათ 3 წლის შვილი ჰყავდათ; როგორც ქალბატონმა მითხრა, მისი ქმარი ქრონიკული ნარკომანი იყო და მისთვის მამობის უფლების ჩამორთმევა მოითხოვა, რადგან არ სურდა, შვილს მამასთან ურთიერთობა ჰქონოდა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში შურისძიების სურვილთან გვქონდა საქმე: გაბრაზებული ცოლი ქმარს ამით, ცუდი მოპყრობისთვის სამაგიეროს უხდიდა. ქალბატონს ავუხსენი, რომ თუ ექსპერტიზა არ დაასკვნიდა, რომ მამაკაცი მართლაც, ქრონიკული ნარკომანი იყო, სასამართლო მას მამობის უფლებას ვერ ჩამოართმევდა. კურიოზული აქ ის იყო, რომ ქმრის მხარემ შეგებებული სარჩელი შემოიტანა (ქალბატონი ცოტა ზედმეტად ემოციური გახლდათ) და მოითხოვა, ჩემი კლიენტისთვის დედობის უფლება ჩამოერთმიათ იმ მოტივით, რომ ის შეურაცხადი იყო. მათაც ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვეს... სასამართლო გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა — ორივე მხარე მშობლის უფლების ჩამორთმევას ითხოვდა: ერთი — შეურაცხადობის, მეორე — ნარკომანობის მოტივით. ორივე ამბობდა ერთმანეთზე, — მასთან ბავშვის ყოფნა ააშიშიაო. მოსამართლე გაოგნდა, მაგრამ ორივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ველოდებით ექსპერტიზის პასუხს; მე და მეორე მხარის ადვოკატი ერთმანეთთან ვსაუბრობთ — ორივეზე დადებითი პასუხი რომ მოვიდეს, ბავშვს რა ვუყოთ-თქო? უდედმამოდ თუ დავტოვებდით, ისღა გვრჩებოდა, ჩვენ გვეზრუნა მასზე და გაგვეზარდა... საბედნიეროდ, ექსპერტიზის პასუხი ორივე მხარიდან უარყოფითი მოვიდა. არც ერთს არ ჩამოართვეს მშობლის უფლება, მოხდა განქორწინება და მამას შვილთან შეხვედრის დღეები განუსაზღვრეს. სხვათა შორის, ხშირად ვინტერესდები იმ მამების საქციელით, რომლებიც თავს იგიჟებენ, — შვილმა ჩემთან უნდა იცხოვროსო, — და როცა სასამართლოს მხარიდან გარკვეულ პირობებს დაიკმაყოფილებენ, იჩენენ თუ არა მზრუნველობას ბავშვის მიმართ. თავიდან ჩანს ისე, რომ მამებს ამ შვილების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, მამებსა და შვილებს შორის კონტაქტი სუსტდება და კაცები მიღწეულით აღარც სარგებლობენ. შვილების ნახვის სურვილი დროთა განმავლობაში ქრება.

— ასაკოვანი წყვილების მხრიდან თუ მოდის ოჯახის დანგრევის ინიციატივა?

— ამას წინათ მქონდა ერთი განქორწინების საქმე: ცოლ-ქმარს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავდა. მათ შორის ცოლქმრული ურთიერთო-

ნომერში ეხილეთ:
3 პოსტერი
რუსების სამხედრო დანაკარგები
ბრიგადული ჯგუფი ალბრიანი შაჯანა
ფრაგმენტები: რაკეტამორბედული რუსული მოიერიშეები
ყველაზე კასპარი ჟურნალი არა მარტო მაგაკაცებისთვის
ომი ფლოსის ტბაზე
ბაბილონის ბაღლინჯო
ბაბილონის ბაღლინჯო
ბაბილონის ბაღლინჯო

ბა 7 წელი შეწყვეტილი იყო, მაგრამ ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ქალმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, კაცმა კი უარი თქვა გაყრაზე: მერე რა, რომ სხვა ქალი მყავს? საქართველოში ასე ბევრი ცხოვრობს; აღარ ვივლი იმ ქალთან, ოჯახის აღდგენა მინდაო. სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ქალის სახელზე ირიცხებოდა (არ იყო ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება). ქალი ეუბნებოდა, — ფულს მოგცემ, ოღონდ წადიო. მეუღლეებს შორის თუკი ერთს მაინც არ სურს მეორესთან ცხ-



ოვრება, ვერანაირი კანონი და მოსამართლე (შერიგების 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ) ძალით ვერ აცხოვრებს ერთად. სასამართლომ განქორწინების გადაწყვეტილება კი გამოიტანა, მაგრამ პრაქტიკაში არ მქონია შემთხვევა, რომ განქორწინების გადაწყვეტილება ვინმეს გაესაჩივრებინოს. იმ კაცმა იჩივლა; მე არ მინდოდა განქორწინება და რას ჰქვია, მოსამართლემ განგვაქორწინაო?! გავედით აპელაციაზე, რომელმაც გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სასამართლომ ამ კაცს აუხსნა, მისი მოთხოვნის შესრულება შეუძლებელი იყო. წარმოებაში არც გვქონია ამგვარი საჩივარი. მით უმეტეს, კანონი ამბობს, — თუკი შერიგდებით და ისევ მოგინდებათ ერთმანეთი, დაქორწინდითო.

— ეროვნული მენტალიტეტი თუ ყოფილა განმსაზღვრელი, განქორწინების შემთხვევაში?

— ყოფილა. საქართველოს მოქალაქე ქალი და ირლანდიელი მამაკაცი დაქორწინდნენ. წავიდნენ საზღვარგარეთ, სადაც ორი შვილი შეეძინათ. მენტალიტეტიდან გამომდინარე, წყვილი ერთმანეთს ვერ შეეწყო. ქალი იძულებული გახდა, საქართველოში წამოსულიყო, შვილებთან ერთად. მამაკაცმა ერთი ამბავი ატეხა, რამდენიმე ქვეყნის პოლიცია დააყენა ფეხზე, პრეზიდენტსაც (სააკაშვილს) კი მისწერა წერილი, — არიქა, მიშველეთ, ქალმა შვილები მომტაცაო! მან ლამის ინტერპოლს გადასცა საქმე. მაგრამ კონვენციის თანახმად, დედას ვერავინ დასდებდა ბრალს შვილების გატაცებაში. ბავშვები შემდგომ დედას გადასცეს, მამა კი ითხოვდა, მე დამიტოვეთო. პროცესი ჩვენ მოვიგეთ, მერე გარიგებაზე წავედით, — თუ რა პირობით უნდა წაეყვანა მამას ბავშვები ირლანდიაში. ძალზე მძიმე და დაძაბული პროცესი იყო. ეს კაცი ხომ ასე იგიჟებდა თავს, შვილები ჩემთან უნდა იყვნენო! ჰოდა, მან მორიგეობით წაიყვანა თავისთან ბავშვები: ჯერ — უმცროსი, შემდეგ — უფროსი. ბავშვები საქართველოში გაზრდილები იყვნენ და ბუნებრივია, ქართული მენტალიტეტი, ხასიათი ჰქონდათ. ირლანდიაში მამის ნათესავს ცივად და მკვახედ უთქვამს რაღაცა უფროსი შვილისთვის, მასაც პასუხი დაუბრუნებია. მამას ეს არ მოეწონა და გამოუცხადა, — ასეთი შვილი არ მინდა, არ მომწონხარ, ჩემთან აღარ წამოგიყვანო. მამამ, რომელიც შვილზე ჭკუას კარგავდა, უთხრა, — თვალით აღარ დამენახვოო! ის კაცი მას შემდეგ, ზრდილობის გულისთვის, ათასში ერთხელ თუ მოიკითხავს ცოლშვილს, — ცოცხლები თუ ხართო? აქ ხელის შემშლელი ფაქტორი ამ ადამიანების განსხვავებული მენტალობა იყო: ქართველ ქალს გაუჭირდა სხვა გარემოსთან შეგუება და ქმართან მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა. სხვათა შორის, აგვისტოს ომის პერიოდში ირლანდიელი შეხმიანებია ოჯახს: ფულს გამოგიგზავნით და სადმე სხვაგან წადითო.

— თუ გაიხსენებთ ისეთ შემთხვევას, რომლის დროსაც წყვილებს განქორწინების უცნაური მოტივაცია ჰქონდათ?

— ერთმა ქალბატონმა მომაკითხა, შემზარავი ფაქტები მიამბო მეუღლეზე. გულწრფელად შემეცოდა: მომიყვა — როგორ ავიწროებდა მეუღლე, როგორ სასტიკად ეპყრობოდა, სცემდა და როგორ დესპოტურად ექცეოდა შვილებს. მან სხეულზე დალურჯებული ადგილებიც მიჩვენა. მეგონა, ჩვეულებრივ მოქალაქეზე მიყვებოდა. ვკითხე, — როგორ უჩერდებით ამისთანა სასტიკ ადამიანს? სასამართლოში სარჩელი შეიტანეთ-მეთქი! — ამას ვერ გავბედავ, უხერხულ სიტუაციაში ჩავვარდები, მეც მორწმუნე ვარო. — ვერ გავიგე-მეთქი. ბოლოს ამოთქვა: ჩემი მეუღლე — მღვდელია, თანაც, ძალიან კარგი მოძღვარი და მრევლს სიგიჟემდე უყვარს; იმდენად სასტიკია, მეშინია, საჩივარი რომ შევიტანო, არ მომკლასო. გავოცდი, ენა ჩამივარდა და ველარაფერი ვუთხარი.

— ბრძანეთ, განქორწინება ძალზე აქტუალური გახდაო. უმეტესად, რის საფუძველზე ინგრევა დღეს ოჯახები?

— დღეს ოჯახის დანგრევის ინიციატივა უმეტესად, ქალისგან მოდის. იმრავლა ისეთი ოჯახების დანგრევის რიცხვმა, სადაც მამაკაცები, ფაქტობრივად, უფუნქციოდ არიან დარჩენილნი, შემოსავალი არა აქვთ და ოჯახის შენახვის ტვირთი ქალებს აწევთ. ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქალებს ქმრები ზედმეტ ტვირთად მიაჩნიათ.

წლების წინ, თუ ოჯახის დანგრევაში წამყვანი ფაქტორი მეუღლის ღალატი იყო, დღეს — სოციალური პირობებია. ადრეც იყვნენ „გაბედული“ ქალები, რომლებიც განქორწინების ინიციატორები იყვნენ, მაგრამ როგორც ჩანს, დღეს ისინი უფრო იოლად უყურებენ ოჯახის დანგრევას. მართალია, გამართლებულად არ მიმაჩნია სოციალური პირობების გამო ოჯახის დანგრევა, მაგრამ გაჭირვებას ალბათ ზოგი უძლებს, ზოგი — ვერა. თუკი სოციალური ყოფა ცუდად აისახება ოჯახზე, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა იძაბება, ბავშვები ცუდი ურთიერთობის მაგალითს უყურებენ და სულიერად მახინჯდებიან, უმჯობესია, საქმე განქორწინებით დამთავრდეს.

ერთი კითხვა

— თქვენი აზრით, გააუქმებს თუ არა რუსეთი, 10 ოქტომბრამდე, საქართველოს ტერიტორიაზე, აგვისტოში შეძენილ ყველა ბლოკპოსტს?

მარინა სალუქვაძე:

— სიმართლე გითხრათ, მე არც დიპლომატი ვარ და არც პოლიტიკოსი, ველოდები შედეგებს. იმედი მაქვს, რუსეთი ამჯერად აზრიან გადაწყვეტილებას მიიღებს და 10 ოქტომბრამდე, საქართველოს ტერიტორიაზე, თავის მიერ შექმნილ ყველა ბლოკსაგუშაგოს გააუქმებს.

ფემინისტები ობამას ემხრობიან

როგორც CNN იუწყება, ამერიკელი ფემინისტების ყველაზე დიდი და ძველი ორგანიზაცია საპრეზიდენტო არჩევნებში „დემოკრატების“ კანდიდატ ბარაკ ობამას დაუჭერს მხარს. ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია NOW-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ობამა ამერიკელი ქალებისთვის „ყოველდღე ყველაფერს შესაძლებელს აკეთებს“. სხვათა შორის, ფემინისტების განცხადებაში ერთხელაც კი არაა ნახსენები ალასკის გუბერნატორი სარა პეილინი, რომელიც „რესპუბლიკელ“ ჯონ მაკქეინის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ამერიკის ისტორიაში პირველი ვიცე-პრეზიდენტი ქალი გახდება.

პრაიმერიზების პერიოდში, NOW (ცნობისათვის: ამ ორგანიზაციას 1984 წლის შემდეგ, როცა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ჯერალდინ ფერარო აცხადებდა პრეტენზიას, არც ერთი კანდიდატისთვის აღარ დაუჭერია მხარი) ობამას ყოფილ მეტოქეს, ჰილარი კლინტონს ემხრობოდა. რაც შეეხება „რესპუბლიკელებსა“ და მათ კანდიდატს, ამერიკელ ფემინისტებს მათთან არაერთი პრეტენზია აქვთ. კერძოდ, ჯონ მაკქეინი ქალებისთვის აბორტების გაკეთების უფლების შეზღუდვას აპირებს, ფემინისტები კი მიიჩნევენ, რომ ფეხმძიმობის შენარჩუნების საკითხი ქალის უპირობო პრეროგატივას წარმოადგენს.

ობამასადმი ამერიკელი ქალების სიმპათიას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ კალიფორნიის შტატის პატარა ქალაქ ოლემას მკვიდრმა, ქერი ემერიმ საკუთარ ქალაქს სახელი ობამად „გადაუკეთა“. მან ქალაქის შესასვლელში მდგარ ფირნიშზე არსებულ წარწერაში ორი ასობგერა შეცვალა და ლემა-ც უმალ ბამა-დ იქცა. თუმცა მოგვიანებით, ქალაქის ხელმძღვანელობამ ქერი ემერის საქციელი უკანონოდ ცნო და მას ქალაქისთვის ძველი სახელის სასწრაფოდ დაბრუნება მოსთხოვა.

მაკქეინი ეკონომიკურ კრიზისში უოლ-სტრიტს ადანაშაულებს

„რესპუბლიკელთა“ საპრეზიდენტო კანდიდატმა ჯონ მაკქეინმა ტელეკომპანია ABC News-ს განუცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მსგავსად გამოიძიებს. მისი თქმით, უოლ-სტრიტმა, რომელიც „შემოსავლებს გამოდევნებულ სამორინედ“ იქცა, ამერიკელ მუშებს უღალატა. ქვეყნის ეკონომიკის საძირკველს კი სწორედ „ყველაზე ძლიერი, უკეთესი, შრომისუნარიანი და მოწინავე ამერიკელი მუშა წარმოადგენს“.



მაკქეინის ამ განცხადებასთან დაკავშირებით, მისმა მეტოქემ, ბარაკ ობამამ ერთ-ერთ წინასაარჩევნო ვიდეორგოლში მაყურებელს ასეთი კითხვით მიმართა: „როგორ უნდა შეძლოს მაკქეინმა ამერიკული ეკონომიკის „შეკეთება“, თუ ისიც კი არ ესმის, რომ ის დაზიანებულია?..“

შიდსის ვირუსი სავარაუდოზე ბევრად უფრო ადრე გაჩნდა

ასეთი დასკვნა გამოიტანა მეცნიერთა ჯგუფმა ახალი კვლევის ჩატარების შედეგად, რომლის თანახმადაც, შიდსის ყველაზე საშიში ვირუსის სახეობა ადამიანებში 1900 წლიდან გავრცელდა. მეცნიერთა მტკიცებით, „აივ-ინფექცია 1884-1924 წლებში ცენტრალურ აფრიკაში ქალაქების აღმოცენების დროს გავრცელდა, რაც იმას ადასტურებს, რომ შიდსი, აქამდე ნავარაუდებ 1930 წელზე რამდენიმე ათწლეულით ადრე მაინც გაჩნდა“. კვლევის ხელმძღვანელის — არიზონის უნივერსიტეტის ეკოლოგიისა და ევოლუციური ბიოლოგიის პროფესორის, მაიკლ ვორობეის თქმით, საუკუნეების მიჯნაზე, ვირუსის გავრცელებით დაწყებული შიდსის ეპიდემია კოლონიური აფრიკის, კერძოდ — კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის თანამედროვე ქალაქ კინშასის ურბანიზაციის პერიოდს ემთხვევა. მეცნიერის ვარაუდით, ვირუსის სწრაფად გავრცელების მიზეზი შეიძლება, „ქალაქების ზრდასთან დაკავშირებული, ადამიანთა სარისკო ქცევები“ გამხდარიყო.

პროფესორი ვორობეი ოპტიმისტურად უყურებს შიდსის სრული გაქრობის შესაძლებლობასაც. „ვფიქრობ, შექმნილი სურათი, რომლის თანახმადაც, ადამიანთა ქცევის შეცვლას შიდსის გავრცელება მოჰყვა, იმის ცხადი დასტურიცაა, რომ ჩვენ ამ ეპიდემიის დასაძლევად საჭირო ცვლილებების გატარებაც შეგვიძლია“, — აცხადებს მეცნიერი.



გამომცემლობა
პალიტრა L

მარადიული
წიგნი!



სამაგიდო
ენციკლოპედია
პასუხი ყველა
კითხვაზე!

იკითხეთ
წიგნის
მაღაზიებში



ამერიკაში პირველი მოლაპარაკე შიმპანზე მოკვდა

საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ამერიკაში მოკვდა შიმპანზე, რომელიც ჟესტების „ადამიანურ ენას“ ფლობდა. დედალი შიმპანზე ვაშუ 1965 წელს აფრიკაში დაიბადა. 1967 წელს მეცნიერებმა მას ჟესტების ამერიკული ენის სწავლება დაუწყეს. შიმპანზე ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა და მალე მისი „სიტყვების“ მარაგმა 250-ს მიაღწია. თუმცა ბევრი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ მას მეტყველების კი არა, ჟესტების იმიტაციის უნარი განუვითარდა. ასე იყო თუ ისე, ვაშუ ის პირველი შიმპანზე გახლდათ, რომელიც კომუნიკაციის დროს ჟესტების „ადამიანური ენით“ სარგებლობდა და ეს ჟესტები რამდენიმე ახალგაზრდა შიმპანზესაც წარმატებით გადასცა. მეცნიერთა თქმით, ვაშუმ მათ მაიმუნების ე.წ. კოგნიტიური უნარების შესასწავლი „ფანჯარა გაუღო“ და ამ უნარების როგორც ცხოველურ, ისე ადამიანურ ბუნებაზეც დააფიქრა.

ვის ხელში შეიძლება აღმოჩნდეს თქვენს ძველ მობილურზე არსებული ინფორმაცია?

როგორც ბრიტანული გაზეთი Guardian იუწყება, ძველი მობილური ტელეფონისა თუ პერსონალური კომპიუტერის ახლით შეცვლისას, ადამიანს მათში არსებული ინფორმაციის ბოლომდე წაშლა პრაქტიკულად, არ შეუძლია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უმეტესობა, მნიშვნელოვანი პირადი თუ კორპორაციული ინფორმაციის დაცვაზე საერთოდაც, ნაკლებად ზრუნავს, ადვილი წარმოსადგენი გახდება, თუ ეს ყველაფერი რამხელა სამოქმედო ასპარეზს აძლევს ათასი ჯურის თაღლითსა თუ ავის მქმნელს.

სამი წლის წინ იაპონური ტრანსნაციონალური კომპანია „ისიდის“ ბრიტანული ქვედანაყოფის აღმასრულებელმა დირექტორმა გრემ კლემენტსმა პერსონალური კომპიუტერის ახლით შეცვლა გადაწყვიტა, ძველი კი IT-დანაყოფს უტილიზაციისთვის გადასცა. ამის შემდეგ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, კომპიუტერი ჯერ სხვა კომპანიას გადაეცა, შემდეგ კი გაიყიდა კიდეც. არადა, მასში ყოფილი მფლობელის არაერთი მნიშვნელოვანი ბიზნესგეგმა, კლიენტებისა და კომპანიის სტრუქტურის, აგრეთვე, საბანკო ანგარიშებისა და ექსმფლობელის შვილების შესახებ ცნობებიც კი ინახებოდა.

„ჩვეულებრივ, ადამიანი საკუთარი მობილური ტელეფონის ბოლომდე „გამოსუფთავებას“ პრაქტიკულად, ვერასდროს ახერხებს, რადგან, ღია არქიტექტურის მქონე პერსონალური კომპიუტერისგან განსხვავებით, მობილური ტელეფონი „დახურული წიგნია, — აცხადებს ტელეფონების უტილიზაციით დაკავებული კომპანიის დირექტორი, ჯონ გოდფრი, — იმ ინფორმაციის მიღება, რომელიც დღეს „ნოკიის“ ფირმის ტელეფონების გაწმენდის საშუალებას გვაძლევს, მხოლოდ ამ ფირმასთან ერთწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ შევძელით. ამგვარად, ყოველ კონკრეტულ ფირმასთან ცალკე მოლაპარაკება გვიწევს“.

ამასობაში კი ადამიანები პერსონალურ კომპიუტერებსა თუ მობილურ ტელეფონებს სულ უფრო სწრაფი ტემპით იცვლიან ანდა სულაც — კარგავენ. გამოთვლილია, რომ ყოველ ნახევარ წელიწადში მარტო ლონდონის ტაქსებში მგზავრებს 63 ათასი მობილური ტელეფონი და 6 ათასი ჯიბის კომპიუტერი რჩებათ. ჰიტროუს აეროპორტში ყოველდღიურად დაკარგული 10 მობილური ტელეფონიდან ოთხს დამცავი სისტემა საერთოდ, არა აქვს. მსგავს მონყობილობებში არსებული ცნობების წაკითხვა კი კანონით არ ისჯება და ამიტომაც მათი დაცვა მხოლოდ მფლობელის მოვალეობაა.

ჯონ გოდფრის თქმით, ადამიანებმა კარგად უნდა გააცნობიერონ მობილურ ტელეფონებში პირადი ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებული ყველა — დიდი თუ პატარა საფრთხე. კერძოდ, მობილურის 7%-ში არსებული ინფორმაცია სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ მპოვნელმა მათ მფლობელად გაასაღოს თავი, ხოლო კიდევ 7% ბოროტ მზრახველებს კორპორაციული თაღლითობის საშუალებას აძლევს. გამოკვლეული ჯიბის კომპიუტერების 27% კომპანიების შესახებ ინფორმაციას, 16% კი — პირად მონაცემებს შეიცავს.

ზემოთ ნახსენებ გრემ კლემენტს ძალიან გაუმართლა, რადგან მისი პერსონალური კომპიუტერი იმ მკვლევრების ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც 161 პორტატული მოწყობილობა იმის დასადგენად შეარჩიეს, თუ მათი მეშვეობით ყოფილ მფლობელებზე რა ინფორმაციის მიღება იქნებოდა შესაძლებელი. მაგალითისთვის, ავსტრალიიდან მიღებული ტელეფონის მეშვეობით, მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ის სიდნეის პრესტიჟულ კვარტალში მცხოვრებ ბიზნესმენს ეკუთვნოდა, რომელსაც თავის თანამშრომლებთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ტელეფონი შეიცავდა დაწვრილებით ინფორმაციას მისი ბიზნესის, საქმიანი კავშირების, სატელეფონო ზარებისა და დღიურის შესახებაც კი. სწორედ ამ გზით გაირკვა, რომ ბიზნესმენს აქტიური მიმოწერა ჰქონდა ქალთან, რომელსაც წლების მანძილზე საიდუმლოდ ხვდებოდა...

ადამიანი პირადი ტელეფონით საშუალოდ, ერთი წელი, კორპორაციულით კი — ორი წელი სარგებლობს. მაგრამ თუ კომპანია BT-ს ინფორმაციული უსაფრთხოების სამმართველოს ხელმძღვანელს, დოქტორ ენდი ჯონსს ვერწმუნებით, — „მობილური, მოწყობილობის სიცოცხლის ხანგრძლივობა ჰეპლისას სულ ოდნავ თუ აღემატება. ხოლო როცა მისი ეფექტური ცხოვრება სრულდება, როგორც წესი, არავინ ფიქრობს, ,იმ მონაცემებზე, რომლებიც მასში რჩება... ბოლო წლებში ბევრი ისეთი მოწყობილობა შეიქმნა, რომელსაც ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა შეუძლია. მომავალში კი მობილური ტელეფონის საკრედიტო ბარათთან შეთავსებით, უნივერსალურ გადამხდელ მოწყობილობად მისი გადაქცევაცაა გადაწყვეტილი“, — გვაფრთხილებს დოქტორი ჯონსი და ბოლოს თითქმის რიტორიკულად ქცეულ კითხვასაც გვისვამს: „იცით თუ არა, სად არის თქვენი ძველი მობილური ტელეფონი და სანამ გადააგდებდით, მასში არსებული ინფორმაციის წაშლა თუ მოახერხეთ?“

უნიკალური საგვარეულო რეცეპტით სიროფი „პლანტა“

მსტ 5000 7970-001-2006

- ჩიყვი; ჩირქოვანი გლანდები;
- ადენოიდები — ხვრინვა;
- მასტოპათია (კვანძები);
- ფიბრომა, კისტა, უნაყოფობა;
- ჰეპატიტი, კოლიტი, კენჭები;
- შაკიკი, კლასტერი.

ტელ.: 59-59-82
მობ.: 877 496148 ენვერი

მალხაზ ასათიანის ახალი შანსი — კიევის „დინამო“

არავითარი ბუნტი – ფეხბურთელი და მწვრთნელი ერთმანეთში შეთანხმდნენ

ლაშა თაბაგარი

— „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელად რახიმოვის დანიშვნის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგეთ. რით ახსნით ამას? ამაში იმ ტრავმამაც ხომ არ შეასრულა გარკვეული როლი, რომლის გამოც თითქმის წელიწადი გაგიცდათ?

— ტრავმა არაფერ შუაშია. ბევრი ფეხბურთელი ჩემზე მძიმედ დაშავებულა, მაგრამ მაღალ დონეზე თამაში გაუგრძელებია. უბრალოდ, როგორც ჩანს, რახიმოვის სათამაშო სქემაში ვერ ვჯდებოდი და ასეთ დროს მწვრთნელთან კამათს აზრი არა აქვს, რადგან ყველაფერს ის წყვეტს. ამიტომ, „დინამოში“ გადასვლის ვარიანტი რომ გამიჩნდა, არც დავფიქრებულვარ. კლუბის ხელმძღვანელობასაც ავუხსენი, რომ არც მათთვის იქნებოდა კარგი, სათადარიგოებს შორის ვყოფილიყავი და სათამაშო პრაქტიკა არ მქონოდა. საბოლოოდ, მათი მხრიდან პრობლემა არ შემქმნია.

— „დინამოზე“ არჩევანის გაკეთების დროს, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი რა იყო?

— „ლოკომოტივში“ ნაკლებად მენდობოდნენ, ვინაიდან უფრო ხშირად მსურდა თამაში, მოსკოვური კლუბის დატოვება გადაწყვიტე. თან, ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯზე გავლენა იმ ფაქტმაც იქონია, რომ იური სიომინი კარგად მიცნობს.

— ალბათ ახალ კლუბში სტაბილურად თამაშის უფრო დიდი იმედი გაქვთ, მით უმეტეს, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი გენდობათ...

— „ლოკომოტივმა“ კიევის „დინამოში“ წლის ბოლომდე გამანათხოვრა და ჯერჯერობით გუნდს ვეჩვევი. მომეცემა თუ არა სტაბილურად თამაშის საშუალება, ამას დრო გვიჩვენებს. ბევრი რამ ჩემზეა დამოკიდებული, ვინაიდან ნდობას გამართლება სჭირდება.

— „დინამოს“ პრეზიდენტ იგორ სურკისის განცხადებით, კიეველებს თქვენი სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვა სურდათ, მაგრამ ეს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა. როგორ ფიქრობთ, იუვარის ამოწურვის შემდეგ კარიერას უკრაინულ კლუბში გააგრძელებთ?

— ამის თაობაზე წინასწარ ლაპარაკი არ შეიძლება. ყველაფერი წლის ბოლოს გაირკვევა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარმოვაჩენ თავს „დინამოში“. ·წორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, სად ვითამაშებ შემდგომში.

— ამჟამად როგორ სათამაშო ფორმაში იმყოფებით?

— ვარჯიშებზე თავს ნორმალურად ვგრძნობ, მაგრამ თამაში სულ სხვა რამ არის და ·წორედ ის განსაზღვრავს ფეხბურთელის ფორმას. ვფიქრობ, რომ ხშირი სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, კონდიციები დაკარგული მაქვს.

— კიევში როგორ მიგიღეს და კლუბში არსებულ პირობებზე რა აზრის ხართ?

— კლუბში ნორმალურად მიმიღეს და არავითარი პრობლემა არ შემქმნია. როგორც „დინამოში“, ასევე „ლოკომოტივში“, ფეხბურთელისთვის სავარჯიშოდ და სათამაშოდ ყველა პირობაა შექმნილი.

— „ლოკომოტივსა“ და „დინამოში“ საწვრთნელი პროცესები რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან?

— ბუნებრივია, თითოეული მწვრთნელი სავარჯიშო პროცესს განსხვავებულად წარმართავს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერი იმისკენაა მიმართული, რომ მოთამაშეებმა აკეთონ ის, რაც ფეხბურთს სჭირდება.

— „დინამოში“ არსებულ კოლოსალურ დატვირთვებზე არაერთ ფეხბურთელს ულაპარაკია, თქვენ რას



საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ცენტრალურ მცველ მალხაზ ასათიანს მოსკოვის „ლოკომოტივში“ საქმე უკან მას შემდეგ წაუვიდა, რაც გუნდის მთავარ მწვრთნელად რაშიდ რახიმოვი დანიშნეს. მოსკოველთა ახალი თავკაცი ფეხბურთელს, რომელიც ბოლო სეზონებში კლუბში ერთ-ერთ წამყვან ფიგურად მიიჩნეოდა, აშკარად არ წყალობდა და ასათიანიც არ დაფიქრებულა, როდესაც კიევის „დინამოში“ კარიერის გაგრძელების შანსი გაუჩნდა. მით უმეტეს, რომ უკრაინული გრანდის თავკაცი იური სიომინი ქართველ ფეხბურთელს კარგად იცნობს, რადგან თავის დროზე ასათიანი „ლოკომოტივში“ სწორედ მისი წყალობით ალმოჩნდა. გარდა ამისა, სიომინის დამსახურებაა, რომ მალხაზი, რომელიც კარიერას ნახევარმცველად იწყებდა, დღესდღეობით ცენტრალურ მცველად თამაშობს და „ლოკომოტივში“ სწორედ ამ პოზიციაზე ასპარეზობისას მიაღწია წარმატებას. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კიეველთა ქართველ ლეგიონერს ამ ცოტა ხნის წინ ჩამოვართვით.

იტყვით ამის თაობაზე?

— საერთოდ, დიდი დატვირთვები სეზონის დაწყებამდე მოსამზადებელი პერიოდის დროს არის ხოლმე და ვინაიდან კიეველებს მოგვიანებით შევუერთდი, მაშინ რა დონის ვარჯიშები იყო, ვერ გეტყვით. თუმცა მომქანცველი წვრთნები არც ახლა გვაკლია, რაც ბუნებრივია — ვინაიდან დღევანდელ ფეხბურთში თუ არ ირბინე, თამაშს ვერ შეძლებ.

— იური სიომინი ცენტრალური მცველის, საყრდენი ნახევარმცველის თუ გამთამაშებლის პოზიციაზე დაყენებას გიპირებთ?

— ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა პოზიციაზე ვითამაშებ, მთავარია, მოედანზე სტაბილურად გამოსვლამ მომიწიოს.

— კიევში ცხოვრება მოგწონთ?

— მოსკოვს ძალიან მივეჩვიე, მაგრამ კიევიც მომწონს. თუმცა ჯერჯერობით, გიდის გარეშე ქალაქში გადაადგილება მიჭირს და ქუჩებიდან მხოლოდ ხრეშჩატიკი ვიცი.

— 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ირლანდიასთან ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, საქართველოს ნაკრები დატოვეთ, რამაც ფეხბურთის სპეციალისტებსა და გულშემატკივრებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საინტერესოა, რატომ აღარ გაემგზავრეთ გუნდთან ერთად, იტალიელების წინააღმდეგ მომდევნო შეხვედრის ჩასატარებლად?

— ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ, ექტორ რაულ კუპერს ვთხოვე, რომ თუ ის იტალიელებთან თამაშში ჩემს გამოყენებას არ აპირებდა, ჯობდა, კიევში გავეშვი, რათა ახალ გუნდს შევჩვეოდი. თან ავუხსენი, რომ „დინამოში" ცოტა ხნის წინ ვიყავი გადასული და მსურდა, ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე უკეთ გამეცნო კოლექტივი. მწვრთნელმა მიპასუხა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერც მე მომცემდა და ვერც რომელიმე სხვა ფეხბურთელს. თუმცა საბოლოოდ, მან ჩემი თხოვნა გაითვალისწინა და კიევში გამგზავრების უფლება მომცა. ამასთან, გუნდში მცველების პრობლემა არ იდგა და საჭირო ამოცანას ყველა გაართმევდა თავს. ვფიქრობ, მოცემულ მომენტში ჩემი საფეხბურთო კარიერისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა სჯობდა.



— საქართველოს ნაკრები ჯგუფში ჩატარებულ ორივე სასტარტო შეხვედრაში დამარცხდა. თქვენი აზრით, განვლილ მატჩებში თუნდაც ერთი ქულის მოპოვების შანსი გქონდა თუ არა?

— ირლანდიასთან ერთი ქულის აღება შეიძლებოდა, რადგან არ იყო ისეთი გუნდი, რომელთანაც დადებით შედეგს ვერ მიაღწევდი. რაც შეეხება იტალიას, ყველამ იცის, თუ რა დონის ნაკრებია და ამ ეტაპზე, საქართველოსთვის მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძნელია. თუმცა 0:1 როდესაც ვაგებდით, ლევან ყენიას გოლი რომ გაეტანა, არავინ იცის, თამაში როგორ გაგრძელდებოდა.

— ეროვნული გუნდის არგენტინელი თავკაცის შესახებ როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ?

— კუპერის ხელმძღვანელობით გუნდმა ჯერ მხოლოდ სამი თამაში ჩაატარა და რაიმე დასკვნის გაკეთება ნაადრევია. თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ არგენტინელი ძალიან მომთხოვნია და ფეხბურთელებს მიცემული დავალების ბოლომდე შესრულებას სთხოვს. ■

ნელი ბიჩიკაშვილი: ჯადოს ზემოქმედება ავესტიკურ დაავადებებს იწვევს

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებისგან გადაეცა მემკვიდრეობით. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. თუ რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, ჯერ ნელისთან მიდიან რჩევისთვის. იგი ხსნის ჯადოს, თვალს, საგვარეულო წყევლას. ნათელმხილველის უნიკალური ნიჭის წყალობით, ბევრი ოჯახი გადაარჩინა დანგრევას და მოსალოდნელ უბედურებას. ქალბატონ ნელისთან ხალხი რაიონებიდანაც ჩამოდის.

— ქალბატონო ნელი, როგორ ადგენთ, მოჯადოებულია თუ არა ადამიანი?

— ფოტოსურათითა და მარჩიელობით. შემიძლია, ზუსტად დავინახო, ვინ შეუკვეთა ჯადო და მისი ვინაობაც ვთქვა, მაგრამ ამ ინფორმაციის გაცემას ვერიდები ხოლმე.

— რატომ?

— მეშინია, გამწარებულმა ადამიანმა, სამაგიეროს გადახდის მიზნით, შურისძიება არ მოინდომოს. დაპირისპირება შეიძლება, ტრაგიკულად ან სკანდალით დამთავრდეს.

— ზოგიერთი მიიჩნევს, რომ სასიყვარულო ჯადოს გაკეთება ცოდვა არ არის. რას იტყვით ამის შესახებ?

— მცდარი შეხედულებაა! ნებისმიერი ჯადო, რა მიზნითაც არ უნდა იყოს გაკეთებული, დიდი ცოდვაა.

— მაგალითად, რა არის იმ ფაქტში ცუდი, თუ გასათხოვარი ქალი უცოლო მამაკაცის გულს მონადირებას ეცდება?

— ცოდვა მარტო, ჯადოებით სხვისი ოჯახის დანგრევა არ არის. ისიც დანაშაულია, რადგანაც ღმერთის საქმეში ერევი. ვინ ვისი ბედია, ამას უფალი წყვეტს. გარდა ამისა, მაგიური ზემოქმედება დროებითია. ამიტომ, ქმრის შესანარჩუნებლად, ზოგიერთი ქალი საყვარელ მამაკაცს სისტემატურად უკეთებს ჯადოს. ამან შესაძლოა, მძიმე შედეგი გამოიწვიოს. ამას წინათ, ერთი ქალბატონი მესტუმრა, დახმარება მთხოვა. ქმარი დააწვინა ფსიქიატრიულში, რადგანაც კაცი ჯადოებით სიგიჟემდე მიიყვანა. ქალი თავის მეუღლეს საჭმელში რეგულარულად ურევდა ვირის ტვინს, რათა ის მორჩილი და ერთგული ყოფილიყო.

— განა ვირის ტვინს კაცის გაგიჟება შეუძლია?

— ჯადოების გასაკეთებლად იყენებენ მხოლოდ ამძუვნებული ვირის ტვინს.

— რა მიზეზით?

— ამძუვნებული ვირის ტვინში არის ნივთიერება, რომელსაც შეუძლია ცენტრალური ნერვული სისტემის პარალიზება, რის შედეგადაც ადამიანი კარგავს ობიექტური განსჯის უნარს, დამყოლი და მორჩილი ხდება; ობიექტურად ვერ აფასებს მოვლენებს, ივიწყებს ყველაფერს, რასაც ჯადოს გამკეთებელი შთააგონებს, სხვების აზრს არ იზიარებს. როცა ადამიანი რეგულარულად იღებს ნივთიერებას, რომელსაც მისი ნერვული სისტემის პარალიზება შეუძლია, ბუნებრივია, რომ სიგიჟემდე მივა. შედეგი სრულიად ლოგიკური.

— შეძელით მოჯადოებული მამაკაცის დახმარება?

— ვცადე, მაგრამ აღარაფერი გამომივიდა. ჯადო დროულად უნდა მოიხსნას, სანამ რაიმე ორგანულ დაავადებას გამოიწვევს. ადრე რომ მოსულიყო ჩემთან მისი ცოლი, გულახდილად ეღიარებინა დანაშაული და მოენანიებინა, ვუშველიდი, მაგრამ სანამ კაცმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არ ამოყო თავი, ვერ მიხვდა, თუ რა ბოროტება ჩაიდინა.

— ჯადო ორგანულ დაავადებასაც იწვევს?

— თუ დროზე არ მოხდა მისი ნეიტრალიზება, წლების განმავლობაში ნეგატიური პროგრამა აურიდან ანუ დაბინძურებული ბიოველიდან ორგანოებზე გადადის და სხვადასხვა დაავადებად ყალიბდება. ჯადოს ზემოქმედებით გამოწვეულ დაავადებებს პარაფსიქოლოგიაში ავესტიკური დაავადებები ეწოდება.

თუ ქალბატონ ნელისთან მისვლა გსურთ, დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! მისამართი: წერეთლის გამზირი №12, II სადარბაზო, II სართული, ბინა №42. საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72, 893.30.65.51, 899.20.37.64.

R

„ვოლვოს“ სიახლე

პარიზის ავტოსალონზე კომპანიამ კროსოვერის — Volvo XC60 — ახალი, წინაამძრავიანი მოდიფიკაცია წარმოადგინა. ევროპაში ასეთი ავტომობილები უკვე 2009 წლის პირველი ნახევრიდან გამოჩნდება. XC60 მხოლოდ ერთი, ტურბოდიზელის — 2.4 მოდერნიზიებული, 2,4-ლიტრიანი ვერსიით დაკომპლექტდება. ამავე დროს, ეს მოტორი ჯერ არ გამოიყენება სრულამძრავიან კროსოვერებზე. მანქანა კვების, აგრეთვე სხვა აგრეგატების ახალი, მოდერნიზებულ სისტემებით აღიჭურვება. ამის შედეგად, ძრავას სიმძლავრე 12 ცხ.ძ-ით გაიზარდა (163-დან 175 ცხ.ძ-მდე); ამასთანავე, საწვავის ხარჯი გადაცემათა მექანიკური კოლოფით, 100 კმ-ზე მხოლოდ 6,4 ლ-ია, ხოლო „ავტომატით“ — 7,3 ლ. მანქანის მავნე გამონაბოლქვი (CO2) 1 კმ-ზე 170 გრამია (ავტომატური კოლოფით — 193 გ). როგორც „ვოლვოს“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, XC60-ის ახალი ვერსია განსაკუთრებით მათ მოეწონებათ, ვისაც დიდი და კომფორტული ავტომობილი სურთ, მით უმეტეს, რომ ეს მანქანა ეკონომიური და ეკოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. ■

სპორტპაკეტი „ფოლკსვაგენის“ ჰეჩბეკისთვის

ცოტა ხნის წინ ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია ახალი სპორტპაკეტის შესახებ, რომელიც განკუთვნილია ჰეჩბეკისთვის — Volkswagen Scirocco. პაკეტი გერმანულმა სატიუნინგო ატელიემ — ABT SportsLine შექმნა. კომპანიის სპეციალისტებმა ავტომობილისთვის მოამზადეს რადიატორის ახალი ცხაური და წინა ბამპერი, აგრეთვე განსხვავებული უკანა ბამპერი და დამატებითი სპოილერი ორი საბარგულისთვის. 1,4 და 2,0 ლ მოცულობის ორი ბენზინის ძრავას სიმძლავრეს მოტორის მართვის ბლოკის მეშვეობით, 40 ცხ.ძ-ით გაზრდიან — შესაბამისად, 200 და 240 ცხ.ძ-მდე. ანალოგიური მოდერნიზაციის შემდეგ, ორლიტრიანი, 140 ცხ.ძ-ის მქონე ტურბოდიზელი უკვე 170 ცხ.ძ-მდე გაძლიერდება. Scirocco-ს აგრეთვე განსხვავებული გამონაბოლქვის სისტემა, უფრო მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმი, აგრეთვე საფირმო, 18-20-დუიმიანი საბორბლე დისკები ექნება. გერმანიაში ახალი სპორტპაკეტი მომავალი წლის იანვრიდან იქნება ხელმისაწვდომი. ასეთი პაკეტის ერთ-ერთი სახეობის ფასი 5.990 ევროს შეადგენს. ■

ირანელი ავტომწარმოებლები ქალებზე ზრუნავენ

ირანის წამყვანი ავტომწარმოებელი, კომპანია — Iran Khodro — მუშაობს ავტომობილზე, რომელიც საგანგებოდ ქალებისთვისაა განკუთვნილი. მანქანას გადაცემათა ავტომატური კოლოფი, სანავიგაციო სისტემა და სხვა ისეთი აღჭურვილობა ექნება, რომელიც მართვისას ფიზიკური ძალის გამოყენების საჭიროებას გამორიცხავს. ჩატარებული კვლევებით დაადგინეს ქალების სურვილები და სწორედ ამ მონაცემების გათვალისწინებით შეიმუშავეს მოდელის ინტერიერი და ექსტერიერი. Iran Khodro-ს ტოპმენეჯერის, ვახიდ ნაჯაფის თქმით, მყიდველებს „ქალურ“ ფერებში შეღებილ მანქანებს შესთავაზებენ, რამაც ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ ავტომობილი მშვენიერი სქესის წარმომადგენელს ეკუთვნის. კომპანიის ახალი მოდელის ინტერიერში გაჩნდება სხვადასხვა ელემენტი, რომელიც სალონს უფრო გაალამაზებს, ხოლო ბავშვების გასართობად, მულტიმედიის სისტემაც დამონტაჟდება. ასეთი ავტომობილების გამოშვება 2009 წლისთვის იგეგმება და ქალთა დღეს მიეძღვნება, რომელიც ირანში ივნისში აღინიშნება. სიახლეს არა მარტო ადგილობრივ ბაზარზე, არამედ სირიასა და ვენესუელაშიც გაასაღებენ. ქვეყნის ხელისუფლება მანქანის შექმნის. კონცეფციას მხარს უჭერდა. ამჟამად ირანში გამოიყენება ტაქსები, რომელთა მძღოლებიც ქალები არიან, ხოლო საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქალები და მამაკაცები ერთმანეთისგან განცალკევებით სხდებიან. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

■ პრესის
გავრცელების
საგენტო
ჟ.ა.ს. „ელვასერვისი“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. დასტაქარი; 2. ოსასუნა; 3. ტიტრი; 4. ქორო; 5. მარნეული; 6. ვესტერნი; 7. ისლამაბადი; 8. ბია; 9. ბლუ; 10. კეფა; 11. კრუხი; 12. ქავი; 13. ქარქაში; 14. პროპოლისი; 15. ქაოსი; 16. დანი; 17. ოაზისი; 18. ალაო; 19. ნადიმი; 20. ვარაზი; 21. გობი; 22. ფრისტაილი; 23 გინესი; 24. მანილა; 25. ბურტყუნი; 26. მონტანა; 27. იქ; 28. ლუვრი; 29. იმედი; 30. მაგიდა; 31. ირისი; 32. რიკი; 33. სოსისი; 34. შატლი; 35. ტომ; 36. ილი; 37. კოტე; 38. ყუა; 39. ნო; 40. ლეონი; 41. ამნისტია.

სურათებზე: დევიდ შვიმერი; ეშლი სიმფსონი.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ ცხოვრებისეული წვრილმანებისადმი?

იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის — აკუტაგავას აზრით, „ცხოვრება ასანთის კოლოფივითაა. მისდამი სერიოზული დამოკიდებულება — სასაცილოა, არასერიოზული მიდგომა კი — სახიფათო". მაშ როგორ მოვეკიდეთ ამ ასანთის ღერებს, პაწაწინა ჩხირებს, რომლებისგანაც ყოველწამიერად შენდება ჩვენი ცხოვრების მონუმენტური შენობა? სათითაოდ დავთვალიერეთ, სიყვარულით გადავარჩიოთ, აღფრთოვანება გამოვხატოთ ამ უმარტივესი, მაგრამ სრულყოფილი გამოგონების წინაშე, თუ მრისხანება გადმოვაფრქვიოთ ამ ჩხირებზე, როცა სრულიად შეუფერებელ სიტუაციაში, ეს ღერები ხელში ჩაგვატყდება ხოლმე, თითქოს ჩვენ ნების საწინააღმდეგოდ ანთება არ სურდეთ? იქნებ, საერთოდ დავივიწყოთ მათი არსებობა იმ მომენტამდე, ვიდრე ცეცხლის ანთება არ დაგვჭირდება? ანდა, უბრალოდ, ყოველგვარი ზედმეტი ემოციის გარეშე თვალყური მივადევნოთ იმას, რომ ასანთი ყოველთვის მშრალად იყოს შენახული?

ყოველი ადამიანი თავად წყვეტს, თუ როგორ უნდა მიუდგეს წვრილმანებს, რომლებისგანაც მთელი ჩვენი ცხოვრება შედგება. მაგრამ როცა უსიამოვნო წვრილმანების გამოისობით, ცხოვრება ჯოჯოხეთად გვეძცევა ხოლმე, უმჯობესია, სერიოზულად მოვეკიდოთ მათ. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი იმ რამდენიმე უსიამოვნო სიუტაციაში, რომლებსაც ტესტში გთავაზობთ.



ყოველ პასუხში — „დიახ", დაიწერეთ ერთი ქულა, ყოველ პასუხში — „არა" — 0 ქულა, ხოლო შედარებით გაურკვეველ პასუხში — „გააჩნია, როდის როგორ" — 0,5 ქულა.

1. როცა სადმე ვრეკავ და ნომერი, რომელიც ავკრიბე გამუდმებით დაკავებულია, ვღიზიანდები ხოლმე.
2. როცა მანქანის მართვისას ვინმე გამუდმებით ან შენიშვნას ან რჩევა-დარიგებას მაძლევს, ვბრაზდები ხოლმე.
3. ძალზე მანერვიულებს, როცა რაიმეს კეთებისას ვამჩნევ, რომ ვიღაც თვალყურს მადევნებს.
4. ვღიზიანდები, როცა რაიმეზე ვფიქრობ და ვინმე ამაში ხელს მიშლის.
5. მაღიზიანებს, როცა ვინმესთან ჩემს კერძო საუბარში ვიღაც გამუდმებით ერევა.
6. არ მსიამოვნებს, როცა ფერების ისეთ კომბინაციას ვხედავ, რომლებიც სრულებით არ ეხამება ერთმანეთს.
7. მაღიზიანებს, როცა მისალმების ნიშნად ხელს ვუწვდი ვინმეს და საპასუხოდ მისგან ვერანაირ რეაქციას ვერ ვგრძნობ.
8. როცა ისეთ ადამიანთან ლაპარაკი მიწევს, რომელმაც ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის, საკმაოდ ვნერვიულობ ხოლმე.

ტესტის შედეგები

6 და მეტი ქულა: წვრილმან უსიამოვნებებსაც კი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოს, რომ თქვენ სიტუაციის სრულად გაკონტროლებას ცდილობთ და ვერ ეგუებით, როცა რაიმე ისე არ ხდება, როგორც ეს თქვენ წინასწარ დაგეგმეთ. ან შესაძლოა, ეძებდეთ მიზეზს, რომ გარკვეული ხნის მანძილზე თქვენში დაგროვილი ბოღმა თუ ფარული დაძაბულობა, როგორმე გადმოანთხიოთ.

4-5 ქულა: რაღაც წვრილმანებზე თქვენც ღიზიანდებით, მაგრამ ეს არც ცხოვრების ხალისს გიკარგავთ და არც ბედნიერების შეგრძნებას. გირჩევთ, წვრილმან უსიამოვნებებს ნაკლები ყურადღება მიაქციოთ, ოღონდ. გაითვალისწინეთ, მეტისმეტი არ მოგივიდეთ და ყურადღების მიღმა მნიშვნელოვანი დეტალებიც არ მიგრჩეთ.

3 ქულა და ნაკლები: გაითვალისწინეთ, ზოგჯერ წვრილმანი უსიამოვნება შესაძლოა, მოსალოდნელი დიდი უსიამოვნების ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. თუკი თქვენ მართლაც შეგიძლიათ, არად ჩააგდოთ ცხვირწინ მფრინავი აბეზარი ბუზი, ხოლო ქუჩაში მიმავალმა თქვენს ფეხებთან დაგდებული ბანანის ქერქი დააფიქსიროთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ყურადღების ოპტიმალურად განაწილების უნარით ხართ დაჯილდოებული. ასე რომ, გილოცავთ!

ჰოროსკოპი

(9 – 15 ოქტომბერი)

ვერძი

გაგიჭირდებათ ინფორმაციის მიღება და საბუთების უშეცდომოდ შევსება. შესაძლოა, უეცრად ჩაგეშალოთ ქორწინებაც. სამაგიეროდ, განმარტოება და დასვენება გაგიმყარებთ როგორც სულიერ, ისე ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ხუცური

გაუმჯობესდება თქვენი გუნება-განწყობილება. ნუ აჩქარდებით, რათა არ დაუშვათ შეცდომები. ეს დრო გამოიყენეთ ახალი კავშირების დასამყარებლად და გარეგნობის დასახვეწად.

ტყუპი

საზოგადოებრივი საქმიანობა, საკუთარი მიღწევების რეკლამა და ხშირი საქმიანი შეხვედრები გაზრდის თქვენს პოპულარობას. ეს მშვენიერი დროა სასიყვარულო ურთიერთობისა და მგზავრობისთვის. შესაძლოა, დაფეხმძიმდეთ ან შვილი შეგეძინოთ.

ქიბრიტი

ქონების გაზრდა შესაძლებელია მშობლების საჩუქრის ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების მეშვეობით. წარმატებული იქნება ყველა საქმე, რომელსაც უცხოელებთან ერთად ან დამოუკიდებლად დაიწყებთ.

ლომი

ხანმოკლე მოგზაურობა სასიამოვნოდ შეგიცვლით გარემოს და საჭირო ინფორმაციასაც ადვილად მიიღებთ. ძალზე მიმზიდველი იქნებით და უამრავ თაყვანისმცემელს შეიძენთ. შემოსავლის მიღებაში საქმიანი პარტნიორები დაგეხმარებიან.

ეკალი

ახალი საინტერესო მოლაპარაკებებისა და წინადადებების მეშვეობით წარმატება გელით კომერციასა და ბიზნესში, თუმცა ეს არახელსაყრელი დროა რისკისა და ნაჩქარევი გადაწყვეტილებისთვის.

სასწორი

წინდახედულად და მშვიდად იმოქმედეთ და ნუ აჩქარდებით, რათა თავიდან აიცილოთ კონფლიქტები და ფიზიკური ტრავმები. გადაწყვეტილებებს მხოლოდ დამოუკიდებლად ნუ მიიღებთ.

მორიგი

სამსახურის საქმეებში ეცადეთ, არ გაიხსენოთ ძველი წყენა და არავის გადაუხადოთ სამაგიერო. ეს კარგი დროა სასიყვარულო ურთიერთობის ოფიციალურად გამოცხადებისა ან ქორწინებისთვის.

მშვილდოსანი

ოჯახში ურთიერთგაგება და კეთილდღეობა დაისადგურებს, ამიტომ სახლში ბევრ დროს გაატარებთ. ახალი კავშირების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ, რათა არავინ მოგატყუოთ.

თხიული

ეს დრო ხელსაყრელია ბინის კეთილმოწყობისა და ოჯახური ტრადიციების განმტკიცებისთვის. მეუღლე ან საყვარელი ადამიანი მეტ ყურადღებას მოგთხოვთ. უცხოეთში გამგზავრება შეიძლება უეცრად ჩაიშალოს.

მეთევზე

მეგობრებთან ან ტრანსპორტში შემდგარი ნაცნობობა შეიძლება რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. გაიზრდება თქვენი საქმიანი აქტიურობა და შესაძლოა, ახალი წინადადებებითაც მოგმართონ.

თევზი

პროფესიული საქმიანობა კარგ შემოსავალს გიქადით. თუ არ მოთოკავთ ემოციებს, საყვარელი ადამიანისაგან ხშირად მოგიწევთ პრეტენზიების მოსმენა. ახალი იდეები უყურადღებოდ არ დატოვოთ და მოამზადეთ საფუძველი მათ განსახორციელებლად.

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	5	9	2	6	7	3	1	8
6	3	8	9	1	4	5	2	7
2	7	1	8	3	5	6	4	9
7	8	4	6	5	1	9	3	2
1	2	3	4	7	9	8	5	6
5	9	6	3	8	2	1	7	4
3	1	2	7	9	8	4	6	5
9	6	7	5	4	3	2	8	1
8	4	5	1	2	6	7	9	3

1	4	3	9	8	5	2	7	6
9	2	8	7	6	1	4	5	3
7	5	6	2	4	3	9	8	1
6	1	9	8	5	4	3	2	7
8	3	5	1	7	2	6	9	4
4	7	2	6	3	9	8	1	5
2	9	4	3	1	7	5	6	8
5	6	7	4	2	8	1	3	9
3	8	1	5	9	6	7	4	2

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

სუდოკუ

იაპონური სენსაცია

მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

საშუალო

3			2					9
9				8			1	
	1		9				3	7
	2		5				6	
6			1	9				2
	5				6		9	
7	4				3		8	
	9			5				1
5					9			6

რთული

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ფოტოკუჩიოზები



საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

b 57/38

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალეე — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თვითრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში